F402
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული რავალთავი

VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ им. К. С. КЕКЕЛИДЗЕ

ემღვნება

კორნელი კეკელიძის

დაბადების ასი წლისთავს

# МРАВАЛТАВИ

Историко-филологические
разыскания

## VII

Издательство «Мецниереба»
ТБИЛИСИ. 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სამართლის ძეგლები

ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი

VII

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი · 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 Г
091 (47.922)
მ 90

„მრავალთავის“ VII ტომი ეძღვნება ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარის, აკადემიკოს კ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავს. ეს გარემოება განაპირობებს კრებულის შედგენილობას. მასში წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ უკანასკნელ ხანებში ხელნაწერთა ფონდებში გამოვლენილი და შესწავლილი ახალი მასალები, რომლებიც ეხმაურებიან აკად. კ. კეკელიძის მრავალმხრივ სამეცნიერო პრობლემატიკას და დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის, მწერლობის და საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

სარედაქციო კოლეგია: *ც. ამბულაძე, მ. მამაცაშვილი* (მდივანი), *ელ. მეტრეველი* (მთავარი რედაქტორი), *ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ხოშტარია* (*ბროსე*), *ნ. ჯანაშია.*

ტომის რედაქტორი მეცნ. აკად. წევრ-კორ. *ელ. მეტრეველი.*

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. *ნ. ჯანაშია*, ფილ. მეცნ. კანდ. *ც. ქურციკიძე*

მ 70202 / M-607(06)—80 121—79

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა



F 4676

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე

(1879—1962)

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო კრებულის („მრავალთავის") წინამდებარე ტომი ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

განუზომლად დიდია კორნელი კეკელიძის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობით დაიწყო ახალი ეტაპი ძველი ქართული უმდიდრესი მწერლობის შესწავლაში.

ქართული სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში XIX საუკუნე აღიბეჭდა როგორც ქართული ეროვნული კულტურისა და მწერლობის მეცნიერული შესწავლის მოსამზადებელი პერიოდი, როდესაც ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საკმაოდ დიდი პლეადა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა აღერიცხა და თავი მოეყარა ერის სიმდიდრის — ქართული კულტურისა და მწერლობის ძეგლებისათვის. XX საუკუნის დამდეგიდან და, განსაკუთრებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან შესაძლებელი გახდა ამ შესანიშნავი პირველწყაროების დამუშავება ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით, მისი განზოგადება. ამ დროიდანვე ჩაეყარა საფუძველი ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, რასაც კ. კეკელიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე წარმართავდა. კ. კეკელიძემ თავს იდვა ტიტანური შრომა — შეესწავლა ქართული ლიტერატურა დღიდან მისი შექმნისა XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. მისი ქართული ლიტერატურის ისტორიის I და II ტომები იყო ის საბოლოო მიზანი, რასაც ემსახურებოდა კ. კეკელიძის მთელი სამეცნიერო მოღვაწეობა. ამ კაპიტალურ შრომაში ქართული მწერლობის საკითხები შესწავლილია საქართველოს ისტორიის, საზოგადოებრივი აზრისა და ქართული ეკლესიის ისტორიის ფონზე, სწავლა-განათლების კერების, ფილოსოფიური თუ ფილოლოგიური, ადგილობრივი თუ საზღვარგარეთული სკოლების შემოქმედებითი საქმიანობის მიღწევათა გათვალისწინებით. ლიტერატურული ძეგლების ასეთმა მრავალმხრივმა შესწავლამ საშუალება მისცა მკვლევარს შესანიშნავად წარმოედგინა ის შინაგანი ლიტერატურული პროცესები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ამოძრავებდნენ და წარმართავდნენ ქართული მწერლობის განვითარებას. იმ გარემოებას, რომ მის დროს ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი იყო გამოქვეყნებული, არ შეუშლია ხელი მეცნიერის ფართო კვლევა-ძიებისათვის, ვინაიდან კ. კეკელიძემ თავისი მეცნიერული მოღვაწეობა უშუალოდ ხელნაწერების შესწავლით დაიწყო. ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერების ბრწყინვალე ცოდნა და პირველწყაროების უშუალო წვდომა მან საფუძვლად დაუდვა თავის მეცნიერულ ძიებებს. ამ მეთოდისათვის მას არ უღალატია სიცოცხლის ბოლომდე.

ძველი ქართული მწერლობა მდიდარია როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ძეგლებით. თარგმნითი ლიტერატურის ხვედრითი წონა ძველ ქართულ მწერლობაში მეტად დიდია. ხელნაწერთა საცავებში დაცული წერილობითი ძეგლების 90%, მეტი თუ არა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენებიდან ქართულად თარგმნილი ძეგლებია. კ. კეკელიძემ თავისი მოღვაწეობის მანძილზე დიდი ადგილი დაუთმო თარგმნილი ლიტერატურის შესწავლას. მანვე განსაზღვრა ამ ძეგლების მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებისათვის. ლიტერატურულ ძეგლთა თარგმანებით ქართული საზოგადოება ეცნობოდა როგორც ანტიკური მწერლობის შედევრებს, ასევე მდიდარ ქრისტიანულ მწერლობასაც. ამ გზით მყარდებოდა კონტაქტები მეზობელ ქვეყნებთანაც. V—XIII საუკუნეებში ქართველები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. რიგ შემთხვევაში შეჰქონდათ კიდეც თავისი წვლილი ამ ქვეყნების კულტურულ და ლიტერატურულ შემოქმედებაში. ამ კონტაქტების საშუალებით ქართველი მწერლები და მეცნიერები იფართოებდნენ თავის კულტურულ ჰორიზონტს, რაც ხელს უწყობდა ქართველების ეროვნულ თვითგამორკვევას.

ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა არაერთი უნიკალური ძეგლი, რომელთა ორიგინალების კვალი დღეს აღარსად ჩანს. ამგვარ ძეგლებს განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა კ. კეკელიძე, ავლენდა, სწავლობდა და აქვეყნებთა მათ.

ამ საკითხზე კ. კეკელიძის მრავალრიცხოვანი შრომების გამოქვეყნების შემდეგ განსაკუთრებით აშკარა გახდა ქართული როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნითი ძეგლების წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამიტომაა, რომ დღეს ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის მწერლობის მკვლევრების საკვლევო სფეროში ქართული მწერლობის ძეგლები სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს. ხოლო კ. კეკელიძის კაპიტალური შრომები — „ქართული ლიტერატურის ისტორია“ და „უცხო ავტორები ქართულ მწერლობაში“ — ბევრისათვის სამაგიდო წიგნია.

კ. კეკელიძე მეცნიერთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც არა მარტო აჰყავთ თავისი კვლევის დარგი ახალ მეცნიერულ დონეზე, არამედ მთელი თავისი პროდუქციით, პრობლემატიკით, კვლევის ახალი მეთოდებით ქმნიან ახალ ხელსაყრელ პირობებს მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვისაც.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ კ. კეკელიძის პრობლემატიკა ისწავლება და ღრმავდება არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ჰუმანიტარულ ცენტრებში, არამედ უცხოელ ქართველოლოგთა საგრძნობლად გაზრდილ წრეშიც. ამიტომ, რაც დრო გადის, კ. კეკელიძის მოწაფეთა და მისი საქმის განმგრძელებელთა რიცხვი თანდათან იზრდება.

რაც უფრო გაღრმავდება ძველი ქართული მწერლობის შესწავლა კ. კეკელიძის მიერ დასახული მიზნებითა და მეთოდებით, მით უფრო აშკარა გახდება, თუ რამდენი დათესა ამ შესანიშნავმა მეცნიერმა და რა დიდი მოსავალია კიდევ ასაღები.

**ელ. მეტრეველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

B. OUTTIER

# LA PLUS ANCIENNE TRADUCTION GÉORGIENNE DES APOPHTEGMES: SON ÉTENDUE ET SON ORIGINE

Un ouvrage d'ensemble consacré aux traductions géorgiennes des Apophtegmes (Vies des Pères) fait encore défaut. Il ne pourra être entrepris que lorsque nous possèderons l'édition de la traduction de Théophile. Il est d'autant plus remarquable, que K. Kekelidzé avait déjà exposé, dans son Histoire de la littérature géorgienne, le problème des diverses traductions géorgiennes et indiqué les principaux manuscrits[1]. Les apophtegmes, à notre connaissance, n'ont par ailleurs retenu l'attention particulière du grand historien de la littérature géorgienne que dans un article consacré à «La séduction amoureuse» dans la littérature géorgienne[2].

K. Kekelidzé aurait certainement manifesté son intérêt pour l'édition, réalisée après sa mort, des deux plus anciennes traductions géorgiennes des Apophtegmes[3]; elles permettent déjà d'ajouter à sa notice quelques nouvelles précisions.

La version d'Euthyme nous est parvenue dans un seul manuscrit, malheureusement lacuneux. On ne semble pas avoir remarqué qu'un fragment de cette traduction: chapitre IV 13—18, a été ajouté à la fin du Pré spirituel de Jean Moschus dans le manuscrit Sinaï 68[4]. Cela permet de corriger quelques leçons: IV 16: ესე არს ცხოვრებაჲ, lire: ესე არს უცხოებაჲ (ed. I. Abouladzé, p. 141, 4-5); et IV 17; ჭამაჲ კორცისაჲ] + ვიდრე ჭამაჲ კორცისა (p. 141, 7). On n'a pas signalé non plus que la collection ascétique systématique du manuscrit Athos, Iviron géorgien 17[5], qui emprunte sa matière de partout (mais, pour les Apophtegmes, pas à Théophile, qui est plus tardif), a puisé aussi à cette source quatre pièces: X 26, XI 23, 31, 33 (f. 329 et 332 v). Là encore, on peut améliorer l'édition: XI 23: კაცსა მას]კაცსა მარადის (მ˙ს). X 26: დაუტეოს სული] დაუტეოს სოფელი.

La version ancienne, antérieure à Euthyme, a laissé plus de traces. Elle est contenue dans trois manuscrits de la même recension. Malheureusement, de nouveau, les deux manuscrits les plus complets sont mutilés: Athos, Iviron géorgien 12 et Sinaï 8[6]. L'Athos Iviron 12 commence avec la fin de Arsène 29 (nous citons la numérotation de la Patrologie grecque, t. 65 pour la série alphabétique, celle de Nau (N) complétée par J. C. Guy, dans

ეროვნული ბიბლიოთეკა

Recherches sur la tradition grecque des Apophtegmata patrum, Bruxelles 1962, grâce au manuscrit Sinaï grec 448 (J); cette pièce doit se placer après Arsène 25 du manuscrit Sinaï géorgien 35. Le manuscrit Athos, Iviron 12 se termine avec la fin de la collection alphabétique - qui ne comprend pas la traduction intégrale de la collection alphabétique grecque — et il n'a pas la série anonyme.

Le manuscrit Sinaï géorgien 8 a une longue lacune au début; la fin manque aussi. Les apophtegmes de la série alphabétique sont les mêmes que ceux du manuscrit athonite, mais ici, il y a en plus la série anonyme.

Le manuscrit Sinaï géorgien 35 est abrégé. Il donne les textes toujours dans le même ordre que les deux manuscrits précédents, sans en avoir de propres, mais il saute souvent des pièces, comme on le verra dans l'exemple que nous éditerons plus bas, la série d'Antoine. Le titre du manuscrit comporte: სწავლანი... გამოკრებულნი, ce qui témoigne de l'intervention du rédacteur. On remarquera que dans ce même manuscrit sont également «გამოკრებულნი" et abréges les sermons d'Isaac (f. 125-144) et d'Isaïe (f. 144 rv).

Il faut noter, que le manuscrit Sinaï 35 est le plus ancien des trois; Mmes M. Dvali et L. Djgamaia ont identifié son «testament», qui constitue actuellement un feuillet de garde du manuscrit Sinaï géorgien 67. Il y est indiqué, que le manuscrit a été écrit par Arsène, à Saint Sabas, et terminé le 4 octobre 907[7]. Notons enfin que cette feuille de garde portait aussi, hors structure, l'apophtegme N 349. Ce texte manque dans les séries anonymes éditées. Dans la numérotation continue des pièces du manuscrit Sinaï 35, il porte le n°77; le feuillet devait, avant d'être rogné, comporter le texte de deux autres appophtegmes, après la fin du texte de Climaque (feuillet de Graz). Voici l'apophtegme[8]:

ჰკითხა ვინმე ბერმან და რქუა: რაჲსათჳს ვიეთნიმე აწ შრომასა ჰყოფენ დიდსა და არა მოიღეს მადლი, ვითარ-იგი პირველთა? რქუა მას ბერმან: მაშინ სიყუარული იყო და თითოეული მოყუასსა თჳსსა მიიზიდვიდა ზე აღშჱნებად; ხოლო აწ, განჴმობითა სიყუარულისაჲთა, თითოეული მოყუასსა თჳსსა ქუე გარდამოჰზიდავს და დაჰჴსნის; ამისთჳსცა ვერ მოიღეს მადლი. (Nous avons régularisé ოჳ et ჳ en უ).

En dehors de ces manuscrits, on rencontre encore des apophtegmes dans le manuscrit Sinaï géorgien 25, f. 107 v-110 r. N 583, N 592/24, 29, 30 et f. 137: Apollos 1 et 3. Le premier de ces textes est absent des manuscrits Sinaï 8 et 35, les autres s'y trouvent, selon la même traduction. Voici le texte nouveau:

[Sin—25, 107v] სხუაჲ ძმაჲ ჴდა მასვე მონასტერსა მოსენაკედ და ლოცვაჲ მისი იყო ყოვლად: უფალო, უფალო, არა მეშინის მე შენგან, გარნა ანუ მოვიცე მე სალმობაჲ ანუ ეშმაკი, რაჲთა ესრეჲთ მოვიდეს შიში შენი ჩემ ზედა, რამეთუ უდებ არს სული ჩემი. ესრეჲთ ეტყოდა და ევედრებოდა ფრიად ღმერთსა: ვიცი, თუ არა შესაძ[108r]ლებელ არს, თუ შემინდობენ, რამეთუ მრავალგზის მიცოდავს სახელისა შენისა მიმართ, უფალო, უფალო, მრავალი და-

[1] აღშჱნებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაჯამსი. თუ ღონეჲა, კაცთ-მოყუარე, მცირეაი[1] ნაწილაი[1] შემინდვე; თუ არა, განმსწავლე მე, უფალო, უფალო, აქა, და მუნ ნუ მსწავლი მე. თუ ესე ვერ შესაძლებელ არს, მომეც აქა ნაწილი, და მიჯსენ მცირედ სატანჯველისაგან. არამედ კელი შენი დამდევ ჩემ ზედა, განმსწავლე მე ნუ რისხვითა შენითა, უფალო[2], უფალო, არამედ კაცთ-მოყუარებითა შენითა. ესრეჲთ იყო სულგრძელებაჲ მისი წელიწადსა ერთსა, ამას იტყოდა გულის-კლებით, მარხვითა და ფრიად სიმდაბლითა. გულის-[108v]ხმა-ყო თავი[თ][2] თუისით, რაჲმე არს სიტყუაჲ იგი, რომელსა უფალი იტყუის: ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იყვნენ[3]. ჟამსა ერთსა ჯდა ქუეყანასა ზედა და ტიროდა პირდაპირ ცევით და ურვითა დაეძინა; და აჰა, მოვიდა ქრისტჱ და რქუა მას ჴმითა ტკბილითა და მხიარულითა პირითა: რაჲ არს, კაცო, რად ესრეჲთ სტირ? და იტყოდა: დაცემულ ვარ, უფალო, უფალო. და ეტყოდა მას, რომელსაიგი ხედვიდა: აღდეგ! მიუგო დაცემულმან მან: ვერ ძალ-მიც, არა თუ მომცე კელი. და მისცა კელი და აღადგინა იგი და კუალად ჰრქუა მას სიტყუითა ტკბილითა: რად სტირ, კაცო, [109r] რად გულ-კლებულ ხარ? მიუგო ძმამან მან: ვითარ არა გულ-კლებულ ვიყო და ვტიროდი, მრავალგზის განგარისხე შენ? მაშინ კელი დასდვა გულსა მისსა და დაუზილა და რქუა: ნუ გულ-კლებულ ხარ ჩემთუის, მე არღარა გულ-კლებულ ვარ შენდა მიმართ; რამეთუ შენთუის სისხლი ჩემი მიმიცემია, და ვითარ არა ვაჩუენო კაცთ-მოყუარებაჲ ყოველსა სულსა, რომელნი ინანიან ჩემდა მომართ? და მოიქცა ძმაჲ იგი გონებასა თუისსა ხილვითა მით, და იყო გული მისი ფრიად სიხარულითა სავსე, და ცნა გონებასა[4] თუისსა, ვითარმედ: ღმერთთან ყო წყალობაჲ ჩემ თანა. და იყო იგი ფრიად [109] მდაბალ და ჰმადლობდა ღმერთსა.

Le manuscrit Athos, Iviron géorgien 17, qui date du début du XI° siècle (il contient des traductions d'Euthyme: Commentaire de l'Evangile selon Matthieu de S. Jean Chrysostome, Margaliti de ce même Jean, Commentaire des Psaumes de S. Basile, etc.), contient un long florilège ascétique, de forme systématique, mais d'origine purement géorgienne. L'une de ses principales sources, à côté des traductions d'Euthyme et du recueil des «Enseignements des Pères», est un manuscrit analogue au Sinaï 35, mais plus complet. Nous y avons identifié 51 apophtegmes: quatre seulement appartiennent à la traduction d'Euthyme , nous les avons signalés plus haut. Il faut remarquer qu'ils se trouvent groupés dans les deux derniers chapitres de la collection: 37 et 38, comme si l'auteur n'en avait eu connaissance qu' au moment de terminer son oeuvre. En effet, vingt sept pièces sont connues par l'édition de la collection ancienne; vingt manquent dans l'édition. Parmi ces dernières, plusieurs sont connues dans les traductions d'Euthyme et de Théophile: comme leur traduction est différente, on peut affirmer, qu'il s'agit bien de l'ancienne traduction (voir Antoine 33, f. 323 r — que nous éditons plus bas —; Macaire 16, f. 321 v; Paphnuce 1, f. 301 r; N 103, f. 261 rv; N 106, f. 261 r; N 117, f. 292 r.

---

[1] ასეა. [2] ფს. 6,2. [3] მთ. 5,4. [4] გუნებასა.

Deux mravaltavi ont pris comme lecture, pour la fête de S. Antoine, la série de ses apophtegmes: A—1109, f. 18 v, n'a gardé que les deux premières pièces, mais A—95 a une série de 31 textes, alors que le manuscrit Sinaï 35 n'en comporte que 17. On peut penser que la série des mravaltavi représente ce que comportaient les manuscrits Sinaï 8 et Athos, Iviron 12.

Néanmoins, le manuscrit Athos, Iviron 17 donne Antoine 33, qui manque même dans les mravaltavi, mais appartient certainement à l'ancienne traduction, puisqu'il diffère des traductions d'Euthyme et de Théophile. On pourrait objecter que c'est une traduction effectuée par l'auteur du florilège: mais, chaque fois qu'on peut le vérifier, il apparait que l'auteur du florilège n'a pas traduit lui-même; il utilise des traductions préexistantes, comme il le laisse entendre par le titre: გამოკრებულნი სადაჲთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი.

Donnons quelques exemples: f. 261, Marc: comme Sin—35, f. 75 v—76; f. 262 v, Dorothée: comme Sin—35, f. 25 r; f. 262 v — 263 r, Ephrem: comme Sin — 97, f. 55 r; f. 264—266, Cassien: comme Sin — 25, f. 96 v — 106 r, etc.

Une première conclusion, semble-t-il, est à tirer de tous ces faits; la traduction géorgienne ancienne des apophtegmes de la collection alphabético-anonyme était plus riche que ne le laisseraient croire les trois principaux manuscrits qui nous la transmettent. Contenait elle la totalité du texte grec? Pour répondre à cette question, il faudra étudier spécialement la structure de la collection: ce sera l'objet d'un autre article.

On peut maintenant se demander s'il est possible d'avoir une idée l'endroit où cette traduction a été effectuée. Nous avons vu que le plus ancien manuscrit daté a été copié à Saint Sabas, en Palestine. Or il existe en grec un type de collection sabaïtique, qui ne nous est actuellement connu que par trois manuscrits, le plus ancien datant seulement de 1071/1072 (voir J. C. Guy, op. cit., p. 221—230), copié de la main d'un moine de Saint Sabas.

Guy la caractérise comme suit: d'abord, par la présence de moines palestiniens; dans notre collection, on remarque le développement des pièces attribuées à Zénon, qui vécut en Palestine; — plusieurs sont inconnues en grec, d'autres, connues par l'unique manuscrit Paris, Coislin 283;. en outre, une pièce concerne Jean le Sabaïte. La seconde caractéristique est l'intégration des apophtegmes anonymes dans la série alphabétique, a la fin de chaque lettre; dans notre collection, beaucoup de pièces de la série anonyme, qui portent un nom sont reportées dans la série alphabétique: ainsi, pour la série d'Antoine, que nous éditons plus bas à titre de spécimen, sont rajoutés: N 370, N 444, J 759, N 603, J 760. Troisième caractéristique: l'aspect composite; ceci est encore peu marqué dans notre collection, qui a seulement quelques fragments de Marc l'ermite, de Jean Moschus et une citation attribuée à Clément de Rome. Beaucoup plus significative est l'attribution de pièces anonymes à des Pères déterminés; parmi celles qui sont citées par Guy, on retrouve dans notre collection: Antoine: N 370; Anoub: N 448 (pièce 6 de

ეროვნული ბიბლიოთეკა

l'édition de Manana Dvali); Moïse: N 291 (13); Sisoès: N 102 (43); Sisoès de Pètra: N 233 (44); Sarmatas: N 202 (1). L'omission de personnes notoires est aussi à relever dans les deux collections: Basile, Evagre.

Nous pouvons conclure: la collection géorgienne a été traduite à Saint Sabas, sans doute trois siècles avant le manuscrit grec de la collection sabaïte: c'est dire l'importance du témoin géorgien.

La langue de la traduction est apparentée à celle de la vieille traduction d'Evagre ou d'Ammonas; on pourrait proposer la fin du VII° ou la première moitié du VIII° siècle. Le vocabulaire est intéressant, il contient des mots rares: Antoine 18: საკარაულო, étable (à ânes). La tournure fréquente: datif+გარე au sens de შინა (Antoine 1,11, N 370) et, pour la syntaxe, le და d'apodose, se trouvent aussi dans les anciennes traductions de l'Evangile: გარე: Mt 18, 12 B, Mt 24, 40 ABDE, Mc 13, 16 ABCDE, etc.; და Mc 2, 10, Lc 5, 24.

En résumé: la plus ancienne version géorgienne des apophtegmes, traduction faite à Saint Sabas, ne nous est pas parvenue intégralement. On pourra compléter l'édition qui en a été faite grâce à des manuscrits de divers types: mravaltavi, compilation ascétique. Comme exemple, nous donnons pour terminer le texte des apophtegmes sous le nom d'Antoine, que nous faisons suivre d'un tableau indiquant la correspondance avec l'original grec.

1. [A—95, 163v; A—1109, 18v] ჯდა ოდესმე წმიდაჲ ანტონი უდაბნოსა გარე, ურვასა შევარდა და[1] მრავალსა სიბნელესა გულის-სიტყუათასა, და იტყოდა ღმრთისა მიმართ: უფალო, მინებს მე[2] ცხორების და არა მიტევებენ მე[3] გულის-სიტყუანი. ვითარ-მე ვყო[3] ჭირთა შინა ჩემთა, ანუ ვითარ ვცხონდე? და[4] აღდგა ანტონი და წარვლო მცირედ და იხილა ვინმე, ვითარცა თავი თჳსი, რომელი ჯდა და იქმოდა. და მერმე აღდგის საქმისა[5] მისგან[5] და ილოცავნ, და კუალად დაჯდის და თხზავნ[5a] დახაკისკუდისა ფურცელსა, და მერმე აღდგის საქმისა[6] მისგან[6] და ილოცავნ. ხოლო იყო ანგელოზი უფლისაჲ მოვლინებულ სახისა განგებისათჳს და კრძალულებისა ანტონისისა. და ესმა ჴმაჲ ანტონის, რომელმან[7] ჰრქუა მას[8]: ესრეთ[9] ჰყოფდი[10] და სცხონდე. და მას, ვითარცა ესმა ესე, ფრიადი სიხარული აქუნდა და კადნიერებაჲ მოიღო, და ესრჱთ[11] ჰყოფდა და ცხონდებოდა.

2. [A—95, 163v; A—1109, 18v] თქუა მამამან პიმენ მამისა ანტონისთჳს, ვითარმედ ჰკითხა ღმერთსა და თქუა: ვითარ[1] რომელნიმე მცირედ ცხონდებიან და მოწყდებიან[2], და რომელნიმე დაბერდებიან გარდარეულად[3]? და რომელნიმე გლახაკ არიან[4], და რომელნიმე მდიდარ? და რომელნიმე ვერცაღა[5] ხედვენ[6]? [A—95, 164r] და ვითარ ცრუნი მდიდარ არიან, და მართალნი გლახაკ? და რაჲსათჳს რომელნიმე ესრეთ არიან, და რომელნიმე ეგრჱთ?

მოიწია მისა ჴმაჲ და ჰრქუა მას: ანტონი, თავსა შენსა ეკრძალე, რამეთუ ესე ყოველი საშჯელი ღმრთისაჲ არს და ვერ ძალ-გიც ცნობად.

---

1. [1]—A—1109. [2]—A—1109. [3] მე... ვითარ-მე] რაჲ A—1109. [4]—A—1109. [5]—A—1109. [5a] თხზნავნ A—95. [6] საქმისაგან A-1109. [7] და A—1109. [8]—A—1109. [9] ესრეჲთ A—1109. [10] +შენცა A—1109. [11] ესრეჲთ A—1109.

2. [1] ვითარმედ A—1109. [2] მოკუდებიან A—1109. [3] გარეულად A—1109. [4]—არ იან A—1109. [5] ვერცა A—1109. [6] ხედ/აჭედან ნაკლულია A—1109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. [A—95, 164r; Sin—35, 275r] ჰკითხა ვინმე მამასა ანტონის და ჰრქუა : რაჲ დავიმარხო და ღმერთსა სათნო[1] ვეყო[1]? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას : რომელი გამცნო, დაიმარხე: ვიდრეცა ხჳდოდი, ღმერთი გაჭუნდიან თუალთა წინაშე მარადის; და რასაცა იქმოდი საქმესა, გაჭუნდიან საღმრთოთაგან წიგნთა [Sin—35, 275v] წამებაჲ; და რომელსა ადგილსა შჯდე, ადრე ნუ აღიძრვი, არამედ დაადგერ ადგილსა მას. სამი ესე დაიმარხე და სცხონდე.

4. თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ : ნეტარმან მამამან ანტონი თქუა, რამეთუ ესე არს დიდი საქმარი კაცისაჲ, რაჲთა ბრალი თჳსი თავსა თჳსსა ზედა დაიკრიბოს წინაშე ღმრთისა, და მოელოდის განსაცდელსა ვიდრე სულისა აღმოსლვადმდე.

5. ჰკითხა მამამან პამბო[1] მამასა ანტონის და ჰრქუა[2]: რაჲ-მე[3] რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: ნუ ხარ[4] მოსავ[4] სიმართლესა შენსა, ნუცამცა ინანი საქმესა[5] ზედა წარსრულსა[5], და ეკრძალე ენასა და მუცელსა.

6. თქუა მამამან ანტონი[1] : ვიხილენ ყოველნი საფრჴენი[2] მტერისანი განმარტებულნი ჭუეყანასა ზედა, და[3] სულთ-ვითქუენ და ვთქუ : ვინ-მე თანა-წარჰჴდეს ამათ? და მრქუა მე : სიმდაბლ[ჱ][4] თანა-წარჰვალს[5] მაგათ და არცაღა შეეხებიან მას.

7. მერმე თქუა : არიან ვიეთნიმე, რომელთა შეაკაფნეს ჴორცნი თჳსნი[1] მონაზონებასა, და რამეთუ არა პოვეს განკითხვაჲ[2], და განეშორნეს საღმრთოჲსა მისგან გზისა.

8. მერმე თქუა: მოყუსისაგან არს ცხორებაჲ და სიკუდილი. უკუეთუ შევიძინოთ ძმაჲ, ღმერთი შევიძინოთ; უკუეთუ დავაბრკოლოთ ძმაჲ, ქრისტ[ჱ]ს მიმართ ვცოდავთ.

9. მერმე თქუა ბერმან : ვითარცა თევზი რაჲ გამოჴდის წყლისაგან და მოკუდის, ეგრეცა მონაზონი[1], უკუეთუ ყოვნის[2] გარეშე[3] სენაკსა თჳსსა.

10. იტყოდა მამაჲ[1] ანტონი და თქუა[2], ვითარმედ : რომელი ზინ უდაბნოსა გარე, სამისა ბრალისაგან თავისუფალ იქმნის : სმენისაგან და სიტყჳსა[3] და ხედვისა[3], გარნა ერთი ხოლო აქუნ : გულის-სიტყუათა მიმართ.

11. [A—95, 164v] მოვიდეს ოდესმე ძმანი ნეტარისა ანტონისა, რაჲთამცა უთხრეს მას, რომელი რაჲ იხილიან : ნუ უცნებით ჭეშმარიტ არს, ანუ ეშმაკისაგან. აქუნდა ვირი მათ თანა და მოკუდა გზასა ზედა. და ვითარ მივიდეს ბერისა, ჰრქუა მათ ბერმან : ვითარ მოკუდა მცირ[ჱ] იგი ვირი გზასა ზედა? ჰრქუეს : შენ ვინაჲ სცან, მამაო? ხოლო მან ჰრქუა მათ : ეშმაკთა მითხრეს. და ჰრქუეს მას : და ჩუენცა მაგისთჳსვე მოსრულ ვართ კითხვად შენდა, რამეთუ

---

3. [1] და ვცხონდე Sin—35.

4. [1] განსაცდელთა Sin—35.

5. [1] პანბო Sin—35. [2] რქუა Sin—35. [3] — Sin—35. [4] ~მოსავ ხარ A—95. [5] ~წარსრულსა ზედა საქმესა A—95.

6. [1] + ვითარმედ Sin—35. [2] საბრჴენი A—95. I — A—95. [4] სიმდაბლე A—95. [5] თანა-წარჰვლით Sin—35.

7. [1] მათნი A—95. [2] განსუენებაჲ A—95.

9. [1] მონაზონმან Sin—35. [2] ყოვნოს Sin—35. [3] გარეშ[ჱ] A—95.

10. [1] + ნეტარი Sin—35. [2] — და თქუა Sin—35. [3] ~ხედვისა და სიტყჳსაგან Sin—35.

11. — sin—35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხილით ნუ რაჲ უცნებით და მრავალგზის გამოვუეცხადის, ნუუკუე შე-მე-ვსცთეთ. და დაარწმუნა ბერმან სახითა [ვირისაჲთა].

12. და ვითარ განსცხრებოდა ძმათა თანა, იხილნა იგინი მონადირემან ვინმე, რომელი ნადირობდა უდაბნოს ნადირსა. და უნდა ბერსა, რაჲთამცა არწმუნა მათ, რამეთუ ჯერ-არს, რაჲთა მცირედ-მცირედ ძმათაცა მიერ[ჩ]დეთ; ჰრქუა მონადირესა მას: გამოიღე ისარი მშჳლდსა მაგას და მოზიდე, და მან მოზიდა. და ჰრქუა მას: მერმეცა მოზიდე, და მოზიდა. და კუალადცა: მოზიდე. ხოლო მან ჰრქუა მას: უკუეთუ უმეტეს მშჳლდისა ამის საზომისა მოვზიდო, განტყდეს მშჳლდი ესე. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ უმეტჳს საზომისა და-ვინმე-ამძიმოს და აიძულებდეს ძმათა, ადრე დაეცნიან. არამედ შეჰგავს, რაჲთა ერთ-ერთით მიერჩდეთ ძმათაცა. და მშჳლდითა მით გულისჴმა-უყოფდა და აღე-შჳნა და წარვიდა. და ძმანი იგი განმტკიცნეს და მიიქცეს თჳსა ადგილდ.

13. აქეს ვინმე ძმაჲ ნეტარისა ანტონის წინაშე. მოვიდა ძმაჲცა იგი მისა. გამოცადა იგი ბერმან და პოვა, რამეთუ ვერ თავს-იდებდა გინებასა. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: მსგავს ხარ შენ დაბასა, რომელი პირით კერძო განშუენებულ არნ, ხოლო უკუანა კერძო ავაზაკთა გამოუტყუენავნ.

14. ძმამან ვინმე ჰრქუა მამასა ანტონის: ლოცვა-ყავ ჩემთჳს. ხოლო მან ჰრქუა მას: არცა მე შეგიწყალო, არცა ღმერთმან, უკუეთუ არა თავით შენით ისწრაფდე და ითხოვდე მისგან.

15. მოვიდეს ოდესმე ბერნი ნეტარისა ანტონისა, და მამაჲცა იოსებ მათ თანა იყო. უნდა ბერსა, რაჲთამცა გამოცადნა იგინი, წარმოიღო სიტყუაჲ წიგნისაჲ და იწყო უმრწემესით და გამოჰკითხვიდა, ვითარ რაჲ არს სიტყუაჲ ესე. და თითოეულმან [A--95, 165r] თქჳს მსგავსად ძალისა თჳსისა. ხოლო ბერმან თითოეულსა ჰრქჳს: ვერღა ჰპოვე. უკუანაჲსკნელ ყოველთასა ჰრქუა მამასა იოსებს: შენ ვითარ იტყჳ ამას სიტყუასა, ვითარ არს? ხოლო მან ჰრქუა: არა ვიცი. მაშინ ჰრქუა მათ ნეტარმან ანტონი, ვითარ[მედ]: ეჰგონებ, მამამან იოსებ პოვა გზაჲ, რამეთუ თქუა: არა ვიცი.

16. ძმანი მოვიდეს ნეტარისა ანტონისა სკიტჳთ და ვითარ შესხდეს ნავსა, რაჲთამცა მივიდეს მისა, პოვეს ნავსა მას შინა ბერი ვინმე, რომელი მისავე მივიდოდა. ხოლო მათ ვერ იცოდეს იგი. დასხდეს რაჲ ძმანი იგი, იტყოდეს სიტყუასა მამათასა და წიგნთასა და მერმე ჴელთ-საქმარისათჳს. ხოლო ბერი იგი ყოველსა ზედა დუმნა. და ვითარ გამოჴდეს ჴმელად, იპოვა, რამეთუ მუნვე მივიდოდა იგი ნეტარისა ანტონისა. და ვითარ მივიდეს ბერისა, ჰრქუა მათ: კეთილი თანამოგზაური ჰპოვეთ, ბერი ესე? და ბერსაცა მას ჰრქუა: კეთილნი ძმანი ჰპოვენ შენ თანა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: კეთილ არიან, არამედ ეზოსა მათსა კარი არა აბს და რომელსა უნდის, შევიდის საკარაულოდ და აღჰჴსნის კარაული და წარვიდის, ვიდრეცა უნებნ. ხოლო ესე ამისთჳს თქუა, რამეთუ რაჲცა პირად მოვიდოდა, იტყოდეს.

17. ძმანი ვინმე მოუჴდეს მამასა ანტონის და ჰრქუეს მას: მარქუ ჩუენ სიტყუაჲ, ვითარ ვცხონდეთ? ჰრქუა მათ ბერმან: აჰა ეგერა, გესმის წიგნისაჲ,

---

12. — Sin—35.
13. — Sin—35.
15. — Sin—35.
16. Sin—35.

კმა არს თქუენდა. ხოლო მათ ჰრქუეს: შენგანცა გუნებავს სმენად, მამაო. ჰრქუა მათ ბერმან: სახარებაჲ იტყჳს: უკუეთუ ვინმე გცეს მარჯუენესა ყურიმალსა შენსა, შენ მიუპყარ მარცხენეცა[1]. ჰრქუეს მას: ვერ ძალ-გჳც ესე [ყ]ოფად. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერ ძალ-გიც მიპყრობად მარცხენისა, ერთი იკი ოდენ ხოლო დაითმინეთ. ჰრქუეს მას: ვერცა ეგე ძალ-გჳც. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვერცა ეგე ძალ-გიც, ნუ სცემთ ცემისა წილ. და თქუეს: ვერცა ეგე ძალ-გჳც. მაშინ ჰრქუა ბერმან მოწაფესა თჳსსა: უქმენ ძმათა მაგათ მცირედ ხევსი, რამეთუ არა უძლავს. უკუეთუ ესე ვერ ძალ-გიც და არა ამას ჰყოფთ, რაჲ გიყო თქუენ? ლოცვაჲ ჴამს.

18. ძმასა ვისმე განსაცდელი შეემთხჳა აბა ლოტის მონასტერსა [A—95, 165v] და ვითარცა გამოაძეს მიერ, მოვიდა მთად ნეტარისა ანტონისა და დაყო მის თანა ჟამი რავდენიმე. და მერმე კუალად მიავლინა იგი მუნვე მონასტრად, ვინაჲ-იგი გამოსრულ იყო. და მათ, ვითარცა იხილეს, კუალად გამოაძეს. ხოლო იგი მიიქცა ნეტარისა ანტონისავე და ჰრქუა: მათ არა ინებეს შეწყნარებაჲ ჩემი, მამაო. ხოლო მამამან ანტონი წარავლინა იგი მერმეცა და ჰრქუა: ნავი დაიქცა უფსკრულთა შინა და წარწყმდა ტჳრთი და შრომით ნავი იგი განდგა ქუეყანად. ხოლო თქუენ ქუეყანად გამოდგომილისაჲ მისცა გნებავს, რაჲთა დაინთქას? ხოლო მათ, ვითარცა ესმა, რამეთუ მამამან ანტონი მიავლინა იგი, მეყსეულად სიხარულით შეიწყნარეს იგი.

19. მესმა, იტყოდა რაჲ ნეტარი მამაჲ ანტონი, ვითარმედ: ღმერთმან არა შეუნდვის მბრძოლსა ამას ნათესავსა, ვითარ-იგი პირველთა მათ ზჳ. იცის, რამეთუ უძლურ არს და ვერ ძალ-უც ტჳრთვად.

20. თქუა მამამან ანტონი, ვითარმედ: მოვალს ჟამი, რომელსა შინა კაცნი ბორგდენ, და ოდეს ვინმე[1] იხილონ, რომელი[2] არა ბორგდეს[3], აღდგენ მის ზედა[4] და ეტყოდიან, ვითარმედ: ჰბორგი[5]! ამისთჳს, რამეთუ არა მსგავს მათა იყოს.

21. ძმანი ვინმე მოვიდეს მამისა ანტონისა და სიტყუაჲ ჰკითხეს მას ლევიტელთა წიგნისაჲ. ხოლო ბერი განვიდა უდაბნოდ. მიუდგა მამაჲ ამონა ფარულად, რამეთუ იცოდა ჩუეულებაჲ მისი. და ვითარ განეშორა იგი ფრიად, ღაღად-ყო ჴმითა დიდითა და თქუა: ღმერთო, მოავლინე მოსჳ და მასწაოს მე სიტყუაჲ ესე. და მოიწია მისა ჴმაჲ, რომელი იტყოდა მის თანა. თქუა მამამან ამონა, ვითარმედ: ჴმაჲ იგი მესმა, ხოლო ძალი იგი სიტყჳსაჲ მისი ვერ უცან.

22. სამთა ვიეთმე მამათა ჩუეულებაჲ აქუნდა და მივიდიან წლითი-წლად ნეტარისა ანტონისა. და ორნი იგი ჰკითხვედ გულის-სიტყუათათჳს და სულისა ცხორებისათჳს. ხოლო ერთი იგი ოდესვე დუმინ და არას ჰკითხავნ. და შემდგომად მრავლისა ჟამისა, ჰრქუა მას მამამან ანტონი: აჰა ესერა, ესოდენი ჟამი გაქუს, ვინაჲთგან აქა მოხუალ და არარაჲ მკითხი, ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: კმა არს ჩემდა ხილვაჲცა შენი, მამაო.

---

17. — Sin—35. [1] მათე 5,39.

18. — Sin—35.

19. — Sin—35.

20. [1] ოდეს ვინმე] ოდესმე Sin—35. [2] რომელნი Sin—35. [3] ბორგდენ Sin—35. [4] მის ზედა—Sin—35. [5] ბორგდით Sin—35.

21. — sin—35.

22. — Sin—35.

23. [A—95, 166r] ცილი ვინმე დაედვა ძმასა მონასტერსა შინა, ხოლო იგი აღდგა და წარვიდა მამისა ანტონისა. მივიდეს ძმანიცა იგი მონასტრით, რაჲთამცა განკურნეს იგი და წარიყვანეს. და იწყეს მხილებად მისა, ვითარმედ : ესრჱთ და ესრეთ ჰყავ. და იგი სიტყუას-უგებდა, ვითარმედ : არარაჲ ეგევითარი მიქმნიეს.

მუნ იყო მამაჲ პაფნოტიოსცა, რომელსა ერქუა კეფალას, და წარმოუთხრა მათ იგავი ესევითარი : ვიხილე მე მდინარის კიდესა კაცი, რომელი დასრულ იყო უყსა ვიდრე მუჯლის-თავადმდე. მო-ვინმე-ვიდეს, რაჲთამცა ჴელი მისცეს მას, და დაანთქეს ვიდრე ყელადმდე.

მაშინ თქუა მამამან ანტონი მამისა პაფნოტისთჳს : აჰა, კაცი შემძლებელი ჭეშმარიტად კურნებად და ცხორებად სულითა.

ხოლო მათ შეინანეს სიტყუასა მას ზედა ბერისასა და შეუვრდეს ფერჴთა ძმასა მას, და ნუგეშინის-ცემითა მამათაჲთა წარიყვანეს იგი მონასტრადვე.

24. თქუა მამამან ანტონი : ვიცნი მონაზონნი, რომელნი მრავლისა[1] შრომისა[1] შემდგომად [Sin—35, 276r] დაეცნეს და გონებაჲ მიეღო ამისთჳს, რამეთუ საქმეთა თჳსთა ესვიდეს, ვითარმედ სათნო არიან ღმრთისა, და შეურაცხყვეს მცნებაჲ იგი, ვითარმედ : ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ, და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ[2].

25. მერმე თქუა : უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, რავდენგზის ფერჴი წარდგას, გინა რავდენი ნაწუეთი წყლისაჲ შესუას[1] ძმამან სენაკსა შინა თჳსსა[2], უთხრისმცა ბერთა, უკუეთუ ნანდჳლვე არა სცთების მას შინა.

26. მერმე თქუა : მე არღარა მეშინის ღმრთისა, არამედ მიყუარს, რამეთუ სიყუარულმან გარე განდევნის შიში[1].

27. მერმე თქუა : ძმამან პოვა ადგილი უდაბნოს გარე, განყენებული და[1] დაყუდებული[1] ფრიად, და ევედრა მამასა[2] თჳსსა, რაჲთამცა უბრძანა მისლვად[3] მუნ[3], და ჰრქუა[4] მას : ვესავ ღმერთსა და ლოცვასა შენსა, რამეთუ შრომაჲ ყოფად არს[5] ფრიად[6]. და არა განუტევა იგი, არამედ ჰრქუა[4] მას : ვიცი ჭეშმარიტად, რამეთუ ფრიად დაშურე, არამედ ამისთჳს, რამეთუ ბერი[7] არავინ გაჭუნდეს, ვისმცა უთხარ საქმჱ[8] შენი, უკუეთუ სათნო არს ღმრთისა, და ყოვლადღა[9] ესვიდე თავსა[10] შენსა[10], რამეთუ საქმჱ მონაზონებისაჲ მიქმნიესო და წარსწყმიდო[11] საქმჱცა და გონებაჲცა.

28. მერმე თქუა : მონაზონი[1] თუ მცირედთა[1] დღეთა შურებოდის და მერმე [A—95, 166v] დაჯსნდეს[2] და[2] უდებ-ყოს[3], ესევითარი არარას[4] იქმს, ვერცა მოიპოოს მოთმინებაჲ.

29. მერმე თქუა : არასადა კეთილ არს კაცი[1], დაღათუ უნდეს კეთილისყოფის, უკუეთუ არა ღმერთმან დაიმკჳდროს[2] მის შორის, რამეთუ არავინ არს საჴიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი[3].

---

23. — Sin—35.

24. [1] მრავლით ჟამით Sin—35. [2] II შჯ. 32,7.

25. [1] სუას Sin—35. [2] — Sin—35.

26. [1] I იოვ. 4, 18.

27. [1] — Sin—35. [2] ძმასა Sin—35. [3] — Sin—35. [4] რ̃ქა Sin —35.
[5] ვყო Sin—35. [6] — A—95. [7] ბერნი Sin—35. [8] შრომაჲ Sin—35. [9] ყ̃დვე-ღა Sin—35.
[10] ღ̃ა Sin—35. [11] წარიწყმიდო Sin—35.

28. [1—1] უკუეთუ მონაზონი მცირეთა Sin—35. [2] — A—95. [3] იყოს Sin—35. [4] არა A—95.

[1] კაცისა Sin—35. [2] დაიმკუდროს A—95. [3] მრ. 10, 18.

30. მერმე თქუა: პირველნი იგი მამანი განვიდეს უდაბნოს[1] და[2] განიკურნ-
ნეს[3] და[4] მკურნალ იქმნეს[4] და მოიქცეს და სხუათა[5] ჰკურნებდეს[6]. ხოლო ჩუენ-
გან თუ ვინმე განვიდის, ვიდრე თავისა კურნებადმდე სხუათაჲ ჰნებავნ კურნე-
ბაჲ და ესრჱთ კუალად-იქცის[7] სალმობაჲ იგი და იქმნის უკუანაჲსკნელი იგი
უძკრჱს პირველისა. ამისათჳს, მკურნალო, პირველად[8] განიკურნე თავი თჳსი[9].

31. მერმე კუალად თქუა: რომელსა ევნებოდის ნეფსით და შეუნდობდეს მოყუასსა თჳსსა, იგი იესუჲს ბუნებისაჲ არს. ხოლო რომელსა არცა ევნებოდის და არცა ავნებდეს ვის, იგი ადამის ბუნებისაებრ არს. ხოლო რომელი-იგი ავნებდეს, გინა აღნადგინებსა მოჰჴდის, გინა ბოროტსა ვისმე უყოფდეს, ეგევითარი იგი ეშმაკთა ბუნებასა მიჰგავს.

32. [Ath—17, 323r] თქუა მამამან ანტონი: მარადის თუალთა წინაშე გაჴუნდინ შიში ღმრთისაჲ. მოიჴსენებდ სიკუდილსა და ვნებასა მაცხოვრისასა, და მოიჴსენებდ სატანჯველსა მას და გეჰენიასა საუკუნესა. უკუეთუ ღირსი იყო ღმრთისაჲ, ჰირი გიყუარდინ, რაჲთა მოიპოო ღმერთი. განიმზადე თავი შენი შემთხუევად ღმრთისა, და ჰპოო განსუენებაჲ. განიკითხე თავი შენი აქავე, რაჲთა სცხონდე უკუნისამდე. ნეტარ არს, რომელმან დაუტევა ყოვლადვე სოფელი ესე და თავისუფალ იქმნა ღმრთისათჳს.

| M | A—95 | Sin—35 | A—1109 | M | A—95 | Sin—35 | Athos 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | — | 1 | 23 | 19 | — | — |
| 2 | 2 | — | 2 | 24 | — | — | — |
| 3 | 3 | 1 | | 25 | 20 | 10 | — |
| 4 | 4 | 2 | | 26 | 21 | — | — |
| 5 | — | — | — | 27 | 22 | — | — |
| 6 | 5 | 3 | — | 28 | — | — | — |
| 7 | 6 | 4 | — | 29 | 23 | — | — |
| 8 | 7 | 5 | — | 30 | — | — | — |
| 9 | 8 | 6 | — | 31 | — | — | — |
| 10 | 9 | 7 | — | 32 | 26 | 13 | — |
| 11 | 10 | 8 | — | 33 | — | — | 32(f.323r) |
| 12 | 11 | — | — | 34 | — | — | — |
| 13 | 12 | — | — | 35 | — | — | — |
| 14 | — | — | — | 36 | — | — | — |
| 15 | 13 | — | — | 37 | 24 | 11 | — |
| 16 | 14 | 9 | — | 38 | 25 | 12 | — |
| 17 | 15 | — | — | N 370 | 27 | 14 | — |
| 18 | 16 | — | — | N 444 | 28 | 15a | — |
| 19 | 17 | — | — | J 759 | 29 | 15b | — |
| 20 | — | — | — | N 603 | 30 | 15c | — |
| 21 | 18 | — | — | J 760 | 31 | — | — |
| 22 | — | — | — | | | | |

NOTES

1 Références et résumé dans I. Abouladzé, Oeuvres, t. II, Tbilissi, 1976, p. 229—231; dans l'adaptation allemande de K. Kekelidzé par M. Tarchnichvili — J. Assfalg, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, Vatican 1955, p. 420—422.

30. [1] უდაბნოდ Sin—35. [2] —Sin—35. [3] განიკურნეს Sin—35. [4—4] —A—95. [5] — A—95. [6] + მრავალთა A—95. [7] უკუნ-იქცის A—95. [8] — A—95. [9] შენი sin—35. ლ. 4,23.

31—Sin-35.

32—A-95,Sin-35

ეროვნული ბიბლიოთეკა

[2] K. K e k e l i d z é, Etudes..., t. II, Tbilissi, 1945, p. 13—22.

[3] M a n a n a D v a l i, Traductions géorgiennes anciennes de nouvelles du moyen-âge, t. I, Tbilissi, 1966, t. II, 1974.

[4] Ed. I. Abouladzé, Pré spirituel, Tbilissi, 1960, p. 140—141, n°27—33.

[5] Nous remercions M. van Esbroeck, qui nous a prêté des photographies de cette partie du manuscrit.

[6] Le manuscrit de l'Athos omet en outre Poemen 37 et Sisoès 40—42, par saut du même au même. Sin-8 omet Hilarion 1 et Poemen 141, par distraction du copiste?

[7] მ. დ ვ ა ლ ი და ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, მეათე საუკუნის პატერიკის (Sin. 35) ერთი ფრაგმენტის შესახებ; მრავალთავი VI, 1978, გვ. 74.

[8] იქვე, გვ. 79—80.

ბერნარ უტიე

## აპოფთეგმების უძველესი ქართული თარგმანები, მათი შედგენილობა და წარმომავლობა

რეზიუმე

აპოფთეგმური კრებულების უძველეს ქართულ თარგმანებს, რომლებიც საბაწმიდაში ჩანს შესრულებული, ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევიათ. ქართული აპოფთეგმური კრებულების გამოცემები, რომლებიც ეყრდნობოდნენ აპოფთეგმური კოლექციების შემცველ სპეციალურ ხელნაწერებს, არ მოიცავენ ქართულად თარგმნილ აპოფთეგმათა მთელ მასალას. აპოფთეგმების მცირე მოცულობის კოლექციები დადასტურდა აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ხელნაწერებში — მრავალთავებსა და ასკეტიკური ხასიათის კრებულებში. ამ მასალამ ასახვა ვერ პოვა გამოცემებში. ავტორი აქვეყნებს ზოგიერთ მათგანს.

F 4016

ეროვნული ბიბლიოთეკა

MICHEL VAN ESBROECK

# UN MRAVALTHAVI DANS LE PALIMPSESTE A—737

Lorsque, voici plus d'un demi-siècle, I. Dzavakhišvili entreprit de repérer les plus anciens spécimens palimpsestes de l'écriture géorgienne, le ms. A — 737 ne lui échappa pas[1]. La problématique Peregrination apostolorum, dont il donnait quelques lignes déjà ainsi qu'une photo[2], a été réimprimée plus complètement par I. Imnaïšvili dans sa Chrestomathie[3]. La description complète du ms. A — 737 reste à faire[4], ainsi que la parution attendue d'une lecture plus poussée des fragments ḫanmeti, que Madame Lamara Kadžaïa prépare pour l'édition. Nous n'anticiperons pas sur ces travaux. Nous voudrions seulement signaler ici la nature du recueil, ou du moins, d'un autre recueil, d'écriture moins ancienne, réparti dans nombre des pages du codex actuel. Comme ces pages sont très difficiles à lire, nous croyons aider le déchiffrement en publiant déjà les résultats acquis.

Le ms. A — 737, dont l'écriture supérieure est du XIV -e siècle, compte 338 petites pages de 15 cm. sur 14. Les manuscrits, qu'il réutilise, s'y présentent coupés en deux horizontalement. Les parties supérieures sont généralement inversées par rapport à l'écriture supérieure et correspondent à quatre pages actuelles, deux pour le recto et deux pour le verso, tandis que les parties inférieures, le plus souvent, sont écrites dans le même sens.

Voici quatre pièces, qui appartiennent à un Mravalthavi du IX -e siècle à en juger par la belle régularité de l'asomthavruli, et par la rareté des abréviations dans les titres en rubrique.

P r e m i e r t e x t e: L'Invention des reliques de saint Etienne.

Situé au début du Mravalthavi, ce texte est connu par le Mravalthavi du Sinaï, de Svanéthi et de Parkhal, et a été publié par I. Imnaïchvili et A. Schanidzé[5]. C'est cette dernière édition à laquelle nous nous référons ici[6].

a. Feuillet complet 145—160/159—146, 148—157/158—147.
Seul le recto est lisible. Il va de Shanidzé, p. 64, 35 à 65, 30.

b. Feuillet complet 233—226/227—234, 210—191/192—209.
Seul le recto est lisible et correspond à Shanidzé, p. 66, 30 à 67, 37.

c. Feuillet complet 226—195/196—205; 207—194/193—208
La première colonne seule lisible, va de Shanidzé, p. 68, 35 à 69, 7.

D'après la longueur des verso illlisibles, on peut estimer, que la pièce palimpseste se trouve pratiquement au complet dans les 24 pages actuelles. Elle doit se terminer à la p. 193.

Deuxième texte: Éloge d'Étienne par Jean de Sabas. Le texte a été édité par N. Marr d'après le codex 57(8) du Mont-Athos[7], sous le titre Éloge du premier diacre et premier martyr Étienne. Nous n'avons repéré que deux fragments:

a. Moitié supérieure 199—202/201—200: Marr, p. 706 à 707, 10. Le verso est illisible. Par contre le titre en rubrique, qui révèle le nom de l'auteur, jusqu'ici jamais mentionné, vaut la peine d'être transcrit: თ~ა დეკემბერსა კ~ზ-სა, კ პოვნებაჲ წმიდისა სტეფანწსი პირველ დიაკონისა და პირველ მოწამისაჲ. თქუმული სიფარისა იოვანე საბანელისაჲ.

Faute de comprendre le mot სიფარისა, nous l'assimilerions à une formation სიფარვე, «de la cachette». Discours de la cellule de Jean de Sabas. Mais peut-être faut-il lire კიფარისა?

b. Moitié inférieur 229—232/231—230.

Le recto et le verso sont assez aisément lisibles: le desinit de la pièce avec la doxologie est largement transcrit en rétrécissant les lignes vers le centre. Cf. Marr, p. 714, lignes 3 à 10.

Troisième texte: Lettre de Justinien sur la fête de Noël. Ce texte a été publié par K. Kekelidzé et par I. Abuladzé[8], d'après les deux Mravalthavi de Svanéthi et de Parkhal. Les extraits ci-dessous sont le troisième témoin. Nous identifions les passages d'aprés Abuladzé[9].

a. Feuillet complet 149—156/155—150, 152—153/154—151. La première phrase commence au milieu de la p. 152: Abuladzé, p. 302, 6 à 302, 17. Notons que très peu de chose est lisible. Avant d'identification, nous avions lu, par ex. p. 153, lignes 6 à 11.

6 და ამის შემდგომად წნწ~ტყლ
7 ნი[მოავლინნა...
8 არ[ავე ჰრწ]მენა და სხჳთ ვერ
9 ვი] ნ რაჲ...
10 ლ ი [ყო რ~ა ცხონდა ნათესა
11 ვი] კაცთაჲ

b. Feuillet complet 213—224/223—214—Abuladzé, p. 304, 12 à 305. 212—225/226—211

Voici les repères:

213,1 თუენი უკუმოეთუ [ალვიან —p. 304, 12
213,15 მ]ომართ წამოითუალ [ვის —p. 304,17
223,1 ხ]აწ ვა წიგნნი და მოძღუარნი —p. 305,1

c. Moitié supérieure 217—220/219—216 — Abuladzé, p. 305,22—306, 3. Repères:

217,3 დღეს ]არს ოც [და ხუთსა ივნისსა — p. 305,22
217,14 დ ]ა რვით დღითგან თჳს თა [ვითგან — p. 305,26

Quatrième texte: Sermon de Chrysostome sur la décollation de Jean-Baptiste.

Cette homélie est préservée dans les Mravalthavi de l'Athos, du

Sinaï et d'Udabno. Nous citons d'après l'édition du Sinaïticus. Moitié supérieure 141—134/133—142 →Shanidzé, p. 214,15 et 30.

Voici les deux repères:

134,3 გუეფუფუნებოდის → p. 214,15

133,14 იგი ვა მატლი → p. 214,30

Par une chance remarquable, le numéro du cahier est marqué en haut du feuillet: n°37.

Aussi ténus que soient ces éléments, ils suffisent à identifier le vieux Mravalthavi géorgien. Remarquables sont certaines caractéristiques: L'éloge d'Étienne se présente spécialement pour l'Invention des reliques, et l'insistance sur sa déposition à la sainte Sion dit assez combien il doit être ancien. Le compositeur du recueil de l'Athos l'a vraisemblablement séparé des pièces primitives du dossier d'Étienne en insérant le long factum attribué à Grégoire le prêtre. L'homélie pour la Décollation de Jean-Baptiste se trouve au cahier 46 dans le recueil d'Udabno. Le palimpseste de Tbilissi est donc relativement moins développé. L'origine palimpsestinienne du ms. 57(8) de l'Athos est confirmée par le nom de Jean de Sabas, auquel il emprunte l'éloge anonyme.

Il n'est pas certain que tous les autres feuillets appartiennent au même manuscrit. Avec les fragments Ḫanmeti et le palimpseste de Leningrad, le ms. A—737 offre le quatrième exemplaire d'avant 900, sans doute antérieur au Sinaïticus si bien daté de 864.

NOTES

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის; dans Bulletin de l'Université de Tiflis, t. 2 (1922—23), p. 313—391.

[2] Ibid., pl. XI et p. 390—391.

[3] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 24—25, 1970, 2 გვ. 33—34.

[4] La description de Th. Ž o r d a n i a, Описание рукописей Тифлисского церковного Музея, т. 2 (Тифлисъ, 1902), P. 198—202, est tout à fait insuffisante. L' Institut des Manuscrits organise la refonte de ces catalogues périmés.

[5] Sur cette pièce, voir M. v a n E s b r o e c k, Les plus anciens homéliaires Géorgiens, Louvain-la-Neuve, 1975, p. 124—125, où sont signalés tous les renseignements nécessaires.

[6] ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959.

[7] N. M a r r, Le synaxaire géorgien, dans Patrologia Orientalis, t. 19 (Paris, 1926), p. 628—741.

[8] Cf. M. v a n E s b r o e c k, op. cit., p. 187.

[9] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, მრავალთავი IV: „ენიჯის" მოამბე, XIV — 1944. გვ. 241—316.

მ. პან ესპროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალთავის ფრაგმენტები A—737 პალიმფსესტურ ხელნაწერში

რეზიუმე:

ცნობილი პალიმფსესტური ხელნაწერი A—737 შეიცავს როგორც ხანმეტ, ასევე უფრო გვიანდელ ტექსტებსაც. გვიანდელი პალიმფსესტური ტექსტების რაობის გარკვევას ემსახურება წინამდებარე გამოკვლევა. ამ ტექსტებში ავტორმა გამოავლინა უძველესი მრავალთავის ოთხი საკითხავი. იხილავს რა ამ ოთხ საკითხავს სიძველის თვალსაზრისით, ავტორი ასკვნის, რომ A—737 ხელნაწერის ეს საკითხავები ადასტურებენ ამ ხელნაწერში უძველესი მრავალთავის ფრაგმენტების არსებობას. ეს მრავალთავი, ხანმეტ და ლენინგრადის პალიმფსესტურ მრავალთავთან ერთად, 900 წელზე ადრეულად მიჩნეულ მრავალთავების რიცხვს განეკუთვნება. ის წინ უნდა უსწრებდეს „სინურ მრავალთავსაც“, რომელიც 864 წლით არის დათარიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯობაძე

# სეფისკვერის ქართული ტვიფარი ანტიოქიიდან

პროფ. კ. კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობა ქართული ლიტურგიის კვლევით დაიწყო[1]. და ჩვენი წინამდებარე კნინი შრომაც, — რომლის ამ კრებულში მოთავსებისათვის პროფ. ე. მეტრეველს გულითად მადლობას მოვახსენებ — სწორედ ამ თემას ეხება.

ჩვენ მიერ 1964 წლის ზაფხულში სირიის ანტიოქიის მახლობლად, კასიუსის მთაზედ მდებარე წმ. ბარლაამის ქართული მონასტრის გათხრების დროს, ბაზილიკის დასავლეთით, მცირე საკანში (№ 51), ნაპოვნი იყო ორი, ურთიერთის გვერდით თახჩაში მდებარე კვერის ტვიფარი[2]. ერთი მათგანი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს, არის ზიარებისათვის განკუთვნილი ლიტურგიული პურის — სეფისკვერის (ანუ პროსფორის) — ქართული ტვიფარი (სურ. 1—3). იგი გამოთლილია კირქვისაგან. მაქსიმალური სიმაღლე უდრის 0.076 მ, თვით ტვიფრის (სახელურის გამოკლებით) — 0.033—0.037 მ, დიამ.; 0.164 მ, დიამ. სახელურისა (სურ. 1) 0.064 მ (ზემოთ), 0.043 მ (ქვემოთ). სახელურის წრიულ ზედაპირზედ არა ღრმად ამოკვეთილია ერთმანეთზედ გადაჯვარედინებული ორი სწორფერდა სამკუთხედი[3] ორ გადაჯვარედინებულ კვადრატში მოთავსებული[4], რითაც იქმნება ექვსქიმიანი ვარსკვლავი რვაქიმიან ვარსკვლავში ჩასმული. ეს გეომეტრიული ფორმები კი გარემოცულია წრით[5]. ტვიფარის ქვედა პირის შუა წრიული არე (სურ. 1) სიმეტრიულად არის დაყოფილი სწორმკლავებიან ჯვრად, განლაგებული თანატოლი კვადრატებით და რვა სამკუთხედით, რომლებიც ჯვრის მკლავებს შორის სივრცეს ავსებენ. ჯვრის გადაკვეთის არეში (isbodikon) ოთხი კვადრატი ქმნის ე. წ. საუფლოს (lamb)[6]. საუფლოს ყოველ კვადრატში მოთავსებულია ერთი ამოკვეთილი ქართული სიტყვა შემდეგნაირად განლაგებული:

| |
|---|
| ი(ესო)ჯ ქ(რისტ)ე |
| ძე ღ(მრთის)ა |

ეს წარწერა განსხვავდება ბიზანტიურ საუფლოთა ფორმულისაგან (IC XC NI KA), მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, რადგან ჩვენი წარწერაც ადასტურებს როგორც ქრისტეს ძლევას, ისე მის ღვთიურობას, რომლის მონაწილე ხდება ქრისტიანი, ზიარების საშუალებით. მაინც საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი

საუფლოს ფორმულა უნიკალურია ქართულ ტვიფართა შორის და მხოლოდ ერთხელ გვხვდება ეგვიპტური კეცის ტვიფარზე: /(ησοῦ)ς χ(ριστο)ς γ(ιὸς) Θ(εο)ῦ[7].

ჩვენი ტვიფარის მეორე საგულისხმო ნიშანია მის პირზედ ამოკვეთილი გეომეტრიული სახეების ნაირნაირობა: ჯვრის მარჯვენა მკლავის ორი კვადრატი გაყოფილია რვა ტოლფერდა სამკუთხედად მომცრო დიაგონალური ჯვრის (Crux decussata) საშუალებით. ჯვრის დანარჩენი მკლავების კვადრატებს ოთხფოთლოვანი როზეტის სახეები აქვთ, ხოლო ჯვრის მკლავებს შორის შემვსები სამკუთხედები კი სწორკუთხოვანია. ჩვენ გვგონია, რომ ამ გეომეტრიული ფორმების ნაირსახეობა შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ საგანგებო საჭიროებაა, რათა თვით ტვიფარის სახე დაქვემდებარებული ყოფილიყო იოანე ოქროპირის ლიტურგიის მოთხოვნილებებს. ამ ლიტურგიის თანახმად, ანაფორის დროს მღვდლის მიერ სეფისკვერის შუა კვადრატიდან საგანგებო დანით ცერემონიუ-



სურ. 1. ბარლაამის მონასტრის ტვიფარის ხედი ზემოდან.

ლად იჭრება ქრისტეს სხეულის სიმბოლო — საუფლო — (lamb), და თავსდება ფეშხუმის შუაში, ხოლო სწორფერდა სამკუთხედი — ყოვლად წმიდისაჲ — რომელიც აღნიშნავს ღვთისმშობლის წვლილს ქრისტეს განხორციელებაში, თავსდება საუფლოს მარჯვნივ, ხოლო საუფლოს მარცხნივ კი ცხრა სამკუთხოვანი ნაწილაკი, რომელიც ანსახიერებს ანგელოზთა ცხრა დასს. და ბოლოს, საუფლოს ქვემოთ თავსდება კვადრატული ფორმის მონაკვეთები სეფისკვერიდან, მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებლად[9]. ტვიფარის პირზედ, გარდა საუფლოს წარწერისა, არის მეორე, უფრო ვრცელი, მრგლოვანი ასოებით შესრულებული, წარწერა, რომელიც იწყება ჯვრის ზემო მკვლავის მარცხნივ და წრიულად გარს უვლის ტვიფარის პირს (სურ. 2, 3). წარწერა ასე იკითხება:

„შეიწ(ი)რე: ო(ვფალ)ო: ღ(მერთ)ო: ჩ(უე)ნო: შეს(ა)წირავი: ესე: მ(ეო)ჯ(ე)ბ(ი)თა: წ(მიდ)ის: ღ(მრთ)ის: მშ(ო)ბ(ე)ლისა: და მ(არა)დის: ქ(ალ)წ(უ)ლისა: მ(ა)რ(ია)მ(ი)ს:“



სურ. 2. ბარლაამის მონასტრის ტვიფარის საბეჭდავი



სურ. 3. ბარლაამის მონასტრის ტვიფარის ანაბეჭდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები გამოყოფილია ორი წერტილით[9], გარდა პირველი სიტყვისა, რომელსაც სამი ვერტიკალურად განლაგებული წერტილი უზის. წერტილები გამორჩენილია მხოლოდ ერთხელ „და“-სა და „მარადის“-ს შორის, რომელნიც შეერთებულია, — მცირე შეცდომა ასოების „ნეგატივით“ მთლელი ოსტატისა. თვით შინაარსი წარწერისა სიტყვასიტყვით ემთხვევა წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის ტექსტს[10], რომელიც მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით ცვლის სირიულ-პალესტინურ ანუ წმ. იაკობის ლიტურგიას საქართველოში[11]. ეს ტექსტი არეკლავს სულიერი მსხვერპლის ორ ბუნებას: ზიარებითსა და ვედრებითს. იგი წარმოითქმება მღვდლის მიერ სეფისკვერიდან „ყოვლად წმიდისაჲ“-ს ნაწილაკის ცერემონიული ამოჭრისა და მისი ფეშხუმზედ დადების დროს. ღვთისმშობლის მეოხად მოხსენიებით წარწერაში (რომლითაც იგი ზიარების უშუალო მონაწილე ხდება), ჩვენი ტვიფარი უნიკალურია.

ამ ტვიფარის დათარიღებისათვის ჩვენ გაგვაჩნია სანდო ლიტერატურული და არქეოლოგიური საბუთები, რომელთა თანახმად ქართველი ბერები წმ. ბარლაამის მონასტერს ფლობდნენ სამასი წლის განმავლობაში. მეათე საუკუნის მიწურულიდან 1268 წლამდე, როდესაც ბიბარის რაზმების დამარბეველი თავდასხმების გამო, მონასტერი საბოლოოდ მიწასთან იქნა გასწორებული[12]. თანაც პროფ. კ. კეკელიძის დასაბუთებით, საქართველოს ეკლესიებში ტრადიციულად ფეხმოდგმული წმ. იაკობის ანუ სირიულ-პალესტინური ლიტურგია მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან თანდათანობით ბიზანტიური ანუ იოანე ოქროპირის ლიტურგიით შეიცვალა. მაშასადამე, ჩვენი ტვიფარი გამოთლილი უნდა ყოფილიყო მეათე საუკუნის ბოლო — მეთერთმეტის დასაწყისიდან 1268 წლამდე. მაგრამ ეს ქრონოლოგიური სივრცე შეიძლება თვით ამ ტვიფარის წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების წყალობით საკმაოდ შევიწროვდეს. მაგალითად, ასო ⴆ-ს არა აქვს ყელი, არამედ მისი ტანის ზემოთ აწოწოლავებული ნაწილი უშუალოდ უერთდება ჰორიზონტალურ ხაზს. სხვა შემთხვევებში ასოები ნახევრად ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად  ან ერთი-მეორეში თავსდება (მაგალითად,  ასოთა ამგვარი გამოყენება და მათი მოხაზულობა განსაკუთრებით ხშირდება მეთორმეტე საუკუნის ბოლოს და მეცამეტის დასაწყისში[13]. თუ მე ამ ზერელე დაკვირვებაში არ ვცდები, სიმართლიდან შორს არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ბარლაამის ტვიფარი მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში გამოკვეთეს, ადგილობრივ მოპოვებული მდინარის კირქვიდან.

ტვიფარის პირის იკონოგრაფია და მისი წარწერა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი ზიარების სეფისკვერისათვის იყო განკუთვნილი და არა ევლოგიის კვერისათვის[14] (თუმც განსაკუთრებულ შემთხვევებში ზიარების სეფისკვერი ევლოგიათაც შეიძლება იყოს გამოყენებული), და რომ ეს ტვიფარი წმ. იოანე ოქროპირის ანუ ბიზანტიური ლიტურგიის მოთხოვნილების შესატყვისად იყო გამოთლილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ლათინთა ბატონობის ხანაში, ანტიოქიის დასავლეთ სანახებში მდებარე წმ. ბარლაამის ბაზილიკაში ქართველი ბერები იყენებდნენ არა აღმოსავ-

ლურ ან საბაწმინდურ ლიტურგიას, რომელიც დავით აღმაშენებლის ხანიდან სვიმეონ მესვეტის (ანტიოქელის) მონასტრიდან საქართველოში გადმოინერგა[15], არამედ წმ. იოანე ოქროპირის ბიზანტიურ ლიტურგიას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული არაჩვეულებრივი თვისებებისა, ჩვენი ტვიფარი ერთადერთი არ არის. თუმც უნდა დავსძინო, რომ ახლო მსგავსება მრავალ ნაირ-ნაირ ნიმუშთა შორის, მხოლოდ ერთ, მაგრამ საგულისხმიერო, ნიმუშთან მივაკვლიე. ეს არის ამას წინათ გამოქვეყნებული სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მარმარილოს ტვიფარი (სურ. 4,5). მისი სიახლოვე ჩვენ ტვიფართან გამოსჭვივის არა მხოლოდ იდეოლოგიურ, იკონოგრაფიულ და ფორმალურ მსგავსებაში, არამედ მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეშიც, რადგან სინის ტვიფარი მის ზურგზედ მოთავსებული არაბული წრიული წარწერის სა-



სურ. 4. სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის ტვიფარის ხედი ზემოდან

სურ. 5. სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის ტვიფარის საბეჭდავი

შუალებით თარიღდება 1265/66 წლით[16]. თუ მხედველობაში მივიღებთ ბიზანტიისა და ბიზანტიის კულტურის სფეროში შემავალი ქვეყნების ტვიფართა უაღრეს ნაირსახეობას, ახლო მსგავსება ბარლაამისა და სინის მონასტრების ტვიფართა შორის დიახაც საკვირველია, მაგრამ არც თუ ძნელი ასახსნელი, თუ გავითვალისწინებთ, სამშობლოს საზღვრებს გარეშე წმიდა ადგილებში არსებულ ქართველთა მონასტრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მაგალითებს[17], სინისა და ანტიოქიის მონასტრების ჩათვლით. მაგალითად, სინის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში შემონახული პარაკლიტონი გადაწერილი ყოფილა მეთორმეტე საუკუნეში ანტიოქიის მახლობლად მდებარე წმ. ბარლაამის მონასტერში ვინმე იოვანე ბერის მიერ[18] და პირუკუ, წმ. ეკატერინეს მონასტერში მეცამეტე საუკუნეში გადაწერილი გალობათა კრებული მიუძღვნიათ წმ. ბარლაამის მონასტრისათვის[19].

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები

[1] ნახეთ პროფ. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის კრებულში (თბილისი, 1959) ქალბატონ ანასტასია კასრაძის მიერ შედგენილი კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია; წლები 1904—1912 (იქვე, გვ. 453—454). სამწუხაროდ, ბატონ კეკელიძის ლიტურგიული შრომები ჩემთვის ხელმიუწვდომელია.

[2] D j o b a d z e W., „Third Campaign in the Monastery of St. Barlaam". Türk Arkeologi Dergisi, XIV 1—2 (Ankara 1967) 128 f. fs. 10. ჩვენ მიერ ბარლაამის მონასტერში მოპოვებული ტვიფარები და ჩემთვის პროფ. ა. ჯავახიშვილის თავაზიანობის წყალობით ცნობილი ქართული ტვიფარების შესახებ დამთავრებული მაქვს წერილი, რომელიც მოკლე ხანში გამოვა ინგლისურ ენაზე.

[3] მას აქვს დოგმატური მნიშვნელობა, როგორც სიმბოლო სამებისა და ქრისტეს ორი ბუნებისა. შეიძლება ეს იყოს ანარეკლი ქართული ეკლესიის ბრძოლისა მონოფიზიტობის გამოცოცხლების წინააღმდეგ, რომელიც გამოსჭვივის ეფრემ მცირის „უწყება"-სა (თ. ბრეგაძის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. $10_9$—$_{13}$) და წალკის ტვიფარის წარწერაში, რომელიც ჩვენ მიერ დამზადებულია გამოსაცემად.

[4] ორი კვადრატის გადაჯვარედინებით მიღებული რვაქიმიანი ვარსკვლავი უნდა მიუთითებდეს მარადიულობაზე (Dölger F., Die Symbolik der Achtzahl in den Schriften des Ambrosius: Antike und Christentum, IV—3 (1934) 160 ff.; Reallexikon für Antike und Christentum I (1950) v. Achtzahl Schneider K.), რომლის წილხდომილი ხდება ქრისტიანი ზიარების საშუალებით. ამას ადასტურებს აგრეთვე იოვანეს სახარება: „მე ვარ პური ცხოველი... რომელმან ჭამოს პურისა ამისგან, ცხოვნდეს უკუნისამდე" (თავი $6_{51}$), „ესე არს პური ზეცით გარდამოსრული... რომელმან ჭამოს პური ესე, ცხოვნდეს უკუნისამდე" (თავი $6_{58}$).

[5] ესეც საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლო განუწყვეტლობისა.

[6] საუფლოს შესახებ ბიზანტიურ სეფისკვერებში ნახეთ ამომწურავი განმარტება: Hussey I. M., Mc Naulty P. A., Nicholas Cabasilas, Commentary on the Divine Liturgy (London 1960) 2—4, 18, Galavaris G., Bread and Liturgy (Wisconsin 1970) 73—75.

[7] F o r r e r R., Die Frühchristliche Altertümer aus dem Gräberfelde von Achmim-Panopolis (Strassburg, 1893), 14 pl. IX-6. ამის შესახებ მოკლე ცნობებია აგრეთვე: Dölger F., „Heidnische und Christliche Brotstampel mit religiösen Zeichen: Antike und Christentum I (Münster 1929) 23 და უფრო ვრცლად Galavaris დასახ. ნაშრომი, 73—75.

[8] ეს პროცესი ამომწურავად არის განმარტებული გალავარისის მიერ (Galavaris, დასახ. ნშრ. 62—69 და სურ. 35); ნახეთ აგრეთვე Hussey და Mc Naulty, დასახ. შრ. 2—14; კომენტარები და სიმბოლიკა ანაფორისა გარკვეული აქვს Schulz H. I. Die Byzantinische Liturgie (Freiburg/Breslau 1964) 195—198. ინსტრუქცია წმიდა პროთეზის მოზადებისა მოცემულია აგრეთვე იოანე ოქროპირის ლიტურგიის ქართულ რედაქციაში (Tarchnišvili M., Liturgiae Ibericae Antiquiores, CSCO 122 (Louvain 1950), 60—65).

[9] ამ გამყოფი ნიშნების შესახებ ნახეთ: ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (თბილისი, 1926), 142.

[10] Tarchnišvili, დასახ. შრომა, 64; Brightman F. E., Liturgies Eastern and Western, I (Oxford, 1965), 363, 365.

[11] კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I (თბილისი, 1960), 574.

[12] D j o b a d z e W., Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes (Louvain, 1976), 90.

[13] მაგალითად, ბეჭა და ბეშქენ ოპიზარების სახარებათა ყდების წარწერები. მეცამეტე საუკუნის მოჭედილი ხატის ქართული წარწერა იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატის წიგნთსაცავში (Ross M., „Byzantine Goldsmith work": Byzantine Art, A European Art (Athenes 1964) 406, № 475, სათხის კანკელის არქიტრავის 1213—1222 წლების წარწერა (Шмерлинг Р., Малые формы архитектуры средневековой Грузии (Тбилиси, 1962), 187, pl. 70).

[14] ევლოგიის კვერი, მისი დანიშნულება და განსხვავება ზიარების სეფისკვერისაგან განხილულია ჩემს გამოსაცემად დამზადებულ წერილში.

[15] კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. შრ. 576.

[16] Galavaris, დასახ. შრ. 89.

[17] მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 135.

[18] Djobadze, Materials, 42.

[19] იქვე, 42, 90.

В. Н. ДЖОБАДЗЕ

## ГРУЗИНСКОЕ ТЕСНЕНИЕ ПЕЧАТКИ ПРОСВИРЫ ИЗ АНТИОХИИ

Р е з ю м е

В статье рассматривается теснение печатки просвиры, найденной во время раскопок грузинского монастыря св. Варлаама близ Антиохии. Автор анализирует геометрические орнаменты и надпись печатки и датирует ее серединой XIII века.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. К. ОРЛОВСКАЯ

# ИТАЛЬЯНСКИЙ ЖУРНАЛ XVII ВЕКА О ГРАММАТИКЕ МАДЖО

Первые материалы, по которым европейские ученые могли получить представление о грузинском языке, были книги, изданные в Риме в первой половине XVII века. В 1629 г. вышли в свет грузинско-итальянский словарь и грузинский алфавит, а в 1643 г. — грамматика грузинского языка, которая была вторично издана в 1670 г. Эти книги были напечатаны в типографии Конгрегации Пропаганды и были предназначены для миссионеров, отправлявшихся в Грузию для распространения там католицизма. Автором грамматики был Франческо-Мариа Маджо, монах театинского ордена, который долго был на Востоке и восемь лет провел в самой Грузии. По возвращении на родину он издал довольно объемистую книгу, содержащую грамматику грузинского языка и краткие грамматики языков турецкого и арабского[1]. Наряду с правильными наблюдениями, книга Маджо содержит много ошибочных положений, полна орфографических погрешностей и в настоящее время представляет лишь исторический интерес. Однако в свое время она сыграла значительную роль. Тот факт, что на протяжении XVII века она вышла в двух изданиях, показывает, что ее нашли сочинением нужным и полезным. Работу Маджо имели в руках все западные ученые, интересовавшиеся грузинским языком. Еще в XIX веке молодой Броссе, начиная свою работу в области картвелологии, старательно проштудировал грамматику Маджо.

В настоящее время эта работа привлекает внимание исследователей как первая довольно обширная и стройно скомпонованная грамматика грузинского языка. Как пишет акад. А. Чикобава „ეს პირველი გრამატიკა ქართული ენისა ამავე დროს წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად მაჯოს ამ შრომას — მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა — განსაკუთრებული ადგილი უჭირავს»[2].

---

[1] Francisco-Maria Maggio. Syntagmata linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur. Romae, 1670.

[2] არ ნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 53.

Поскольку работа Маджо занимает столь значительное место в истории изучения грузинского языка, то не теряют своего значения и связанные с нею материалы. В данном случае речь идет о рецензии, появившейся на этот грамматический труд в итальянском журнале XVII века.

О существовании рецензии на книгу Маджо в научной литературе было известно из материалов переписки Лейбница. В своей разносторонней деятельности знаменитый немецкий ученый уделил немало внимания лингвистическим проблемам, он собирал материалы о различных языках, интересовался вопросом их происхождения и связи.

О грузинском языке можно найти у Лейбница замечания, сделанные в разное время. В письме к А. Аколуто от 10.X. 1695 г.[3] он старается доказать сходство грузинского с греческим, латинским и другими европейскими языками[4]. Позднее в статье о классификации языков, написанной в 1710 г., Лейбниц высказывает мысль о возможности связи грузинского и с другими языковыми группами[5].

В своих суждениях о грузинском языке Лейбниц использовал материалы из изданного в Риме грузинско-итальянского словаря. Однако эта работа, полная многочисленных ошибок, была очень ненадежным руководством по языку и во многом лишь ввела ученого в заблуждение. Грамматикой Маджо Лейбниц не пользовался и знал о ее существовании лишь по опубликованной рецензии. Об этом говорится в переписке Лейбница с Ла Крозом, главным библиотекарем Прусского короля, который был знатоком языков и видным филологом своего времени. Интересующее нас письмо Лейбница написано 26.XII.1709 года и относится к периоду, когда Ла Кроз только принимался за изучение грузинского языка. Лейбниц обещает доставить ему грузинский словарь и добавляет: «в типографии Пропаганды была также опубликована грамматика, которую я не видел; однако она должна быть интересной, судя по рецензии, которую я когда-то прежде читал в «Джиорнале де' Леттерати»[6].

---

[3] G. G. Leibnitius. Collectanea Etymologica, Hanoverae, 1717, p. 173—175.

[4] В научной литературе Лейбниц считается первым автором, который как бы предвосхитил гипотезу, сложившуюся в XIX столетии, о принадлежности грузинского языка к группе индоевропейских языков. А. Цагарели пишет, что «об отношении грузинского языка к индоевропейским первый стал рассуждать Лейбниц» (О грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, с. 67). Ш. Дзидзигури начинает с Лейбница свой раздел о теории родства грузинского языка с индоевропейскими (შოთა ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 177—178).

[5] G. G. Leibnitius. Brevis designatio meditationum de originibus gentium, ductis potissimum ex indicio linguarum. В сборнике: Miscellanea Berolinensia. Berolini, 1710, p. 4.

[6] G. G. Leibnitius. Opera omnia, t. V, Genevae, 1768, p. 496. Отметим, что Ла Кроз позднее имел в руках грамматику Маджо, опираясь на которую он писал о грузинском алфавите Дэвиду Уилкинсу (M. Veyssiere La Croze. De variis linguis. В книге: Dissertationes ex accasione sylloges orationum dominicarum scriptae ad

Однако Лейбниц не указывает ни года, ни номера названного им журнала; и в нашей научной литературе текст этого первого отзыва на работу Маджо оставался до сих пор неизвестен.

«Джиорнале де' Леттерати» начал издаваться в Риме в 1668 г. и просуществовал до 1679 года[7]. Как выяснилось[8], названная Лейбницем рецензия была напечатана в 1670 году, т. е. явилась непосредственным откликом на второе издание грамматики Маджо. В тексте статьи прямо сказано, что разбираемая книга о восточных языках только что вышла из типографии Конгрегации Пропаганды веры.

Рецензия на книгу Маджо не велика по объему. В ней дается обзор всех входящих в книгу разделов, но более обстоятельно идет речь об основной ее части, т. е. о грузинской грамматике (текст рецензии см. в приложении).

Описание грамматики и ее составных частей представлено в рецензии очень кратко и составляет всего один параграф. Изложено оно не совсем ясно. Автор почему-то не дает полного названия второй и третьей частей грамматики — Этимология[9] и Синтаксис[10], удовлетворяясь лишь подзаглавиями, которые стоят у Маджо. Отсутствие этих заглавий в какой-то мере мешает читателю рельефно представить себе план построения работы. Кроме того, судя по рецензии, можно подумать, что помимо указанных частей или даже после них даются различные алфавиты и их объяснения. На самом же деле они входят в первую часть грамматики, т. е. в отдел орфографии, и как раз являются основным ее содержанием. С соответствующими объяснениями здесь даются знаки гражданского письма, а также обе разновидности церковного шрифта. За этим следуют алфавиты армянский и арабский, которые могли быть полезны находившимся в Грузии миссионерам[11].

---

J. Chamberlaynium. Amstelaedami, 1715, p. 134). Грузинским языком ученый, очевидно, серьезно занимался. Хр. В о л ь ф и у с в одном письме касается работы Ла Кроза над грузинским алфавитом и удивляется его упорству (Thesauri epistolici Lacroziani, t. II. Lipsiae, 1743, p. 217). К. Альтер называет Ла Кроза среди людей, знакомых с грузинским языком (F. C. A l t e r, Ueber georgianische Litteratur. Wien, 1798, s. 13).

[7] П. Ларусс считает, что он был задуман по плану французского „Journal des Savants“, а в дальнейшем сам послужил образцом для многих основанных в Италии литературных журналов. P. L a r o u s s e. 'Grand dictionnaire universel, t. XI, p. 885.

[8] Приношу благодарность доценту З. Г. Гачечиладзе, который во время пребывания в Англии пересмотрел комплект этого итальянского журнала и привез текст интересующей нас рецензии о грамматике Маджо.

[9] Etymologia, altera pars grammatices, hoc est de partium orationis formatione.

[10] Syntaxis, tertia pars grammatices, hoc est de partium orationis constructione.

[11] После указания на армянский алфавит рецензент нашел нужным пояснить, что знать его необходимо, ибо многие грузинские книги написаны армянскими знаками. Действительно, подобные записи различных текстов делали проживавшие в Грузии армяне. Маджо, который в своей работе над грамматикой знакомился с грузинскими письменными материалами, очевидно, имел в руках и такие рукописи.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Вопросы грузинского письма, как видно, заинтересовали автора рецензии, ибо он указывает число знаков, содержащихся в алфавитах, а также обращает внимание на систему передачи чисел буквенными обозначениями.

Особый интерес представляют в рецензии те наблюдения, которые сделаны в отношении своеобразия грамматических форм грузинского языка. Однако дело осложняется тем, что, поскольку книга Маджо далеко не отличается точностью суждений, некоторые из поразивших рецензента особенностей грузинского языка на самом деле происходят из допущенных в самой грамматике ошибок. Это относится в первую очередь к вопросу о глаголе. Соответственно взглядам своего времени, Маджо считал грамматические закономерности едиными для всех языков и подходил к грузинскому языку, исходя из принципов латинской грамматики, считавшихся незыблемыми и обязательными для всех языков. При таком методе работы закономерности, свойственные грузинскому языку, нередко подогнаны в ней к принятым грамматическим нормам, а явления, которые не удается вложить в привычные рамки, воспринимаются автором как неправильности.

Именно поэтому ему не удалось разобраться в особенностях грузинского глагола[12] и, начиная этот раздел, он прямо пишет о том, что спряжения глагола бесчисленны и почти каждый глагол спрягается своеобразно[13].

Вполне естественно, что рецензент не прошел мимо подобного утверждения и отметил как одну из особенностей грузинского языка огромное число спряжений глагола[14].

Надо думать, что, исходя именно из этого замечания в рецензии, Лейбниц писал Ла Крозу, что грузинский язык поразил его «вследствие большого числа наклонений»[15].

---

[12] В своих исследованиях А. Цагарели и Арн. Чикобава относят раздел глагола к слабейшим частям грамматики: „მაჯოს ყველაზე უფრო გაუჭირდა ქართულ ზმნაში გარკვევა; ყველაზე უფრო ღარიბი გრამატიკის ის ნაწილი გამოუვიდა მაჯოს, რომელიც ქართული ენის ყველაზე რთულსა და ფორმებით მდიდარს სამყაროს წარმოადგენს“, ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 54.

[13] F. M. M a g g i o, Syntagmata linguarum orientalium, p. 77.

[14] А. Цагарели считает, что сумбурность анализа глагола в грамматике Маджо явилась причиной того, что «в Западной Европе до конца прошлого столетия существовало мнение о том, что каждый грузинский глагол имел будто-бы свое особое спряжение» (А. Ц а г а р е л и, О грамматической литературе грузинского языка, с. 48). В подтверждение этого можно указать, что, почти буквально повторяя Маджо, в XVIII в. неизвестный итальянский миссионер, составитель грузинской грамматики (фонд Института рукописей Q-500) писал, что в грузинском языке «глагольные конструкции бесчисленны, так как почти каждый глагол имеет свои особенности».

[15] Письмо от 10. XII. 1709 г. G. G. L e i b n i t i u s. Opera omnia, t. V, p. 494. Другого источника информации, кроме рецензии, Лейбниц к этому времени не имел, ибо приведенное выше письмо, в котором прямо сказано, что грузинской грамматики ученый не имел в руках, было написано 26. XII. 1709 г.

Как известно, в грузинских примерах книги Маджо очень много ошибок. Соответственно этому они повторяются и в рецензии. Грузинских типографских знаков в распоряжении журнала, очевидно, не было и приведенные слова записаны в нем только латинскими буквами.

Несмотря на некоторые погрешности, сама рецензия написана содержательно и обнаруживает проницательность автора, который сумел обратить внимание на некоторые своеобразные стороны грузинского языка, правильно подмеченные в работе Маджо: вопрос рода в грузинском языке, послелоги, употребляющиеся вместо предлогов, склонение существительных и т. д.[16] Показательно, что автор рецензии обратил внимание на широко представленный отдел словообразования[17]. Отсюда он приводит, однако, лишь два примера, из которых второй является повторением ошибки самой книги Маджо, где он дается как одиннадцатый способ образования производных. А. Чикобава по этому поводу пишет: „სრულიად უცნაური ჩანს „ნაწარმოები“ სახელები: „იბერი“ — ბერისაგან qui simulat se monachum «ვინც ემსგავსება ბერს“.—„იბერა“ მაშინ ნასახელარი ზმნა იქნებოდა და არა — სახელი“[18].

Замечания рецензента затрагивают различные стороны работы Маджо. Помимо вопросов языковых форм, в них обращено внимание на своеобразие грузинского письма. В частности автор рецензии обратил внимание на то место из первой части грамматики, где Маджо пишет об отсутствии в грузинском письме принятых на Западе знаков препинания и о системе точками отделять друг от друга слова в рукописях.

Это указание рецензии, интересное само по себе, привлекает внимание еще и потому, что оно наводило читателя на мысль о выработавшихся в стране традициях письма и таким образом ставило вопрос об имеющихся на грузинском языке письменных памятниках. Показательно, что Лейбниц в том же письме к Ла Крозу высказывает предположение, что может быть на грузинском языке опубликованы какие-либо религиозные сочинения или даже библия[19].

Рецензия в «Джиорнале де Леттерати» не подписана. Возможно, что она написана самим издателем журнала Франческо Надзари. Ларусс пишет о нем как об очень образованном человеке, который читал в Риме философию, активно работал и очень помог историку Жану Луциусу в редактировании его трудов[20].

---

[16] Отметим, что акад. А. Чикобава указывает эти положения грамматики Маджо в числе достойных внимания моментов его работы. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 55.

[17] А. Цагарели считает, что, несмотря на отдельные ошибки, этот раздел грамматики лучший в книге и «обличает в авторе наблюдательность и большой лингвистический талант». А Ц а г а р е л и. О грамматической литературе грузинского языка, с. 5.

[18] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 34.

[19] G. G. L e i b n i t i u s, Opera omnia, t. V, p. 496.

[20] P. L a r o u s s e, Grand dictionnaire universel, t. XI, p. 885.

Для читателя наших дней разбираемая рецензия представляет несомненный интерес, показывая как воспринимали современники сочинение Маджо и какое представление могли они составить о грузинском языке. По характеру рецензия показательна для своего времени и сочетает в себе черты старого с новым. С уважением говорится в ней о деятельности Конгрегации Пропаганды веры и в то же время чувствуется живой интерес к языкам уже современного ученого мира. Даже самое начало ее, в котором от библейского сказания о смешении языков автор переходит к оценке значения языков в настоящее время — уже показывает веяния новой эпохи. В то же время самый факт столь быстрого отклика научного журнала на книгу Маджо свидетельствует об активности филологических изысканий и в частности об интересе к восточным языкам, который все заметнее возрастает в Европе, начиная с XVII века.

## ПРИЛОЖЕНИЕ

«Джиорнале де' Леттерати»[21] 30 мая 1670 г.

> Syntagmata Linguarum Orientalium, quae in Georgiae regionibus audiuntur Authore D. Francisco-Maria Maggio Clerico Regulari, Panormitano. In fol. Romae, ex Typographia Sacrae Congreg. de Propaganda Fide, 1670[22]

Многочисленные языки, которые были даны людям в наказание, превратились сегодня в наслаждение и благородное развлечение для тех, кто хочет ознакомиться с чужеземными странами или просто из желания изучить обычаи и нравы, или из любопытства путешествовать, или из рвения отправиться обращать людей, исповедующих другую веру. Священная Конгрегация Пропаганды веры, учредившая отправление евангельских проповедников в различные части света, сочла нужным для подобных миссионеров печатать книги об иностранных языках с инструкциями для их изучения; из ее типографии сейчас вышла настоящая книга о восточных языках, особенно нужная тем, которые будут назначены в миссии Турции, Аравии и Грузии.

На первом месте помещена в ней грамматика грузинского или иберийского языка с точным толкованием каждой из ее частей, то есть орфографии, словообразования, порядка слов и просодии, а также трех различных алфавитов; первый из них иберийский народный алфавит, второй иберийский церковный и третий армянский — иберийский, который нужно знать для многих книг, которые написаны на

---

[21] «Журнал литераторов».

[22] Переведена та часть рецензии, которая касается грузинской грамматики в книге Маджо.

грузинском языке армянскими буквами. Каждый из этих алфавитов содержит 37 знаков, 5 гласных и 32 согласных, и все они описываются в отношении их порядка, начертания и значения. А так как те же самые буквы употребляются, чтобы обозначать числа, как это практикуется у восточных народов, автор указывает способ написания грузинами чисел от 1 до 10 тысяч.

То, что можно отметить необычного в этом языке, это:

I. Что в письме не приняты акценты, придыхания, апострофы, скобки, запятые, но только после каждых двух или трех слов ставятся точки.

II. Что имеется только один род; таким образом то же самое слово употребляется без изменения во всех родах; итак lamasi обозначает pulcher, pulchra, pulchrum.

III. Те частицы, которые мы называем предлогами, так как они предшествуют существительному, в грузинском ставятся после него.

IV. Имеется множество спряжений глагола и, напротив, одно единственное склонение существительных и падежи различаются простым прибавлением нескольких букв или частиц к концу слова.

Равным образом, прибавлением к началу или к концу коренного слова некоторых букв или частиц образуются различные новые слова. Например, для обозначение резервуара, сосуда или места, где что-нибудь хранится, прячется или находится, достаточно прибавить к коренному слову частицу sa; таким образом thredi обозначает — голубь, sathredi — голубятню. Если предпослать I к коренному слову, образуется слово притворства. Так, beri обозначает — монах, а iberi обозначает того, кто притворяется монахом.

Il Giornale de'Letterati di Francesco Nazzari in Roma, 1670, 30. V, p. 59—61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან გვარამია

# „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები

ძველ ქართულ მწერლობაში საკმაოდ პოპულარული ყოფილა ნიკომიდიელი ჭაბუკი მკურნალის პანტელეიმონის ისტორია, რომელიც ქრისტიანობის მიღების გამო მოწამებრივი სიკვდილით იქნა დასჯილი იმპერატორ მაქსიმიანეს მიერ. „პანტელეიმონის წამება“ წარმოდგენილია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში: გელ. 3—XVI ს. (716r—733r)[1], სინ. 71—XIII ს. (2r—14r)[2], ბოდლ. 1—XI ს. (298v—312v)[3] და X საუკუნის ორ რამდენადმე იდენტური შედგენილობის ნუსხაში — სინ. 11 (123v—143r) და სინ. 62 (106r—120v)[4]. ძეგლი გამოცემულია ერთი ხელნაწერის სინ. 11-ის მიხედვით. იგი გამოსცა ი. იმნაიშვილმა[5] და მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ „პანტელეიმონის წამება“ კრებულში შემავალ ზოგიერთ სხვა თხზულებასთან ერთად თარგმნილია X საუკუნემდე, შესაძლოა — VIII საუკუნეში[6].

ჩამოთვლილი ხელნაწერები ერთმანეთისაგან სხვაობენ როგორც ქრონოლოგიურად, ასევე მათში დაცული „პანტელეიმონის წამების“ ტექსტის ხასიათის მიხედვითაც. კ. კეკელიძე მათ შორის გამოყოფს ორ რედაქციას: მეტაფრასულს, თარგმნილს ბერძნულიდან (BHG 1414)[7], ხელნაწერში გელ. 3 და კიმენურს, წარმოდგენილს ხელნაწერებში სინ. 11, სინ. 62 და ბოდლ. 1[8]. კ. კეკელიძე ღიად ტოვებს კიმენური რედაქციის წარმომავლობის საკითხს. არსად არ იხსენიებს აგრეთვე იგი სინ. 71 ხელნაწერს. ამ დროს ამ ხელნაწერისეული

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, შედგენილია ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1958.

[2] G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, Louvain, 1956.

[3] P. Peeters, De codice Hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis, Anal. Boll. XXXI (1912), გვ. 301—318.

[4] G. Garitte, დასახ. კატალოგი. ამ ხელნაწერებს ათი საერთო თხზულება აქვთ, იხ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1963, გვ. 212.

[5] იქვე, გვ. 50—65.

[6] ენობრივი ანალიზის საფუძველზე ი. იმნაიშვილი ხელნაწერის დასაწყის 320 ფურცელზე გამოყოფს ადრეულ შრეს, იქვე, გვ. 190.

[7] F. Halkin, Bibliotheca hagiographica graeca, t. II, Bruxelles, 1957.

[8] კ. კეკელიძე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957, გვ. 135, 201.

„პანტელეიმონის წამების“ ტექსტი სხვაობს სხვა ხელნაწერთაგან და ეს განსხვავებები რედაქციულ ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, აღნიშნული გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მ. თარხნიშვილსა და ჟ. გარიტს. „პანტელეიმონის წამებასთან“ დაკავშირებით ისინი, როგორც იდენტურ ნუსხებს, ასახელებენ სინ. 11-ს და სინ. 62-ს, მათთან შესადარებლად კი უთითებენ სინ. 71-ს[9]. სხვა რაიმე კონკრეტული მოსაზრება ამ ტექსტის შესახებ მათ არ გამოუთქვამთ.

„პანტელეიმონის წამების“ ხელნაწერების შესწავლის მდგომარეობის გათვალისწინების შედეგად იკვეთება საკვლევ საკითხთა სფერო, რომელთაც ჩვენ წინამდებარე სტატიაში შეძლებისდაგვარად განვიხილავთ. ეს საკითხებია: სინ. 71-ში წარმოდგენილი ტექსტის რაობის დადგენა და ამ ტექსტისა და კ. კეკელიძის მიერ გამოყოფილი კიმენური რედაქციის წარმომავლობის გარკვევა.

სინ. 71-ში დაცული ტექსტის პარალელური რედაქცია დაიძებნა მხოლოდ ბერძნულ ენაზე. ეს არის ვ. ლატიშევის მიერ XI საუკუნის მოსკოვის ხელნაწერის — Влад. № 379-ის მიხედვით გამოცემული ტექსტი, რომელიც ფ. ალკენს BHG-ში გამოყოფილი აქვს A 1412 ნომრით. ქართული გამოდგა დასახელებული ბერძნული ტექსტის თითქმის სიტყვასიტყვითი თარგმანი და აშკარა გახდა, რომ სწორედ ამ ტიპის ბერძნული ტექსტი წარმოადგენდა მოდელს ქართველი მთარგმნელისათვის. საილუსტრაციო მასალას შემდეგ მოვიტანთ, ამჟამად კი მხოლოდ აღვნიშნავთ იმ დადგენილ ფაქტს, რომ ეს ბერძნული ტექსტი წინამეტაფრასულია და მის გადამუშავებას წარმოადგენს მეტაფრასული რედაქცია. ამ მიმართულებით უმუშავია არაერთ მკვლევარს, მაგრამ საბოლოო სიტყვა ტექსტის რაობის დადგენასთან დაკავშირებით გამოთქმულია ვ. ვასილევსკისა და ვ. ლატიშევის მიერ[10]. ამრიგად, ქართულ ენაზე დაცულია „პანტელეიმონის წამების“ ორი კიმენური რედაქცია: ერთი — წარმოდგენილი ხელნაწერებში სინ. 11, სინ. 62 და ბოდლ. 1-ში და მეორე — სინ. 71-ში დადასტურებული. პირველ რედაქციას აღვნიშნავთ A ლიტერით, მეორეს — B ლიტერით.

B რედაქციისაგან განსხვავებით, A რედაქციის პარალელური ტექსტები დაუცავს არა მარტო ბერძნულ, არამედ სხვა ქრისტიანი ხალხის მწერლობასაც, კერძოდ, არაბულს, სომხურს და კოპტურს. ამ ვერსიათაგან ყველაზე დიდ მსგავსებას ქართული A რედაქცია ამჟღავნებს ბერძნულ და არაბულ ვერსიებთან და მისი წარმომავლობის კვალიც სწორედ მათთან ხდება საძიებელი[11].

---

[9] T a r c h n i š v i l i, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur (Studi e Test, 185), Citta del Vaticano, 1955, გვ. 488, № 135a; G. G a r i t t e, დასახ. კატალოგი, გვ. 33, 93, 216.

[10] Неизданные греческие агиографические тексты, издал с введением В. В. Латышев, С.-Петербург, 1914, გვ. 40—53.

[11] კოპტური ვერსია ნაკლულია. მას არ გააჩნია დასაწყისი, დასასრული კი ნაკლებად ემთხვევა ქართულს, იხ. P. P e e t e r s, Bibliotheca hagiographica orientalis, Bruxelles, 1913, № 837. ქართულ მწერლობაში ჯერჯერობით არც არის დადასტურებული კოპტურიდან თარგმნის ტრადიცია.

სომხურად არსებობს „პანტელეიმონის წამების“ ორი რედაქცია: მოკლე — **„Վարք և վկայաբանութիւնք սրբոց“... հատոր Բ. Վենետիկ. 1874,** გვ. 189—201 და ვრცელი— **„Իակաապար վարք և վկայաբանութիւն սրբոց“ .. հատոր գ. Վենետիկ. 1813** გვ 488—510.

ვიდრე აღნიშნულ ვერსიათა შეპირისპირებით ანალიზზე გადავიდოდეთ, წარმოვადგენთ ზოგად ცნობებს ჩვენ ხელთ არსებული ბერძნული და არაბული წყაროების შესახებ.

ჩვენთვის საინტერესო ბერძნული ვერსია მოღწეულია მრავალი ხელნაწერის სახით, რომელთაგან არც ერთი არ არის გამოცემული. ფ. ალკენს ეს რედაქცია აღნიშნული აქვს 1413 ნომრით და ამასთანავე დაჯგუფებული აქვს ხელნაწერები მათი მეტ-ნაკლები სიახლოვე-დაცილების მიხედვით. ჩვენ შევეცადეთ შეგვერჩია ქართულ A რედაქციასთან განსაკუთრებით ახლოს მდგომი ნუსხები. ვფიქრობთ, ასეთი უნდა იყოს Paris 50 (195 r—216 r) BHG 1413 a და X—XI სს. ნუსხა Vatic. 1641 (369v—375r) BHG 1413 c. ი. მ. სოჟესა და ბ. უტიეს თავაზიანი დახმარების წყალობით მივიღეთ ორივე ხელნაწერის ფოტოპირი[12]. დასახელებულ ბერძნულ ნუსხებში აშკარად ერთი რედაქციის ტექსტია წარმოდგენილი. მათ შორის ვარიანტული ხასიათის განსხვავებები დასტურდება და ისიც, უმთავრესად, დასასრულისაკენ.

საკმაო ოდენობით არის მოღწეული „პანტელეიმონის წამების“ შემცველი არაბული ნუსხებიც. გ. გრაფს მოცემული აქვს მათი არასრული სია, რომელიც შედარებით გვიანდელ ხელნაწერებს მოიცავს[13]. მას არა აქვს ფიქსირებული XIII საუკუნის სინური ხელნაწერები — Sin. ar. 534, 535, 440[14] და ლონდონის ნუსხა — Br. mus. or. 5019. ჩვენ ხელთ გვაქვს ორი ნუსხის ფოტოპირი — Sin. ar. 535 (101—121)[15] და Br. mus. or 5019, 19 (32 r—40 c)[16], რომლებიც „პანტელეიმონის წამების“ იდენტურ ტექსტებს შეიცავს.

თავისი შედგენილობითა და ისტორიით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხელნაწერი Br. mus. or. 5019. იგი წარმოადგენს ჰომილეტიკური და წინამეტაფრასული აგიოგრაფიული თხზულებების კრებულის ნაწილს, რომლის დანარჩენი ნაწილები გაბნეულია ევროპის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში. ეს გამოავლინეს თავის შრომებში მ. ვან ესბროკმა და ი. მ. სოჟემ. მათ აღადგინეს კრებულის თავდაპირველი სახე და შესაძლებელი გახადეს მის შექმნასა და შემდგომ ხვედრთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტისათვის თვალის გადევ-

---

ეს რედაქციები შეისწავლა და ქართულს შეუჯერა ე. ცაგარეიშვილმა, რის გამოც მისი ძალიან მადლობელი ვართ. ე. ცაგარეიშვილის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ სომხური არ წარმოადგენს მოდელს ქართული A რედაქციისათვის.

[12] ი. მ. სოჟემ გამოგვიგზავნა ვატიკანის ხელნაწერის ფოტოპირი, ხოლო ბ. უტიემ — პარიზის ხელნაწერის. ჩვენ ორივე მკვლევარს გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ გაწეული სამსახურისათვის.

[13] I. G r a f, Geschichte der christlichen arabischen Literatur, Bd I, Citta del Vaticano, 1944, გვ. 521.

[14] Aziz Syryal Atiya, The Arabic Manuscripts of Mount Sinai, Baltimore, 1958.

[15] მიკროფილმი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

[16] ამ ხელნაწერის მიკროფილმი ადრე გვქონდა მიღებული ლონდონიდან. თავის მხრივ მ. ვან ესბროკმა გამოგვიგზავნა ამ ხელნაწერში დაცული „პანტელეიმონის წამების“ ტექსტის ფოტოპირები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ნება[17]. არსებობს ვარაუდი კრებულის სინური წარმომავლობის შესახებ[18]. მისი შექმნის თარიღად ძირითადად მიჩნეულია X—XI საუკუნეები, უფრო მეტად კი XI საუკუნე[19]. ამდენად გამოდის, რომ იგი ყველაზე ადრეული ხელნაწერია „პანტელეიმონის წამების“ შემცველ ნუსხათა შორის. რაც შეეხება ამ ხელნაწერისეულ „პანტელეიმონის წამების“ ტექსტს, სავარაუდოა, რომ იგი კიდევ უფრო ადრეა შექმნილი. ყოველ შემთხვევაში მასში დადასტურებული მექანიკური შეცდომები (34 v) იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ იგი სხვა ადრე არსებული ხელნაწერიდანაა გადაწერილი.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ გადავალთ უშუალოდ ტექსტების მონაცემების განხილვაზე. უპირველეს ყოვლისა, ვეცდებით ვაჩვენოთ რედაქციული სხვაობანი A და B ვერსიათა შორის და B ვერსიის ბერძნული წყაროდან მომდინარეობა.

ორივე ქართული ვერსია ერთსა და იმავე სიუჟეტურ ჩარგაზეა აგებული, მაგრამ ამ სიუჟეტური ჩარგის ფარგლებში მათ შორის განსხვავებები დასტურდება და თანაც დიდი რაოდენობით. ამასთანავე განსხვავებათა შემთხვევაში B რედაქცია ვ. ლატიშევის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტს მიჰყვება. A რედაქცია კი მეტ-ნაკლები სიზუსტით დასახელებულ ბერძნულ-არაბულ ხელნაწერთა ტექსტს ასახავს, უფრო მეტად თითქოს — არაბულს. გვხვდება ფაქტობრივი ხასიათის განსხვავებები, მაგალითად, B რედაქციაში პანტელეიმონი ზღვიდან გამოჰყავს ანგელოზთა დასს (40v), A რედაქციაში კი მას გამოეცხადება უფალი ერმოლაოს ხუცესის სახით, შერისხავს ზღვას და ფურცელივით ატივტივებული პანტელეიმონი უვნებლად გამოდის ხმელეთზე (60, 12—16). A და B რედაქციებში სრულიად განსხვავებული შინაარსის და მოცულობისაა პანტელეიმონის შეგონება, რომლითაც იგი ცდილობს მამის მოქცევას ქრისტეს რჯულზე. A რედაქციაში იგი კერპების არარაობას ამხელს (54, 7-10), B რე-

---

[17] მ. ვან ესბროკმა ისევ ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, მიაკვლია კრებულის სხვა ნაწილს, რომელიც გატარებული ყოფილა შიფრით Add. 266. 117. დასახელებული ლონდონური ნუსხები ძირითადად შეიცავენ კრებულის აგიოგრაფიულ ნაწილს. ამ ხელნაწერების შესწავლასა და აღწერას მკვლევარმა სპეციალური სტატია მიუძღვნა, იხ. Michel van Esbroeck, Un recueil prémétaphrastique arabe du XIe siecle, Anal. Boll., t. 85 (1967), გვ. 144—164 (ამონაბეჭდი).

ი. მ. სოფემ მილანში შეძლო ამ კრებულის ჰომილეტიკური ნაწილის იდენტიფიცირება — Ambrosianus X.198 Sup. მან აღმოაჩინა აგრეთვე ამ ნაწილის ორი პატარა ფრაგმენტი ბირმინგემში — Mingana Christ. arab. Add. 133 და მიუნხენში—Bayerische Statsbibliothec arab. 1067. ი. მ. სოფემ მთლიანობაში შეისწავლა კრებული და მოგვცა მისი ჰომილეტიკური ნაწილის ანალიზი, რაც მეტად ფასეულია ნაკლებად შესწავლილი არაბული ლიტურგიკის ისტორიისათვის. იხ. Joseph-Marie Sauget, L'homéliaire arabe de la Bibliothèque Ambrosienne, Anal. Boll., t. 88 (1970), გვ. 392—475 (ამონაბეჭდი).

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობდით დასახელებულ შრომებს, როდესაც ლონდონის ხელნაწერის Br. mus. ar. 5019-ის მიხედვით ვაქვეყნებდით ამონიოსის „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ ვერსიას. ამის გამო ამ ხელნაწერის ჩვენ მიერ წარმოდგენილი აღწერილობა ძალზე არასრული აღმოჩნდა. შდრ. „ამონიოსის სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, IX—XI, XIII და XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით, ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რუსუდან გვარამიამ, თბ., 1973, გვ. 020 და სხვ.

[18] Joseph-Marie Sauget, დასახ. ნაშრომი, გვ. 400, 472.

[19] იქვე, გვ. 406, 472.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქციაში კი მეტისმეტად ვრცლად მსჯელობს ქრისტეს შესახებ და ხატთაყვანისმცემლობასაც ასხამს მას (4v) და ა. შ.

ნიშანდობლივია ერთი და იმავე ადგილის განსხვავებულად გადმოცემა: განსხვავებულია ფრაზები, თხრობა ერთ რედაქციაში, მეორე რედაქციის საპირისპიროდ, უფრო ლაკონიური ან მრავალსიტყვიანია. მოვიტანთ ორიოდე მაგალითს შესაბამისი ბერძნულ-არაბული ტექსტებით.

A

1. გევედრები შენ, რაჲთა შემიწყალო დაბნელებული ესე და დაკლებული შუენიერებასა ნათლისა ხილვასა.

54, 25—27

اطلب اليك ان ترحمنى انا المظلم
المعدم حلاوة بصر الضو

34v

δέομαί σου ἐλέησόν με τὸν ἐσκοτισμένον καὶ τὸ γλυκὺφως μὴ καθορώντα.

P 200v, V 371r[20]

2. სახელითა იესუ ქრისტჱსითა, რომელი განანათლებს დაბნელებულთა და განკურნებს შემუსრვილთა და შეჰკრებს განბნეულთა და ეძიებს წარწყმედულთა, აწ ბრძანებითა და ნებითა მისითა და ძალითა იქმენ მხედველ ნათელსა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, და უფროჲს მისა იქმენ მხედველ, უკუეთუ გრწმენეს იგი.

55,7—12

B

გევედრები. მოწყალე მექმენ მე, რომელი ყოლადვე არა ვხედავ ნათელსა და ყავ ახილვაჲ თუალთა ჩემთაჲ.

5 r

δέομάι σου, σπλαγχνίσθητι ἐις ἐμὲ τόν μὴ ὁρῶντα τὸ φῶς καὶ ποίησόν με ἀναβλέψαι.

M 43. 24—25

უფალო, იესუ ქრისტე, რომელმან მიჩუე[ნე] მე ყოველი ძალი, რომელმან აღადგინე მკუდარი იგი, მოანიჭე ამასცა ნათელი თუალთაჲ.

5v

[20] P ლიტერით აღვნიშნავთ პარიზულ ბერძნულ ხელნაწერს, V-თი — ვატიკანურს, ხოლო M-ით —ლატიშევის მიერ გამოცემულ მოსკოვურ ნუსხას. ქართულ A რედაქციას ვიმოწმებთ ი. იმნაიშვილის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით. B რედაქციისათვის, ბუნებრივია, ვიყენებთ ხელნაწერს სინ. 71. არაბულ ტექსტს ვუთითებთ ლონდონის ნუსხის მიხედვით (Br. mus. or. 5019). როდესაც P და V ხელნაწერებში ტექსტი თანხვედრილია, ვიმოწმებთ ორივე ხელნაწერს. თუ მათ შორის ვარიანტული სხვაობებია, მაშინ იმ ხელნაწერის ტექსტი მოგყვავს, რომელიც ქართულს უფრო უდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

A

باسم يسوع المسيح الذى ينير المظلمين ويجبر المكسحين ويجمع المتبددين ويعطف بالضالين بمشيته الان وقوته فليكون تبصر الضو كل ايام حياتك واكثر من هذا تبصر ان انت امنت به

34v—35r

B

ἐν τῷ ὀνοματι Ιῦ Χῦ τοῦ φωτίσαντος τὰ ἐσκοτισμένα καὶ συναγογόντος τὰ ἐσκορπισμένα καὶ ἐπὶστρέφοντος τὰ πεπλανημένα τοῦτου τῇ θελήσει ἔσει βλέπον τὸ φῶς πάσας τὰς ἡμέρας τῆς ζωής σοὺ οὐ μὴν δὲ ἀλλὰ καὶ ἀλλὰ μέιζονα θέαση ἔαν πιστεύσεις είς αὐτόν.

P 201v; შდრ. V 371v.

Κύριε 'Ιησοῦ Χριστέ, ὁ δείξας μοι τὴν σὴν δύναμιν, ὁ ἀναστήσας τὸν νεκρόν, παράσχου καὶ τόυτῳ τὸ φῶς τῶν ὀφθαλμῶν.

M 44, 4—6

3. ჰრქუეს კაცთა მათ მორწმუნეთა: ნათელსა მას ქრისტესსა მივიყვანეთ იგი, ჱ მეფე, რამეთუ ღირს არს იგი მას.

63,18—19

واستجابوا الرجال المومنين وقالوا ايه الملك الى نور المسيح دعيناه لانه مستاهل ذلك

39r

ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: ჩუენ ქრისტე დასაბამითგან ვიცით და უარისყოფად მისა ვერ შემძლებელ ვართ და კერპთა არა თაყუანისვცემთ, რომელნი არიან საცთურ შენდა, მეფე, რამეთუ იტყჳს მაცხოვარი: „რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთაჲ, უარვყო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“.

12r, v

οἱ δὲ λέγουσιν τῷ βασιλεὶ· τοὺς ἄξιους αὐτοῦ πρὸσκαλειτε ὁ Χ˜σ πρὸς τὸ φῶς P 212v; V 374v

οἱ δὲ ἀποκριθέντες εἶπον· „Ἐμεῖς τὸ Θεὸν ἐξ ἀρχῆς ἔγνωμεν καὶ ἀρνήσασθαι αὐτὸν οὐ δυνάμεθα καί εἰδώλοις προσκυνῆσαι· φοβούμεθα γὰρ αὐτοῦ τὴν ἀπειλήν. λέγει γὰρ ὁ σωτήρ· ὃς δ' ἂν ἀρνήσεταί με ἔμπροσθεν τῶν ἀνθρώπον, ἀρνήσομαι αὐτὸν κἀγὼ ἔμπροσθεν τοῦ πατρός μου τοῦ ἐν τοῖς οὐρανοῖς“.

M 51, 19—23

მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია. ამასთანავე თითქმის სიტყვა-სიტყვითი მიდევნება B რედაქციისა ბერძნულ ტექსტთან, რაც მოტანილ ნაწყვეტებშიაც ჩანდა, მთელ თხრობას გასდევს. ეს გარემოება რამდენადმე უარყოფითად ისახება თარგმანის ენაზე. ენა აქ ხშირად დამძიმებულია. შეიმჩნევა მიმღეობიანი კონსტრუქციების სიჭარბე, მაგალითად:

1. ხოლო წ ი ნ ა შ ე მ დ გ ო მ ე ლ ნ ი ი გი... განკჳრდეს (9 v).

οἱ δὲ παρεστῶτες... ἐξεπλήσοντο (M 48, 25).

შდრ. A—რ ო მ ე ლ ნ ი დ გ ე ს მუნ, შეიპყრნა საკუირველებამან (60, 3—4).

(37v) جميع اوليك الذين كانوا هنالك وقوف عجبوا

ὁι δὲ παρεστῶτες ἐθαύμαζον (P 208v, V 373v).

2. ჭეშმარიტად არს ერმოლაოს ხუცისა თ ქ მ უ ლ ი (3 v)

εἰ ἀληθῆ ἐστι τὰ ὑπὸ Ἑρμολάου τοῦ πρεσβυτέρου λεγόμενα (M 42,6).

შდრ. A—ჭეშმარიტ არს, რ ო მ ე ლ ს ა ი გ ი არმოლაოს მ ი თ ხ რ ო ბ დ ა (53, 1—2).

(33v) كان حق الذى قيل لى من ارمولاوس

ἐι ἀληθῆ ἐισὶ τὰ ὑπὸ Ἑρμολάου λεχθέν τά μοι (P 198v შდრ. V 370v) და სხვ.

გვხვდება უხერხული გამოთქმები და კალკები:

1. ხოლო მამამან არა შეუნდო, ენება ჩემი პალატსა შინა ა მ ხ ე დ რ ე ბ ა ჲ (2v, 3 r).

ὁ δὲ πατήρ μου οὐ συνεχώρει, βουλόμενός με ἐν τῷ παλατίῳ στρατεῦσαι (M 41,9—10).

შდრ. A — ხოლო მამამან ჩემმან არა უტევა იგი, რამეთუ ენება, რ ა ჲ თ ა მ ც ა მ ყ ო მე მ ჴ ე დ ა რ პალატსა შინა (51, 33—34).

(33r) ولم يترکها ابى لانه يريد ان يصيرنى من جند البلاط

καὶ ὁ πατήρ μου οὐ συνεχώρεσεν βουλόμενός με ἐν τῷ παλατίω στρασεύσθα (P 197r, V 370r).

2. დ ა ი ყ ო ამას ყოველსა მ ყ ო ფ ე ლ (3 v).

καὶ ἔσῃ ταῦτα πάντα ποιῶν (M 41, 32).

შდრ. A — და ჰყოფდე ამას ყოველსა კაცთა შორის (52,25).

(33v) تفعل هذا كله فى الناس

καὶ ἔσει ταῦτα πάντα ποιῶν ἐν τοῖς ἀνθρώις (P 198r, V 370v).

3. პანტელეონ[21]... იხარებდა და მხიარულ იყო (4 V).

ὁ δὲ Παντολέων... ἔχαιρεν καὶ ἠγάλλετο (M 43, 1—2). ეს ადგილი A-ში არ არის.

4. დიდმშუენიერებაჲ (4 r) შდრ. μεγαλοπρέπεια (M 42, 21) და სხვ.

ერთ ადგილას გაპარულია ბერძნიზმი „პრასტინი“ — „აღესრულა ღუაწლი წმიდისა პანტელეიმონისი... პ რ ა ს ტ ი ნ ს ჲ ვისსამე ათამანტიოჲსსა“ (13 v).

---

[21] ჭაბუკ მკურნალს ერქვა პანტელეონ (A), პანტოლეონ (B). მხოლოდ მისი აღსასრულის წინ ხმამ ზეციდან ამცნო მას, რომ მისი სახელი ამიერიდან იქნება „პანტელეიმონ“ — „ყოველთა მოწყალე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შდრ.: ... ἐν προαστείῳ τινὸς Ἀδαμαντίου (M 53, 11—12). შესაბამის ქართულ A და არაბულ ტექსტებში ვკითხულობთ: „აგარაკსა მას შინა"—65,22 და في حقل 40v.

დასტურდება არასწორი თარგმანის მაგალითები: „ბრძანე სიღრმესა ზღვასა მის შთაგდებაჲ და შემოკლებულად წარწყმდეს" (9 v). გამოთქმა „შემოკლებულად" აქ კურიოზულად ჟღერს. მისი გაჩენა განაპირობა შესაბამისი ბერძნული συντόμως (48,30) სიტყვის არასათანადო მნიშვნელობის შერჩევამ. Συντόμως ნიშნავს „მოკლედ" და ამასთანავე „სწრაფად, ჩქარა"[22]. სწორედ ეს მეორე მნიშვნელობა უდგება აღნიშნულ კონტექსტს. ეს არის ე. წ. Mistranslation-ის შემთხვევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის მოდელის დადგენისათვის[23].

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, აშკარა ხდება, რომ „პანტელეიმონის წამების" ქართული B რედაქცია მომდინარეობს ბერძნულიდან, კერძოდ, იმ ტიპის ბერძნული ტექსტიდან, რომელიც გამოცემულია ვ. ლატიშევის მიერ.

რაც შეეხება A რედაქციას, იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს შესაბამის ბერძნულ და არაბულ ვერსიებთან. ამ სამ ვერსიას შორის შემდეგი მიმართება ვლინდება: არაბული ძალიან ახლოს დგას ბერძნულთან, მაგრამ მისგან რამდენადმე მაინც სხვაობს. ქართული თითქმის ყოველთვის მიჰყვება არაბულს. ერთგვარი მინიშნება ამაზე ზემოთ მოტანილ მაგალითებშიც გამოსჭვიოდა. სპეციალური შესწავლა კი ამ შთაბეჭდილებას უფრო აღრმავებს. აქ შეიძლება ზოგიერთი მომენტის გამოყოფა.

ცალკეული ადგილები ბერძნული ტექსტისა არაბულ-ქართულ ვერსიებში რამდენადმე შეცვლილია, რაც ზოგჯერ რედაქციული ცვლილებების ხასიათსაც კი ატარებს, შდრ.:

1. და ვითარ იხილა მეფემან, რამეთუ უსმ არს და ურგებ თხოვაჲ მათი, უბრძანა პანტელეონს, რაჲთა ითხოვოს სათხოველი მისი მან.
58, 17—18

فلما را الملك انه ليس يغنى شى امر بنطلاون ان يسل طلبه
36v

λέγει ὁ βασιλεὺς· ποίεσον Παντολέων τὴν ἐπίλεσίν σου.
P 206r შდრ. V 372
ამბობს მეფე: „ქმენ (ან მიიღე) პანტელეონ სათხოვარი შენი".

2. კურნებასა, რომელსა მე ვჰკურნებ, ვერვინ მკურნალთაგანი შემძლებელ არს მას მიწუდომად, რამეთუ რომლისა მოძღურისაგან მე ვის-

τήν ἐπιμέλειαν ἣν μέλλω παρέχειν τῷ ἀνδρὶ οὐδεὶς τῶν λοιπῶν ἰατρῶν ἐπίσταται μείζων γὰρ αὐτῶν ἐστὶν ὁ διδάξας με.
P 201r, V 371r,v

[22] И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958.

[23] G. Garitte, Traduttore traditore di se stesso, Extrait du Bulletin de l'Académie royall de Belgique (Classe des Lettres), 1971, 1—3, გვ. 74—79.

წავე, უკელოვნეას არს იგი მათ ყოველთასა.

54,38; 55,1—2

العلاج الذى اعالجه به ليس يقدر عليه احد من الاطبا لانه المعلم الذى تعلمت انا منه هو احكم كلهم

34v

„მზრუნველობა, რომელიც მე გავიზრახე მივანიჭო ადამიანს, არავინ გამოავლინა სხვა ექიმთაგან, რამეთუ უდიდესი არის მათგან ის, რომელმაც მასწავლა მე“.

3. მაშინ მოვიდა ერთი ვინმე ზედამდგომელი მკეცთაჲ და ჰრქუა მეფესა: მზა არიან ყოველნი მკეცნი. მას ჟამსა ბრძანა, რაჲთა მიუგდონ წმიდაჲ იგი მკეცთა.

61,10—12

حينيذ اتا واحد من القيمين على السباع وقال للملك قد هييت كل السباع عند ذلك امر بالقديس ان يطرح للسباع

38r

ბერძნულში ყოველგვარი წიაღსვლების გარეშე აღნიშნულია:

ὁ δὲ βασιλεὺς ἀμμανής γενόμενος ἐκέλευσεν ἄγεσθαι αὐτὸν ἐπὶ τὸν τόπον.

P 210r

„რისხვით მოცულმა მეფემ ბრძანა მოყვანა მისი ამ ადგილას“.

ἐκέλευσεν βασιλεὺσ ἄγεσθαι τὸν δίκαιον.

V 373 v

„ბრძანა მეფემ მოყვანა მართლისა“.

ზოგჯერ ცალკეული პასაჟები ქართულ-არაბული ტექსტებისა ბერძნულში არ ჩანს. მაგალითად, არ ჩანს ნაწილი პანტელეიმონის ღვთისადმი ღაღადებისა:

ახარე სულსა მონისა შენისასა, რამეთუ შენდამი, უფალო, აღვიღე სული ჩემი, რამეთუ შენ, უფალო, ტკბილ და მართალ ხარ, დიდად მოწყალე ყოველთათუის, რომელნი გხადიან შენ; ყურად-იღე, უფალო, ვედრებისა ჩემისაჲ და მომხედენ ჴმასა ლოცვისა ჩემისასა და ისმინე ჩემი, რამეთუ შენდამი ვღაღადებ, რამეთუ არავინ არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო, და არარაჲ არს საქმეთა შენთაებრ, რამეთუ შენ, უფალო, შემეწიე და ნუგეშინისმეც მე.

62, 13—19.

فرح نفس عبدك يارب فانى اليك رفعت نفسى انت يا ربى الصالح القريب الكثرة الرحمة على جميع الذين يدعونك انصت الى صلاتى واستمع صوت ابتهالى واستجيب لى فانى اليك دعوت ليس فى الالهة مثلك يارب ولا مثل اعمالك انك انت يا رب الذى اعتنى وعزتنى

38, v

არ დასტურდება მისი სხვა ვედრების ნაწილიც:

უგალობდე სახელსა შენსა, მაღალო, რაჟამს მართლუკუნიქცნენ ყო-

ازمر لاسمك يامتعالى اذ يرتدون اعدايه على ادبارهم يمرضون ويهلكون

ეროვნული ბიბლიოთეკა

من قدامك انك قد اجتريت وحكمت
لى جلست على منبرك يا ديان العدل
انتهرب الشعوب وهلك الكافر ورب دايما
الى الدهر

37v

ველნი მტერნი ჩემნი, მოუძლურდენ და წარწყმდენ პირისაგან შენისა, რამეთუ ჰყავ სამართალი შენი, მჯავრი ჩემი, დაშჯედ საყდართა ზედა, მსაჯულო სიმართლისაო, შეჰრისხენ წარმართთა და წარწყმდა უღმრთოჲ, ხოლო უფალი ჰგიეს უკუნისამდე.

60,19—23

გვხვდება საპირისპირო მოვლენაც. ზოგიერთი ეპიზოდი ბერძნულში უფრო ვრცლად არის აღწერილი, მაგალითად, პანტელეიმონისა და მეფის საუბარი პანტელეიმონის ქრისტიანი მეგობრების მოყვანის თაობაზე, პანტელეიმონის წასვლა მათ მოსაყვანად (P 211v, 212r; V 374) და სხვ.

„პანტელეიმონის წამების“ სხვა ბერძნული ხელნაწერების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ მსგავს მაგალითებს ძირითადი არგუმენტის ძალა, ბუნებრივია, ვერ ექნება, მაგრამ სხვა რიგის დამთხვევებთან ერთად ისინი უკვე სიმპტომატურნი ხდებიან. უამრავი დამთხვევა შეინიშნება ცალკეული დეტალების გადმოცემისას. მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს. ქართულ-არაბულ ტექსტებში აღნიშნულია, რომ ბორბალი მიიტანეს „ადგილსა ფრიად მაღალსა“ (62,9) موضع عالى (38v), ბერძნულში მის შესატყვისად დასტურდება — θέατρον (P 211r, V 374r), B რედაქციით — „სახილველი“ (11 r). ბერძნულში პანტელეიმონის ეპითეტად ხშირად გამოყენებულია δίκαιος (P 210 r, V 773v და ა. შ.). ეს ეპითეტი ქართულ-არაბულში არსად არ გვხვდება. მას ენაცვლება قدّيس — „წმიდა“ (38 r — 61-11 და სხვ.). ბერძნული ტექსტით პანტელეიმონი გზაში ნახავს მოგუდულ ბავშვს, რომლის გვერდით წევს ექიდნა — αἰχίδνης (P 198v, V 370v). არაბულში აქ დართულია განმარტება — „გველი ექიდნა“ — الحية الافعا (33 v). ზუსტად ასევეა ქართულში: „გუელი იგი ჯარბი“ (52, 37). B-ში კი გვხვდება მხოლოდ „იქუდნე“ (3 v). მხოლოდ ქართულ-არაბულ ტექსტებშია დადასტურებული ჩვენება, რომ პანტელეიმონი დაასაფლავეს „გარეშე ზღუდისა ქალაქისასა აღმოსავლით კერძო“ (65,23) — خارج حايطها مما يلى الشرق (40 v), ბერძნული და ქართული B ტექსტებით იგი დამარხეს „გარეშე ზღუდისა დასავალით“ (14 r) — ἔξω τειχέων κατὰ δυσμὰς ((M 53,12; P 216) და ა. შ.

„პანტელეიმონის წამებაში“ არის ასეთი ეპიზოდი: იმპერატორი მაქსიმიანე ბრძანებს გააკეთონ უზარმაზარი ბორბალი, ბერძნული ტექსტით—τροχός (P 211 r, V 374 r), აიტანონ მაღალ ადგილას, მიაკრან ზედ ურჩი პანტელეიმონი და მთელი ძალით დააგორონ ძირს, რათა „დაჭრნეს და დაბზარნეს ჴორცნი მისნი და მოკუდეს“ (62, 6). მაგრამ ღვთის განგებით სკდება ბორბალი და პანტელეიმონი რჩება მთელი და უვნებელი. ქართულში „ბორბლის“ ნაცვლად დასტურდება „ურემი“ (62, 3,8), რაც სრულიად შეუსაბამოა აღნიშნული კონტექსტისათვის. არაბული ტექსტის შესაბამის ადგილას გვხვდება სიტყვა عجلة (38 v), რომელიც ნიშნავს როგორც „ბორბალს“, ასევე „ურემს“[24]. გამოდის, რომ

[24] «Колесо; коляска, повозка» იხ. Х. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულში დადასტურებული „ბორბალის“ ნაცვლად ქართულში სრულად „ურემის“ ხმარება გაპირობებულია არაბული عجلة -ის პოლისემიურობით. არაბული ამ შემთხვევაში გვევლინება შუალედურ საფეხურად ბერძნულ და ქართულ ვერსიებს შორის. ეს არის mistranslation-ის ტიპიური მაგალითი.

ქართულ ტექსტში კიდევ შეინიშნება Mistranslation-ის შემთხვევა, ოღონდ უკვე არა ლექსიკური, არამედ გრაფიკული ხასიათის. ბერძნულ ტექსტში რამდენჯერმე იხსენებიან ჰიპოკრატე და გალენი — Ἱπποκράτης, Γαληνός (M 46, 27; P 205 v, V 372 v). ქართულში შესაბამისად ვკითხულობთ: „ბაგრატ, გალიანოს“ (58,14—15). საიდან უნდა გაჩენილიყო ფორმა „ბაგრატ“? ვფიქრობთ, ესეც მხოლოდ არაბულის გზით აიხსნება. არაბულ ვერსიაში Ἱπποκράτης გადმოცემულია بقراط (36v) ფორმით. „ალიფი“ აქ აღიქმება პროტეთულ „ალიფად“, რომელიც ხშირად გვხვდება არაბიზირებულ ბერძნულ სახელებში, بقراط ფორმა კი ასოცირდება მხოლოდ „ბაგრატთან“.

სხვა საკუთარ სახელებშიც თითქოს უფრო მეტად არაბული გავლენა იგრძნობა, ვიდრე ბერძნული. ამას გვავარაუდებინებს პარალელები ბერძნულიდან ნათარგმნი ქართული B რედაქციიდან. ბერძნული „ჳ ფსილონ“ არაბიზირებულ ბერძნულ სახელებში არ არის ასახული. იგივე სურათია შესაბამის ქართულ A რედაქციის ტექსტში. B რედაქციაში კი იგი ყოველთვის წარმოდგენილია. შდრ., ერთის მხრივ, Εὐστόργιος (M 40, 9; P 195v; V 369 v) და ევსტურგი (B 2r), Εὐβούλης (M 41,5; P 196v; V 370 v) და ევბულე (B 2 v), Εὐφρόσυνος (M 40, 17; P 195 v; V 371 r) და ევფროსინე (B 4v) და, მეორე მხრივ, اسطرجيوس (32v) და ასტარგიოს (A 50, 20), ابولاس (33r) და აპოლა (A 51,28), افروسونى (32v) და ეფროსინე (A 53,38).

არაბული ტექსტის ცალკეული ნიუანსები საკმაოდ ხშირად ვლინდება ქართულ ვერსიებშიც. არაბულის კვალობაზე ჩანს ნახმარი ზოგიერთი ნაწილაკი, ზმნიზედა, კავშირი და სხვ. მაგალითად:

فقالوا له وزراه لانه يبطل كل ما تاتى به عليه من العذاب ولكن امر ان يهيا له عجلة كثيرة

38v

ჰრქუეს მას თანა-მზრახველთა მისთა, რამეთუ დაჰკსნის და განაქარვებს ყოველთა სატანჯველთა, რომელთა მოაწევ მის ზედა; არამედ ბრძანე, რაჲთა შექმნან ურემი ფრიად დიდი.

62,1—3

ციტირებულ ქართულ ფრაზაში თითქმის სრულად არის ასახული შესაბამისი არაბული სპეციფიური კონსტრუქცია თავისი კავშირებითა და ნაწილაკებით, რომლებიც, სხვათა შორის, ბერძნულში არ დასტუდება. შდრ.: οἱ δὲ λέγουσιν αὐτῷ· βασιλεῦ πάντα ὑπὸ χεῖρα αὐτοῦ ἀγόμενα κατάργει, κέλευσον γενέσθαι τροχὸν (V 374r) «უთხრეს მას: მეფეო, (რამეთუ) მისი ხელით ისპობა ყველაფერი წარდგენილი (ἀγόμενα), ბრძანე ბორბლის შექმნა“.

შეძლება უფრო მარტივი მაგალითების მოტანა. ქართულ-არაბულში პანტელეიმონი „მსწრაფლ მუნთ ქუესვე წარვიდა (53,9) — وانطلق مسرع (33v), ბერძნულში კი პირდაპირ—καὶ πορευθεὶς (M 42,14; P 199r; V 350v). ასევეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

B-ში: „წარვიდა იგი“ (3v); ქართულ-არაბულში „ეშმაკნი მრავალნი განასხნა კაცთაგან“ (52, 10)—اخرج الشيطان من الناس (33r), ბერძნულში კი—δαίμονας ἀπήλασεν (M 41, 21; P 197v; V 350v) და B-ში—„ეშმაკნი განასხნა“ (3 r) და ა. შ.

განსაკუთრებით სიმპტომატურია ენობრივად და აზრობრივად გაუმართავი ქართული ფრაზები, რომელთა ახსნა შესაძლებელი ხდება პარალელური არაბული ტექსტებით. ბერძნული ამ შემთხვევებში არ გვადგება, მაგალითად:

1. „და შენ იყავ ნავთ-საყუდელ მყუდრო, რომელნი მოივლტოდიან შენდა“ (65, 1). არაბულში ამ ფრაზას შეესატყვისება: وانت تكون مينا للذين يلجون اليك (40r) (يلجؤن უ.ი.) „და შენ ხარ (ან შენ იქნები) ნავთ-საყუდელი იმათთვის, რომელნიც მოილტვიან შენსკენ“. ვფიქრობთ, აქ للذين შეცდომით ამოკითხულია როგორც الذين. ამისთვის ხელი უნდა შეეწყო წინამავალ სიტყვას— مينا, რომელიც ალიფით მთავრდება და რომელსაც ინტერვალის გარეშე მოსდევს للذين (ქრისტიანულ არაბულ ტექსტებში „ალიფით“ დამთავრებულსა და „ალიფით დაწყებულ სიტყვებს შორის ხშირად იწერება ერთი საერთო „ალიფი“ და ამასთანავე მათ შორის არ იცვება ინტერვალი). აქ الذين -ს ამოკითხვა კი მხოლოდ ზემოთ მოტანილ ქართულ თარგმანს მოგვცემდა. შესაბამისი ბერძნული ფრაზა განსხვავებული კონსტრუქციისაა. იგი არც არის რთული ქვეწყობილი წინადადება, შდრ.: σὺ γὰρ ἔσῃ λιμὴν χειμαζομένων (P 214 v; V 375 r; M 52, 32) და მისი თარგმანი B-ში: „რამეთუ იყო შენ ნუგეშინისმცემელ შეურვებულთა“ (13 v).

2. „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, მრავალთა საკუირველებათა შენთა ზედა“ (61, 26 — 27). შდრ. არაბ. اشركك يارب يسوع المسيح على كثرة عجايبك (38 r). როგორც ვხედავთ, ქართული „ზედა“ შეესაბამება არაბულ على ნაწილაკს. ეს არის ამ ნაწილაკის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა. მაგრამ მოცემულ კონტექსტში უფრო მართებული იქნებოდა ამ ნაწილაკის სხვა მნიშვნელობით თარგმნა: „გამო, თვის“. მაშინ ფრაზა ასე გაიმართებოდა: „გმადლობთ შენ, უფალო იესუ ქრისტე, მრავალთა საკუირველებათა შენთათჳს“. შესატყვის ბერძულ ტექსტში იგივე აზრია გატარებული, ოღონდ — ყოველგვარი ნაწილაკის გარეშე: δόξα σοι Ἰῦ Χ̄ε̄ μεγαλά σου τὰ θαυμάσια (P 210v, V 374r).

3. არაბულში რთული ქვეწყობილი წინადადების მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ არ იბრუნვის (გამონაკლისია მხოლოდ ორობითი რიცხვი). მისი ბრუნვა გაიაზრება ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის მეშვეობით, რომელიც მთავარი წინადადების საზღვრულს ასახავს დამოკიდებულ წინადადებაში და იმართვის სახელით, ზმნით, ან ნაწილაკით. ეს მართვა განაპირობებს ბრუნვას, რომელიც, ბუნებრივია, თანდებულიანიც შეიძლება იყოს. თარგმანში ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი დამოუკიდებელი მნიშვნელობით არ გადმოდის. ამ რთული კონსტრუქციის ნიუანსები ყოველთვის სათანადოდ არის გათვალისწინებული ქართულში — ზოგჯერ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი ითარგმნება; ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმა არ არის შესაბამისად გაგებული. ამის შედეგად ფრაზებიც „არაქართულად“ ჟღერს, მაგალითად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა მე ვარ, არამედ უფალი ჩემი, იესუ ქრისტჱ, რომელმან შეგიწყალა მე და ქმნა საკუირველებაჲ ესე, რომელსა შენ ღირსვე არა ხარ ხილვად მას“ (60, 28—29). ამ ფრაზისათვის ზედმეტი ნაცვალსახელი „მას“ თარგმანია არაბული ნაცვალსახელოვანი ნაწილაკისა ه. ბერძნულის მეშვეობით იგი ვერ აიხსნება. შდრ. არაბ. ليس انا ولكن سيدى المسيح هو الذى رحمنى وفعل هذا (37v) ليس انت ان تراه الذى და ბერძ. οὐκ ἐγὼ ἀλλ ὁ ἐν ἐμοὶ Χ῾ς ὃν σὺ οὐκ εἶσ ἄξιοσ θεωρῆται P 209 v, V 373v — «მე არა, არამედ ჩემით ქრისტემ, რომლის ხილვის ღირსი შენ არა ხარა“.

4. „მათ მიუღებიეს გუირგუინი წამებისა მათისაჲ, რომელისაცა ჰსუროდა“ (64, 4—5). შდრ. არაბ. قبلوا اكليل شهادتهم الذى كانوا مشتقين اليه (39v). „რომელისაცა ჰსუროდა“, ვფიქრობთ, არაბულის კალკი უნდა იყოს — الذى كانوا مشتقين اليه. მიმართებითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვა „რომლისაცა“ გაპირობებულია ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის ნათესაობითი ბრუნვით, რაც, თავის მხრივ الى ნაწილაკით არის გამოწვეული. მაგრამ الى აზრობრივადაც დატვირთულია და ეს გარემოება თარგმანში თანდებულიანი ბრუნვის მეშვეობით საჭიროებდა ასახვას. ამასთანავე, ზმნას اشتاق გაჩნია ქართულში წარმოდგენილი მნიშვნელობა: „სურდა, ძლიერ სურდა“, მაგრამ الى ნაწილაკით იგი „რაიმესკენ სწრაფვას“ ნიშნავს. ასე რომ, მოტანილი არაბული ფრაზის სწორი თარგმანი იქნება: „მათ უკვე მიიღეს გვირგვინი მათი წამებისა, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ“. ბერძნულში ეს დამოკიდებული წინადადება საერთოდ არ არის.

განხილული და მსგავსი მაგალითების საფუძველზე ვასკვნით, რომ „პანტელეიმონის წამების“ ქართული A რედაქცია მომდინარეობს არაბულიდან.

სხვათა შორის, „პანტელეიმონის წამების“ შემცველი ლონდონის ნუსხა — Br. mus. or. 5019 — შეიცავს აგრეთვე ამონიოსის „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ ვერსიას. ამჟამად უკვე დადგენილია, რომ ამ ძეგლის ქართული ვერსია მომდინარეობს არაბულიდან, კერძოდ, იმ არაბული რედაქციიდან, რომელიც დაცულია ლონდონის ხელნაწერში[25]. შესაძლოა, ასეთი დამთხვევა არ იყოს შემთხვევითი და იგი იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ეს თარგმანები ერთ გარემოში არის შექმნილი და მათ არაბულ მოდელს ლონდონის ხელნაწერის არქეტიპი წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ ძეგლთა არაბულ-ქართული ვერსიებისა და მათი ხელნაწერების ჩვენებები ასეთ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება. ამ ვერსიათა შექმნის სავარაუდო თარიღები დაახლოებით ერთ პერიოდს მოიცავს და თავისი წარმომავლობით ისინი ერთსა და იმავე სამყაროს უკავშირდებიან. ეს არის სინურ-პალესტინური სამყარო — ქართველ მწიგნობართა და არაბულენოვან ქრისტიანთა ლიტერატურული კონტაქტების კერა. ამასთანავე, ორივე ქართულ ვერსიაში თარგმნის საერთო სტილი და დონე იგრძნობა. ეს არის მაღალი ოსტატობით შესრულებული თარგმანები, რომლებშიც ლაღი და გამართული თხრობის გვერდით გვაოცებს არაბული დედნის ღრმა წვდომა და მისი ცალკეული ნიუანსების უზუსტესი გადმოცემა (ზოგიერთ გამონაკლისს ამ შეფასებისათვის, რასაკვირველია, მნიშვნელობა არა

[25] „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები“, გვ. 047—058.

აქვს). როგორც ჩანს, ეს იმით მიიღწევა, რომ მთარგმნელისათვის ამოსავალია აზრის სწორად გადმოცემა და მისი სათანადოდ აქცენტირება. ამის გამო იგი ხშირად დროდადრო ტექსტოლოგის უტყუარი ალღოთი უმატებს ან აკლებს ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს.

დასასრულ შეიძლება დავაჯამოთ ჩვენი დასკვნები:

1. ქართულ ენაზე არსებობს „პანტელეიმონის წამების“ მეტაფრასული და ორი კიმენური რედაქცია.

2. ერთი კიმენური რედაქცია ადრეულია. იგი წარმოდგენილია ხელნაწერებში: სინ 11, სინ. 62 და ბოდლ. 1. მეორე კიმენური რედაქცია შედარებით გვიანდელია. იგი დაცულია მხოლოდ ერთ ხელნაწერში — სინ. 71-ში.

3. ადრეული კიმენური რედაქცია თარგმნილია არაბულიდან. გვიანდელი კიმენური რედაქცია მომდინარეობს ბერძნულიდან.

Р. В. ГВАРАМИЯ

## ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ «МУЧЕНИЧЕСТВА ПАНТЕЛЕЙМОНА» И ИХ ИСТОЧНИКИ

Р е з ю м е

В христианской литературе популярностью пользовался агиографический памятник «Мученичество Пантелеймона». Известны его различные версии на греческом , арабском, грузинском, армянском и коптском языках. Древнегрузинская литература сохранила несколько рукописей упомянутого памятника: Sin. georg. 11 (X в. 123 v—143 r), 62 (X в. 106 r—120 v), 71 (XIII в. 2 r—14 r), Bodl. georg. 1 (XI в. 298 v—312 v) и Gel. 3 (XVI в. 716r—733 r). Среди перечисленных списков К. Кекелидзе выделяет две редакции: метафрастскую, переведенную с греческого, в рукописи Gel. 3, и раннюю дометафрастскую редакцию, возникшую примерно в VIII—IX вв., в рукописях Sin georg. 11, 62 и Bodl. georg. 1. Однако выделяется еще одна, сравнительно поздняя, дометафрастская редакция в рукописи Sin. georg. 71. Сопоставительный анализ этих грузинских редакций с остальными версиями «Мученичества Пантелеймона» способствует выявлению их источников. Становится ясным, что моделью ранней дометафрастской редакции является арабская версия (Br. mus. or. 5019), а моделью сравнительно поздней дометафрастской редакции послужил греческий текст (BHG 1412).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ხევსურიანი

# იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში დაცული ქართული პალიმფსესტების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. გერმანელმა მეცნიერმა კ. ტიშენდორფმა 1858 წელს პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა ხელნაწერების კოლექცია, რომელიც 1844—1854 წლებში აღმოსავლეთში ორჯერ მოგზაურობის შედეგად ჰქონდა მოპოვებული. ამ ხელნაწერთა შორის იყო სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან წამოღებული 109 პალიმფსესტური ფურცელი, რომელთა ქვედა ტექსტი ბერძნული ან სირიულია, ხოლო ზედა — ქართული[1]. აღნიშნული ფურცლები ქვედა ტექსტების მიხედვით მოათავსეს საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ბერძნულ და სირიულ ფონდებში, სადაც ისინი დღემდეა დაცული[2].

იმავე 1858 წელს მ. ბროსემ გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც პალიმფსესტური ფურცლების ქართულ ტექსტს შეეხება[3]. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი იძლევა ქართული მასალის აღწერილობას, ადგენს ფრაგმენტულად წარმოდგენილი ტექსტების რაობას, იკვლევს ფურცელთა წარმომავლობას და ათარიღებს მათ. აქვე ათავსებს ზოგიერთი ფრაგმენტის ქართულ ტექსტს ან მის ფრანგულ თარგმანს.

1860 წელს კ. ტიშენდორფმა ახლო აღმოსავლეთში მესამედ გამგზავრების შედეგად კვლავ გადასცა საჯარო ბიბლიოთეკას ხელნაწერთა ახალი დიდი შევსება; ხელნაწერთა შორის კვლავ იყო პალიმფსესტური ფურცლები, რი-

---

[1] A. F. C. Tischendorf, Anecdota sacra et profana ex Occidente allata sive Notitia codicum graecorum, arabicorum, syriacorum, copticorum, hebraicorum, aethiopicorum, latinorum, Leipzig, 1855, გვ. 1—16; G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï, Louvain, 1956, p. 2.

[2] Греч. VI 1—12, VII 1—8, VIII 1, XIII 1—10, XVIII 1, XIX 1—2, XXIII 1—6, XXIV 1—3, XLI 1—3; Сир. H.C. 16/1 1—59. ძველი პაგინაციის მიხედვით ირკვევა, რომ ბერძნული ნაწილი შეადგენდა 49 ფურცელს, ხოლო სირიული — 60-ს, რამდენადაც მე-18 ნომრით აღნიშნული იყო ორი ფურცელი (18 და 18a). შემდგომში, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, დაიკარგა სირიული სერიის ერთი ფურცელი (რიგით 53-ე). ამის შესახებ ცნობა დაცულია ხელნაწერთა განყოფილებაში.

[3] M. Brosset, Notice sur un manuscrit géorgien de la Bibliothèque Impériale publique provenant de m. Tischendorf, Mélanges asiatiques, St. Petersbourg, 1858, t. III, p. 264—280.

მელთა ზედა ტექსტი ქართულია[4]. ამ ფურცელთა ქვედა ტექსტი მთლიანად სპარსულია[5].

1868 წელს მ. ბროსემ პალიმფსესტური ფრაგმენტების მასალის საფუძველზე გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც ქართული ქრონოლოგიის საკითხებს შეეხება[6]. კერძოდ, მასში მოცემულია იოანე-ზოსიმეს პასკალისტური შრომის — „ცნობისათჳს და უწყებისა ჭეშმარიტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ განსაზღურებულად, გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა, თთუეთა და დღეთა, მცხრალისათჳს და დღის საძიებელისა, შჳდეულისათჳს და ნაკთა, მთოვარისა ზედნადებისათჳს და ხუთეულისათჳს და ექუსეულისა“ — ფრანგული თარგმანი ვრცელი კომენტარებით[7]. მ. ბროსეს ამ ნაშრომში ერთი სიტყვაც არ არის თქმული ქართული პალიმფსესტური ფურცლების ახალ შევსებაზე. მათ მ. ბროსე არც სხვა დროს შეხებია. მიუხედავად ხანგრძლივი და ავტორიტეტული კვლევისა, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება ზუსტი ცნობები ლენინგრადის პალიმფსესტების შედგენილობის შესახებ[8]. ამის თვალნათლივი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში განხორციელებულ მრავალ მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოცემაში, როგორიცაა კათოლიკე-ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, პავლენი, მამათა სწავლანი და პატერიკული ტექსტები, ცალკეულ თხზულებათა ჟ. გარიტისეული პუბლიკაციები[9], გათვალისწინებული არ არის ლენინგრადის ფრაგმენტებში დაცული ტექსტები.

ლენინგრადის ფრაგმენტების შესწავლით ირკვევა, რომ დღეს პალიმფსესტურ ფურცელთა საერთო რაოდენობა 185-ს შეადგენს (მ. ბროსეს მიერ აღწერილია მხოლოდ 109 ფურცელი), აქედან 49 ქვედა ტექსტის მიხედვით ბერძნულენოვანია, ხოლო დანარჩენი 136 — სირიული[10]. ამასთანავე გაირკვა, რომ

---

[4] A. F. C. Tischendorf, Notitia editionis codices bibliorum Sinaitici... Accedit catalogus codicum nuper ex Oriente Petropolin perlatorum, Leipzig, 1860, p. 49; G. Garitte, დასახ. აღწერილობა, გვ. 2.

[5] Сир. H. C. 16/2, 1—70, 16/3, 1—7.

[6] M. Brosset, Etudes de Chronologie technique, I, Mémoires de l'Académie Impériale des Sciences de St. Petersbourg, VII série, XI, № 13, 1868, p. 1—20.

[7] იოანე-ზოსიმეს აღნიშნულ შრომას მ. ბროსე ეხება თავის პირველ წერილშივე, გვ. 269—279. ამავე შრომას ეხება დ. ბაქრაძეც 1889 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე“), გვ. 235—236. აქვე ლენინგრადული ფრაგმენტებიდან გამოქვეყნებულია ასტროლოგიური ხასიათის თხზულება „კალანდაჲ, თქუმული ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲ“.

[8] კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ და სხვა ნაშრომებში იყენებს ლენინგრადის მასალას ქრონოლოგიის საკითხებზე და იოანე-ზოსიმეს ნაშრომთა შესახებ მსჯელობისას (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 164—170; მისივე, როდისაა გადაწერილი ჰადიშის სახარება? ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 2, 1923, გვ. 392—397. ჩვენი დაკვირვებით, კ. კეკელიძე მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ცნობებსა და ტექსტებს ეყრდნობა და ამ მასალას უშუალოდ არასოდეს გაცნობია.

პ. ინგოროყვას ეკუთვნის ლენინგრადული პალიმფსესტებიდან ზოგიერთი ტექსტის, მათ შორის „ქებაჲ ქართულისა ენისაჲს“, პუბლიკაცია. იხ. თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965, გვ. 208—215, 266—268.

[9] ამ გამოცემებს შევეხებით ქვემოთ.

[10] ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის პალიმფსესტური ფურცლების სირიული ნაწილის აღწერილობაში, რომელიც ნ. პიგულევსკაიას ეკუთვნის, რატომღაც, მითითებულია არა 136, არამედ 129 ფურცელი. იხ. Н. В. Пигулевская, Каталог сирийских рукописей Ленинграда. Палестинский сборник, вып. 6(69), 1960, с. 55. აქვე შევნიშნავთ, რომ თუმცა ხუთიოდე

5.1 ფურცელი ამოღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მრავალმხრივ შესწავლილი Sin. 34 ხელნაწერიდან, რომლის ნაწილები უკანასკნელ დრომდე უიმედოდ დაკარგულად ითვლებოდა[11]. დანარჩენი ფურცლები კი ერთ კრებულს ქმნიან, თუმც არასრულს, მაგრამ გარკვევით ერთ კრებულს. წინამდებარე ნაშრომი ამ კრებულის, როგორც გარკვეული მთლიანობის, დახასიათებას ეძღვნება.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ კრებულის შემადგენელი ყველა ფურცელი იოანე-ზოსიმეს ხელით არის გადაწერილი. ერთ-ერთ მათგანზე მოცემულია კრებულის ზანდუკი[12].

„სწერი[ა] წმიდასა ამას წიგნსა შინა თავები ესე ი:

ა. განგებაჲ კანონისაჲ.

ბ. წმიდათა მოციქულთა კათოლიკენი სრულიად და პავლჱ სამი თავი სრულიად.

გ. და პავლჱ ყოველთა სამოციქულოთა თავ-თავები სრულიად.

დ. და საქმჱ წმიდათა მოციქულთა თავ-თავები სრულიად.

ე. ეგრევე წმიდათა კათოლიკეთა თავ-თავები სრულიად.

ვ. და წმიდაჲ სახარებაჲ ქანჭარი და ანდერძი.

ზ. და წმიდათა კვრიაკეთა საცისკრონი და სასამხრონი სახარებანი რვათავე ჴმათა ზედა სრულიად.

ჱ. და მსგებსობაჲ სრულიად.

თ. და წმიდისა მამისა პიმენის სწავლანი... რაჲ თავი სრულიად.

ი. და წმიდისა მამისა არსენის ეპისტოლენი სრულიად. და ლოცვასა წმიდასა გვედიეთ ცოდვილი ესე, ამენ“.

ზანდუკი მოთავსებულია ფურცლის r-ზე, და, როგორც ვხედავთ, კრებულის ათი თავის შინაარსს გადმოგვცემს. ამავე ფურცლის v-ზე კი, რომელიც თავიდან დაუწერელი უნდა ყოფილიყო, იოანე-ზოსიმეს მოგვიანებით, ყოველგვარი ნუმერაციის გარეშე, დაუმატებია კიდევ შემდეგი სათაურები:

„და წმიდისა აბრაჰამ მონაზონის სწავლაჲ წმიდისა მარხვისათჳს.

და წმიდისა სტეფანესი მძოვრისაჲ საბაწმიდელისაჲ სწავლაჲ ლოცვისა და ღამისთევათათჳს.

და წმიდისა თევდორე მონაზონისაჲ ლოცვისათჳს“.

მ. ბროსე, რომელმაც ზანდუკის ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა, ამ გაგრძელებას სხვა პირის გადაწერილად მიიჩნევს[13]. მაგრამ, როგორც ირკვევა,

---

ფურცელზე (Сир. 16/1 1, 55, 59; Греч. VI 6, XLI 2) ქართული ტექსტი არ დასტურდება, მათი ქართული ხელნაწერებიდან მომდინარეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ გავითვალისწინებთ გარკვეულ ტექნიკურ მონაცემებს.

[11] Sin. 34-ის შემსვები ფურცლები აღწერილია ჩვენ მიერ, იხ. სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ნაკვ. I, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამაიამ, თბ., 1978, გვ. 131—143. ამავე ფურცლებს ეხება ლ. ხევსურიანის ნაშრომი: Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, თბ., 1977, გვ. 88—122.

[12] Сир. H. C. 16/1, 50.

[13] M. Brosset, Notice... p. 264—265.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი იოანე-ზოსიმესია. იოანე-ზოსიმეს მსგავსი ნაწერი სხვა ხელნაწერებშიც დასტურდება.

კრებული სწორედ ამ ზანდუკით იწყებოდა, რაზედაც მეტყველებს ფურცლის ზედა ამიაზე მოთავსებული რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი ა. დაშლილი ხელნაწერის ზანდუკის მიხედვით დალაგების შედეგად აღმოჩნდა, რომ კრებულის შემადგენელი ტექსტების თანამიმდევრობა სრულ შესატყვისობაშია, ერთი მხრივ, ზანდუკთან, მეორე მხრივ, რვეულებრივ სათვალავთან, რომელიც 16 რვეულის მანძილზე ჩანს. ამ რვეულებიდან ზოგი სრულია, ზოგი ნაკლული, ზოგიც მთლიანად დაკარგული. სრულ რვეულებში ფურცელთა რაოდენობა ერთნაირი არ არის. სრულია I, III—X რვეულები, ნაკლულია II, XI, XII, XVI, მთლიანად აკლია — XIII, XIV, XV და XVII, რომელშიც გრძელდებოდა XVI რვეულიდან პიმენის სწავლანი. უკანასკნელ 12 ფურცელზე რვეულებრივი სათვალავი არ დასტურდება.

კრებულის შემადგენელი ნაწილებიდან დღეს სახეზეა: 1. განგებაჲ კანონისაჲ. 2. კათოლიკე ეპისტოლეთა სრული ტექსტი. 3. პავლე მოციქულის პირველი, მერვე და მეცხრე ეპისტოლეები სრულად — ეპისტოლე რომაელთა მიმართ და პირველი და მეორე ეპისტოლეები თესალონიკელთა მიმართ. 4. ნაწყვეტი მათეს სახარებიდან (XXIV,1—XXVI,2) სრულად, რომელიც „ქანქარად" იწოდება. 5. ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან, რომელიც „ანდერძად" იწოდება, ბოლონაკლული, სახეზეა XIII,1—5. 6. პიმენის სწავლათა XII—XXVIII და LXI—LXVII თავები. 7. აბრაჰამ მონაზონის, სტეფანე საბაწმიდელისა და თევდორე მონაზონის ზანდუკში მითითებულ სწავლათა სრული ტექსტები, რომლებიც კრებულში მოგვიანებით ჩანს შეტანილი.

კრებულს აკლია: 1. პავლეს სამოციქულოს, საქმე მოციქულთასა და კათოლიკე ეპისტოლეთა ე. წ. „თავ-თავები". 2. წმინდა კვირიაკეთა საცისკრო და სასამხრო სახარებანი რვა ხმაზე ანუ 16 ნაწყვეტი სახარებიდან. 3. სამსგეფსო საკითხავები და სახარებანი. 4. პიმენის სწავლათა დიდი ნაწილი. 5. არსენის ეპისტოლენი.

როგორც ვხედავთ, კრებული ნარევი ხასიათისაა, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი, შეიძლება ითქვას, ლიტურგიკული დანიშნულებისაა, რადგან მასში წარმოდგენილია სამოციქულოსა და სახარების ტექსტები სათანადო განგებით, რაც მათ საღვთისმსახურო გამოყენებას გულისხმობს. ამგვარი ნარევი ხასიათის ნუსხები სხვაც არის სინურ კოლექციაში. განსაკუთრებით ახლოს დგას ლენინგრადულ ხელნაწერთან Sin. 81 (ცაგარლის აღწერილობით)[14], რომელიც დიდი ხნის წინათ გაიტანეს სინის მთიდან და, ჟ. გარიტის ცნობით, ბოლოს აღმოჩნდა კერძო მფლობელის ხელში შეერთებულ შტატებში[15]. ხელნაწერი იოანე-ზოსიმეს 979 წელს გადაუნუსხავს. ცაგარლის აღწერილობაში მოყვანილი ზანდუკის მიხედვით იგი შეიცავს: კათოლიკე ეპისტოლეებს სრულად, პავ-

---

[14] А. Ц а г а р е л и, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Православ. Палестинский сборник, т. 4, вып. I, СПб., 1888, с. 233.

[15] G. G a r i t t e, Un extrait géorgien de la Vie d'Étienne le Sabaite, Le Muséon, vol. 67, fasc. 1—2, 1954, p. 70—92. G. Garitte, Catalogue des manuscrits... p. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს სამ ეპისტოლეს[16], სახარებიდან „ქანჭარსა"[17] და „ანდერძს", სასამხრო სახარებებს (უთუოდ იგულისხმება წმიდა კვირიაკეთა სასამხრო სახარებები), პიმენისა და სტეფანე საბაწმიდელის სწავლანს და ზოგიერთ სხვა მასალას. აქ ჩამოთვლილი ყველა ტექსტი, როგორც ვხედავთ, საერთო ჩანს ლენინგრადულ ხელნაწერთან.

შევეხებით ლენინგრადული ნუსხის ცალკეულ ნაწილებს და მოკლედ დავახასიათებთ მათ.

კათოლიკე ეპისტოლეებს, რომლებიც სრულადაა მოღწეული, 37 ფურცელი უჭირავს და შემდეგი თანამიმდევრობითაა გადაწერილი: იაკობი, პეტრე, იოანე, იუდა. ყოველი ეპისტოლე სათაურით იწყება და მინაწერით თავდება, რომელშიც იოანე-ზოსიმე თავს მჩხრეკალს უწოდებს და შენდობას ითხოვს. ეპისტოლეთა ლენინგრადული ტექსტი, როგორც ეს შედარებამ გვიჩვენა, რედაქციულად დგას Sin. 39 და Sin. 31 ნუსხებთან და უმნიშვნელოდ სხვაობს მათგან. ეპისტოლეთა ძველი სინური რედაქცია აქამდე ფაქტიურად ერთი — Sin. 39 სრული ნუსხით იყო წარმოდგენილი; Sin. 31 მეტად ნაკლულია, იაკობის კათოლიკეს მეორე თავზევე წყდება, ხოლო Sin. 81 (ცაგ.) ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია. ახლა, როგორც ვხედავთ, გამოჩნდა მეორე სრული ნუსხა.

პავლეს ეპისტოლეებს, რომლებმაც ასევე სრული ტექსტით მოაღწიეს ჩვენამდე, 47 ფურცელი უჭირავს და ერთმანეთის მომდევნოდ არის გადაწერილი. აქაც ყოველი ეპისტოლე სათაურით იწყება და მინაწერით თავდება. შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ ლენინგრადული ტექსტი პავლეს ეპისტოლეთა გამოცემაში B რედაქციით აღნიშნულ ხელნაწერებთან დგება[18]. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ერთადერთ სინურ ნუსხას (Sin. 58/31) სწორედ ის თავები აკლია, რომლებიც ლენინგრადის ხელნაწერშია დაცული: რომაელთა მიმართ ეპისტოლე და II ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ მთლიანად, პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ — ნაწილობრივ (წყდება II, 17-ზე). ამგვარად, ლენინგრადული ნუსხა სინური ნუსხის ხარვეზს ავსებს[19].

ლენინგრადული ხელნაწერის თავისებურებაა ის, რომ მასში ეპისტოლეები აშიებზე მოთავსებული რიცხვებით დაყოფილია მონაკვეთებად, რასაც იოანე-ზოსიმე საკითხავებს უწოდებს. ამის თაობაზე კათოლიკე ეპისტოლეთა დასასრულს ვკითხულობთ: „დაესრულნეს წმიდათა მოციქულთა კათოლიკენი, საკითხავნი წმიდისა იაკობისნი **ი,** წმიდისა პეტრჱსნი **კდ,** წმიდისა იოვანჱსნი **ჲვ,** იუდაჲსნი **ბ.** მჩხრეკალი ამათი იოვანე ფრიად ცოდვილი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და ჯორციელნი, და ყოველი ერი და ნათესავი ჩემი, ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ..." (Спр. Н. С. 16/1 32v).

---

[16] ა. ც ა გ არ ე ლ ი ასახელებს პეტრეს სამ ეპისტოლეს, რაც მართებული არ არის. ტრადიციით პეტრეს მხოლოდ ორი კათოლიკე ეპისტოლე მიეწერება. ამას გარდა, კათოლიკე ეპისტოლენი, რომელიც Sin 81-ში ცალკე თავად არის დასახელებული, უკვე გულისხმობს პეტრეს ეპისტოლეებს.

[17] ეს სიტყვა ცაგარლის მიერ ამოკითხულია შეცდომით, როგორც „ქონჭანი".

[18] პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ. ა. შანიძის რედ. თბ., 1974, გვ. 013—015.

[19] Sin 81 (ცაგ.) ხელნაწერის პავლეს ეპისტოლეთა ტექსტი ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია.

როგორც ამ მინაწერიდან ირკვევა, იაკობის კათოლიკეს ტექსტი 10 საკითხავადეროვნული ბიბლიოთეკა იყოფა, პეტრესი — 24, იოანესი — 16 და იუდასი — 2 საკითხავად. მინაწერიდ ეს მონაცემები სრულ შესატყვისობაშია ტექსტის საკითხავებად დაყოფის აღმნიშვნელ სათვალავთან თითოეული მოციქულისათვის.

ტექსტის დაყოფის ასეთსავე სურათს იძლევა Sin. 39 და Sin. 31 ნუსხებიც. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიების გამომცემელი ქ. ლორთქიფანიძე და ამ გამოცემის რედაქტორი ა. შანიძე სინური ხელნაწერებისათვის ნიშანდობლივ დაყოფას თავებად დაყოფად მიიჩნევენ, რაც, როგორც ირკვევა, მართებული არ არის[20]. კათოლიკე ეპისტოლეთა სინურ ხელნაწერებს არ ახასიათებთ ტექსტის ევთალეს სტიქომეტრიით ან სხვა რაიმე წესის მიხედვით თავებად დაყოფა. მათში მხოლოდ საკითხავებად დაყოფა გვაქვს, რაც განპირობებულია ნუსხათა წმინდა პრაქტიკული საღვთისმსახურო დანიშნულებით.

ასეთივე ვითარებაა ლენინგრადული ხელნაწერის პავლე მოციქულის ეპისტოლეთა შემთხვევაშიც. რომაელთა მიმართ ეპისტოლეს იოანე-ზოსიმე ასეთ მინაწერს ურთავს: „პავლჱს მოციქულისაჲ ებისტოლჱ ჰრომაელთა მიმართ მიიწერა კორინთეთ ფიბჱსთჳს დედათ დიაკონისა, რომელი იყო კენკრელთა ეკლესიისაჲ. თავი, საკითხავი, მუხლი“. თავის, საკითხავის და მუხლების რიცხვების მისათითებლად დატოვებულია ადგილები, შემდეგ მინაწერი გრძელდება: „დაესრულა ჲ თავი წმიდისა პავლჱსი ჰრომაელთა მიმართ, საკითხავი მა. მჩხრეკალი ამისი იოვანე ფრიად ცოდვილი და მშობელნი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და ჯოროციელნი, და ყოველი ერი და ნათესავი ჩემი, ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედია და ყოველი დაკლებაჲ შეინდვეთ. ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, გიორგი, იოანე და ყოველნი ქრისტეანენი, ამენ“ (Спр. Н. С. 16/1 54r).

სრულიად ნათელია, რომ იოანე-ზოსიმესათვის არ არის უცნობი ეპისტოლეს ტექსტის დაყოფა თავებად და მუხლებად, თუმც იგი სათანადო რიცხვებს არ უთითებს. ამჯერად იგი ტექსტს საკითხავებად ყოფს, რაც სათანადოდ აღნიშნულია ტექსტის ამიებზე და ბოლოს დართულ მინაწერშიც. X საუკუნის ხელნაწერთაგან, რომლებთანაც დგება რედაქციულად ლენინგრადული პავლეს ტექსტი, მხოლოდ Sin. 58/31 იცნობს ტექსტის საკითხავებად მსგავს დაყოფას[21]. ეს ორი ნუსხა, Sin. 58/31 ნუსხის პავლეს ეპისტოლეთა დეფექტუ-

---

[20] კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, ა. შანიძის რედ. თბ., 1956, გვ. 08, 141.

[21] Sin. 58/31 ხელნაწერი წარმოადგენს სამოციქულოს ნუსხას, გადაწერილს სინაზე 977 წელს. ნუსხა დაწვრილებით აღწერა ჟ. გარიტმა (იხ. მისი Catalogue..., გვ. 189—197). მასვე ეკუთვნის დასაბუთება იმისა, რომ Sin. 60 ხელნაწერი სამოციქულოს ამ ნუსხის ორგანული ნაწილია და შეიცავს ტექსტისათვის შედგენილ საკითხავთა საძიებელს ანუ საწელიწდო განწესებას. ჟ. გარიტი დაწვრილებით აღწერს ხელნაწერში მოცემულ ტექსტის დაყოფას, რასაც საკითხავებად დაყოფად მიიჩნევს. ხელნაწერი უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სინელთა წრეში გადაწერილ ამ ნუსხას, რომელსაც დართული ჰქონდა სამოციქულოს საკითხავთა საწელიწდო განწესება იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით, რის შესატყვისადაც იყო ტექსტი დაყოფილი საკითხავებად, მოგვიანებით უცნობმა რედაქტორმა დაურთო საკითხავთა ახალი საძიებელი ანუ განწესება ბერძნული წესის მიხედვით და შესაბამისად ახლებურად დაყო ტექსტი საკითხავ მონაკვეთებად, რაც ქანწილებისა და ჯვრების საშუალებით შემოფარგლა. ამრიგად, სამოციქულოს ერთი და იგივე ტექსტი დაყოფილია საკითხავებად ორი სხვადასხვა წესის მიხედვით და მას ორი საძიებელი ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის გამო, რაზედაც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, ტექსტის მცირე მონაკვეთნი თანხვდება ერთმანეთს (თესალ. I ეპისტოლე I,1—IV,10), მაგრამ მაინც კარგად ჩანს, რომ ტექსტის ერთნაირი დაყოფა აქვთ, რაც სრულიად განსხვავდება სხვა ნუსხების ევთალეს სტიქომეტრიაზე დამყარებული „თავებად“ დაყოფისაგან.

თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს თესალონიკელთა მიმართ I ეპისტოლეს ტექსტის დაყოფა ლენინგრადის ნუსხისა და პავლეს ეპისტოლეთა B რედაქციის ნუსხების მიხედვით[22].

| ლენინგრადის ნუსხა | Sin. 58/31 | S 407 | S 1138 |
|---|---|---|---|
| I 1—10 | I 1—10 | I 2—II 16 | I 4—II 16 |
| II 1—4 | II 1—4 | II 17—III 10 | II 17—III 10 |
| II 5—9 | II 5—9 | III 11—13 | III 11—13 |
| II 10—16 | II 10—16 | IV 1—12 | IV 1—12 |
| II 17—III 6 | II 17— | IV 13—18 | IV 13—18 |
| III 7 —13 | | V 1—18 | V 1—22 |
| IV 1 —12 | | V 19—28 | V 23—28 |
| IV 13—18 | | | |
| V 1 —11 | | | |
| V 12—28 | | | |

ამგვარად, ლენინგრადულმა ნუსხამ შემოგვინახა კათოლიკე ეპისტოლეთა და პავლე მოციქულის სამი ეპისტოლეს სრული ტექსტები, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ასეთი ადრეული ნუსხები მცირე რაოდენობით მოიპოვება, ამასთანავე შემოინახა ტექსტების საკითხავებად დაყოფის იერუსალიმური ტრადიცია, რომელიც საბაწმიდელ-სინელთა პრაქტიკაში იყო ჩაძკვიდრებული.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ლენინგრადული კრებული შეიცავს მასალას, რომელსაც „განგებაჲ კანონისაჲ“ ჰქვია. იოანე-ზოსიმე ასეთ დასათაურებას აძლევს მას:

„ესე განგებაჲ და განწესებაჲ კანონისაგან წმიდათა საკითხავთაჲ და სახარებათაჲ წელიწადისა დღესასწაულთაჲ, რომელ ამას წიგნსა შინა წერილ არს. სხუაჲ ყოველი წესი კრებათაგან და კანონისაგან ისწავე და ლოცვასა წმიდასა თჳუენსა გვედიეთ“ (Сир. Н. С. 16/1 52)).

სათაურიდანვე ჩანს, რომ აქ მოცემულია სახარებისა და სამოციქულოს საკითხავთა საწელიწდო განწესება (ანუ განაწილება), რომელიც „იერუსალიმური ლექციონარით“ ანუ, როგორც იოანე-ზოსიმე ამბობს, „კანონით“ არის განპირობებული[23]. ეს განწესება შეიცავს მითითებებს კალენდარული რიგით იმა-

[22] შევნიშნავთ, რომ B რედაქციის ნუსხა Ath. 42 არავითარ დაყოფას არ უჩვენებს. Sin 58/31 ნუსხის ტექსტი II, 17-ზე წყდება ფურცელთა კლების გამო. S 407 და S 1138 ნუსხების დაყოფა ემყარება ევთალეს სტიქომეტრიას.

[23] M. Tarchnischvili, Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem (V-e—VIII-e s.), I—II, Louvain, 1959—1960. „კანონისა“ და „კრებაჲს“ შესახებ იხ. კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 5, თბ., 1957, გვ. 242—246; G. Garitte, Le Calendrier palestino-géorgien

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, თუ რა და რომელი საკითხავის შესრულებაა დაწესებული წელიწადის ამა თუ იმ დღეზე თუ დღესასწაულზე, რაც თითქმის ზუსტად იმეორებს საკითხავების ლექციონარისეულ განწესებას[24]. ლექციონარი, თუ შეიძლება ითქვას, საკითხავთა განწესების მოდელია. განწესებას საძიებლის სახე აქვს და აუცილებლად გულისხმობს ტექსტს, რომლისთვისაც იგი დგება. სინური კოლექციის ხელნაწერებში რამდენიმე განწესებაა დაცული. ისინი სახარების ან საოციქულოს ტექსტებს დაერთვიან და კონკრეტული ნუსხის ვითარებას შეესაბამებიან. ასე მაგალითად, Sin. 30/38 ხელნაწერის განწესება, რომელიც ჟ. გარიტმა გამოსცა[25], მხოლოდ სახარების საკითხავებს ასახავს, რადგან ნუსხაში მხოლოდ სახარების ტექსტია. ან კიდევ, Sin. 58-31-60 კრებულის განგება მიგვითითებს საკითხავებს მხოლოდ სამოციქულოდან, რადგან კრებულში მხოლოდ სამოციქულოა წარმოდგენილი.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ლენინგრადის ნუსხაში. რამდენადაც ეს ნუსხა მხოლოდ კათოლიკე ეპისტოლეებს, პავლე მოციქულის სამ ეპისტოლესა და სახარების საკითხავების გარკვეულ რაოდენობას შეიცავს (სახარების საკითხავების დიდი ნაწილი ამჟამად კრებულს აკლია, მათ შესახებ ზანდუკის მიხედვით ვმსჯელობთ), საკითხავთა განგებაში მხოლოდ ის დღეები და დღესასწაულებია შეტანილი, რომელთათვისაც საკითხავები აღნიშნული ტექსტებიდანაა დაწესებული. განწესებაში არ იძებნება არც ერთი საკითხავი „საქმე მოციქულთა“-დან ან პავლე მოციქულის დანარჩენი ეპისტოლეებიდან, იმიტომ, რომ შესაბამისი ტექსტები კრებულში არ არის. არც სახარების საკითხავებია ისეთი სისრულით მითითებული, როგორც ეს ჟ. გარიტის მიერ გამოცემულ საძიებელში გვაქვს. ესეც იმიტომ, რომ სახარების ტექსტის ნაწილია მხოლოდ მასში შესული. ყოველივე ამის გამო ლენინგრადული ნუსხის განწესება მოკლეა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გამოკრებილი სრული ლექციონარიდან.

ამრიგად, საკითხავთა ჩვენ მიერ განხილული განწესება სპეციალურად ამ ნუსხისთვისაა შედგენილი და მის გარეშე კარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას. კათოლიკე ეპისტოლეთა და პავლეს ეპისტოლეთა საკითხავებად დაყოფა, რაც ტექსტში ფიქსირებულია გარკვეული რიცხვებით, ის ტექნიკური საშუალებაა, რომლითაც საკითხავები განწესებაში პოულობენ ასახვას და პირიქით, კალენდრის ამა თუ იმ დღისა და დღესასწაულისათვის ტექსტში იძებნება საჭირო საკითხავი. ყოველივე ეს შესანიშნავადაა განმარტებული იოანე-ზოსიმეს ანდერძმინაწერში, რომელიც „განგებას“ ბოლოში აქვს დართული: „დაესრულა განგებაჲ და განწესებაჲ წმიდათა მოძღუართა მიერ წელიწადისა დღეთაჲ და დღესასწაულთაჲ წმიდისა კანონისაგან სინაწმიდისაჲ, რომელი-რაჲ ამას წიგნსა შინა წერილ არს. ამით რიცხუებითა და საკითხავთა და სახარებათა თავ-თავთა ჩინებითა რომლისაცა დღისაჲ და დღესასწაულისა საკითხავი და სახარებაჲ

---

du Sinaïticus 34 (X-e siècle), Bruxelles, 1958, p. 23—27; მისივე: Un index géorgien des lectures évangeliques selon l'ancien rite de Jérusalem, le Muséon, t. 85, fasc. 3—4, Louvain, 1972, p. 341.

[24] არის ზოგიერთი განსხვავება, რომელიც სინაწმიდის ტრადიციის თავისებურებებით უნდა აიხსნას, რამდენადაც ეს ნუსხა სინაზეა გადაწერილი, რაც მითითებულია „განგების“ ბოლოს დართულ ანდერძში. იხ. ქვემოთ.

[25] G. Garitte, Un index géorgien... p. 337—338.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდეს, ადვილად ჰპოო. და მჩხრეკალი ამისი იოვანე ყოლად ცოდვილი ზოსიმე და მშობელნი და ძმანი ჩემნი, სულიერნი და ჯორციელნი, და ყოველი ერი და ნათესავი ჩემი, ცოცხალი და გარდაცვალებული, ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედიეთ და ყოველი დაკლებაჲ შემინდვეთ ღმრთისათუს და თქუენცა ქრისტემან შეგინდენ და შეგიწყალენ, ამენ“ (Сир. Н. С. 16/1 37v).

ლენინგრადის ნუსხის თავისებურებებზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: როგორც ზანდუკიდან ირკვევა, ბიბლიური ტექსტების ერთი ნაწილი კრებულში შეტანილი ყოფილა გარკვეული დღესასწაულებისათვის დაწესებული საკითხავების სახით, კერძოდ, როგორც წმინდა კვირიაკეთა საცისკრო და სასამხრო სახარების საკითხავები და ე. წ. „სამსგებსო“ საკითხავები (იხ. ზანდუკის მე-7—მე-8 თავები. კრებულის ეს ნაწილი დღესდღეობით მიკვლეული არ არის). ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ „განგებაში“, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, სხვადასხვა კალენდარული დღეებიდან აღნიშნულ საკითხავებზე ამგვარი მითითებები გვაქვს: „მსგებსსა ჰპოო“, „ესე ჰპოო მსგებსსა შინა“, „ესე ჰპოო კჳრიაკეთა სამხრად“ და სხვა. ბუნებრივია, საქმე შეეხება ერთი და იმავე საკითხავის ორგზის ან მეტჯერ გამოყენებას. მსგავსი მითითებები „განგებაში“ საკმაოდ ბევრია და რიგ შემთხვევაში მითითებას საკითხავი მონაკვეთის დასაწყისი და დასასრული ახლავს. ამან საშუალება მოგვცა აღგვედგინა ნაწილობრივ კრებულის ჯერ არმიკვლეული ტექსტები. „განგების“ დეტალური ანალიზისა და საბაწმიდურ-სინური ხელნაწერების ჩვენებებთან მისი შეჯერების შედეგად (ძირითადად ვეყრდნობოდით იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ნუსხებს) შესაძლებელი გახდა საცისკრო სახარებათა რვავე ხმის საკითხავების აღდგენა, ხოლო სასამხრო ანუ ჟამისწირვის სახარებებისა — ხუთი ხმისათვის (I, IV—VI, VIII).

| საცისკრო სახარებები: | სასამხრო სახარებები: |
|---|---|
| მათე XXVIII, 1—20 | მათე IX, 18—26 |
| მარკოზი XVI, 1—8 | იოვანე II, 1—11 |
| ლუკა XXIV, 1—12 | მათე IX, 27—35 |
| იოვანე XX, 1—18 | მარკოზი VII, 24—37 |
| მათე XXVIII, 1—20 | იოვანე II, 12—25 |
| მარკოზი XVI, 9—20 | |
| ლუკა XXIV, 13—35 | |
| იოვანე XXI, 1—14. | |

„განგების“ დაწვრილებითი შესწავლით გაირკვა, რომ წმინდა კვირიაკეთა საცისკრო რვავე სახარების საკითხავი სრულდება ზატიკის პირველ კვირაში. სწორედ აქ აღმოჩნდა ზუსტი მითითებები რვავე საკითხავზე, რამაც აღდგენის საშუალება მოგვცა (იხ. Сир. Н. С. 16/1 36r—v, Греч. XXIV, 2v). ლენინგრადული ნუსხის ეს თავისებურება სრულ თანხმობაში აღმოჩნდა Sin. 30—38 ოთხთავის „განგებასთან“, რომელიც იოანე-ზოსიმეს შედგენილია და სახარების საკითხავების საწელიწდო განწესებას წარმოადგენს[26], აქ ზატიკის პირვე-

[26] გამოცემულია ჟ. გარიტის მიერ, იხ. Un index géorgien... p. 337—338.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კვირის მასალასთან არის ამგვარი შენიშვნა: „აღვსებითგან ახალკვრიაკედმდე ყოველთა დღეთა ჴმათა ცვალებაჲ არს სინაწმიდას და ცისკრად „დიდებაჲ მაღალთასა“ შემდგომად წმიდისა აღდგომისა საცისკროთა სახარებათა იკითხვენ, ვითარცა წმიდათა კვრიაკეთა, განიღჳძებითურთ...“[27]. ამ შენიშვნის შესატყვისად Sin. 30—38-ის „განგებაში“ ხატიკის პირველი კვირის საცისკრო სახარებები მართლაც ემთხვევა საკვირაო საცისკრო სახარებებს[28], როგორც ეს ლენინგრადულ ნუსხაშია[29]. საკითხავების ზუსტად იგივე ტექსტებია გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ 977 წლის ნუსხაში — Sin. 47 (13r—72r). იგივე საკითხავების პირველი ოთხი ხმა დასტურდება ლიტურგიკულ კრებულში Sin. 53 (74r—80v).

ლენინგრადული ნუსხის საკვირაო სასამხრო სახარებანი აღდგენილია ამავე ხელნაწერის „განგების“ მონაცემების საფუძველზე და მათ ზუსტი ანალოგია საბაწმიდურ-სინურ ხელნაწერებში ვერ დავუძებნეთ.

თუ რას გულისხმობს იოანე-ზოსიმე ზანდუკის მე-8 თავში მითითებულ სათაურში „მსგებსობაჲ სრულიად“, ამაზე პასუხის გაცემა ძნელდება, რადგან კრებულის შესაბამისი ნაწილი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. „მსგებსი“ საბაწმიდურ-სინური ლიტურგიკული კრებულების მიხედვით დღესასწაულთა საკვირაო წრეს ანუ შვიდეულის დღესასწაულებს გულისხმობს, ხოლო „სამსგებსო“ — შესაბამისად შვიდეულის ლიტურგიკულ მასალას (საკითხავებს, საგალობლებს და სხვა)[30]. მაგრამ იმ მონაცემების მიხედვით, რომელსაც ლენინგრადული ნუსხის „განგება“ იძლევა, მასალა თითქოს სცილდება შვიდეულის შინაარსს. გარკვეულ საკითხავებს, რომლებიც „განგებაში“ თავ-ბოლოთია მოტანილი, ახლავთ განმარტება: „მსგებსსა ჰპოვნე“ (გვხვდება „მსგებსზე“ მითითება ტექსტის გარეშეც). თავისი ხასიათით კი ეს არის ძირითადად ზოგადი დღესასწაულების თუ ხსენებების საკითხავები: მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მოწამეთა, მღვდელთმოძღვართა, მთავარანგელოზთა, მეფეთა, წმინდა შაბათთა, სატფურების, მონაზონთა კურთხევის, სქემის კურთხევის და სხვა. ამ საკითხავთა სრული ტექსტები, რაც უკლებლივ წარმოადგენენ საკითხავებს სახარებიდან, მოთავსებულია კრებულის იმ ნაწილში, რომელსაც „მსგებსობა“ ჰქვია. აქ თითქოს ერთად არის მოცემული შვიდეულისა და საწელიწდო დღესასწაულების ზოგადი მოდელების საკითხავები. ჩვენ მიერ ხსენებული მითითებების საფუძველზე შესაძლებელი გახდა „მსგებსობის“ საკითხავების გარკვეული ნაწილის ზუსტად განსაზღვრა. აქ გვაქვს: მათე XI, 25—30, XII, 1—8, XVI, 13—20, XXIII, 34—XXIV,1, ლუკა I, 39—56; იოვანე X, 11—16.

რაკი ძირითადად გაირკვა კრებულის შედგენილობა, ხასიათი და მიზან-

---

[27] იქვე, გვ. 358—359.

[28] იქვე, შად. გვ. 359—361 და 284—285.

[29] „ლექციონარის“ ნუსხები ამ წესს არ უჩვენებენ და უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სინაწმიდის ტრადიციასთან გვაქვს საქმე, რაზედაც ჩვენ მიერ მოტანილი შენიშვნაც მიუთითებს.

[30] იხ. Sin. 3 პარაკლიტონი, რომლის ყოველ ხმას აქვს ამგვარი სათაური: „პირველი მსგებსი ოქტაჲხონისაჲ“ (80 r), „მეორე მსგებსი“ ოქტაიხონისაჲ (110r) და ა. შ. აგრეთვე Sin.34 და Sin.26, სადაც ე. წ. „კვიპრული“ დასდებლები შვიდეულის საგალობლებს წარმოადგენენ და „მსგებსად“ იწოდებიან; ასევე Sin.83-ის „სამსგეფსონი წარდგომანი და საკითხავნი“ (144r—145v), Sin.76-ის „პავლენი სამსგეფსონი“ (17r—31v) და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახულობა, შევეცდებით ავხსნათ, თუ რას წარმოადგენდა მასალა, რომელიც ზანდუკის III—V თავებში ასეა წარმოდგენილი: „და პავლჱ ყოველთა სამოციქულოთა თავ-თავები სრულიად, და საქმჱ წმიდათა მოციქულთა თავ-თავები სრულიად, და ეგრევე წმიდათა კათოლიკეთა თავ-თავები სრულიად“[31].

სათაურში მოხსენებული „თავ-თავების“ მიხედვით შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ კრებულის ამ ნაწილში შეტანილი იყო „თავები“ ევთალეს სტიქომეტრიიდან, რომელიც სამოციქულოს ბევრ ნუსხაში დასტურდება, ტექსტის თავების დასათაურებას შეიცავს და ცალკე ერთვის ხოლმე სამოციქულოს ცალკეულ ნაწილებს.

მაგრამ ჩვენი აზრით ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს შემდეგი:

1. სინური ხელნაწერები არ უჩვენებენ სამოციქულოს სტიქომეტრიულ დაყოფას. ეს სინური ხელნაწერების სპეციფიკაა. ამ მხრივ ლენინგრადული ნუსხაც ტრადიციას იცავს.

2. არავითარი კვალი თავებად ამგვარი დაყოფისა ლენინგრადის ნუსხის ტექსტებში არ ჩანს. ჩვეულებრივ, როდესაც სამოციქულოს ნუსხას „თავნი“ ერთვის, რომელიც ტექსტს გარკვეულ ნაწილებად, თავებად ყოფს, ეს სათანადოდ ასახულია თვით ტექსტშიც. ხოლო ჩვენი ნუსხის აშიებზე არსებული სათვალავი, როგორც ზემოთ ითქვა, საკითხავებად დაყოფას ნიშნავს და განსხვავებულია „თავნის“ მიხედვით დაყოფისაგან.

3. დაბოლოს, სიტყვა „თავ-თავნის“ აშკარად სხვა მნიშვნელობით ხმარება დასტურდება იოანე-ზოსიმეს ხელნაწერებში. ასე მაგალითად, Sin. 38-ის „განგებას“, რომელსაც რამდენჯერმე შევეხეთ ჩვენს მსჯელობებში, დართული აქვს ანდერძი, რომელიც ლენინგრადის ნუსხის „განგების“ ანდერძის ანალოგიურია.

„დაესრულა განგებაჲ და განწესებაჲ წმიდათა სახარებათაჲ წმიდათა მოძღუართა მიერ წელიწადისა დღეთაჲ კანონისაგან სინაწმიდისა. ამით რიცხუებითა და სახარებისა თავ-თავთა ჩინებითა, რომლისაცა დღესასწაულისა სახარებაჲ გინდეს, ადვილად ჰპოო თავად-თავადისა რიცხჳთა“...[32]

აქაც მინაწერში იგივე „თავ-თავნია“, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ეს არ შეიძლება ევთალეს სტიქომეტრიის „თავნი“ იყოს, რადგან საქმე სახარების საკითხავებს შეეხება. ჟ. გარიტი Sin 38-ის „განგების“ ლათინურ თარგმანში „თავ-თავნის“ შესატყვისად ხმარობს „initiorum“-ს, რაც ტექსტის „დასაწყისს“ ნიშნავს[33]. ეს განსაზღვრება, უდავოდ, ერთადერთი და სწორია. თუ გავიხსენებთ, რომ სამოციქულოს სინური წარმოშობის ჩვენ მიერ განხილული ნუსხების ტექსტში საკითხავები დანომრილია, ხოლო თანდართულ „განგებებში“ შესაბამისი რიცხვითა და ტექსტის თავ-ბოლოთი მითითებული, ადვილია დარწმუნება, რომ იოანე-ზოსიმე ანდერძ-მინაწერების „თავ-თავნში“ სწორედ „დასაწყისებს“ გულისხმობს. იგი მკითხველს ეუბნება, რომ საძიებელში მი-

---

[31] მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ზანდუკის ფრანგულ თარგმანში „თავ-თავები“ თარგმნილია როგორც „chapitre“, რაც თხზულების თავს, კარს ნიშნავს, იხ. მისი Notice sur... გვ. 264.

[32] G. Garitte, Un index géorgien... p. 395. შეადარე აქვე ლენინგრადის ხელნაწერის ანდერძის ანალოგიურ ტექსტს, გვ. 57—58.

[33] იხ. იქვე, გვ. 395.

თითებული რიცხვებისა და დასაწყისების ანუ „თავ-თავნის“ მიხედვით ადვილია ტექსტში საჭირო საკითხავების დაძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე თქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ლენინგრადის ხელნაწერის დაკარგულ ნაწილში შეტანილი იყო სამოციქულოს საკითხავების სრული რეპერტუარი, წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ დასაწყისებით ან დასაწყისითა და დაბოლოებით.

საგულისხმოა, რომ საკითხავთა ამგვარი „სია“ აღმოჩნდა იქვე, პალიმფსესტურ ფრაგმენტებს შორის[34] და, როგორც ირკვევა, Sin. 34-დან არის ამოღებული[35]. ეს იშვიათი და მრავალმხრივ საინტერესო ტექსტი შეიცავს ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების სრულ რეპერტუარს, დალაგებულს ბიბლიური წიგნების თანამიმდევრობით და წარმოდგენილს საკითხავი ტექსტის თავ-ბოლოთი. საკითხავების აქ მოცემული სისტემის შედარებამ ჩვენ მიერ განხილულ სამოციქულოსა და სახარების ნუსხათა და „იერუსალიმის ლექციონარის“ საკითხავების სისტემასთან გვიჩვენა, რომ არსებითად ყველგან დაცულია ერთი საერთო იერუსალიმური ტრადიცია. რასაკვირველია, მხედველობაში არ ვიღებთ არსებულ უმნიშვნელო სხვაობებს.

ამ მასალის ფონზე, ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის.

კრებულის შემადგენელი სხვა ტექსტების შესახებ მოკლედ შეიძლება შემდეგი ითქვას:

პიმენის სწავლათა ფრაგმენტულად მოღწეული ტექსტის შედარებამ პატერიკული აღრეული რედაქციების გამოცემასთან უჩვენა, რომ იგი B ანუ სინურ რედაქციას მისდევს[36]. საერთო ნაწილებში სრული ტექსტობრივი დამთხვევა გვაქვს. განსხვავება ვარიანტების ფარგლებს არ სცილდება. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: იოანე-ზოსიმე ზანდუკსა და სათაურში ხაზგასმით წერს, რომ მას გადაუწერია პიმენის 165 თავი ანუ თხრობა. ეს კი ბევრად სჭარბობს არა მარტო B რედაქციას, რომელიც 90 თხრობას შეიცავს, არამედ თხრობათა მთელ ჯამს ყველა ნუსხის მიხედვით (156), ამავე დროს ნაკლებია ბერძნულ თხრობათა რაოდენობაზე (187 მინის გამოცემის მიხედვით). უნდა ვიფიქროთ, რომ ლენინგრადული ნუსხა უფრო ვრცელი იყო, ვიდრე Sin. 35, რომელსაც იოანე-ზოსიმე იცნობდა (ეს ხელნაწერი იოანე-ზოსიმეს ხელით იქნა ახლად შემოსილი სინაზე 973 წელს). თუმცა ამის მტკიცებისათვის მოღწეული ტექსტი არაფერს გვაძლევს.

არსენის ეპისტოლენი, რომელიც ზანდუკის პირველი ვარიანტის მიხედვით კრებულის უკანასკნელი თავი უნდა ყოფილიყო, დღეს სახეზე არ არის, შემოგვენახა მხოლოდ მითითებები მასზე. ზანდუკში ვკითხულობთ: „წმიდისა მამისა არსენის ეპისტოლენი სრულიად“. ცალკე ფურცელზე მოთავსებულ სათაურში წერია: „წმიდისა არსენის ეპისტოლენი ბ“ (Греч. VI, 11v). მაშასადამე, არსენს ქართული ტრადიციით ორი ეპისტოლე მიეწერება. ეს ცნობა

---

[34] Сир. H. C. 16/1 12r—v, 14r—v, 56r—v, 15r—16v, 57r—v.

[35] სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ნაკვ. I, 136—137.

[36] შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაც. მოამზადა მ. დვალმა, თბ., 1974, გვ. 160—202. აქ B რედაქცია გულისხმობს ერთადერთ Sin. 35 ხელნაწერს.

სრულ თანხმობაშია ქართულ ხელნაწერებში არსებულ ვითარებასთან, ეროვნული ბიბლიოთეკა ჟ. გარიტის მიერ არის შესწავლილი. არსენის ორი ეპისტოლე Sin. 25 და Sin. 35 ხელნაწერების მიხედვით, სათანადო გამოკვლევით, გამოსცა ჟ. გარიტმა[37]. გარიტის გამოკვლევით ეპისტოლენი მხოლოდ ქართული ვერსიით არის ცნობილი, ბერძნული დედანი არ იძებნება.

კრებულის უკანასკნელ 12 ფურცელზე დღეს მოთავსებულია აბრაჰამ მონაზვნის, სტეფანე საბაწმიდელისა და თევდორე მონაზვნის სწავლანის ტიპის თხზულებები. ეს ნაწილი კრებულის თავდაპირველ ვარიანტში ზანდუკის მიხედვით არ ჩანს, შემდგომ არის დამატებული, ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც კრებულს მიღებული ჰქონდა დასრულებული სახე. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: ხელნაწერი თევდორე მონაზვნის სწავლათა ტექსტზე თავდება და, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის გვერდნახევარზე დარჩენილია თავისუფალი არე, კრებულის დამთავრების მაუწყებელი არავითარი ნიშანი აქ არ არის. კრებულის მოღწეულ ნაწილებს შორის კი არ ჩანს ანდერძი, რაც ასე დამახასიათებელია იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი თუ გადაწერილი ნუსხებისათვის. ჩვენი ვარაუდით, ხელნაწერის ვრცელი ანდერძ-მინაწერი მოთავსებული იყო სწორედ არსენის ეპისტოლეთა მომდევნოდ, სადაც ზანდუკის მიხედვით კრებულის შემადგენელი ათი თავი სრულდებოდა.

ლენინგრადის პალიმფსესტური ხელნაწერის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება. „განგებაზე“ დართული მინაწერიდან[38] ის ვიცით მხოლოდ, რომ კრებული სინაზეა გადაწერილი. აქ მოიხსენებიან იოანე-ზოსიმეს თანამოღვაწენი გაბრიელი და გიორგი, რომელთა შესახებ ცნობები სხვა საბაწმიდურსინურ ხელნაწერებშიც არის დაცული. შევსების თაობაზე კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 983 წლამდე ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამას გვიჩვენებს იოანე-ზოსიმეს რამდენიმე ნუსხის ურთიერთშეჯერება: Sin. 81 (ცაგ.) კრებულში, რომელიც 979 წლით თარიღდება, შეტანილია სტეფანე საბაწმიდელის სწავლანი. იგივე ტექსტი შესულია იოანე-ზოსიმეს მონაწილეობით 983 წელს გადაწერილ Sin. 6-ში. ამ ნუსხისათვის იოანე-ზოსიმეს მოგვიანებით, რაზედაც მრავალი ფაქტორი მეტყველებს, დაუმატებია თევდორე მონაზვნის სწავლათა ტექსტი სათანადო შენიშვნით: „ესეაჲ უკუანაჲს ვპოვე და აქა შინა შევჰხრიკე, შემინდვეთ და ლოცვა-ყავთ“. ლენინგრადის ნუსხაში კი ეს ორი ტექსტი უკვე ერთდროულად არის გადაწერილი. ეს კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 983 წლის შემდეგ. მანამდე თევდორეს თხზულების ტექსტი იოანე-ზოსიმეს ხელთ არ ჰქონია.

სტეფანე მძოვრის საბაწმიდელის თხზულება Sin. 6 ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ჟ. გარიტმა. ლენინგრადული ნუსხა, რომელიც რედაქციულად ემთხვევა Sin. 6-ის ტექსტს, ამ გამოცემაში გათვალისწინებული არ არის[39].

დაბოლოს, აბრაჰამ მონაზვნის „სწავლაჲ მარხვისათჳს“, რომელიც სრული

---

[37] G. Garitte, Un lettre de S. Arsène en géorgien, Le Muséon, vol. 68, fasc. 3—4, 1955, p. 259—278.

[38] იხ. ზემოთ, გვ. 57—58.

[39] G. Garitte, Un extrait géorgien de la Vie d'Étienne le Sabaite, Le Muséon, vol. 67, fasc. 1—2, გვ. 71—92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახითაა დაცული ლენინგრადულ კრებულში, S 1139 და H 1662 ხელნაწერების მიხედვით შესულია ი. აბულაძის მიერ გამოცემულ „მამათა სწავლანში“[40].

ამრიგად, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის პალიმფსესტური ფურცლების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი ერთი საინტერესო კრებულის აღდგენა, შეძლებისდაგვარად გაირკვა მისი შედგენილობა და თავისებურებები. სინური ქართული ხელნაწერების კოლექციას კიდევ ერთი კრებული შეემატა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა ვითარებაში გამოჩნდება ის ფურცლებიც, რომლებიც კრებულს ჯერჯერობით აკლია.

Л. М. ХЕВСУРИАНИ

## ОБ ОДНОЙ РУКОПИСИ ИОАННА-ЗОСИМЭ

Резюме

На основании изучения сирийско-грузинских и греческо-грузинских палимпсестных листов Ленинградской гос. публичной библиотеки им. Салтыкова-Щедрина в статье дается попытка восстановления одного грузинского рукописного сборника синайского происхождения X в., принадлежащего известному деятелю Иоанну-Зосимэ.

[40] მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 304—306.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია რაფავა

# ერთი ბერძნული პოლემიკური ძეგლის (ფსევდო-ისააკის ტრაქტატების) გამოძახილი ქართულ მწერლობაში

ქართულ პოლემიკურ ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე ნაწარმოები, მიმართული სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ესენია:

1. „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“.
2. „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი“.
3. „მაქსიმესი სომეხთა მიმართ“.
4. მისივე სხვა სტატია[1].

წინამდებარე შრომაში გამოვლენილია ამ ნაწარმოებთა საერთო ბერძნული წყარო და წარმოჩენილია ქართული თარგმანების მასთან მიმართების ხასიათი.

დასახელებული ქართული თარგმანების წყაროს წარმოადგენს ბერძნულ მწერლობაში ცნობილი პოლემიკური ტრაქტატები, რომლებიც ისააკ სომეხთა კათალიკოსის სახელით არის ცნობილი. მათ შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, მაგრამ საბოლოოდ დადგენილი არ არის არც მათი შექმნის დრო და არც ავტორის ვინაობა[2].

ტრაქტატები გამოქვეყნებულია სამჯერ: პირველი გამოცემა ეკუთვნის ფრ. კომბეფისს[3], მე-2 — ა. გალანდს[4], ხოლო უკანასკნელი — გ. მინს[5].

სამსავე გამომცემელს ეს ტრაქტატები სხვადასხვა თანამიმდევრობით აქვს გამოქვეყნებული სხვა პოლემიკურ თხზულებებთან ერთად[6].

---

[1] პირველი თხზულება „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ გამოქვეყნებულია. იხ. ზ. ალექსიძე, არსენი ვაჩესძის „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, მრავალთავი, I, 1971, გვ. 133—158. მეორე ნაწარმოები „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი“ გამოცემულია მ. საბინინის მიერ, იხ. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 633. ბოლო ორი თხზულება კი ჯერჯერობით შესწავლილი ან გამოცემული არ ყოფილა.

[2] ამის შესახებ იხ. Л. М. Мелик сет-Бек, К вопросу о датировке псевдо-Исааковых памфлетов в греко-византийской литературе, Византийский Временник, т. VIII, 1956, с. 208—222.

[3] Historia haeresis monothelitarum, Fr. Francisci Combefis, Parisiis, XLVIII.

[4] Bibliotheca veterum Patrum, XIV, Venise, 1781.

[5] G. Migne, PG, 132, col. 1154—1266.

[6] სხვათა შორის, გ. მინი და ა. გალანდი ამ ტრაქტატებთან ერთად აქვეყნებენ და ისააკ კათალიკოსს მიაწერენ Narratio de Rebus Armeniae-ს, რომელიც სრულიად სხვა დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს, რაც საბოლოოდ დადგენილია ჟ. გარიტის მონოგრაფიაში: La Narratio de rebus Armeniae, édition critique et commentaire par Gerard Garitte, 1952.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ისააკ სომეხთა კათალიკოსის სახელით ცნობილი ეს თხზულებები წარმოადგენს ვიღაც ანონიმის ორ პოლემიკურ ტრაქტატს:

1. Τοῦ οὐσίου πάτρος ἡμῶν Ἰσαὰκ τοῦ καθολίκου τῆς μεγάλης Ἀρμενίας λόγος στηλιτεύτικος κατὰ Ἀρμενίων.

2. Λόγος στηλιτηύτικος τοῦ Ἰσαὰκ περὶ τῶν κακοδόξων Ἀρμενίων καὶ αἱρετικῶν.

გამოცემებში ისინი ცნობილია, როგორც Oratio I და Oratio II.

ი. ტროიცკის სიტყვებით, ეს ტრაქტატები „წარმოადგენენ ყოველივე იმის კვინტესენციას, რაც კი რამ ყველაზე გესლიანი და საწყენი თქმულა და დაწერილა სომეხთა შესახებ მართლმადიდებლურ პოლემიკურ ლიტერატურაში. ყველა შემდეგი დროის პამფლეტის პირველწყაროსა და პროტოტიპს ეს თხზულებანი წარმოადგენენ“[7].

მეცნიერთა აზრით, არც ერთი იმ სომეხ კათალიკოსთაგანი, რომლებიც ისააკის სახელს ატარებდნენ (ისააკ I პართევი 387—389 წწ.; ისააკ II ულკეცი 534—539 წწ.; ისააკ III ძორაფორეცი 677—703 წწ.) არ არიან ავტორები დასახელებული სტატიებისა[8]. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ტრაქტატების ავტორად ისააკის გამოცხადება საეჭვოა თუნდაც იმიტომ, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში ეს ნაწარმოებები უავტოროდ დასტურდება. ბერძნულ ხელნაწერთაგან მხოლოდ ორში იხსენიება ისააკი და ეს ხელნაწერებიც გვიანი დროისაა. ესენია: Gr. P.—900 — XV ს. Vat. gr.—1101 — XIII ს.

მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის № 232 ბერძნულ ხელნაწერში ჩვენ დავადასტურეთ ამ ტრაქტატების ცალკეული თავები, რომლებიც დამოუკიდებელი ნაწარმოებების სახეს ატარებენ[9]. როგორც ჩანს, ეს ტრაქტატები საკმაოდ პოპულარული იყო და ისინი მთელ რიგ გადამუშავებას განიცდიდნენ სხვადასხვა პერიოდში.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო ქართული თარგმანები. ქართულად ამ ტრაქტატების სხვადასხვა ნაწილები გვხვდება და თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი თხზულების სახე აქვს. არსად მათ ავტორად არ იხსენიება ისააკ სომეხთა კათალიკოსი.

ქართულად დასახელებული ბერძნული ძეგლის ორივე ტრაქტატია თარგმნილი. Oratio II სრულად არის თარგმნილი, ხოლო Oratio I-ის მხოლოდ ფრაგმენტებია გადმოღებული. განვიხილოთ ქართული თარგმანები ცალ-ცალკე.

## მაქსიმესი სომეხთა მიმართ

ტექსტი დაცულია S—312 ხელნაწერში, XVI ს.-სა; 70r—v[10]. ქართული თარგმანის სათაურია „მაქსიმესი სომეხთა მიმართ“. მას მოსდევს სხვა ფრაგმენტი, რომელიც უსათაუროა და სინგურით აწერია „მისივე“.

---

[7] И. Троицкий, Изложение веры церкви армянской, СПб, 1875, с. 248.

[8] იხ. Л. Меликсет-Бек, Назв. труд, с. 210.

[9] Систематическое описание рукописей Московской синодальной (патриаршей) библиотеки, арх. Владимира, ч. I, 1894, л. 159, 164, 167.

[10] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდის № 312.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შრომის ქართული თარგმანი ფრაგმენტებია ისააკის პირველი ტრაქტატისა[11]. კერძოდ, ბერძნული დედნიდან აღებულია 1, 2, 4, 5 მუხლები. ქართული ტექსტი იწყება ბერძნული 1-ლი მუხლის შუა ადგილიდან, მაგრამ ბუნებრივი დასაწყისის შესაქმნელად თარგმანში ჩამატებულია სიტყვა „სომეხნი“. ამრიგად, თარგმანი იწყება ასე: „იტყჳან სომეხნიო, ვითარმედ სხეული, თანამოარსე ჩვენი“ და ა. შ. მეორე ფრაგმენტშიც ტექსტი ამოკრებით არის ამოღებული ბერძნულის ჯერ მე-5, შემდეგ მე-4 და ისევ მე-5 მუხლებიდან. ცხადია, ქართველ მთარგმნელს გამოკრებით აქვს ტექსტი გადმოღებული. თარგმანში ორიგინალისაგან განსხვავებული სამიოდე ადგილი დადასტურდა. სხვა მხრივ თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულს. თარგმანს ამკარად ემჩნევა, რომ იგი ბერძნული დედნიდან არის გადმოღებული: 1. ხშირია თანა-წინდებულიანი სიტყვები (თანა-მოარსე — ὁμοούσιος, თანა-მჯდომარე — συγκαθεζόμενον. 2. სიტყვა „კეთილ-ცხად-არს“ ბერძნულის εὔδηλον-ის კალკია. 3. ხშირია ბერძნ. καὶ-ს გადმოტანა ერთსა და იმავე დროს „ცა“ ნაწილაკთა და „და“ კავშირით.

ტექსტში ყურადღებას იქცევს ორი თეოლოგიური ტერმინი. ესენია: „შეუწყობელი“ და „თანა-მოარსე“. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლების, არსენი იყალთოელისა და ეფრემ მცირის თარგმანებში ჩვეულებრივ გვხვდება „შეურწყმელი“, „შეურევნელი“ ბერძნ. ἀσύνθετος-ს შესატყვისად. ეს არის მართლმადიდებელთა და მონოფიზიტთა ცნობილი სადისკუსიო ტერმინი. ქრისტეში ორი ბუნება ისე უერთდება ერთმანეთს, რომ მათი შერწყმა არ ხდება. ქრისტეში არის ორი ბუნება შეერთებული, მაგრამ შეურწყმელი. „შეუწყობელი“ კი განსხვავებულ გაგებას ატარებს: ქრისტეს განკაცება უნივერსალურ შეთანხმება-შეწყობას გულისხმობს, ოღონდ გამორიცხავს ბუნებათა შერწყმა-არევას. ასევე უჩვეულოა „თანა-მოარსე“ ὁμοούσιος-ის ბადლად. Ὁμοούσιος ჩვეულებრივ თარგმნილია როგორც „ერთარსება“, „ერთარსი“, „თანა-არსი“, „თანა-არსება“. „შეუწყობელი“ და „თანა-მოარსეს“ უჩვეულო ხმარება გვაფიქრებინებს, რომ ამ ფრაგმენტის მთარგმნელი ზემოთდასახელებულ მოღვაწეთა შორის არ უნდა იყოს საგულვებელი.

ყურადღებას იქცევს ქართული თარგმანის სათაური: „მაქსიმესი სომეხთა მიმართ“. როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ ხელნაწერებში ავტორი საერთოდ არ იხსენიება, მხოლოდ ორ მათგანშია[12] ისააკ კათალიკოსი მოხსენიებული, მაგრამ მისი ავტორობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვის ქვეშ არის დაყენებული: თხზულებათა ავტორი ვიღაც ფსევდო-ისააკია. ასეთ ვითარებაში ინტერესს მოკლებული არაა ქართულ თარგმანში დადასტურებული სათაური, რომლის მიხედვით ავტორად ვინმე მაქსიმე ჩანს. მაქსიმეს ქვეშ, ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია იგულისხმებოდეს მაქსიმე აღმსარებელი, VII ს. ცნობილი თეოლოგი, თავგამოდებული დამცველი ქალკედონიტური მრწამსისა მონოთელიტობასთან ბრძოლაში. ტექსტის შინაარსი — ქრისტეს მიერ კაცობრივი სხეულის, ხორცის მიღება ქალწულისაგან და არა მამისაგან ქონა ამ სხეულისა ღმრთეებით (რაც მონოფიზიტობასთან ცნობილი

---

[11] G. M i g n e, 132, col. 1156—1165.

[12] Vatican. gr. 1101—XIII ს. Gr. P. — 900 — XV ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისკუსიო საკითხი იყო), გვაფიქრებინებს შემდეგს: შესაძლებელია, ეს ტრაქტატები მაქსიმე აღმსარებლის კალამს ეკუთვნოდეს. ამ მხრივ საჭიროა ძიება, ხომ არ გვხვდება მის შრომათა შორის მსგავსი ფრაგმენტები.

## თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი

ნაწარმოების გამომცემლის, ზ. ალექსიძის, განცხადებით, „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს გამოთქმული მოსაზრება ორიგინალური, ქართული თხზულებაა „თავნი ოცდაათნი“ თუ რომელიმე ენიდან არის იგი თარგმნილი. ვფიქრობთ, რომ „თავნი ოცდაათნი“ ბერძნული ენიდან არის ნათარგმნი, თუმცა შესაძლოა ისიც დედნის ადექვატური არ იყოს და თავისუფალ თარგმანს წარმოადგენდეს“[13].

გამომცემლის წინასწარი ვარაუდი, დამყარებული ქართული თარგმანის ტექსტობრივ ანალიზზე, გამართლდა: „თავნი ოცდაათნი“ თარგმნილია ბერძნულიდან. ამჟამად აღმოჩნდა ეს ბერძნული წყაროც. ეს არის ფსევდო-ისააკის II ტრაქტატი **Λόγος στηλιτεύτικος τοῦ Ἰσαὰκ περὶ τῶν κακοδόξων Ἀρμενίων καὶ Αἱρετικῶν** (PG, 132, col. 1217—1237).

ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან შედარებამ გამოარკვია, რომ გამომცემლის მიერ ტექსტის დათარიღებასთან, წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად ზუსტია. რაც შეეხება ზოგიერთ მათგანს, ბერძნულთან შედარებამ გამოიწვია მათში კორექტივის შეტანის აუცილებლობა.

ასე მაგალითად, გარკვეული დაზუსტება მოითხოვა მონოთელიტთა ერესიარხებს შორის კიროს მიტროპოლიტის მოუხსენებლობის საკითხმა. ზ. ალექსიძის განცხადებით, ქართული თარგმანის სპეციფიკურობად უნდა ჩაითვალოს კიროსის მოუხსენიებლობა, ვინაიდან ქართულ წყაროებში საერთოდ იგნორირებულია კიროს მიტროპოლიტი მისი მონოთელიტური შეხედულებების გამო. „ეს უკვე მერამდენე ქართული ძეგლია, რომელიც გვერდს უვლის კირონის (კიროსის) ხსენებას“[14].

ამჯერად, „თავნი ოცდაათნის“ მიმართ ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო გამოდგა, რადგან კიროსი არ იხსენიება არა მარტო ქართულ თარგმანში, არამედ ბერძნულ დედანშიც.

ქართულ თარგმანს ბერძნულ დედანთან შედარებით შემდეგი თავისებურებანი ახასიათებს:

1. ქართულ თარგმანს განსხვავებული სათაური აქვს. მას ქართულად ეწოდება: „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“.

2. ქართული ტექსტი ავტორად არ აცხადებს ისააკს, როგორც ეს არის ბერძნულ დედანში.

3. თარგმანის სათაურში დასახელებულია 30 წვალება, რაც ასე არ არის ბერძნულში.

4. ქართულ ტექსტში არ არის ის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც წვა-

---

[13] ზ. ალექსიძე, არსენი ვაჩესძის „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, მრავალთავი, I, 1971, გვ. 142.

[14] იქვე, გვ. 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა მუხლების ჩამოთვლამდე დასტურდება ბერძნულ დედანში. წინასიტყვაობაში საუბარია წვალებათა და, კერძოდ, სომხური წვალების შესახებ.

5. ბერძნულ ტექსტში წვალებანი გამოყოფილია ცალკე ქვესათაურებით: αἵρεσις ἀ, αἵρεσις β′ და ა. შ.

6. ბერძნულში წინასიტყვაობის შემდეგ წერია: ἀ. Αἵρεσις τῶν Ἀρμενίων. Δ. Ὅτε τὸν Υἱὸν τοῦ Θεοῦ ὁμολογοῦσι μιάν φύσιν.

ქართულში ტექსტი იწყება ასე: „პირველად უკუე იტყჳან ყოვლად ბოროტნი სომეხნი, ვითარმედ ძესა ღმრთისასა შემდგომად განჯორციელებისაცა ერთი ბუნებაჲ“... Ὁμολογοῦσι-ს ნაცვლად არის: „იტყჳან ყოვლად ბოროტნი სომეხნი“. ქართული თარგმანის განსხვავებული დასაწყისი ერთგვარად კომპენსაციაა იმისა, რომ ქართულ თარგმანში წინასიტყვაობა არ არის[15].

7. ბერძნული ტექსტი მეტია, ვიდრე ქართული. ბერძნულში წინასიტყვაობის გარდა მეტია ციტატები წმინდა წერილებიდან და ეკლესიის მამათა შრომებიდან[16]. რამდენიმე ადგილას, პირიქით, ქართული თარგმანი უფრო მეტია, ვიდრე ბერძნული ორიგინალი. ქართულში მეტია ისეთი ადგილები, რომლებშიც: ა. გარკვეული ისტორიული ხასიათის კომენტარია გაკეთებული: მუხლები 1, 4. ბ. გაძლიერებულია ბრალდების ტონი (მუხლები 3, 5, 16).

ზოგჯერ ქართული ტექსტის საშუალებით ხერხდება ბერძნული დედნის გამართვა, ზოგჯერ კი — პირუკუ. ქართულში გაუგებარია აზრი მე-5 და მე-9 მუხლებში. ბერძნულთან შედარებამ გამოავლინა, რომ ქართულში მექანიკურად გამორჩენილია ფრაგმენტი, რაც, შეიძლება, გადაწერისას მოხდა.

ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შეჯერებით ვლინდება ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელსაც გარკვეული სინათლე შეაქვს ამ ტექსტების ქრონოლოგიურ მიმართებაში. ქართულ-ბერძნულის ზოგიერთი განსხვავებული ადგილი ადასტურებს, რომ ბერძნული დედანი ქრონოლოგიურად საკმაოდ უსწრებს წინ ქართულ თარგმანს:

---

[15] თარგმნილი ტექსტის ასეთი დასაწყისი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ანალოგიური სურათი არსენი იყალთოელის „დოგმატიკონის“ სხვა ნაწარმოებშიც დადასტურდა. ეს არის „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“. ორსავე ნაწარმოებში მთარგმნელი ორიგინალურ დასაწყისს იძლევა. იგი ამით უსადაგებს ტექსტებს თავისი კრებულის ხასიათსა და დანიშნულებას.

[16] საინტერესოა, რომ ბერძნულ დედანში დადასტურებული მეტობა ახასიათებს სომხურ თარგმანსაც. როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავს, სომხურ მწერლობაში დადასტურებული „სიტყუსგება სომეხთა მიმართ“. წარმოადგენს „თავნი ოცდაათნის“ სომხურ თარგმანს (იხ. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 135). სომხური „სიტყუსგების“ დათარიღებაზე მკვლევარი იზიარებს ილ. აბულაძის აზრს, რომ „სიტყუსგება“ თარგმნილია, ალბათ, სიმეონ პღინძახანქელის მიერ 1213 წლის ახლო ხანებში. „ან კიდევ იგი სხვისი ხელიდან არის გამოსული უფრო ადრე“ (იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათჳს“ და მისი ლიტერატურული წყაროები, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VII, 1938, გვ. 108). ამჟამად ბერძნულ ტექსტებთან შედარებამ გამოავლინა, რომ სომხურშიც ისეთივე მეტობანია, როგორც ბერძნულში: ორივეგან არის წინასიტყვაობა და ციტატები წმინდა წერილებიდან. სომხური ტექსტის ზოგი ადგილი სხვაობს ქართულისაგან და თანხვდება ბერძნულს. ბერძნული და სომხური ტექსტების ასეთი თანხვედრა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში არ სებობს მოსაზრება სომხური არქეტიპის არსებობის შესახებ (იხ. G. G a r i t t e, La Narratio de rebus Armeniae, გვ. 79. Ն. Ակինեան, Կիրիան կաթողիկոս վրաց, Վիեննա, 1910; ილ ა ბ უ ლ ა ძ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი..., გვ. 87—108).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სხვაობა შეიმჩნევა საეკლესიო დღესასწაულების თარიღების აღნიშვნაში. 11—14 მუხლებში ლაპარაკია ხარების, შობისა და ნათლისღების თარიღებზე. საწესო პრაქტიკის ეს საკითხები ძალზე საცილობელი იყო. როგორც ცნობილია, სომხები მათ განსხვავებულ დღეებში ზეიმობენ, ვიდრე მართლმადიდებელნი. ორივე ეკლესიის პრაქტიკაში შემდეგი თარიღებია დაკანონებული:

| | ხარება | შობა | ნათლისღება |
|---|---|---|---|
| ბერძნ. ქართ. | 25 მარტი | 25 დეკემბერი | 6 იანვარი |
| სომხ. | 7 აპრილი | 6 იანვარი | 6 იანვარი |

სომხური ეკლესიის მიერ მიღებული დღესასწაულებისათვის ჩვენი ტექსტის სხვადასხვა მუხლებში სხვადასხვა თარიღებია დასახელებული. ტექსტის მიხედვით სომხური ეკლესია ხარებას 5 იანვარს ზეიმობს (მე-11 მუხლი), 9 იანვარს — „სხუასა ხარებასა, რომელ არს წვალებაჲ დიდი“ (მე-13 მუხლი), ხოლო ნათლისღებას — 12 იანვარს (მე-14 მუხლი)[17].

ქართული თარგმანის მე-13 მუხლში არის ბერძნულთან შედარებით მეტი ადგილი, სადაც სულ სხვა თარიღებია დასახელებული, ვიდრე წინა მუხლებში. იქ წერია: „სახმარ არს ცნობად“, რომ სომხებს ხარება აქვთ აპრილში, 6 იანვარს, საღამოს — შობა, ხოლო განთიადს — ნათლისღება. ეს კი უკვე არის სომხური ეკლესიის მიერ დაკანონებული თარიღები. როგორც ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა მე-9—მე-14 მუხლები ისე გადმოიღო, როგორც იყო ბერძნულ ორიგინალში, მაგრამ აღნიშნული თარიღების გამოცხადება სომხური ეკლესიის დღესასწაულებად უმართებულოდ მიიჩნია და საკუთარი კომენტარი ჩაურთო, სადაც აღნიშნა ის ნამდვილი თარიღები, რომლებიც ჰქონდა სომხურ ეკლესიას. ეჭვი არაა, რომ ქართველი მთარგმნელი კარგად იყო გარკვეული სომხური ეკლესიის საწესო პრაქტიკაში.

ქართველი მთარგმნელის მიერ სომხური ეკლესიის საწესო თარიღების შესწორება რეალური მდგომარეობის შესაბამისად შესაძლებელია მომხდარიყო XI—XII სს-ში, როცა სომხურმა ეკლესიამ აქტიურად დაიწყო დაცვა თავის საწესო პრაქტიკაში მიღებული თარიღებისა. ნერსეს შნორჰალი ხომ საქვეყნოდ აცხადებს ამ თარიღებს[18].

ბერძნული დედნის ვითარება კი, სადაც გარკვეული შეუსაბამობაა ამ თარიღების დასახელებაში, ადრეულ ხანაზე მიუთითებს. ბერძნული დედანი შექმნილია ადრე, კერძოდ, მაშინ, როცა ბრალდებანი დღესასწაულთა თარიღებზე ჯერ კიდევ მყარად არ არის ფორმულირებული.

2. მე-2 მუხლში მხილებულია სამწმიდაობითი გალობის შეცვლა სომეხთა მიერ. ამ ბრალდებას იცნობს სომეხთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ნაწარმოები.

ამ ადგილას ბერძნულ ტექსტში იკითხება: σταυρωθέντος (col. 1221). ქართულშია: „რომელ ჯუარს ეცუ“ (გვ. 46). სომხურშია: *խաչեցար*. X—XII სს. ანტისომხურ თხზულებებში როგორც ბერძნულში, ისე ქართულში, ყველგან ცნობილია ტერმინი „ხაჩეცარი“. ჩვენს ტექსტში კი არის σταυρωθέντος·

[17] იხ. ზ. ალექსიძის გამოცემა, გვ. 151.

[18] И. Троицкий, Изложение веры церкви Армянской, СПб, 1875, с. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ დედანში σταυρωθέντος-ს ხმარება ნაცვლად „ხაჩეკარისა“ ძეგლის ადრეულობაზე მეტყველებს, რადგან უფრო გვიან პერიოდში (X—XII სს.) ბერძნულ პოლემიკაში კარგად იყო ცნობილი სომხური სიტყვა „ხაჩეკარი“ მათი ერთ-ერთი წვალების აღსანიშნავად[19]. ქართული თარგმანის „რომელი ჯუარს ეცუ“ ზუსტი ეკვივალენტია ბერძნული σταυρωθέντος-სი.

3. ბერძნული დედნის მე-4 მუხლში წამოყენებულია ბრალდება, რომ სომხური ეკლესია 4 სამოციქულო საყდარს განუდგა. ქართულ თარგმანში 5 საყდარზეა საუბარი. ბერძნულ დედანში 4 ეკლესიის მოხსენიება, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ სომხური ეკლესია იაკობიტურად არის მიჩნეული და ამდენად ანტიოქიის ეკლესიის გავლენის ქვეშ ითვლება. ეს კი, როგორც სამართლიანად მიიჩნევს ზ. ალექსიძე, ადრეულ ხანაში, ყოველ შემთხვევაში, XI ს-მდე იყო შესაძლებელი. უფრო გვიან გაირკვა, რომ სომხები იაკობიტები არ არიან, და ამდენად, მათ უკვე ხუთივე ეკლესიისაგან განდგომას უკიჟინებენ[20].

გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც ბერძნული დედანი და ქართული თარგმანი ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული არიან ერთმანეთს.

ქართული თარგმანის დათარიღების მიზნით, გამომცემელი ზ. ალექსიძე უდარებს მას „მცირე სჯულისკანონს“ და ასკვნის, რომ „თავნი ოცდაათნი“ უფრო ადრინდელი ნაწარმოები უნდა იყოს, ვიდრე ქართული „მცირე სჯულისკანონი“. წინააღმდეგ შემთხვევაში მასში უთუოდ აისახებოდა ისეთი ოფიციალური ძეგლი, როგორიცაა „მცირე სჯულისკანონი“[21].

უპირველესად, სადავოა საკითხის ისე დაყენება, რომ „მცირე სჯულისკანონში“ მოცემული ბრალდებები უთუოდ უნდა ასახულიყო „თავნში“. სადავოა ორი მიზეზის გამო:

I. სომხური ეკლესიისადმი წაყენებული ბრალდებები იცვლებოდა, ამდენად სხვადასხვა დროის ძეგლებში მათი რიცხვი განსხვავებულია. ბრალდებანი განსხვავებულია ერთისა და იმავე დროის თხზულებებშიც. როგორც ჩანს, ბრალდებათა რიცხვი ავტორ-გადამწერთა ინიციატივით იცვლებოდა დროთა განმავლობაში. ერთი ტენდენცია კი აშკარად შეიმჩნევა: მოგვიანო პერიოდისთვის (XI—XII სს.), განსაკუთრებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა დაშორების დროისთვის, როცა ლათინებთან ერთად სომხებთან პოლემიკაც განსაკუთრებით გაძლიერდა, თანდათან გაიზარდა სომხური საეკლესიო პრაქტიკისადმი წაყენებულ ბრალდებათა რაოდენობაც.

ასეთ ვითარებაში, როცა ბრალდებათა რიცხვი საგრძნობლად მერყეობდა, ამა თუ იმ თხზულებაში რომელიმე ბრალდების არსებობას ან არ არსებობას, ან ბრალდების სხვაგვარ ფორმულირებას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს ძეგლის დასათარიღებლად.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, „მცირე სჯულისკანონში“ მოცემული

---

[19] И. Тройцкий, Изложение веры церкви Армянской, с. 213.

[20] უნდა აღინიშნოს, რომ ეჭვთიმე ათონელი (X ს.) სომხებს იაკობიტებად თვლის. ეჭვთიმეს „მცირე სჯულისკანონში“ 71-ე გვერდზე წერია: „იაკობიკნი, რომელთაგანნი არიან სომეხნიცა“ (იხ. მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა, 1972 წ.). უკანასკნელი ფრაზა „რომელთაგანნი არიან სომეხნიცა“ ეკუთვნის თვითონ ეჭვთიმეს. იგი ბერძნულ დედანში, ე. ი. ტრულის კრების დადგენილებაში არ დასტურდება.

[21] ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულირება ბრალდებებისა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოგვადგება „თავნი ოცდაათნის“ დასათარიღებლად. „თავნი ოცდაათნის“ მთარგმნელი სრულიად არ იყო ვალდებული აუცილებლად ეხელმძღვანელა „მცირე სჯულისკანონით“. მან ერთი გარკვეული თხზულება თარგმნა, კომპილაცია შრომებისა მას არ უწარმოებია.

II. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი არსენი იყალთოელის მთარგმნელობით მეთოდზე: არსენი იყალთოელი ბეჯითად მისდევდა სათარგმნ ორიგინალს, არ ახდენდა ტექსტის კომპილაციას, არ სარგებლობდა სხვების მიერ თარგმნილი ტექსტებით[22]. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი პრინციპების მქონე მთარგმნელი „მცირე სჯულისკანონს“ არ დაესესხა ბრალდებათა ფორმულირებაში.

არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ „თავნი ოცდაათნი“ თარგმნილია „მცირე სჯულისკანონის“ შექმნამდე.

„თავნი ოცდაათნის“ მთარგმნელი არსენი იყალთოელია. არსენის სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტი შეიძლება დავასახელოთ.

1) თხზულება შესულია „დოგმატიკონში“. არის მოსაზრება, რომ ამ კრებულის შედგენა არსენის ეკუთვნის[23]. მისი პროტოტიპი ბერძნულად არ არსებობს. არსენიმ კრებულში შეიტანა სხვადასხვა თხზულებათა მხოლოდ საკუთარი თარგმანები[24].

2) ქართულ თარგმანს, განსხვავებით ბერძნული დედნისაგან, ორიგინალური დასაწყისი აქვს. მსგავსი სურათი „დოგმატიკონის“ სხვა სტატიაშიც დადასტურდა[25]. როგორც ჩანს, არსენი იყალთოელს, როგორც მთარგმნელს, გარკვეული მიზანი ჰქონდა: სათარგმნი თხზულება თავისი კრებულის დოგმატიკურ-პოლემიკური მიზანდასახულობისათვის შეეხამებინა.

3) ჩვენი ძეგლის მე-2 მუხლში დამოწმებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები: „ესრეთ უკუე არიან წმიდანი მოწამეთანი, რომელნი სერაფიმთაღცა დაიფარჯან სამითა სიწმიდითა, ერთად რაჲ უფლებად და ღმრთეებად შემოკრბებოდინ“ (გვ. 147). ეგევე ციტატა სიტყვა-სიტყვით მეორდება არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილ სხვა სტატიაში. ეს არის ნიკიტა სტითატის შრომა სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ[26]. ორსავე ძეგლში ამ ციტატის იდენტურობა იმას მოწმობს, რომ ორივეს მთარგმნელი არსენი იყალთოელია.

4) ქართული თარგმანის მე-16 მუხლში არის ზედმეტი ადგილი, რომელიც არ არის არც ბერძნულში, არც სომხურში. ამ ადგილას იკითხება: „არამედ უდებ-ჰყოფენ, ვითარცა მწვალებელნი და ნაწილნი შეჩუენებისანი, რომელნი ესე წერით მოცემულ არს და წესად ეკლესიისა დამტკიცებულ არს“[27]. ასეთი

---

[22] იხ. რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული რედაქციები, თბ., 1966; მ. რაფავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები, მაცნე, თბ., 1965, 1—2.

[23] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 278.

[24] რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, გვ. 265.

[25] მ. რაფავა, უცნობი ავტორის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერ., № 1, თბ., 1975, გვ. 22—23.

[26] S—1463, გვ. 256r—264v.

[27] იგივე ციტატა სულ სხვა კონსტრუქციით და ფორმებით აქვს თარგმნილი ექვთიმე ათონელს. შდრ.: „მცირე სჯულისკანონი“, თბ., 1972, გვ. 48.

განცხადება შეეძლო გაეკეთებინა არსენი იყალთოელს, რომელიც არა თუ იცნობდა სომხური წვალების შეჩვენების წესსა და განგებას, არამედ თარგმნა იგი და თავის „დოგმატიკონში“ შეიტანა, როგორც „წესი ეკლესიისა“[28].

ჩვენს ტექსტში საინტერესოა ბიბლიიდან მოხმობილი ციტატები მათი რედაქციული რაობის თვალსაზრისით. „თავნი ოცდაათნის“ ტექსტში, მართალია, უფრო ნაკლებად, ვიდრე ბერძნულ დედანში, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად არის დამოწმებული ადგილები ახალი აღთქმიდან. ციტატები დასტურდება შემდეგ მუხლებში: 5, 6, 7, 8. საყურადღებო ამ ფაქტში ის არის, რომ ეს ადგილები რედაქციულად სხვაობს ოთხთავის ყველა ცნობილი რედაქციისაგან, როგორიცაა: ჯრუჭ-პარხლის, ჰადიშის, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლებისა. საქმე იმაშია, რომ წმინდა წერილებიდან ციტატებს მთარგმნელი, არსენი იყალთოელი, დაკანონებული ტექსტებიდან კი არ იღებს, არამედ ხელახლა თარგმნის მათ, თარგმნის იმ ბერძნული დედნის მიხედვით, რომლითაც იგი სარგებლობს. მაგრამ ზოგან ტექსტში მოყვანილი ადგილები განსხვავებულია დედნის წაკითხვისაგანაც. ვფიქრობთ, რომ „თავნში“ მოცემული ციტატები ბიბლიის წიგნებისა საინტერესოა და ყურადსაღები ბიბლიის წიგნთა ქართული რედაქციების თვალსაზრისით.

დაბოლოს, „თავნი ოცდაათნისა“ და ბერძნული დედნის შეჯერება მნიშვნელოვანია მათთან სომხური თარგმანის მიმართების დასადგენად. განსაკუთრებით საინტერესოა იგი სომხური არქეტიპის (თუ ასეთი მართლაც არსებობდა) რაობისა და ქრონოლოგიის დასადგენად.

## თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი[29]

სამეცნიერო ლიტერატურაში ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოთქმულია აზრი, რომ „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს“ გადმოღებულია ბერძნულიდან, კერძოდ, ისააკის I ტრაქტატიდან. მკვლევარი მიუთითებს გ. მინის გამოცემის გვერდებს, სადაც, მისი ვარაუდით, დასტურდება ბერძნული დედანი. ესენია: PG, 132, col. 1209—1217[30].

სინამდვილეში კი ტექსტების შედარებამ სხვა სურათი გამოავლინა: „თარგმანების“ დასაწყისი 11 ბრალდება, მართლაც, თარგმნილია ფსევდო-ისააკის I ტრაქტატიდან. ხოლო მომდევნო ბრალდებები აღებულია სხვა ნაწარმოებიდან, კერძოდ, „თავნი ოცდაათნიდან“, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არის ფსევდო-ისააკის II ტრაქტატის თარგმანი. ამ უკანასკნელიდან „თარგმანებაში“ შესულია 20 ბრალდება. „თარგმანებაში“ შემდეგ კიდევ დასტურდება 6 ბრალდება. ისინი სხვადასხვა წყაროდან ჩანს ამოკრეფილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი ბრალდება, რომელშიც ჯვრის ლურსმნით დაჭედვაზეა საუბარი, წარმოადგენს ზუსტ ანალოგიას „დოგმატი-

---

[28] მ. რაფავა, დასახ. შრომა.

[29] S—312, 1387, 3727, 4614; ქუთ. 345, 410; A—1132. ტექსტი გამოცემულია მ. საბინინის მიერ, იხ. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 633.

[30] **Լ. Մելիքսեթ-բեկ, Վրաց ագրիւրները Հայաստանի և Հայերի մասին, Հ. I, 1934, էջ 127.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონის“ სხვა სტატიის, კერძოდ, „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“-ს ერთ ადგილთან[31].

ბრალდებათა ჩამოთვლის შემდეგ „თარგმანებაში“ კიდევ გრძელდება ტექსტი (გვ. 635), რომელშიც სომხური სარწმუნოების მართლმადიდებლობისაგან განსხვავებაზეა საუბარი.

როგორც ვხედავთ, „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს“ კომპილაციას წარმოადგენს. თხზულების მთარგმნელი სარგებლობს რამდენიმე წყაროთი. ესენია: ფსევდო-ისააკის I ტრაქტატი, „თავნი ოცდაათნი“ ანუ ფსევდო-ისააკის II ტრაქტატი, „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი“ და სხვა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი თხზულებანი. ამის გამო, „თარგმანების“ ტექსტში აშკარად გამოიყოფა 3 ნაწილი:

1. პირველი ნაწილი არის ფსევდო-ისააკის I ტრაქტატის თარგმანი. შესაძლებელია, იგი კომპილატორის მიერ უშუალოდ ბერძნულიდან არის ნათარგმნი, მაგრამ ისიც დასაშვებია, რომ სხვა, ადრეული თარგმანიდან იყოს აღებული. ტექსტების შედარებით ირკვევა, რომ ქართული ტექსტი საკმაოდ თავისუფალი თარგმანია ბერძნულისა და ვერც თარგმნის სიზუსტითა და ოსტატობით გამოირჩევა. ზოგან საკმაოდ ბუნდოვანი ფრაზებია. ამდენად, საფიქრებელია, რომ იგი გვიანი დროის რედაქციას უნდა წარმოადგენდეს.

ასეა თუ ისე, საყურადღებო ისაა, რომ „თარგმანების“ პირველი ნაწილის სახით ჩვენს მწერლობაში კიდევ ერთი ფრაგმენტი დადასტურდა ისააკ კათალიკოსის სახელით ცნობილი თხზულებებიდან.

2. მეორე ნაწილი არის ფსევდო-ისააკის II ტრაქტატის თარგმანი, ანუ იგივე, რაც „თავნი ოცდაათნია“ არსენი იყალთოელისა. ტექსტების შედარებით გაირკვა, რომ ამ ნაწილის წყარო არსენის თარგმანია და არა უშუალოდ ბერძნული დედანი. ბრალდებათა ფორმულირება, გარდა ერთისა, ისეთია, როგორიც არის „თავნში“. მათ შორის მხოლოდ რედაქციული სხვაობა თუ არსებობს. „თარგმანების“ „თავნზე“ დამოკიდებულება აშკარად ვლინდება აგრეთვე ისეთი ტექსტობრივი მონაცემების საფუძველზე, როცა „თარგმანებაში“ ზოგი წაკითხვა „თავნის“ არასწორი წაკითხვით არის გამოწვეული. მაგ.: ლოცვათა შინა მათთა დაუბრთ ჰსჯულად (გვ. 634). „დაუბრთ- ლაფსუსია, ამ ადგილას „თავნშია“: „დაუც შჯულად“ (მუხლი 17).

ერთგან წერია: „რომელ კნინღა დაურთავსვე და ზრახვენ“ (გვ. 634), აზრი გაუგებარია. ეს არის მცდარი ამოკითხვა „თავნის“ შესაბამისი ადგილისა, სადაც წერია: „რამეთუ კნინღა და ჰურიათასავე ზრახვენ იგინიცა (მუხლი 28).

„თარგმანებაშია“: „ჰსცხებენ სისხლთა მათთა წურთილთა დასაცველად თავთა თჳსთა“... (გვ. 634). „თავნში“ იკითხება: „სცხებენ წყირთლთა და დასაცველად სიწმიდისა თავთა თჳსთაჲსა“... (მუხლი 28). „წყირთლთა“ (საბას განმარტებით: „კარის გარდასაბიჯებელი“) წაკითხულია, როგორც „წურთილთა“.

საერთოდ, „თარგმანების“ ენას აშკარად ეტყობა, რომ კომპილაციის ავტორი გვიანი დროის მოღვაწეა. „მირონია“ „მიჰრონის“ ნაცვლად, „ცხვრისა“ — „ცხოვარის“ ნაცვლად. ზოგი გრამატიკული ფორმაც ისეთია, რომელიც გვიან-

---

[31] მ. რ ა ფ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. რასაკვირველია, გამორიცხული არაა, რომ ეს ფორმები გვიანი დროის გადამწერებს ეკუთვნის[32].

3. „თარგმანების“ მე-3 ნაწილის წყარო ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ამ ნაწილში საყურადღებო ისაა, რომ სომხები რამდენიმეჯერ შედარებული არიან მუსლიმან „მწვალებლებს“. ბერძენთა მთავრობას განუდექით და სპარსელებს მიემხარითო, ხალიფასგან აიღეთ წესი და სჯული, წინადაცვეთა გაქვთ და ღორის ხორცს არ ჭამთ; სამხრეთით ილოცავთ, როგორც მუსლიმანნი, თქვენი წიგნები ურიათა, სარკინოზთა და მანიქეველთა მსგავსად გაქვთ აღწერილი.

მსგავსი ბრალდებანი სომხებისათვის შეიძლებოდა წაეყენებიათ იმ პერიოდში, როცა ბერძნულ ეკლესიასთან განხეთქილების შემდეგ სომხური ეკლესია ბერძნული მართლმადიდებლობის აშკარა ოპოზიციას წარმოადგენდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაჰმადიანური ორიენტაცია იყო მიღებული. ეს მოსალოდნელია მანაზკერტის კრების (726 წ.) შემდეგ ვიდრე იმ ხანამდე, როცა გამოჩნდა სომხური ეკლესიის საწესო პრაქტიკის მსგავსება დასავლეთის ეკლესიის პრაქტიკასთან. ამას ადგილი ჰქონდა XI ს-ში. XI ს-დან სომხებს უკვე ლათინებთან სიახლოვის გამო სდებენ ბრალს. ჩვენს ტექსტში კი ლათინთა და მათთან სომხების საერთო ბრალდებების ხსენებაც არ არის. მაშასადამე, წყარო, რომლითაც მე-3 ნაწილში სარგებლობს „თარგმანების“ ავტორი, ასახავს VIII—X სს-ის იდეოლოგიურ ვითარებას. საფიქრებელია, რომ იგი ამ ხანაშია შექმნილი.

ამრიგად, „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს“ წარმოადგენს ქართველი ავტორის მიერ გვიან პერიოდში (XV—XVI სს.) შექმნილ კომპილაციურ ნაწარმოებს.

საბოლოო დასკვნები ასეთია:

1. ისააკ სომეხთა კათალიკოსის სახელით ცნობილია ორი ტრაქტატი: Oratio I და Oratio II.

2. ქართულ ენაზე უთარგმნიათ ორივე ტრაქტატი.

Oratio I-ის სხვადასხვა ფრაგმენტებია თარგმნილი. ქართულ მწერლობაში მათ დამოუკიდებელი ნაწარმოებების სახე აქვთ: ესენია: ა. „მაქსიმესი სომეხთა მიმართ“; ბ. მისივე სხვა სტატია; გ. „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი“. Oratio II თარგმნილია სრულად არსენი იყალთოელის მიერ. ქართულად ამ ნაწარმოებს ეწოდება „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი“.

3. ქართულ თარგმანებში არსად არ იხსენიება ავტორად ისააკი, დიდი სომხეთის კათალიკოსი. ორი ნაწარმოები ანონიმურია, ხოლო ორი სხვა ავტორად ასახელებს მაქსიმეს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია ძეგლის ავტორის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით.

4. ქართულ თარგმანებს ბერძნული დედნისაგან სრულიად განსხვავებული დასათაურება აქვთ. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრაქტატების ავთენტურობის გარკვევის საქმეში.

---

[32] „თარგმანება“ გვიანი პერიოდის (XVI—XVIII სს.) ხელნაწერებში დასტურდება, ყველაზე ადრინდელია S—312 (XVI ს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „თავნი ოცდაათნი“ თარგმნილია არსენი იყალთოელის მიერ. ცხადია, მისი დედანი Oratio II XI ს-მდე შექმნილი უნდა იყოს. რაც შეეხება Oratio I-დან შესრულებულ თარგმანებს, მათში ისეთი ენობრივი მოვლენები და მთარგმნელობითი ხარვეზები დასტურდება, რომლებიც მიუთითებენ, რომ ისინი გვიან პერიოდში თარგმნილი (XV-XVI სს.), უფრო საფიქრებელია, რომ ისინი წარმოადგენენ ბერძნულიდან ადრე ნათარგმნი ტექსტების გადაკეთება-გადამუშავებას მომდევნო ხანის გადამწერთა მიერ.

6. როგორც ირკვევა, ფსევდო-ისააკის ტრაქტატები საკმაოდ პოპულარული იყო საშუალო საუკუნეების საქართველოშიც, ისევე როგორც ბიზანტიაში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ გარკვეული მოდიფიკაცია განუცდიათ და დამოუკიდებელ თხზულებათა სახით დასტურდებიან ქართულ მწერლობაში.

М. А. РАПАВА

## ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ ОДНОГО ГРЕЧЕСКОГО ПОЛЕМИЧЕСКОГО ПАМЯТНИКА (ТРАКТАТОВ ПСЕВДО-ИСААКА)

Резюме

В грузинской полемической литературе известны несколько произведений, направленных против армянского монофизитства:

1. 30 глав армянской ереси, 2. Толкование армянской ереси, по какой причине предаются анафеме Армяне, 3. Максим к армянам, 4. Его же другая статья.

Первые два произведения опубликованы, что же касается последних двух, то они пока не опубликованы.

В настоящей работе установлено, что оригиналом для названных грузинских памятников служат широко известные в византийской полемической литературе трактаты т. н. Исаака, католикоса великой Армении. В научной литературе существуют разные мнения относительно даты создания этих трактатов и их авторства. Ученые сходятся во мнении, что автором трактатов является некий грек диофизит, прикрывающийся именем католикоса Исаака.

На грузинский язык переведены оба трактата: Oratio I и Oratio II.

Из Oratio I переведены отдельные фрагменты. В грузинской литературе они встречаются как самостоятельные произведения с собственными заглавиями. Они суть следующие: 1. Максим к Армянам, 2. Его же другая статья, без заглавия, 3. Толкование армянской ереси, по какой причине предаются анафеме Армяне.

Oratio II переведено полностью Арсением Икалтоели и называется «30 глав армянской ереси».

Немаловажным представляется тот факт, что автором в грузинских текстах нигде не упоминается Исаак. Два из них анонимны, автором же первых двух статей назван некий Максим. Возможно здесь подразумевается известный теолог VIII в. Максим Исповедник.

«30 глав армянской ереси» дает некоторые показания для датировки греческого оригинала. Окончательно подтверждается создание Oratio II до XI века.

Трактаты Псевдо-Исаака имели такую же популярность в средневековой Грузии, как и в Византии. Фрагменты этого произведения подверглись определенным изменениям и сформировались в самостоятельные полемические произведения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩა ცინდელიანი

# III—IV მეფეთა წიგნების შედგენილობა

## (II. ჩანართების საკითხი)

ტექსტის სტრუქტურა ზოგადად, კერძოდ კი ძველი აღთქმის წიგნებისა, ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც ტექსტოლოგიური პრობლემების გადაჭრაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. ტექსტის სტრუქტურაში განსაკუთრებით ხელშესახებად აისახება ის ტენდენციები, რომლებსაც სხვადასხვა ტრადიციის წყაროებზე დამყარებული ვერსიები, სხვადასხვა სულისკვეთებისა და ტენდენციების მქონე ეპოქის გავლენებით ნასაზრდოები ტექსტები წარმოაჩენენ ხოლმე.

მეფეთა III—IV წიგნების ტექსტის სტრუქტურა ამ ასპექტში მეტად საინტერესო სურათს იძლევა როგორც უცხოური, ისე ქართული წყაროების მიხედვით.

ცნობილია, რომ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი მეფეთა წიგნების სტრუქტურის საკითხში არსებითად რამდნიმე საფეხურს წარმოგვიდგენს, რომელთაგანაც ყველაზე მკვეთრად დაპირისპირებულია ძველ ბერძნულ თარგმანსა, ე. წ. Codex Uaticanus-სა (G) და ორიგენეს ჰექზაპლაში (Hex) დამკვიდრებული ტრადიციები[1]. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია უჭირავს ლუკიანეს რეცენზიას, რომელშიც პოულობენ როგორც G-ს, ისე Hex ტრადიციების გამოძახილს[2].

ასეთ ვითარებაში ძალზე აქტუალურია იმის დადგენა, თუ მეფეთა წიგნების ქართული თარგმანები ტექსტის სტრუქტურის მიხედვით რომელი ტრადიციის მომხრე იქნება[3].

---

[1] J. Shenkel, Cbronology and Rezensional development in the Greek Text of Kings, Kambridge, 1968, 1—18.

[2] Br. M. Metzger, Lucian and the Lucianic Rezension of the Greec Bibl, New Testament Studies, Cambridge, 8/1962, 193—196. A. Rahlfs, Septuaginta-Studien: Lucians Rezension der Königbücher, Göttingen, 1911, R. S. Haupert, The Relation of Codex Vaticanus and the Lucianic Text in the Books of the Kings from the Viewpoint of the Old Latin and the Ethiopic Versions, Philadelphia, 1930. იხ. განსაკუთრებით შესავალი და დასკვნითი ნაწილები, გვ. 7—12, 36—37.

[3] იმის გარკვევა, თუ რომელი ტრადიციის ტექსტია ქართულში დაცული, ანდა ეგაქვს თუ არა სხვადასხვა ტენდენციების გამოძახილი ქართულ ვერსიებში, ერთი აუცილებელი პირობაა მათი მომდინარეობის დასადგენად და ისეთი საცილობელი საკითხის გადასაწყვეტად, როგორიცაა რედაქციების გამოყოფა ქართულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეთა III—IV წიგნების ქართული ტექსტის შესწავლამ ამ კუთხით უაღრესად საგულისხმო მასალა მოგვცა. მან სრულიად აშკარად წარმოაჩინა ის ფაქტი, რომ ქართულ თარგმანებს დაუცავთ სულ მცირე, ორი სხვადასხვა ტრადიციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო რიგ შემთხვევაში განსხვავებული ტრადიციების მორიგების შემთხვევებიც მოუციათ[4]. [იმთავითვე წარმოვადგენთ ზოგად სურათს, რომელიც გზადაგზა დაზუსტდება კონკრეტული მასალის საფუძველზე: ნუსხათა ერთი ჯგუფი (FIJS), რომელიც აერთიანებს იერუსალიმურ, ჯანაშვილისეულ და მცხეთურ ვერსიებს, ძირითადში ჰეგზაპლურ ტრადიციას იცავს და უპირისპირდება ოშკურ (O) რედაქციას, რომელშიც ლუკიანური ტრადიციები დომინირებს. მაგრამ საბოლოოდ არც ერთი ვერსია არ რჩება მისთვის დამახასიათებელი ტენდენციის ერთგული და ამის გამოა, რომ FIJS-ში ჰეგზაპლურის გვერდით ვპოულობთ ლუკიანეს რეცენზიის გავლენასაც, ხოლო O-ში, პირიქით, ლუკიანურის გვერდით — ჰეგზაპლურს].

საანალიზო მასალა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ძირითადად ტექსტუალური ხასიათისაა. აქ არსებითად ტექსტობრივი ჩანართების, მათი კლება-მატებისა და გადაადგილების საკითხებია განხილული. თუმცა მეტი სიცხადის შესატანად ვიშველიებთ სტილისტურ კრიტერიუმსაც, რადგან ტექსტის სტრუქტურული და სტილისტური შესწავლით მიღებული შედეგები ხშირად ერთმანეთს ავსებს და ამაგრებს. ასე, მაგალითად: მეფეთა III—IV წიგნების ქართულ თარგმანებში ზოგ სტილისტურ თავისებურებაზე დაყრდნობით გამოყოფილი მონაკვეთები[5], განსხვავებული მთარგმნელობითი და სტილისტური თვალსაზრისით, ერთმანეთს უპირისპირდება სტრუქტურული თვალსაზრისითაც. კერძოდ, თუ პირველ მონაკვეთში ($\gamma^2_{12}$—11; δ3—21) ყველა ქართული ვერსიისათვის დამახასიათებელია ჰეგზაპლური ინტერპოლაციები და გადაადგილებანი და სტილისტურადაც თითქმის ერთიან სურათს აჩვენებს, მეორე და მესამე მონაკვეთებში ვერსიების ჩვენება ერთმანეთს შორდება, როგორც სტრუქტურულად, ისე სტილისტურადაც.

თქმულიდან გამომდინარე, ტექსტის სტრუქტურული ანალიზი მოვახდინეთ ცალკეული მონაკვეთების მიხედვით.

I მონაკვეთი: $\gamma^2_{12}$—11; δ3—21.

ტექსტის ეს ნაწილი მოცულობით ერთად აღებულ დანარჩენ ორ ნაკვეთზე დიდია. რედაქციულ-სტილისტური თვალსაზრისით ყველა ნუსხისათვის რამდენადმე სტაბილურ ტექსტს გვაწვდის. სტილისტურ ასპექტში დამახასიათებელია ბერძნ.-სომხ. **κατα-μια** წინდებულების სისტემატურად **„მსგავსად“** თანდებულით გადმოცემა[6]. ტექსტის ამ ნაწილში შენახული უნდა გვქონდეს ქართული თარგმანის პირვანდელი სახე მეტ-ნაკლები სიზუსტით. მონაკვეთი

---

[4] მეფეთა წიგნების დაყოფასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ ცალკე სტატიაში: „მეფეთა წიგნების შედგენილობა“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1975, გვ. 62—78), სადაც გავარკვიეთ, რომ S ნუსხის გამოკლებით ყველა ქართული ნუსხა (FSO) ლუკიანეს ტრადიციას მისდევს, კერძოდ, $\gamma^1$—$2_{11}$ მონაკვეთი ამათაც, ლუკ. რეცენზიის მსგავსად, გადმოაქვთ II მეფეთას 25—26 თავებად, მაგრამ ტექსტი აქაც არაერთგვაროვანია, ნარევია.

[5] უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, **κατα** წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანში, „მრავალთავი“, ტ. IV, 1975, გვ. 171—184.

[6] იხ. **κατα** წინდებულის ეკვივალენტები, გვ. 174.

ამჟღავნებს სტრუქტურულ ერთიანობასაც. ტექსტის თავისებურებას ძირითადად განსაზღვრავს ჰექზაპლური ჩანართები და გადაადგილებანი, თუმცა დროდადრო თავს იჩენს წმინდა ლუკიანური ნიშნებიც[7].

მოგვყავს ტაბულა, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს I ნაკვეთის სტრუქტურას.

ტაბულა[8] I (γ 2—11)

| ჩანართები | L | Hex | O | FJ | S | MT |
|---|---|---|---|---|---|---|
| $\gamma^2{}_{35a-o}$ | + (sub—$c_2$) | + sub÷) | + | + | — | — |
| $2_{46a-e}$ | + | — | — | — | — | — |
| $6_{2-5}$ | + | — | ნაკლ. | — | — | — |
| $6_{10(+11-14)}$ | — | + | ნაკლ. | + | + | + |
| $9_{15-25}$ | — | + | + | + | + | — |
| $10_{23-25}$ | + | — | — | — | — | — |
| $11_{23-24}$ | — | + | + | + | + | + |
| გადაადგილება γ $7_{1-37}$ post 38—49 | — | + | + | + | + | + |

როგორც ტაბულიდან ვხედავთ, $\gamma^2{}_{35a-o}$ ჩანართის გამოკლებით, ყველა ქართული ნუსხა ერთნაირ სურათს აჩვენებს და ჰექზაპლურ ტრადიციას მისდევს.

მეტი სიცხადის შესატანად ქვემოთ ვიძლევით ჩანართების მოკლე ტექსტოლოგიურ დახასიათებას.

$\gamma^2{}_{25a-o}$ ჩანართი, ბიბლიის კემბრიჯული გამოცემის თანახმად[9], ყველა წყაროს აქვს (BAMN... Arm Sy). ჰენელის დაკვირვებით, რომელმაც $35_{a-o}$ და 46a-l ჩანართები შედგენილობის თვალსაზრისით შეისწავლა, ჩანართი III მეფეთა წიგნში მოთხრობილ სოლომონის ცხოვრებიდან ამოკრებილი მასალის შთაბეჭდილებას ტოვებს[10]. Sy $c_2$ წყაროები ამ ჩანართს sub ÷ ათავსებს. ქართული წყაროებიდან ჩანართი წარმოდგენილია FJO ნუსხებში (I დეფექტურია) და არ ჩანს ერთადერთ S ხელნაწერში. ამ ვერსიის რედაქტორი — ს. ს. ორბელიანი, რომელიც ჩვეულებრივ ტექსტის რედაქტირებას სომხურ-ლათინური წყაროების მიხედვით ახდენს, ამჯერად, ეტყობა, ანგარიშს უწევს იმ ტრადიციას, რომელიც $Syc_2$ წყაროებში აისახა. FJO ნუსხები $35_{a-o}$ ჩანართის[11] მიხედვით ტექსტობრივ ერთმანეთისაგან მინიმალურად სხვაობს. სხვაობას ძირითადად იწვევს

---

[7] განსაკუთრებით ეხება ეს $\gamma^2{}_{35a-o}$ მონაკვეთს და სოლომონ მეფის სახელმწიფო მმართველთა კატალოგს $\gamma^4{}_{18-19}$-ის მიხედვით.

[8] ტაბულაში არ აისახა I მონაკვეთის მეორე ნაწილი (δ2—21), რადგან აქ ტექსტის სტრუქტურა ტრადიციულად ყველა წყაროში ერთნაირია. ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ავსახეთ ისეთი ჰექზაპლური ჩანართებიც, რომლებიც მუხლების შიგნით ჩაერთვის.

[9] The Old Testament in Greek, ed by A. E. Brooke, N. Mclean and H. st. J. Thackeray, vol II, Cambridge, 1930, 211.

[10] J. Hänel, Die Zusätze der Septuaginta in I Reg $2_{35a-o}$ und 46a_l, ZAW, 47 (1929), 76—79.

[11] ოშკურ ნუსხაში ამ ჩანართის დასაწყისში საზედაო დონის მუცელში ჩასმულია ნიშანი ÷, ხომ არაა ეს იგივე $Syc_2$-ში დადასტურებული ობელოსის ნიშანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები, რომლებიც ჩანართში მოცემული ეპიზოდების დასათაურებას და კომენტარს წარმოადგენს: 35 a] pr სიბრძნისათვის სოლომონისა O] > FJ; 35 c] pr ცოლისა მოყვანებისათვს O] > FJ. 35f-ის ბოლოს: + ესრეთ იტყვს, ვითარმედ მაშინღა დედოფალ-ყო იგი J] > FO. ამ შენიშვნების წყარო ჯერჯერობით მიუკვლეველია. გარდა აღნიშნულისა, J ნუსხა 35l-o-ს ამოკლებს სეპტუაგინტას № 44 ნუსხისებურად, თუმცა ამ უკანასკნელში ტექსტი ტიპოლოგიურად ლუკიანეს რეცენზიისაგან სრულიად განსხვავებულია[12]. ამ ჩანართის ქართული თარგმანის ტექსტობრივმა შედარებამ ბერძნულ-სომხურ წყაროებთან, გამოავლინა მისი უდავოდ ლუკიანური ხასიათი: 35c ελαβεν] + Σαλομων boc$_2$ e$_2$: მოიყვანა სოლომონ FJO; 35i Ασσυρ B, Ασουρ eg-jm Arm] Ασσουδ oc$_2$: ასური FJO; βαιθωρων επανω: *ιερβαρων ελειν*] βεθωρων και την Ανω boc$_2$: ბეთოროონი და ანოჲ; 35l εκ Χεβρων] εκ Γαβαθα zboc$_2$e$_2$: გაბათით FO და სხვა.

2. $\gamma^2_{46a-l}$ ეს ჩანართი არის BL-სა და LXX უმრავლეს ნუსხებში, მაგრამ არა აქვს ჰექზაპლურ წყაროებსა (AxArmSy) და ქართულს. ჰენელის დაკვირვებით, ეს ჩანართიც ნაკრები ხასიათისაა და მისი გარკვეული ნაწილი (46b--k-i-l) აშკარად წარმოადგენს მომდევნო თავებში მოთხრობილი სოლომონის ცხოვრების ცალკეული ადგილების დუბლეტს. საგულისხმოა, რომ 46a—l ჩანართის პარალელური ადგილები ქართულში ჰენელის მიერ დამოწმებულ არც ერთ ტრადიციას არ მისდევს თანამიმდევრულად: 46 a-e ნაწილში ქართული $G^B$ ტრადიციას ემხრობა, 46d-h ნაწილში კი — $MG^A$-ს, ხოლო 46i-k-ს მიხედვით ქართული სრულიად განმარტოებით დგას[13], რაც γIV—XI თავების ისედაც რთულ შედგენილობაში ქართულის მიერ შეტანილმა კორექტივებმა განაპირობა.

3. მცირე ზომის მრავალი ჰექზაპლური ინტერპოლაციაა წარმოდგენილი მესამე მეფეთა წიგნის VI თავშიც. დავასახელებთ უმთავრეს მომენტებს: ა) $\gamma^6_{15(10)}$-ის ბოლოს გვაქვს ვრცელი ჩანართი AMN rell (44, 64, 74, 242, 244) Arm Sy წყაროების მიხედვით, რომელსაც სვითისა და კემბრიჯის გამოცემები წარმოადგენენ როგორც $6_{15(10)}$-ის დამატებას, რალფსისა კი — როგორც $6_{10}$-ის გაგრძელებას: $6_{11, 12, 13, 14}$. ამ ჩანართის $6_{11-14}$ მუხლებად დაყოფა ჰექზაპლურ ტრადიციას ემყარება. ჩანართი არის ქართულშიც (FJS), ამასთანავე S-ი ჩანართს ჰექზაპლური ტრადიციის თანახმად მუხლავს. ბ) $6_{18}$ (სვითისა და კემბრიჯული გამოცემების თანახმად) ჰექზაპლურში დაყოფილია $6_{17,18,19}$ მუხლებად, ასევეა S-შიც. გ) $6_{31}$-ის შემდეგ ჰექზაპლურ წყაროებსა და ქართულს აქვთ ჩანართი, რომელიც LXX არ იცის. დ) სამაგიეროდ $\gamma^6_{2-5}$ ჩანართი, რომელიც სპეციფიკურია LXX-თვის, არ იცის ჰექზაპლურმა და ქართულმა წყაროებმა.

4. ჰექზაპლურ ტრადიციას უნდა მივაწეროთ $\gamma^9_{15-25}$ ჩანართის არსებობა ქართულში (FOS)[14]. უცხოური წყაროებიდან იგი ცნობილია მხოლოდ AxArmSy (=MT) ჰექზაპლური ტრადიციის ტექსტებისათვის.

ქართულ ნუსხათა ურთიერთმიმართება ამ ჩანართის თანახმად მხოლოდ ვარიანტულია, თანაც O-სთან შედარებით FS უფრო სანდო იკითხვისებს ადასტურებს[15].

---

[12] A. Rahlfs, Sept-Studien, S. 7, 28.

[13] J. Hänel, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77.

[14] J ნუსხას $\gamma^9_{25}$-ის გამოკლებით, ეს ჩანართი აკლია მთლიანად, ალბათ, დეფექტური დედნის გამო; $\gamma^9_7$-ს ამავე გვერდზე უშუალოდ მოსდევს $\gamma^9_{25}$.

[15] მაგალითად: $9_{15}$ ტაძრისა FS] ხარკისა! O; მილონისა FS (გეოგრ. სახ.)] მისონისა O;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. $\gamma^{11}{}_{23,\,24}$, აგრეთვე ჰეგზაპლური ჩანართი, მოგვეძევება ქართულში, მაგრამ უცნობია BL წყაროებში. სამაგიეროდ ქართულში, ჰეგზაპლური წყაროების მსგავსად, არა გვაქვს $\gamma^{10}{}_{23-25}$ ჩანართი, რომელიც BL წყაროებს გააჩნიათ.

6. ჩანართების გარდა პირველ მონაკვეთში სტრუქტურული თვალსაზრისით საინტერესოა ტექსტის გადაადგილების შემთხვევები. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სპეციალური ჰეგზაპლური გადაადგილება VII თავში, სადაც ტრადიციული $\gamma^{7}{}_{1-37}$ გადასმულია $7_{49}$ მუხლის შემდეგ. ეს ჰეგზაპლური მოვლენა ზუსტად აისახა ქართულშიც, მათ შორის ოშკურ ვერსიაშიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, O-ს ტექსტი $\gamma^{4}{}_{12}$-დან $7_{32}$-მდე ნაკლულია, მაგრამ აქიდან მოკიდებული O-ც ჰეგზაპლურ რიგს მისდევს და FJS ნუსხებისაგან ტექსტობრივაც მინიმალურად სხვაობს.

როგორც ვხედავთ, სტრუქტურული თვალსაზრისით I მონაკვეთი მთლიანად ძალზე საინტერესო სურათს გვაწვდის, მაგრამ განსაკუთრებულ ვითარებას ამ მხრივ ის მონაკვეთი ავლენს, რომელიც მოიცავს IV—XI თავებს, მათ შორის თავისი კომპილაციური ხასიათის გამო საგანგებო განხილვას საჭიროებს $\gamma^{4}{}_{17-33}$ მონაკვეთი; მაგრამ სანამ მის ანალიზს შევუდგებოდეთ, ერთ სპეციფიკურ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: I ხელნაწერის ტექსტი III მეფეთას XIII თავამდე საერთოდ არ გაგვაჩნია, ხოლო ოშკური ხელნაწერი დეფექტურია სწორედ $\gamma^{4}{}_{12}$—$7_{32}$ მონაკვეთში, რასაც ერთვის J ნუსხის მიერ $\gamma^{4}{}_{12-19}$ მუხლების ერთ ფრაზამდე შემოკლება. ამის გამო $\gamma^{4}{}_{17-19}$ მონაკვეთი ფაქტიურად ორი გვიანდელი (FS) ნუსხის ტექსტით არის წარმოდგენილი, ამავე თავის მეოცე მუხლიდან კი მათთან ერთადაა J ნუსხაც. ამ მონაკვეთის სპეციალურ ცხრილში, რომელსაც აქვე წარმოვადგენთ, ჩვენ შვიდი საფეხური გამოვყავით; თითოეული მათგანი ქვემოთ ცალ-ცალკე იქნება კომენტირებული.

ცხრილი $\gamma^{4}{}_{17-33}$

| | G(=BL) | ქართული=FS(J) | Hex (=A Arm Sy) |
|---|---|---|---|
| I | $\gamma\ 4_{(18)\ 17}$<br>(19) 18<br>(17) 19<br>($\gamma\ 5_{7}$) 20<br>($_{8}$) 21 | $4_{17}$<br>18<br>19<br>20<br>21 | $4_{18}$<br>19<br>17<br>. . .<br>. . |
| II | . . .<br>. . . | ($\gamma\ 4_{2_1}$) 21a<br>($\gamma\ 5_{1}$) 21b [21] | ($\gamma\ 4_{20}$) 20<br>($\gamma\ 5_{1}$) 21 |
| III | ($\gamma 5_{2}$) 22<br>(3) 23<br>(4) 24 | ($\gamma\ 5_{2}$) 22 [22]<br>(3) 23 [23]<br>(4) 24 [24] | ($\gamma\ 5_{2}$) 22<br>(3) 23<br>(4) 24 |
| IV | . . .<br>. . . | (5) 24a [25]<br>(6) 24b [26] | (5) 25<br>(6) 26 |

ესერი FS (გეოგრ. სახ.)] ესე ერი O; ქუენაჲ FS] ქყ˘ნაჲ O და სხვ. ყველა დამოწმებულ შემთხვევაში FS სწორად ასახავს სათანადო ბერძნულ-სომხური ტექსტების ჩვენებას, O კი განკერძოებით დგას.

| | G(=BL) | ქართული=ES (I) | Hex (=A Arm Sy) |
|---|---|---|---|
| V | . . . | (7) . . . [27] | (7) 27 |
| | . . . | (8) . . . [?] | (8) 28 |
| | ((9) 25 | (9) 25 [29] | (9) 29 |
| | (10) 26 | (10) 26 [30] | (10) 30 |
| | (11) 27 | (11) 27 [31] | (11) 31 |
| VI | (12) 28 | (12) 28 [32] | (12) 32 |
| | (13) 29 | (13) 29 [33] | (13) 33 |
| | (14) 30 | (14) 30 [34] | (14) 34 |
| | (γ $3_1$) 31 | . . . . | . . . |
| VII | (γ $9_{16}$) 32 | . . . . | . . . |
| | (γ$9_{17}$) 33 | . . . . | . . . |

ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ ამ ცხრილში სხვადასხვა ტრადიციის ჰიბრიდი ამოვიცნოთ[16]:

I. $\gamma^4{}_{17-21}$ მუხლების რიგი ქართულში პირწმინდად სეპტუაგინტასებურია: ა) ისევე როგორც LXX-ში, მე-17 მუხლი არც ქართულშია მე-19 მუხლის შემდგომ გადასმული. ბ) ძალზე სპეციფიკურია მე-19 მუხლის შემდეგ ($\gamma^5{}_7$) 20, ($\gamma^5{}_8$) 21 მუხლების არსებობა, რომლებიც ჰეგზაპლური ტრადიციის თანახმად 27-ე, 28-ე მუხლებად მიდის.

II. ტექსტობრივ ($\gamma^4$) 21a, ($\gamma^5{}_1$) 21b [21] წმინდა ჰეგზაპლურ ინტერპოლაციას წარმოადგენს, მაგრამ ჰეგზაპლური ტრადიცია მას 20, 21 მუხლების ნაცვლად წარმოგვიდგენს. ქართულში კი სახეზეა როგორც 20,21 (=LXX), ისე 21a, 21b (=Hex). მაშასადამე, ქართულმა ერთმანეთის გვერდიგვერდ მოგვცა ორი განსხვავებული ტრადიციის ტექსტი.

III. საფეხური ერთნაირია ყველა ტრადიციის ტექსტში.

IV. ქართულმა შემოგვინახა ისევ წმინდა ჰეგზაპლური ინტერპოლაცია 24a [25], 24b [26], რაც LXX საერთოდ არ იცის.

V. როგორც ზემოთ ვთქვით, ამ საფეხურის 27-ე, 28-ე მუხლები (=Hex) ქართულს გადატანილი აქვს მე-19 მუხლის შემდგომ (=LXX), რაც მხოლოდ ქართულის თავისებურებას წარმოადგენს.

VI. წინამდებარე V საფეხურიდან 27-ე, 28-ე მუხლების გადაადგილების გამო VI საფეხურიდან მოყოლებული, დარღვეულია მუხლობრივი სათვალავის თანაფარდობა ჰეგზაპლურ ტრადიციასთან, თუმცა ქართული ტექსტობრივ მას მისდევს.

VII. წმინდა ჰეგზაპლური მოვლენაა აგრეთვე სეპტუაგინტასათვის დამახასიათებელი ($\gamma^3{}_1$)$_{31}$, ($\gamma^9{}_{16}$)$_{32}$, ($\gamma^9{}_{17}$)$_{33}$ მუხლების უქონლობა ქართულში. არის კი-

[16] ერთადერთ დამუხლულ ქართულ ტექსტში — საბასეულ ბიბლიაში $\gamma^1{}_{13-21a}$მონაკვეთი დაუმუხლავია, ხოლო მომდევნო მუხლების საბასეული ნუმერაცია, ნაჩვენები კვადრატულ ფრჩხილებში, ჰეგზაპლური ტრადიციის თანახმად მომხდარა, თუმცა ერთი შეუსაბამობა მაინც გაპარულა: ჰეგზაპლური ტრადიციის 27-ე, 28-ე მუხლების ტექსტი საბას LXX ტრადიციის თანახმად $\gamma^1{}_{19}$-ის შემდეგ მოუთავსებია; ამასთანავე 27-ე მუხლის სათვალავი სათანადო ადგილას საბას მაინც მიუწერია, თუმცა ტექსტი არც 27-ე, არც 28-ე მუხლებისა მას ამ ადგილას არ გაუმეორებია. 26-ე მუხლს უშუალოდ მოსდევს 29-ე მუხლის ტექსტი. ჩვენი დამუხლვა ამჟამად LXX დამუხლვას მისდევს.

ბერძნულის გავლენას უნდა მიეწეროს $\gamma^4{}_{12}$-ში ბერძნული υπακάτω[20] წინდებულის ბადლად „ქვეაღ“ წინდებულის ხმარება: υποκατω του Εζραε: *ի ներքոյ եզրայէլի*: ниже Израиля MT: ქ ვ ე ა ღ (!) ეზრაესსა FS, შდრ., აგრეთვე $4_{13}$ Γαλααδ B] του Γαλαδιτου εις $boc_2e_2$: გ ა ლ ა დ ი ტ ე ლ ი ს ა FS და μοχλοι χαλκεοι $boc_2e_2$: მ ო ჭ ლ ო ნ ე ბ ი რვალისაჲ FS] *պարսպաւորք պղնձանք*[21].

საბოლოოდ, მეოთხე თავის I საფეხურის განხილვას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მისი ამჟამინდელი ვიოარება ტექსტის გვიანდელი რევიზიით უნდა ავხსნათ. რევიზია (ეს საკუთარ სახელთა ანალიზმაც გვიჩვენა) ჩატარებულია ლუკიანეს რეცენზიის ბაზაზე. როგორც ჩანს, მეოთხე თავი ქართული თარგმანის არქეტიპშივე ნაკლული იყო (შდრ. $\gamma^4{}_{12}$—$^7{}_{32}$ ნაკლულია ამჟამადაც უძველეს ოშკურ ხელნაწერში)[22]. ეს ნაკლული ადგილი ჯანაშვილისეული ვერსიის რედაქტორ-გადამწერმა ლუკიანეს ტრადიციების მქონე ტექსტიდან შეავსო ალბათ. არაა გამორიცხული, რომ რედაქტორ-შემსწორებელი ლუკიანური ტრადიციების მომხრე იყო. ამ მონაკვეთის გვიანდელი რევიზიის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს $\gamma^4{}_{20,\ 21}$ (=LXX) პარალელურად $4_{21a-b}$ (=Hex) მუხლების არსებობაც S-ში.

მხოლოდ ტექსტის რევიზიით, მისი არა ერთგზისი შეწამებით სხვადასხვა წყაროებთან უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამ თავში (და არამარტო ამ თავში), ერთმანეთის გვერდიგვერდ, ხშირად ერთსა და იმავე მუხლშიც კი, იოლად ვიპოვით როგორც ლუკიანური, ისე ჰეგზაპლური ტრადიციის წყაროებიდან მომდინარე იკითხვისებს. აქ ჩვეულებრივი მოვლენაა ერთმანეთის მეზობლობაში ბერძნიზმებისა და არმენიზმების შეხვედრა, ზოგჯერ კი სრულიად უცნობი წარმომავლობის მასალის ფიქსაციაც. ერთი სიტყვით, აქ ისე მტკიცედ და საფუძვლიანად არის ერთმანეთში შეჭრილი, გადაწნულ-გადახლართული სხვადასხვა ტრადიციის მქონე წყაროებიდან მომდინარე მასალა, რომ ამაოა შრომა იმის გასარკვევად, თუ სად თავდება ერთი ტრადიციის ნაკვალევი და სად იწყება მეორისა. საჩვენებელ ნიმუშად დავიმოწმებთ რამდენიმე მრჩობლ იკითხვისს[23] IV თავიდან, სადაც განსხვავებული ტრადიციის წყაროებიდან მომდინარე მასალაა სწორედ ერთად აკინძული.

$\gamma^4{}_7$-ის ერთი ფრაზა თარგმანებში ასეა გადმოცემული: χορηγειν: *առ առնել*: (დაედგინნეს)... მ ო ღ უ ა წ ა დ და წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ა დ და რ ო ჭ ი კ ი ს მ ი მ ც ე მ ე ლ ა დ (სახლსა მას სამეუფოსა—J) FJOS[24]. აქ მრჩობლი იკითხ-

[20] υποκατω წინდებული III—IV მეფეთაში მსგავს კონტექსტში 9-ჯერაა ნახმარი ($\gamma^7{}_{13,25,44}$; $14_{23}$, $19_{14}$ და სხვ.) ცხრასავე შემთხვევაში ყველა ნუსხა მას „ქ უ ე შ ე“ თანდებულით თარგმნის.

[21] χαλκος-ის შესატყვისად ქართულში გვხვდება როგორც „რვალი“, ისე „პილენძი“. ჩვენი დაკვირვებით ის ფენები, რომლებშიც „რვალი“ დომინირებს, ბერძნულის მიხედვითაა ნასწორები.

[22] ხომ არაა ამასთან კავშირში აგრეთვე J ნუსხაში $\gamma^4{}_{12-19}$ მუხლების ერთ ფრაზამდე „და ესრეთ თემი და თემი მიუჩინა“ — შემოკლება? ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: ამ მონაკვეთში ქართულ ტექსტს გარკვეული სიძნელეების გადალახვა მოუხდა.

[23] ამგვარი იკითხვისების ბუნება კარგად აქვს გახსნილი J. W. Wevers-ს თავის სტატიაში: Double Readings in the Books of Kings, Journal of Biblical Literature, 65, 1946 307—310.

[24] შდრ. მასორეთულის რუსული თარგმანი: доставляли продовольствие царю и дому его.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისის პირველი ნაწილი „მ ო ღ უ ა წ ა დ დ ა წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ა დ“ =LXX χορηγειν-ს „მართვა, ხელმძღვანელობა“, მეორე კი „რ ო ჰ ი კ ი ს მ ი მ ც ე-მ ე ლ ა დ“ — -სომხ. *տալ ռոճիկ*-ს.

γ $4_{8}$ בֶּן־חוּר -„ბენ ჰურ“ საკუთარი სახელი, ერთი მხრივ, გადმოიცემა როგორც Βαινωρ № 56, 64, 71, Βενωρ 55, Βαιωρ BL. Bē'ō r Aeth, რასაც, მეორე მხრივ, უპირისპირდება ჰეგზაპლური ტრადიციის Βεν υιος ωρ A 247: *բէն որդի ովրայ*. ქართულს, S-ის გამოკლებით, აქაც ორივე ტრადიციის ნაკვალევი შემოუნახავს: ბეორ+ძჱ იორაჲსი FJO, სადაც „ბ ე ო რ“ BLAeth ტრადიციის ტექსტებს ეხმიანება, ხოლო „ძჱ ი ო რ ა ჲ ს ი“ ჰეგზაპლას გავლენის ნაყოფია. რაც შეეხება S-ს, მას იკითხვისი მთლიანად ჰეგზაპლური ტრადიციის თანახმად გაუსწორებია: ბენიამენ ძე იორასი S.

როგორც ვიცით, γ $9_{15-25}$, $11_{23-25}$ წმინდა ჰეგზაპლური ჩანართებია (იხ. ზემოთ). ჰეგზაპლურ წყაროებთან შედარებიდან ირკვევა ამ ჩანართების დიდი სიახლოვე მათთან, ხოლო ზოგიერთი ტექსტობრივი ნიუანსის გათვალისწინება ამ ჩანართების წყაროდ სომხურს გვავარაუდებინებს.

1) საკუთარი სახელები:

$9_{15}$ ა) Μεδαν] Μαειδαν χ: *գմայիդան* ed: *գմայդան* codd. მაიდანი FS, მაჲდანი O. შდრ. Maedom O n-L a t. ბ) Ασσουρ] Ασουρ xArm: ასური FOS. გ) Γεζερ] *գզայեր*: გაზერი FOS (ასევე $9_{16}$-შიც).

$9_{18}$ Θερμαθ]Θερμωθ x On: *գթերմոթ*: თერმოთი FO, დერმოთი S.

$9_{19}$ την Βαιθωρων]Βεθωρων x: *բեթորոն*: ბეთორონი FOS.

2) სხვა ტექსტუალური თავისებურებანი: კლება, მატება, გადაადგილება, სინონიმების წარმოდგენა:

$9_{22}$ και αρχοντης αυτου των αρματων]>Arm=FOS. 23 ουτοι]pr και x: *և այս*: და ესე FOS. 24 ον ωκοδομησεν συν την Μελω A]ον ωκοδομησεν τοτε ωκοδομησεν την Μελω xSy: *որ շինեաց նմա յայնժամ շինեաց զՄելոն*: რომელი-იგი უშენა მას, მას ჟამსა (+ რომელ S) აღაშენა მელონი (მილონი O) FOS. 25 εθυμα αυτος]*արկանէր խունկս*: უკუმევნ საკუმეველთა (საკუმეველსა O) FOS.

თარგმანი ამ ჩანართებისა არც თუ იშვიათად ამჟღავნებს სათარგმნი წყაროსადმი თავისუფალ მიდგომას, ხოლო ალაგ-ალაგ განსხვავებული (სომხური?) წყაროს ნაკვალევსაც ატარებს: $9_{15}$ მუხლში ებრაული вот распоряжение о подати ბერძნულსა და სომხურში ასეა თარგმნილი: αυτη η πραγματια της προνομης: *և այս են հանդերձանք տուրին*, რასაც ქართული ასე გადმოსცემს: და (>FS) ესე არს ხარკი FOS.

აქ თავი რომ დავანებოთ ისეთ ნიუანსს, როგორიცაა αυτη-ს *և այս են*= დ ა ე ს ე ა რ ს-ით გადმოცემა სომხურ-ქართულში, ყურადღებას იქცევს η πραγματια της προνομης=*հանդերձանք տուրին*-ის ბადლად ქართულში „ხარკი“-ს ხმარება. სომხური ტექსტის მარგინალური შენიშვნიდან ჩანს[25], რომ სომხურს ამ ადგილას *սակ հարկի* «договор подати» ვარიანტიც ჰქონია, რასაც ზუსტად შეესატყვისება სირიულში წარმოდგენილი სვიმახოსის ვარიანტიც: verbum tributi[26], ამგვარად, „ხარკი“ ქართულში აქ მთარგმნელის თავისუფლე-

---

[25] იხ. სომხ. ბიბლიის ვენეციური გამოცემა, 1805, გვ. 154.

[26] The OT in G. p. 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ მის მიერ განსხვავებული (სომხური?) წყაროს გათვალისწინებით შეიძლება ავხსნათ[27].

$9_{16}$-ის фараон, царь египетский пришел MT=φαραω βασιλεως Αιγυπτου ανεβη-ს შესაბამისი ფრაზა სომხურში ერთგვარად გაბუნდოვანებულია ανεβη-ს წინ *քանզի* კავშირის დართვით: *փարաոնի արքայ եգիպտացւց· քանզի* (!?) *եւ.* FO ნუსხები იმეორებენ რა სომხურის გაუგებრობას, კიდევ უფრო აბუნდოვანებენ ტექსტს: მ ე ფ ი ს ა მ ი ს მ ე გ ვ პ ტ ე ლ თ ა ჲ ს ა, რ ა მ ე თ უ გ ა მ ო ვ ი დ ა. საგულისხმოა, რომ FO-ს ეს ბუნდოვანი ფრაზა საბას წმინდად LXX მოდელზე გაუმართავს: ფ ა რ ა ო, მ ე ფ ე ე გ ვ პ ტ ე ლ თ ა, გ ა მ ო ვ ი დ ა S. მხოლოდ სომხურის ნიადაგზე იხსნება ერთი ტექსტობრივი ნიუანსი $\gamma 11_{23-25}$ ჩანართიდან[28]. $11_{23}$-ში ალექსანდრიული ნუსხა კითხულობს: και ηγειρεν κυριος σαταν τω Σαλωμων Ραζων υιον Ελιαδαε τ ο ν Β α ρ α μ ε ε θ α δ α δ α ζ ε ρ Βασιλεα Σουβα.

ალექსანდრიული ნუსხის ბუნდოვანი ადგილი τον Βαραμεεθ αδαδαζερ, რომელიც, ალბათ, შესაბამისი ებრ. который убежал от Гадад-Езера იკითხვისიდან მომდინარეობს, ჰეგზაპლურ x ნუსხაში გამოტოვებულია, ხოლო სომხურში ტექსტი ასე გაუმართავთ: *ո ր փ ա խ ե ա ւ յ ա դ ր ե ա զ ա ր ա յ* ed (*յադրաազ...* codd). ქართული სიტყვასიტყვით მისდევს სომხურს: რომელი-იგი ივლტოდა ადრაზარ (მეფისა მისგან) FOS.

ჰეგზაპლური ჩანართები მთარგმნელობითი თვალსაზრისითაც სხვაობს ლუკიანური ტრადიციის ჩანართებისაგან. თარგმანი ამ ჩანართების მიხედვით არაა ისე ზედმიწევნით მიდევნებული წყაროსთან, როგორც ეს ლუკიანურ ჩანართებშია. ასე მაგალითად: $\gamma 9_{19}$ მუხლის მიხედვით ბერძნულ-სომხური ტექსტები სიტყვასიტყვით მისდევს ერთმანეთს, ქართულს კი მხოლოდ ფრაზის ძირითადი აზრი გადმოაქვს: και την πραγματιαν Σαλωμων ην επραγματευσατο οικοδομησαι εν ιλῆμ: *և զհանդերձանս սողոմոնի զոր հանդերձեաց շինել յ՞եմ*]და ყოველი იგი საქმე, რომელ ქმნა იერუსალემს FOS. შდრ. и все то, что Соломон хотел построить в Иерусалиме MT[29]. ასევე თავისუფალი, თარგუმისებური სტილითაა გადმოცემული $9_{15}$ მუხლის ერთი ფრაზაც ქართულში: οικοδομησαι... τ η ν α κ ρ α ν του περιφραξαι τον φραγμον.: *շինել... զբարձաւանդակն, խնուլ խրամս*: საშენებლად... მაღალთა მათ და აღაგნა ზღუდენი იგი დარღუეულნი FOS.

ამ თვალსაზრისით შდრ. აგრეთვე $\gamma 11_{24}$ εκαθισεν εν αυτη και εβασιλευσεν εν Δαμασκω: *Նստան ի նմա և [Թագաւորեաց ի դամասկս*] დადგა ადერ (!) მეფედ დამასკეს FOS.

კონტექსტის მიხედვით ლექსიკური სინონიმების შერჩევასა და ზოგიერთ სხვა სტილისტურ თავისებურებაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ, II მონაკვეთის დასასრულს.

---

[27] შდრ. ამ თვალსაზრისით: $9_{21}$ εις φορον δουλειας: **ընդ հարկօք ծառայութե**: ხარკსა მონებისასა FOS და $9_{22}$ **ουχ** εδοκεν... εις πραγμα: **ոչ ետ ...ի հանդերձաւորու˜ի** (**...ի ծառայու˜ի** mg. α′ in servientem σ′ servire Sy). არა შეადგინა ... ხარკსა მძიმესა FOS.

[28] ჩანართი გააჩნია მხოლოდ ოთხ ჰეგზ. წყაროს A x A r m S y (იხ. Cambr. გვ. 250).

[29] მასორეთული ტექსტის რუსული თარგმანი ყველგან მოგვყავს ვენური გამოცემის მიხედვით: Священыя Книги Ветхого Завета переведенныя с еврейского текста, Вена, 1877.

ამრიგად, I მონაკვეთის სტრუქტურული და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლამ გამოავლინა ქართული ტექსტის აშკარა ჰეგზაპლური ხასიათი; თუმცა ტექსტი საბოლოოდ მაინც არაა წმინდა ჰეგზაპლური ტრადიციის მატარებელი და არც თუ იშვიათად ავლენს ჰეგზაპლურთან ლუკიანური ტრადიციის შერწყმის შემთხვევებს (განსაკუთრებით ითქმის ეს γ მეფ. IV თავის შესახებ). სხვადასხვა ტრადიციების შერწყმა უფრო მეტად ნიშანდობლივია FJO ნუსხებისათვის; რაც შეეხება საბასეულ ვერსიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ IV თავს, სადაც ვერც საბა ასცდა განსხვავებული ტრადიციების გავლენას, იგი ყველაზე თანამიმდევრულად იზიარებს ჰეგზაპლურ ტრადიციას.

სტრუქტურული თვალსაზრისით მკვეთრი სხვაობა მეფეთა წიგნების ქართულ ტექსტში იწყება მეორე (γ12—δ2) მონაკვეთიდან, სადაც ყველაზე ნათლად გამომჟღავნდა ის დაპირისპირება, რომელსაც განსხვავებული ტრადიციის წყაროებით ნასაზრდოები, სხვადასხვა შედგენილობისა და წარმომავლობის ტექსტებთან ნაჯერები ქართული ვერსიები ავლენენ ერთმანეთს შორის. კერძოდ, თუ FJSI ნუსხების ტექსტი სრუქტურულად აქაც ჰეგზაპლური ტრადიციის დამცველად მოგვევლინა, O პრინციპულად გაემიჯნა მათ და ლუკიანეს რეცენზიის ძლიერი გავლენის უტყუარი ნიშნები წარმოაჩინა.

ტაბულა, რომელსაც ქვემოთ ვათავსებთ, ასახავს მეორე მონაკვეთის ტექსტის სტრუქტურას და მასთან ქართული ნუსხების მიმართებას.

ტაბულა II (γ12—δ2)

| ჩანართები | L ($c_2$) | O | Hex (AArmsy) | FIJS |
|---|---|---|---|---|
| γ $12_{24a-z}$ | + | + | — | — |
| $14_{1-20}$ | + | + | + | + |
| $16_{28a-h}$ | + | + | — | — |
| $22_{41-51}$* | — | — | + | + |
| $22_{54a-b}$ | + | + | — | — |
| გადასმა | | | | |
| γ $12_2$ in $11_{43}$ | + | + | — | — |
| γ 20 post 21 | — | — | + | + |
| δ $1_{18a-d}$ post 18 | + | + | — | — |

როგორც ცხრილიდან ჩანს, აქ, ერთი მხრივ, ყურადღებას იქცევს რამდენიმე ვრცელი ჩანართი (γ$12_{24a-z}$, $16_{28a-h}$, $22_{54a-b}$) და სპეციფიკური ლუკიანური გადასმა (δ$1_{18a-d}$), რომლებიც ასევე გვხვდება O-შიც, მაგრამ არ იცის ჰეგზაპლურმა წყაროებმა და არც FIJS ნუსხებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ჰეგზაპლური ტრადიციისათვის ნიშანდობლივი γ$22_{41-51}$ მუხლები და XX თაკის გადასმა XXI თავის შემდგომ, ზედმიწევნით ფიქსირებული FIJS-ში, მაგრამ უცნობი ლუკ. რეცენზიისა და ოშკური ვერსიისათვის.

მას შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა მეფეთა წიგნების ტექსტის სტრუქტურული მოდელები I და II მონაკვეთების მიხედვით და ის პრინციპული სხვაობა, რასაც ტრადიციული თვალსაზრისით ამ მონაკვეთების შედარება

* $22_{47-50}$ აქვს AArmSy(sub ※ α'(uid) Cambr.; შდრ. ა. რალფსთან: post γ$22_{46}$ addit O* ※ 47—50. ეს მუხლები გვაქვს FIJS ნუსხებშიც და მისდევს ჰეგზაპლურ წყაროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა, შევეცდებით წარმოვადგინოთ ტექსტობრივ-სტილისტური ანალიზი ამ მოდელებში ასახული განსხვავებული ტრადიციის მქონე ჩანართებისა მათი ურთიერთ შეპირისპირების საფუძველზე.

პირველი, რაც II მონაკვეთის ჩანართების ($\gamma 12_{24a-z}$, $16_{28a-h}$, $22_{54a-b}$) ტექსტობრივი განხილვის დროს თვალში გვეცემა, ეს არის მათი ერთგვაროვნება წარმომავლობის თვალსაზრისით: აქ ყველა ნიშნის მიხედვით დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ჩანართების წყარო მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულია და ეს ბერძნული ლუკიანეს რეცენზიის ტრადიციების მატარებელია. უფრო მეტიც, ჩანართების ქართული ტექსტი იმის დაკონკრეტების საშუალებასაც იძლევა, თუ ლუკიანეს რეცენზიის რომელი ტიპის ნუსხებით სარგებლობდა ქართველი მთარგმნელი. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების ღირსია ლუკიანეს რეცენზიის № 127 ნუსხა, რომელსაც LXX გამოცემები $c_2$ ლიტერით აღნიშნავს[30]. $c_2$ მეათე საუკუნის ხელნაწერია პერგამენტზე, 440 ფურცელი. 1—59, 435—440 გვერდები ვვიანდელია, შევსებულია ქაღალდით. ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა ივერთა მონასტერს ათონზე(!) და მე-17 საუკუნის შუა წლებში არსენი სუხანოვს იგი მოსკოვს გადმოუტანია. ამჟამად ინახება მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში — Graes. 31[31]. ბიბლიოლოგიაში ხელნაწერი ცნობილია მრავალი ჰეგზაპლური შენიშვნის წყალობით არშიებზე. ხელნაწერის ტექსტი მეფეთა წიგნებში ლუკიანურია[32]. მაშასადამე, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ 978 წლის ოშკურ ვერსიას, რომელიც წარმოშობით ათონის ივერთა მონასტრიდანაა, ბიბლიის ქართული თარგმანის რევიზია მოეხდინა X საუკუნის ლუკიანეს რეცენზიის ბერძნული ხელნაწერის მიხედვით, რომელიც აგრეთვე ივერთა მონასტერს ეკუთვნოდა. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ჩანართების (და არა მარტო ამ ჩანართების) ქართული ტექსტის უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა სეპტუაგინტას №№ 55, 56, 158 ხელნაწერებთან, რომლებიც ბოლო დროის ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში მართებულად არის მიჩნეული ლუკიანეს რეცენზიის ნუსხებად[33].

მოგვყავს ლუკიანეს რეცენზიის ნუსხებთან ოშკური ვერსიის ურთიერთობის ამსახველი ფაქტობრივი მასალა ამ ჩანართების მიხედვით:

ა კ ლ ე ბ ს

$\gamma 12_{24a}$ και 2°... αυτου 2°]>b Aeth Luc=O.

$_{24d}$ εγω]>bdiopc$_2$e$_2$ Sy (mg)=O.

$_{24g}$ και 1°... (24n) απαντην]>c$_2$ (!)=O

$16_{28b}$ και 2°]>c$_2$ e$_2$=O.

$_{28c}$ ἄ]>bg$^{\text{ἄ}}$a$_2$c$_2$e$_2$ Lat=O და სხვ.

ა მ ა ტ ე ბ ს

$12_{24a}$ ετων]+Pωβοαμ biopc$_2$e$_2$: წლისაჲ+იყო რობოამ O.

$_{24c}$ εφοβηθη]+Ιεροβοαμ i: შეეშინა+იერობოამს O.

---

[30] The OT in Greek, pp. 255, 263 და სხვ.

[31] A. Rahlfs, Sept.-Studien, s. 15.

[32] იქვე, გვ. 15.

[33] J. Shenkel, ხს. შრომა, გვ. 33. ეს ნუსხები LXX გამოცემებში აღნიშნულია ლიტერებით: 55-h, 56-i, 158-g.

$_{24e}$ πρεσβυτεραν + αδελφην bdopc$_2$e$_2$ Sy (mg): უხუცესი + ცოლისდაჲ O.

$_{24o}$ ρηγματα 1°] + προ τον περιβαλεσθαι σε boc$_2$e$_2$: ნახევად + ვიდრე შემოსადმდე შენდა O.

$16_{28a}$ Ασα] + επι Ιουδαν(-δα g) bgic$_2$e$_2$: ასაჲსი + იუდასა ზედა O.

$16_{28b}$ επορευθη] + Ιωσαφατ bgic$_2$e$_2$:ვიდოდა + იოსაფატ O.

$_{28d}$ αυτου] + αις επεθεντο (-θετο c$_2$) bgic$_2$e$_2$:მისისათა + რომელნი-იგი ჰბრძოდეს O და სხვ.

უსწრებს

$12_{24a}$ ა) πορνη B]pr γυνη Nh(mg) rell Lat Aeth:დედაკაცი მეძავი O.
ბ) Αμμων Ba$_2$]pr υιων b rell Aeth Thdt:ძეთა ამონისთა O.

$_{24n}$ τας φυλας]pr πασας bioc$_2$e$_2$: ყოველი ტომები O.

$16_{28c}$ και 2°] pr και τα λοιπα των λογων Ιωσαφατ c$_2$e$_2$: და ნეშტნი იგი სიტყუათა იოსაფატისნი O (შდრ. et omnia verborum Iosafat Lat).

$_{28d}$ των συμπλοκων] pr των λογων b: სიტყუანი და ბრძოლანი O და სხვ.

გადააადგილებს

$12_{24t}$ μερις ημιν] ημιν μεριδ bioc$_2$e$_2$: ჩუენი ნაწილი O.

$16_{28a}$ βασιλευει ετων τριακοντα και πεντε εν τη βασιλεια αυτου]υιος τριακοντα και πεντε ετων Ιωσαφατ εν τω βασιλευειν αυτων bic$_2$e$_2$: ძე ათხუთმეტისა (!) წლისაჲ იყო იოსაფატ მეფობასა მისსა O.

$_{28f}$ ναυν εις Θαρσεις πορευεσθαι]ναυν πορευθηναι εις Θαρσεις boc$_2$: ნავნი მისლვად თარშიო (!) O და სხვ.

საკუთარი სახელებს

$12_{24a}$ Ναανανν]Ναανα bdopc$_2$e$_2$ Thdt: ნაანა O (შდრ. Νααμα i: Nahanon Aeth).

$_{24b}$ Σαρεισα BLat]Σαρεια e$_2$:Σαριρα N rell Aeth: სარირა O.

$16_{28}$ ა) Γαβουζα]Γαζουβα N rell: გაზობა O (შდრ. Gasiba Lat). ბ) Ζαμβρει]Αμβρι bpac$_2$e$_2$ Lat: ამბრისა O და სხვ.

განხილული ტექსტობრივი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ოშკური ვერსია ლუკიანეს რეცენზიის b o c$_2$ e$_2$ g h i წყაროებს ემყარება, უდავოდ. მაგრამ ქართულს გააჩნია ზოგი ისეთი ნიუანსი, რომელთა პარალელს მხოლოდ და მხოლოდ ან c$_2$ ნუსხაში, ანდა gi წყაროებში ვიპოვით. ერთ-ერთი მათგანია $12_{24g}$ και[10] (24n)απαντην მონაკვეთის კლება c$_2$-სა და ქართულში, რომელსაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი არც ერთი სხვა წყარო არ იცნობს.

ასევე უაღრესად საინტერესოა $\gamma 22_{54a-b}$ ჩანართი, რომელიც ბიბლიის მრავალრიცხოვანი უცხოური და ქართული წყაროებიდან მხოლოდ და მხოლოდ g i ნუსხებსა და ქართულის ოშკურ ვერსიაშია წარმოდგენილი; ამ ჩანართის ქართული თარგმანი ისე ზუსტად მისდევს მის ბერძნულ ორიგინალს და იმდენად საყურადღებოა თავისი სტილითა და მანერით, რომ მოგვყავს სრულად ბერძნული ორიგინალის პარალელური ჩვენებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

αυτου]+

54a. και μετα ταυτα εκοινωνησεν Ιωσαφατ βασιλευς Ιουδα μετα Οχοζιου βασιλεως ισηλ και αυτος ηνομησεν του ποιησαι και πορευθηναι προς αυτον. και εκοινωνησεν μετ αυτου του ποιησαι πλοια και πορευθηναι εις Θαρσεις και εποησε ναυς εις γεσιων (γαισων i) γαβερ.

54b. και προφητευσεν ελιεζερ ο του δοδηου (δωδειου i) εκ μαρησα (-ρισα i) επι ιωσαφατ λεγων ως εφιλιασας τω οχοζια και εκοινωνησας μετ' αυτου. διεκοψεν κ͂ς τα εργα σου και συνετριβησαν αι νηες σου και ουκ εδυνηθησαν του πορευθηναι εις θαρσεις (ig).

$22_{54}$ მისა]+

54a. ამისა შემდგომად ეზიარა იოსაფატ [ო]ოზიაჲს თანა, მეფისა ისრაჱლისა, და მანცა უშჯულოება ქმნა და მისლვაჲ და მის თანა ყოფაჲ. და ეზიარა მას საქმედ ნავებისა და წარავლინებდა თარშით(!) და ქმნა ნავები იგი გასიონ გაბერს.

54b. და წინაწარმეტყუელებდა ელიეზერ, ძჱ დოდისი, იოსაფატის ზედა და თქუა: რამეთუ დაეგე შენ ოქოზიას და ეზიარე მას, განკუეთა უფალმან საქმჱ შენი და შემუსრა ნავები შენი და ვერ უძლეს წარსლვად თარშით(!).

მცირე ტექსტუალური გადახრების გამოკლებით (54a και 1°]>O, βασιλευς Ιουδα]>O, πορευθηναι προς αυτον]მისლვაჲ და მის თანა ყოფაჲ O. 54b, ὅ] ძჱ O), O ზედმიწევნით იმეორებს gi-ს ტექსტს.

ამ ჩანართის მთარგმნელი რომ განსხვავებული მთარგმნელობითი პრინციპებით ხელმძღვანელობს, ამას განსაკუთრებით რელიეფურად წარმოაჩენს მისი შედარება ნეშტთა წიგნის სინოპტიკურ ნაწილთან: ბერძნ. εκοινωνησεν Ιωσαφατ... μετα Οχοζιου βασιλεως Ισραηλ ნეშტთა წიგნში გადმოღებულია ქართული ენის უზუსის დაცვით: ე ზ ი ა რ ა იოსაფატ... ო ქ ო ზ ი ას, მ ე ფ ე ს ა ი ს რ ა ე ლ ი ს ა ს ა FJS (II ნეშტ. $20_{35}$); $\gamma 22_{54a-b}$ მონაკვეთის მთარგმნელი კი ბერძნულის გავლენას განიცდის: ე ზ ი ა რ ა იოსაფატ... ო ქ ო ზ ი ა ჲ ს თ ა ნ ა, მ ე ფ ი ს ა ი ს რ ა ე ლ ი ს ა O ($\gamma 22_{54a}$). ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითებშიც: 1) προφητευσεν Ελιεζερ επι Ιωσαφατ: წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ და ელიეზერ... ი ო ს ა ფ ა ტ ს (sic) FIS (II ნეშტ. $20_{37}$)] წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ და ელიეზერ... ი ო ს ა ფ ა ტ ი ს ზ ე და O ($\gamma 22_{54b}$); 2) και αυτος ηνομησεν του ποιησαι και πορευθηναι προς αυτον: და მან უსჯულოებაჲ (+ ქმნა S) ყოფად და მისლვად მ ი ს ა FJS (II ნაშტ. $20_{36}$)] და მანცა უშჯულოება ქმნა და მისლვაჲ და მ ი ს თ ა ნ ა ყოფაჲ O ($22_{54a}$).

არაა შემთხვევითი, რომ ბერძნ. διεκοψεν ასევე სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით არის თარგმნილი ამ ტექსტებში: ὃ. κ͂ς τα εργα σου: მ ო ს რ ა უფალმან საქმე შენი FIS (II ნეშტ. $20_{37}$)] გ ა ნ კ უ ე თ ა უფალმან საქმე შენი (O $22_{54b}$).

მოქმედებითი ბრუნვის გამოყენების შესახებ $\gamma 22_{54a-b}$-ში მიწევნითის ფუნქციით იხ. ქვემოთ (გვ. 92).

ზემოთ განხილული ფაქტობრივი მასალის შემდეგ, აღარ უნდა იყოს მოულოდნელი ბერძნული ორიგინალის ნიადაგზე გაჩენილი ზოგი გაუგებრობის შეხვედრა ამ ჩანართების ქართულ თარგმანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$12_{24a}$ ο πατηρ μου εμαστιγου υμας μαστιγξιν, εγω δε Καταρξω υμας εν σκορπιοις: მამაჲ ჩემი გტანჯვიდა კუერთხითა, ხოლო მე გმთავრობდე ღრიაკალითა O.

აღნიშნულ კონტექსტში O-ს „გმთავრობდე“ ბერძნული καταρξω-ს პოლისემიურობის ნიადაგზე უნდა იყოს გაჩენილი. καταρξω-ს მრავალი მნიშვნელობიდან[34] კონტექსტს შეეფერებოდა ცემა, ტანჯვა-წვალება. ქართულმა აიღო მთავრობა, უფროსობა[35]. რომ მართლაც შეუსაბამობასთანა გვაქვს საქმე, ამას $\gamma12_{11,14}$ მუხლების ჩვენებაც ნათელს ხდის, სადაც ქართულის ოთხივე ნუსხა სწორ შესატყვისს ხმარობს: ...ხოლო მე გსწავლნე თქუენ ღრიაკალითა FJOS. ბერძნულის გავლენა ჩანს ზოგიერთი კომპოზიტის გადმოცემაშიც: $12_{24z}$ ბერძნ. οι συντροφοι ქართულში გადმოცემულია „თანა-ზრდილი“ კომპოზიტით (συν+τροφος=თანა-ზრდილი).

შეინიშნება ზოგი ლექსიკური ერთეულის ახლებური, ოშკური და საერთოდ ქართული ვერსიების სხვა მონაკვეთებისათვის უჩვეულო ნიუანსით ხმარება: ა) ბერძნული ακρα, ακρη (1) კონცხი; 2) მწვერვალი; 3) დასასრული; 4) ციხე-სიმაგრე) ძვ. აღთქმაში სულ 7-ჯერ გვხვდება[36], ამათგან 6-ჯერ ეს სიტყვა სწორედ მეფეთა წიგნებშია დამოწმებული: ერთხელ II მეფ. $5_9$-ში (აქ მას „ბორცუ“ FJOS: კიდე $B_1$ შეესატყვისება) ხოლო ხუთჯერ მესამე მეფეთაში: $\gamma2_{35f,e}$; $9_{15}$, $11_{27}$, $12_{24b}$. ყველა ამ შემთხვევაში $\gamma12_{24b}$-ის გამოკლებით) ακρα-ს შესატყვისად სომხური բարձաւանդակ-ს ხმარობს, ქართულში მის ბადლად სამჯერ $2_{35e}$, $9_{15}$, $11_{27}$) „სიმაღლე“ დასტურდება, ერთხელ $2_{35f}$— „თავი“[37], ერთხელაც $\gamma12_{24b}$-ში — „საკიდური“: ουτως ωκοδομησεν την ακραν εν ταις αρσεσιν οικου Εφραιμ: ამან აღაშენა საკიდური იგი სახარკოჲთა სახელითა (?!) ეფრემისითა O.

როგორც ვხედავთ, თუ სხვა შემთხვევებში ακρα-ს შესატყვისად ქართულ ნუსხებში გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ერთ შინაარსობრივ ბუდეს არ სცილდება (სიმაღლე II ბორცვ II თავი), აქ მთარგმნელს ახალი ლექსიკური ერთეული — „საკიდური“ (სა-კიდ-ურ-ი)[38] შემოაქვს.

ბ) ბერძნ. χαραξ, ακος-ის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მესერით შემოვლებული მიწაყრილი, გამაგრებული ბანაკი. ყველა შემთხვევაში სომხურში მას պատնէշ შეესაბამება, ხოლო ქართულში მას ხან

---

[34] И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Москва, 1958, с. 907.

[35] იგივე καταρξω სიტყვა დადასტურებულია ჰეგზაპლურ $\gamma9_{15-25}$ ჩანართში და ქართულად თარგმნილია სულ სხვა ლექსიკური ერთეულით: $9_{19}$ του μη καταρξαι αυτου: վ՞ս չիշխելոյ Ն՞ր ჰრიდა (ყოველსა მას ნათესავსა) FOS („ჰრიდა“ ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს: შეიწყალა, შეიბრალა, ე. ი. არ ამოწყვიტა, არ გაჟლიტა). სხვათა შორის, ეს კონტექსტი კარგად იგუებს მნიშვნელობას, რომელსაც $12_{24a-z}$ ჩანართის მთარგმნელი იყენებს: მთავრობა, ბატონობა, უფროსობა.

[36] Concordans to The Septuagint, by E Hatch and H. A. Redpath, vol. I, 1954, Graz-Austria, p. 50.

[37] „თავად“ აქ ნიშნავს: ბოლომდე, დასასრულამდე: ωκοδομησεν την ακραν: շինեաց զբարձաւանդակս: აღასრულა თავად FJO (=დაასრულა შენება ბოლომდე, თავამდე).

[38] ჩვენთვის არაა ნათელი კიდ ძირი აქ „კიდე“-ს უნდა დაუკავშირდეს (შდრ. II მეფ $5_9$ კიდე B), თუ მას კიდევ სხვა ნიუანსი გააჩნია. შდრ. ეზეკ. $41_{15(16)}$ ναος και αι γονιαι ტაძარი იგი და საკიდური LO ტაძარი შინაგანი და კუთხნი G.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პ ა ტ ნ ე ზ“ სიტყვით გადმოსცემენ, ხან — „ლ ა შ ქ ა რ“-ით. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ $12_{24a-z}$ ჩანართამდე ძველ აღთქმაში არ დასტურდება χαραξ *պատնիշ*-ის შესატყვისად ქართულში „ლ ა შ ქ ა რ“-ის ხმარების არცერთი შემთხვევა. აქედან დაწყებული კი ($12_{24f}$ ωκοδομησεν εκει Ιεροβοαμ χαρακα: აღაშენა მუნ იერობოამ ლ ა შ ქ ა რ ი O) ძველ აღთქმაში „ლ ა შ ქ ა რ ი“ შვიდჯერაა ნახმარი; ამასთანავე არც ის ჩანს შემთხვევითი, რომ სწორედ მეორე მონაკვეთში „ლ ა შ ქ ა რ ი“ სამჯერაა გამოყენებული $12_{24f}$, $15_{27}$ $21(20)_{12}$[39]. ფაქტი, ჩვენი აზრით, უნდა მეტყველებდეს $12_{24a-z}$ ჩანართის მთარგმნელის განსხვავებულ მიდგომაზე სათარგმნი მასალისადმი, მის განსხვავებულ გემოვნებაზე კონტექსტის მიხედვით ლექსიკური სინონიმების შერჩევის დროს.

მთარგმნელის განსხვავებული გრამატიკული თვალსაზრისი და სათარგმნი ენის ფონეტიკისადმი განსხვავებული მიდგომა გამოსჭვივის, ალბათ, შემდეგ შემთხვევებში: ა) მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება მიმართულებითის (მიწევნითის) ფუნქციით ქართულში ცნობილი ფაქტია[40]. აქ იმაზე გავამახვილებდით ყურადღებას, რომ ჩვენს ჩანართებში მაინცდამაინც ასეთ მოქმედებითს ენიჭება უპირატესობა. მაგალითად, ამ ჩანართებში εις Θαρσις „თარშისკენ“, თარშამდე“ სამჯერ გვხვდება და სამსავე შემთხვევაში მიწევნითი ბრუნვის ნაცვლად მოქმედებითია ნახმარი: $16_{28f}$ ქმნა ნავნი მისლვად თ ა რ შ ი თ O, $22_{54a}$ წარავლინებდა თ ა რ შ ი თ O, $_{54b}$ ვერ უძლეს წარსლვად თ ა რ შ ი თ O. არაა შემთხვევითი, რომ $\gamma 16_{28f}$ მუხლის სინოპტიკური ტექსტი, წარმოდგენილი $\gamma 22_{49}$ მუხლში, FIJS ნუსხებში სწორედ მიწევნითი ბრუნვის ფორმას იძლევა: ქმნა ნავნი მიმავალნი თარსიდ (!)FI: თარსისდ J: თარშიდ FJS II ნეშტ. $20_{36,37}$); $12_{28f}$ εις Σωφειρ: ს ო ფ ი რ ი თ კერძო O, მაგრამ $\gamma 22_{49}$ სოფირდ J. სოფირად FIS.

ბ) საკუთარი სახელების ფუძისეული ου ქართულსაც უმთავრესად უ-დ გადმოაქვს, მაგრამ აღნიშნულ ჩანართებში უ-ს ნაცვლად ო გვაქვს Σουσακειμ: სოსაკიმ O, $12_{24cdef}$ Γαζουβα: გაზობა O ($\gamma 16_{28a}$).

სტილისტური თავისებურებებიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ κατα წინდებულის ბადლად „ე ბ რ“ თანდებულის სისტემატური ხმარება სწორედ მეორე მონაკვეთში დასტურდება[41]. აქ მოკლედ შევეხებით კიდევ ერთ სტილისტურ თავისებურებას, რომელიც აგრეთვე ტექსტის სტრუქტურასთან მიმართებაში კანონზომიერ სურათს წარმოგვიდგენს. საქმე ეხება სამეფო ფორმულაში[42] მოცემული სტერეოტიპული წინადადებების (εν τω βασιλευειν და και τα λοιπα των λογων) გადმოღებას განსხვავებული ტრადიციის მონაკვეთების მიხედვით ქართულში: ა) εν τω βασνιλευειν αυτον სტერეოტიპულ წინადადებას ჰეგზაპლური ტრადიციის ქართული ტექსტი, როგორც წესი, გადმოსცემს ასე: „დ ა დ გ ო მ ა ს ა მ ა ს მ ი ს ს ა მ ე ფ ე დ“, მაშინ როდესაც ლუკიანური ტრადიციის მონაკვეთებში იგი გადმოტანილია, როგორც „მ ე ფ ო ბ ა ს ა მ ი ს ს ა“.

---

[39] „ლაშქარი“ გვაქვს აგრეთვე: ეზეკია $4_2$, $17_{17}$, $21_{2?}$, $26_8$ და ლუკა $19_{43}$-ში.

[40] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 226—231, 726.

[41] იხ. κατα წინდებულის ეკვივალენტები, გვ. 175, 180, 181.

[42] სამეფო ფორმულა მონოგრაფიულად არის შესწავლილი J. S h e n k e l-ის წიგნში Chronology and Recensional Development in the Greek Text of kings, 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მიხედვით γ12—ბ2 მონაკვეთში ოშკური ტექსტისათვის ტიპიურ „მ ე ფ ო ბ ა ს ა მ ი ს ს ა“ სტერეოტიპულ წინადადებას ჰეგზაპლური ტრადიციის FJIS ნუსხებში ცვლის „დ ა დ გ ო მ ა ს ა მ ა ს მ ი ს ს ა მ ე ფ ე დ“ სტერეოტიპული წინადადება—$\gamma 12_{24a}$ $14_{21}$, $16_{28a}$ $22_{42}$ და სხვა. ამ ასპექტში ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბ2-22 მონაკვეთში, სადაც ქართული ტექსტი ყველა ნუსხისათვის ჰეგზაპლურ ხასიათს ატარებს, გაბატონებულია (ყველგან) „დ ა დ გ ო მ ა ს ა მ ა ს მ ი ს ს ა მ ე ფ ე დ“ სტერეოტიპული წინადადება (ბ$8_{17,26}$, $11_{21}$, $14_{2}$, $15_{2}$, $16_{2}$, $18_{2}$, $21_{1}$ და სხვ.)

ბ) ანალოგიურ სურათს ვხედავთ *και τα λοιπα των λογον* სტერეოტიპული წინადადების გადმოცემაშიც. ლუკიანური ტრადიციის მონაკვეთებმა იგი გადმოიღეს ნარ-თანიანი სახელობითის საშუალებით „დ ა ნ ე შ ტ ნ ი ი გ ი ს ი ტ ყ უ ა ნ ი“, ჰეგზაპლურმა — ნარ-თანიანი ნათესაობითის საშუალებით „დ ა ნ ე შ ტ ნ ი ს ი ტ ყ უ ა თ ა“ (ნარ-თანიანი სახელობითი გვაქვს $\gamma 11_{41}$, $14_{29}$, $15_{23}$, ბ$1_{18}$ და სხვ. ნარ-თანიანი ნათესაობითი კი — ბ$8_{23}$, $10_{34}$, $13_{8}$ და სხ.)

დიდია სხვაობა ჰეგზაპლური და ლუკიანური ტრადიციის ტექსტებში თვით სამეფო ფორმულის სტრუქტურაშიც, განსაკუთრებით ითქმის ეს ლუკიანეს რეცენზიის $c_2$ ნუსხაზე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში მხარს უბამს ოშკური ვერსიაც, მაგრამ ამაზე დაწვრილებით სხვაგან გვექნება საუბარი.

ამგვარად, II მონაკვეთის ლუკიანური ჩანართების — $\gamma 12_{24a-z}$, $16_{28a-h}$, $22_{54a-b}$ ქართული თარგმანის წყაროდ ბერძნული ორიგინალი უნდა ვიგულოთ. ეს ორიგინალი ძალზე ახლოს იდგა $bghoc_2e_2$ წყაროებთან, განსაკუთრებით $ghc_2$-თან.

ჩანართები, ჩვენი შეხედულებით, არ წარმოადგენდა პირვანდელი ქართული თარგმანის კუთვნილებას და, ჩანს, უფრო გვიანდელ, სადღაც VIII—IX საუკუნეების მიჯნაზე საგანგებოდ შესრულებულ თარგმანს წარმოადგენს, რომელიც ოშკურ ვერსიაში ჩართულ იქნა ლუკიანეს რეცენზიის ტრადიციების თანახმად.

ამ თვალსაზრისით საჩვენებელ ნიმუშად გამოდგებოდა $\gamma 14_{1-20}$ ჩანართი, რომელიც, ჰეგზაპლური AxArmsy წყაროების გარდა, ლუკიანეს რეცენზიის $c_2$ ნუსხაშიც მოგვეპოვება[43]. ჩანართი, მართებულად მიჩნეული $\gamma 12_{24a-z}$ ჩანართის სინოპტიკურ ტექსტად[44], დადასტურებულია ყველა ქართულ ნუსხაში და, როგორც მოსალოდნელიც იყო, FIJS ამჯერადაც ჰეგზაპლურ ტრადიციას მიემხრო, O კი ლუკიანურ $c_2$ ნუსხას გაჰყვა. ერთი სიტყვით, უცხოურ წყაროებში ასახული დაპირისპირება ლუკიანურ და ჰეგზაპლურ წყაროებს შორის ზედმიწევნით გამოვლინდა ქართულშიც.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ისეთი ტექსტუალური მომენტები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ $c_2$-თან პოულობს პარალელს:

$14_1$ Σηλω]+*και*... *αυτου* $c_2$ (sub—): სელომდ FIJOS [ + და იკითხე ღმრთისაგან ყრმისა ამისთჳს, უკუეთუ ცხონდეს სნეულებისა ამისგან O.

$14_4$ εις Σηλω: *ի սելով*: სელომდ FS: სელომნად I (J ⋕)] *και*... *μετ αυτου* $c_2$: და მოიღო ჴელითა თჳსითა პური და კუერები და სკიჭი და ლაგჳნითა

---

[43] Sy $c_2$ ამ ჩანართს ათავსებს sub ⁜ იხ. კემბრიჯ. გამოცემა, გვ. 263.

[44] J. Shenkel, ხს. შრ., გვ. 33.

თაფლი ძლუნად აქიაჲსა და წარვიდა სელომდ და კაცი იყო სელომს და სახელი მისი აქია და ესე იყო ძჱ სამეოცისა წლისაჲ და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ მის თანა O.

$14_6$ και 1°] pr και... του ϑῦ $c_2$ (sub÷): და ჰრქუა აქია ყრმასა ერთსა: განვედ შენ და მიეგებვოდე ანოს, ცოლსა იერობოამისსა, და არქუ მას: შემოვედ და რაჲსა სდგა გარე, რამეთუ ამას იტყჳს უფალი: ფიცხელი საქმჱ მოვავლინო შენ ზედა. და მივიდა ანო კაცისა მის ღმრთისა O. აქვე: σκληρως: **խստութ՟բ**: სიფიცხლით FIJS] και... μιλετος $c_2$ (sub)—): ფიცხელ შენდა და რაჲსა მომართუ მე პური და სკიჭი და კუერები და ლაგჳნითა თაფლი O:

$14_{12}$ παιδαριον: ყრმაჲ იგი FIJS ]+και... παιδαριον $c_2$: ყრმაჲ იგი და მჴევალნი შენნი მოგეგებვოდიან შემთხუევად შენდა და გრქუან შენ: მოკუდა ყრმაჲ იგი O.

ამ ნაწილში O-სათვის დამახასიათებელია ზედმიწევნითი თარგმანი, მაშინ როდესაც FIJS-ში ორიგინალისათვის დამახასიათებელი ფორმალურობის გავლენა ნაკლებ იგრძნობა:

$14_{12}$ αλλοιωϑηση: **այլակերպեաց**: შეიცვალე სამოსელი (?) შენი O] უცნაურ იყავ თავი შენი FIJS; შდრ. ϑ' muta habitum tuum Sy-ap-Barh „შეიცვალე გარეგნობა შენი“. შდრ.:

$14_5$ თავი უცნაურ ეყო FIJS ] იგი იმალვიდა თავსა თჳსსა O.

$14_6$ რაჲ არს ეგე, რამეთუ უცნაურ ქმნილ ხარ FIJS ] რაჲსათჳს შენ მემალვი O.

$14_4$ και ανϑρωπος πρεσβυτέρος του ιδειν και ημβλυωπουν οι οφϑαλμοι αυτου απο γηρους αυτου: **և այրն ծերացեալ 'ի տեսանելոյ, և փառեալ աչք իւր 'ի ծերութ՟ե իւրմէ**: და კაცი იგი მოხუცებულ იყო ხილვითა და ბრყჳლ თუალითა სიბერისაგან თჳსისა O ] და კაცი იგი მაშურალ იყო სიბერითა და თუალნი მისნი დამძიმებულ FIJS (კაცი იგი] აქია J).

$14_9$ εμε ερριψας οπισω σωματος σου: **զի՞ս ընկեցեր յետս 'ի մարմնոյ քումմէ**: დამიტევე მე, ზურგით მიქცი(!) მე O ] მე განმიშორე პირისაგან შენისა FIS (J ნაკლ.).

$14_{10}$ ουρουντα προς τοιχον εχομενον και εγκαταλελιμμενον εν ιη̅λ: **որ միզիցէ զորմով, կծկեալ և լքեալ 'ի մէջ ի՟լի**: მფსმელიცა კედელსა დაყენებული და დაშთომილი ისრაჱლსა შორის O ] რომელი აფსმიდეს კედელსა, შეღრეკილ და დაჳსნილ შორის ისრაელსა FIJS (შეღრეკილ... ისრაჱლსა ]—I).

აღსანიშნავია, რომ აქ FIJS ნუსხებში არმენიზმი გვხვდება: **կծկեալ** და **լքեալ** სომხურში სინონიმებია, ისევე როგორც სათანადო ბერძნულის εχομενον და εγκαταλελιμμενον. შდრ. „დაყენებული და დაშთომილი“ O. FJS ნუსხებშიც მოსალოდნელი იყო „შეღრეკილ და დაშთომილ“, გვაქვს კი „შეღრეკილ და დაჳსნილ“. „დაჳსნილ“ აშკარად სათანადო სომხური სიტყვის **լքանել** -ის („დატოვება“, „დაგდება“) ნაცვლად **լքանիլ**-ად („დასუსტება, დაუძლურება“) გაგებას ემყარება. შდრ. γ$20_{21}$ συνεχομενον και εγκαταλελιμμενον: **գնդեալն և գլքեալն**: შეპყრობილი და დაშთომილი O] ჭირვეული იგი და დაცემული FIJS.

მოგვყავს აგრეთვე ზოგიერთი ნიმუში, რომელთა მიხედვითაც FIJS ისევ ერთად დგას და, საფიქრებელია, არქეტიპისათვის დამახასიათებელ იკითხვისებს წარმოგვიდგენენ, განკერძოებით მდგომი O კი ინოვაციას განიცდის:

γ14$_3$ σταμνον: *ատամն* სტამნითა FIJS] ლაგვნითა O. 7: εις ηγουμενον: *յառաջնորդ*: წინამძღურად FIJS] მთავრად O. 8: ερρεξα: *պատարեցի*: განვხეთქე FIJS ] გამოვიღე O. 9: πονηρευσω του ποιησαι: *չարացար արնել*: განჰძჯნდი(!) J: განსძჯნდი FIS ] ბოროტი ჰქმენ O. აქვე: χονευτα: *ծուլածոյս*: შთასხმულნი J: დასხმითნი FS (I ნაკლ) ] გამოდნობილნი O.

14$_{15}$ της αγαθης: *բարւոյ*: შუებისა FIJS] კეთილისა O. აქვე: εκτελε: აღიფხურას O] *խլեսցէ ա՛ր*: აღფხურას+უფალმან J]: აღჴუარდოს უფალმან FIS და სხვ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. მარის მიერ ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმული მოსაზრება სწორედ ამ რიგის ტექსტუალურ თუ ფორმალურ სხვაობათა შესახებ: «Формальные разночтения свидетельствуют о первоначальности версии не только тогда, когда они древни сами по себе, древни по своим фонемо-морфемным данным, но и тогда, когда при отсутствии морфологического или лексического архаизма, на лицо, если можно так выразится, интимный способ выражения мысли, глубже согласованный языковой психологиею груз. народа, ибо точная, буквальная передача текста с сохранением формальных особенностей чужого языка в ущерб родной речи свидетельствует о новой эпохе переводческого дела» (ХВ. т. IV, вып. III, с. 240, Заметки по текстам...).

ვამთავრებთ რა მსჯელობას γ$^{14}$1–20 ჩანართის ტექსტოლოგიურ-სტილისტურ თავისებურებებზე, დავუმატებთ, რომ არსებითად ანალოგიური სურათი გადაგვეშლება იმ მონაკვეთებშიც, სადაც ტექსტის ჰეგზაპლურ ან ლუკიანურ გადაადგილებასთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით ეხება ეს γXX, XXI თავებს და δ1$_{18a-d}$ ჩანართს, რომლებიც ისეთსავე ტექსტოლოგიურ-სტილისტურ თავისებურებებს ავლენენ, როგორსაც 14$_1$–$_{20}$-ში ვხედავთ.

ამრიგად, ზემოთ განხილული ფაქტობრივი მასალა როგორც სტრუქტურული, ისე ტექსტობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის III—IV მეფეთა წიგნების ქართული ტექსტის განვითარების შესახებ. მან სრულიად აშკარად წარმოაჩინა შემდეგი:

ა) ქართული ტექსტის ევოლუციას, მის ჩამოყალიბებას რედაქციული თვალსაზრისით საფუძვლად დასდებია პირვანდელი ქართული თარგმანის რევიზია განსხვავებული ტრადიციის წყაროების მიხედვით.

ბ) დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმურ, ჯანაშვილისეულ და საბასეულ ვერსიებში ჰეგზაპლური ტრადიციის ტექსტი დომინირებს, ოშკური რედაქცია კი ლუკიანეს რეცენზიას ანიჭებს უპირატესობას.

გ) მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ერთი, ისე მეორე ტრადიციის მატარებელი ქართული ტექსტი, გამოკლებით ზოგიერთი ჩანართისა, შედგენილობით არაა ერთგვაროვანი და თავისი ხასიათით წარმოადგენს ნარევ ტექსტს, მიღებულს ჰეგზაპლური და ლუკიანური ტრადიციების შერწყმით. შერწყმის პროცესი ტექსტის ზოგ მონაკვეთში უფრო ინტენსიურია, ზოგში უფრო შენელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული. განსაკუთრებით ჭარბი ლუკიანური რეტუში განუცდია ოშკური ვერსიის γ12—δ2 მონაკვეთს.

დ) ამოვდივართ რა მეფეთა წიგნების ქართული ტექსტის ერთი სპეციფიკური ნიშნიდან (1. ტექსტის იმ ნაწილში, სადაც ყველა ქართული ნუსხა ჰეგზაპლურ ტენდენციას ავლენს, რედაქციული სხვაობა მათ შორის კლებულობს, 2. იქ, სადაც ტექსტები ტრადიციული თვალსაზრისით გაყოფილია, რედაქციული სხვაობაც ჭარბად მატულობს), ვვარაუდობთ, რომ ჰეგზაპლურ ნაწილში ქართულ ტექსტს დაცული აქვს უფრო ძველი ვითარება და შედარებით ახლოს დგას იმ პირვანდელ ქართულ თარგმანთან, რომლის გადამუშავებამაც შემდგომში მოგვცა ამჟამად არსებული ვერსიები.

ე) მკვეთრი რედაქციული სხვაობა O-სა და FIJS ნუსხებს შორის მეორეული უნდა იყოს და გაჩენილია ჰეგზაპლური ტრადიციის ტექსტის გულმოდგინე რევიზიის ნიადაგზე ლუკიანეს რეცენზიის, განსაკუთრებით კი $c_2$-ის ტიპის ტექსტის მიხედვით, რომელიც თვით წარმოადგენს ჰეგზაპლასთან რამდენადმე ასიმილირებულ წყაროს.

## პირობითი ნიშნები

### ქართული წყაროები

F — A 646 ⎫ ე. წ. ჯანაშვილი-
I — A 570 ⎭ სეული ნუსხები
J — J 113
O — ოშკის ბიბლია 978 წ.
S — A 51, საბას ბიბლია

### უცხოური წბაროები

A სეპტუაგინტას ალექსანდრიული ნუსხა
B „ ვატიკანური ნუსხა
M „ Coislin-ის ნუსხა
N „ ვენეციური ნუსხა
L ლუკიანეს რეცენზია
bghioc$_u$e$_2$ — ლუკიანეს რეცენზიის ნუსხები.
defjmnpvxza$_2$ (64, 71) — სეპტუაგინტას მიმყოლი ნუსხები
Hex — ჰეგზაპლური წყაროები
O* — ორიგენეს ჰეგზაპლა ა.

### რალფსი სგამოცემის მიხედვით

MT — მასორეთული ტექსტი
Aeth — ეთიოპური თარგმანი
Arm — ძველი სომხური თარგმანი
Lat — ძველი ლათინური თარგმანი
Sy — სირო-ჰეგზაპლა
Sy-ap-Barh — სირიულ თარგმანზე დართული ბარჰებრაუსის სქოლიოები
α′— აკვილა
Θ′—თეოდოტიონი
σ′— სვიმახოსი
α — I მეფეთა
β — II მეფეთა
γ — III მეფეთა
δ — IV მეფეთა
ed — გამოცემა
codd — ხელნაწერი
mg — არშია
pr — უსწრებს
rell — დანარჩენები
tr — გადაადგილებულია
(txt) ტექსტშია
+add — უმატებს
>,—, om — აკლებს
# ამოკლებს
※ ateriskus
÷ obelus

### საეკლესიო მამები

Luc — ლუციფერი
Thdt — თეოდორეტი
On-Lat — ლათინური ონომასტიკონი

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

# СОСТАВ III—IV КНИГ ЦАРСТВ
# II. ПРОБЛЕМА ВСТАВОК

(Резюме)

Статья посвящается проблеме текстуальных вставок в III—IV Книгах Царств. В ней главным образом проанализированы вопросы происхождения этих вставок и их текстуально-стилистических особенностей.

В ходе изучения этой проблемы выяснилось, что вставки, известные во всех грузинских рукописях Книг Царств Гегзаплического происхождения и по своим текстуально-стилистическим данным, существенно отличаются от тех вставок, которые встречаются лишь в Ошкской версии Книг Царств и которые по происхождению несомненно восходят к Рецензии Лукиана.

В результате текстуально-стилистического анализа вставок Рецензии Лукиана выяснилось, что вставки эти более позднего происхождения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე მეტრეველი

# „მცხეთის გიგლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის

XVII საუკუნის მეორე ნახევარი კულტურული და მეცნიერული აღმავლობის ხანაა ქართლში. ეს პერიოდი ერთგვარი სამზადისი იყო იმ დიდი კულტურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი რეფორმებისათვის, რომლებიც განახორციელა ამ ეპოქის შესანიშნავმა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ, მეცნიერმა და მწიგნობარმა ვახტანგ VI-მ. მის საქმიანობაში ქართულ სტამბასა და ქართულ წიგნზე ზრუნვას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, სტამბის დაარსებისათვის მოღვაწეობამ ქართლში კონკრეტული ხასიათი მიიღო XVII საუკუნის ოთხმოციან წლებში. ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნების განხორციელებას ხელი შეუწყო 1681 წელს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის ჩამოსვლამ ქართლში და გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილთან მისმა შეხვედრებმა[1].

თბილისში ქართული სტამბის გახსნის პატივი ვახტანგ VI-ს ხვდა წილად. ამით დაგვირგვინდა ქართველ მოღვაწეთა ერთობლივი ცდა, მაგრამ სტამბაზე ზრუნვა მარტო მის აღჭურვილობაზე და მესტამბეებზე ზრუნვას როდი გულისხმობდა. ბევრად უფრო რთული და პასუხსაგები იყო სტამბაში დასაბეჭდი წიგნების შერჩევა და მომზადება. ამ მიმართულებით მუშაობა კი სტამბის გახსნამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწყო და დაიგეგმა როგორც დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომლის განხორციელება თხოულობდა ქართველ მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა, მწიგნობართა და კალიგრაფთა ერთობლივ ხანგრძლივ შრომას.

თუ როგორ ესახებოდათ ქართული სტამბის შექმნის მესვეურებს ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე, ეს კარგად არის ჩამოყალიბებული თბილისის სტამბის პირველი ნაბეჭდი სახარების (1709 წ.) ანდერძში, რომელიც ნიკოლოზ ორბელიანს ეკუთვნის: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღვთისმოყუარე, განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში, და ქ ე ლ ი თ წ ე რ ა შ ი ჩ ვ ე ნ ი ს ა ღ მ რ თ ო ნ ი წ ე რ ი ლ ნ ი გ ა ნ რ ყ ვ ნ ი ლ ი ყ ო და მე, ღედის

[1] შ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორია, 1959, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთ-უხუცის ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელ-მონაზონს ნიკოლაოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ეექმენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა ბერძენთა დაბეჭდილს სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართე. და ეს საძიებელი არცერთს ენაში არ იყო, სიადვილისა და ადრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე. და თუ გულისჴმაჲ-ყოფთ, დიაღ ადვილია. თავისა მუხლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორად იქ მოასწავებს და მას მიჰყევით"[2].

ეს ანდერძი მრავალმხრივ არის საინტერესო: 1. თბილისში სტამბის გამართვის ერთი მთავარი მიზანი იყო გასწორებულ-გამართული საღმრთო წერილის დაბეჭდვა, ვინაიდან „ჴელით წერაში საღმრთონი წერილნი განრყვნილიყო"[3], 2. საღმრთო წერილის გასწორება და გამართვა გულისხმობდა: უცხოენოვან დაბეჭდილ სახარებასთან ქართული ტექსტის შემოწმებით სიტყვა და ასო-მეტნაკლებობის გამართვას, სახარების თავებად და მუხლებად დაყოფას და პრაქტიკული დანიშნულების მქონე აპარატის (საძიებლის) დართვას.

ყველა ეს მოთხოვნილება ემსახურება პრაქტიკულ მიზნებს: ქართული ეკლესიისათვის მიეწოდებინათ „გამართული", გასწორებული საღმრთო წერილი, მრევლისათვის ადვილად მოსახმარი.

წიგნის გამოსაცემად შერჩევისა და მომზადების ეს პრინციპები სახელმძღვანელოდ გაიხადეს როგორც ვახტანგის სტამბის მწიგნობარ-რედაქტორებმა, ასევე მოსკოვში — არჩილმა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არჩილის საქართველოში ყოფნის დროს უკვე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ქართული სტამბის მიზანი და გამოცემის პრინციპები. საქართველოდან გადახვეწილი არჩილი, ვახტანგის პარალელურად, ცდილობდა როგორც ქართული წიგნის ბეჭდვის საქმის მოწესრიგებას მოსკოვში, ასევე გამოსაცემი წიგნების (ბიბლიის) მომზადებას საქართველოში მიღებული პრინციპების მიხედვით. ამას მოწმობს „ბაქარის ბიბლიის" ვახუშტისეული ბოლოსიტყვაობა, სადაც წარმოდგენილია ბიბლიის ტექსტზე არჩილის მუშაობის წესი, რომელიც ძირითადად იგივეა, რაც ვახტანგის სტამბაში მიღებული.

ვახტანგის სტამბის ირგვლივ შექმნილ მეცნიერულ კოლექტივში პირველი რიგის დასაბეჭდ წიგნებად მღვდელმსახურებისათვის საჭირო ახალი აღთქმის წიგნები იყო მიჩნეული. ამასთან ერთად დადგა საკითხი სრული ქართული ბიბლიის (დაბადების წიგნის) გამოცემისა. ამ უკანასკნელს, გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, დიდი მეცნიერული ღირებულებაც ჰქონდა. ქართული ენის ლექსიკონი, რომელიც საბამდე ქართველებს არ გააჩნდათ და რომლის შედგენა-გამართვაზე ს.-ს. ორბელიანმა 30 წელი იშრომა, ძირითადად „დაბადების" წიგნების ლექსიკურ მასალას ეყრდნობოდა.

ქართული ბიბლიის გამოსაცემად მომზადების დიდად საპატიო საქმე თავს იდვა ორბელ ყაფლანის ძის ოჯახმა. საქართველოში არსებული ბიბლიის ცალკეული წიგნების გადანუსხვა, მათი თავმოყრა-გაერთიანების მიზნით, ორბელ ყაფლანის ძის (ს.-ს. ორბელიანის მამის) კარზე დაწყებულა. XVII ს. 60—70

---

[2] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 183.
[3] იქვე, გვ. 167.

წლებში ორბელის განკარგულებით გადაინუსხა ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფების მიერ სამი ნუსხა (H—1207, H—885 და A—179). ამ ხელნაწერების თაობაზე ქრ. შარაშიძე წერს: „ხსენებული ხელნაწერები უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ქართული ბიბლიის შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოცემის ისტორია მე-17 ს. სამოც-სამოცდაათიან წლებიდან უნდა დავიწყოთ და არჩილი ყოფილა გამგრძელებელი და არა ინიციატორი ქართული ბიბლიის აღდგენა-შესწავლის საქმის. ბიბლიის ტექსტებზე მუშაობის სათავეებს მივყავართ არჩილის პაპის (დედის მხრით) და სულხან-საბა ორბელიანის მამის, ორბელ ყაფლანის ძის სახლში. ბიბლიის ტექსტზე მომუშავე პირველი მეცნიერი კი ყოფილა ორბელ მდივანბეგის ძე სულხანი[4].

საბა რომ ენერგიულად იყო ჩაბმული ქართული ბიბლიის ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში და მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა „ბიბლიური ტექსტის დამდგენ კომისიას“ (პირობითად ასე ვუწოდებთ იმ კომისიას, რომელიც „მცხეთის ბიბლიის“ (A—51) შედგენაზე მუშაობდა), ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს. პირველ რიგში კი ის სამუშაო, რომელიც საბას ჩაუტარებია ზემოთ დასახელებულ ხელნაწერების ტექსტებზე, რაც გამოიხატა ბიბლიური წიგნების თავებად დაყოფასა და დამუხლვაში, ალაგ-ალაგ მათ სწორებაში, ლექსიკურ დაკვირვებებში და კიდეებზე მიწერილ მთელ რიგ რედაქტორულ შენიშვნებში[5], რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იყო ამ მასალის ხელნაწერ A—51-ში გადატანის დროს, რომელიც იწერებოდა და მზადდებოდა როგორც სასტამბოდ განკუთვნილი დედანი.

მაგრამ „ბიბლიური კომისიის“ ხელთ არსებული ტექსტების გამართვის გარდა, საბამ იკისრა ყველაზე რთული საქმე: მოძიება, აღდგენა და დადგენა იმ ბიბლიური წიგნებისა, რომელთა სრული ნუსხები საბას დროს საქართველოში აღარ იპოვებოდა. ქართული ბიბლიის ერთადერთი მეტ-ნაკლებად სრული ხელნაწერი „ოშკის ბიბლია“ კომისიას და საბას ხელთ არ ჰქონიათ. ის ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკაში იყო დაცული.

ორბელიშვილთა კარზე მოღვაწე „ბიბლიური კომისიის“ პარალელურად, ქართული სრული ბიბლიის გამოსაცემად მომზადებასა და მოსკოვში ქართული სტამბის შექმნაზე, როგორც ზემოთ ითქვა, ზრუნავდა და გარკვეულ პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა არჩილი. ბაქარის ბიბლიის წინა და ბოლოსიტყვაობიდან (რომლებიც ბაქარსა და ვახუშტის ეკუთვნის) ცნობილია, რომ მოსკოვში გადასულმა არჩილმა თან წაიღო ბიბლიური წიგნების ზოგი ნუსხა, ხოლო ზოგი კი შემდეგ ვახტანგს სთხოვა. ვახუშტის ცნობით, ვახტანგმა გაუგზავნა არჩილს დაბადების ის წიგნები, რომლებიც საქართველოში მოიპოვებოდა.

ქრ. შარაშიძე ფიქრობს, რომ „ეს უნდა მომხდარიყო სწორედ იმ წლებში, როდესაც თვით ვახტანგი (უკეთ რომ ვთქვათ — საბა ე. მ.) ამზადებდა ბიბლიის სასტამბო გამოცემას, სახელდობრ, 1703—1709 წლებს შუა“[6].

ბუნებრივია, საბას მსგავსად, არჩილის წინაშეც მწვავედ დადგა საკითხი ქართული ბიბლიის ნაკლული წიგნების შევსებისა და გამართვისა. თუ რა სა-

---

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, 1948, გვ. VII.

[5] ყველაზე მკაფიოდ საბას მუშაობის კვალი აჩნია ხელნაწერ H—1208-ს.

[6] ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 168.

ხის სამუშაო ჩაატარა საამისოდ არჩილმა, ამაზედაც პასუხს ისევ ბაქარის ბიბლიის ვახუშტისეული ბოლოსიტყვაობა გვაძლევს: „მაშინ მოენება (არჩილს, ე. მ.) რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და განსწორებად... ხოლო, ვითა შევნოდა სიბრძნე-მეცნიერებას ამისსა, განემართა და შეეწყო, თჳნიერ მუხლთა, თავ-თავად, ხოლო მაკაბელი თჳთ ეთარგმნეს და ჴირაჭი ეგრეთვე“[7].

საკონტროლო ნაბეჭდ ნუსხად ტექსტის დადგენისათვის და ნაკლული ბიბლიური წიგნების თარგმანისათვის, როგორც უკვე გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არჩილმა რუსული 1663 წლის ბიბლია გამოიყენა[8]. ამ გამოცემის მიხედვით მან თავებად დაყო მის ხელთ არსებული ბიბლიური წიგნები[9]. ამ გამოცემიდან თარგმნა მან ნაკლული წიგნები (ზემოთ დასახელებულის გარდა „სოლომონის სიბრძნეც“), რომლის ძველი ქართული თარგმანები იმ დროისათვის საქართველოში არ მოიპოვებოდა[10].

სხვა მიმართულებით წარმართა საბამ თავისი მუშაობა სრული ქართული ბიბლიის შესადგენად. ბიბლიის ნაკლული წიგნების შევსების მიზნით მან, პირველ რიგში, მიმართა ძველ ლექციონარებსა და სხვა სახის ლიტურგიკულ კრებულებს (სადაც ბიბლიური საკითხავების ძველი თარგმანები ეგულებოდა) და კატენებიანი ბიბლიის წიგნებს, რომელთა კომენტარი ტექსტებიც ბიბლიის ძველ თარგმანებს შეიცავენ. ამ გზით მოპოვებული ცალკეული ბიბლიური წიგნების საკითხავები თუ სრული ტექსტები საბამ გადამწერებს გადაატანინა „მცხეთურ ბიბლიაში“. ასეთი ვითარება დაადასტურა ც. ქურციკიძემ „მცხეთის ბიბლიის“ „სოლომონის სიბრძნის“ წიგნში. „სოლომონის სიბრძნის“ ქართული რედაქციების შესწავლის საფუძველზე ც. ქურციკიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „მცხეთის ბიბლიაში“ დაცული „სოლომონის სიბრძნის“ ნაწყვეტები ლექციონარებიდან ამოკრეფილ მასალას წარმოადგენენ. იგი წერს: „ლიტურგიკული კრებულებიდან, რომლებიც ჩვენ შევამოწმეთ, მცხეთის ბიბლიაში დამოწმებული ყველა საკითხავი ერთად არც ერთში არ აღმოჩნდა. ეს კი გარკვეული ვარაუდის დაშვების უფლებას იძლევა, სახელდობრ, რომ საბას ხელთ უნდა ჰქონოდა საკითხავების ერთზე მეტი კრებული“[11].

როგორც გამოირკვა, ლექციონარის საკითხავებითვე შეეცადა საბა აღედგინა „მცხეთის ბიბლიის“ მეორე ბიბლიური წიგნიც — „იგავნი სოლომონისნი“, რომელიც, ისევე, როგორც „სოლომონის სიბრძნის წიგნი“, სრული სახით მას საქართველოში არ ეგულებოდა. ეს მოსაზრება გვიკარნახა ერთმა შემთხვევამ: პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას განვიზრახეთ გვენახა ცნობილი „პარიზის ლექციონარი“ (№ 3), რომელიც „იერუსალიმური დიდი ლექციონარის“ 1959—60 წლების გამოცემას დაედო საფუძვლად სხვა ხელნაწერებთან ერთად[12]. XI საუკუნის ეს დიდებული ფო-

---

[7] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბ., 1941, გვ. 46—47.

[8] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნეებში: ლიტერატურული ძებანი, X, 1956, გვ. 229.

[9] მუხლებად ტექსტი არჩილს არ დაუყვია, ვინაიდან დაუმუხლავი იყო მისი საკონტროლო ნუსხა — 1663 წლის რუსული ბიბლია.

[10] „სიბრძნე სოლომონისას“ არჩილისეული თარგმანის შესახებ ვრცლად იხ. ც. ქურციკიძე, ძვ. აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, 1973, გვ. 206, 216.

[11] ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, დასახ. შრომა, ტ. 11, გვ. 189.

[12] Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (V—VIII siècle), édité par M. Tarchnischvili. CSCO, vol. 188, 204. 1959—1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანტი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქვემო ქართლში ტრიალებდა[13], ხოლო XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დამდეგს, როგორც გაირკვა, ორბელიშვილების ხელში ყოფილა. ამ ხელნაწერმა საბარათიანოდან XVIII საუკ. 30-იან წლებში (საფიქრებელია, საბას მოსკოვში გამგზავრების შემდეგ) თბილისში გადმოინაცვლა. 1731 წელს კაპუჩინთა მისიონერებმა იგი გაუგზავნეს თავის წინამძღვარს კონსტანტინოპოლში, ხოლო ამ უკანასკნელმა გააგზავნა ვატიკანში, სადაც ის ბორჯიას ფონდში ინახებოდა იქამდე, სანამ ნაპოლეონ I-მა იგი საფრანგეთში არ წაიღო[14]. დღეს ხელნაწერი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ფონდშია დაცული.

ამ ხელნაწერის მიკრო და ფოტო ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. მის ფოტოპირებით სარგებლობდნენ და სარგებლობენ ქართული ბიბლიოლოგიითა და ლიტურგიკით დაინტერესებული მკვლევრები. მეც არა ერთხელ გადამიფურცლავს იგი, ამიტომ ჩემთვის მოულოდნელს იქ არაფერს ველოდი. მაგრამ უშუალოდ ხელნაწერის ფურცვლის დროს ყურადღება მიიპყრო ფურცლის კიდეებზე ერთი ხელით გაკეთებულმა მრავალრიცხოვანმა მინაწერებმა. ამ მინაწერებზე დაკვირვებამ მალე დამარწმუნა, რომ იგი საბას ეკუთვნოდა, რომ ხელნაწერი საგულდაგულოდ შესწავლილი და დამუშავებული იყო გარკვეული მიზნით საბა ორბელიანის მიერ.

პარიზის ლექციონარზე საბას ჩატარებული მუშაობა დაკავშირებული იყო იმ დიდ და საერთო სამუშაოსთან, რომელიც საბას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და რომელიც ქართული სრული ბიბლიის გამოსაცემად მომზადებას ისახავდა მიზნად. ცხადია, რომ საბა „პარიზის ლექციონარში“ ეძებდა მასალას იმ ბიბლიური წიგნების ტექსტების აღსადგენად, რომლებიც ცალკე ნუსხებად მას არ ეგულებოდა საქართველოში.

„პარიზის ლექციონარზე“ საბას მიერ ჩატარებული მუშაობის წარმოსაჩენად განვიხილავთ „იგავთა წიგნის“ საკითხავების მასალას, მაგრამ, სანამ საგანგებოდ ამ საკითხის შესწავლას შევუდგებოდეთ, მოკლედ გვინდა შევჩერდეთ წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავების ტექსტებზე გაკეთებულ საბას მინაწერებზე.

ლექციონარში საბას მინაწერები აქვს ბიბლიის მხოლოდ რამდენიმე წიგნს, ესენია: „სოლომონის სიბრძნის წიგნი“, „იგავთა წიგნი“ და წინასწარმეტყველთა რამდენიმე წიგნი (ესაიას, მალაქიას, ამოს, ოსეს, ნაუმის, იოველ წინასწარმეტყველთა წიგნები). ზემოთ დასახელებული ბიბლიური წიგნებიდან ლექციონარში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია საკითხავები „იგავთა წიგნიდან“ და „ესაიას წინასწარმეტყველებიდან“. ჩანს, ეს მოვლენა დამახასიათებელი ყოფილა საერთოდ ლექციონარებისათვის. ამის თაობაზე მ. ტერ მოვსესიანი წერს: «Книга Притч, как в древности, так и теперь, была в большом почете в армянской церкви, она, наряду с Пророчеством Исаии и Пятикнижия, больше всех остальных книг читалась в церкви, как доказывает Лекционарий X—XI веков»[15].

---

[13] ამას მოწმობს ხელნაწერის კიდეებზე გაკეთებული XIV—XVII სს. მინაწერებში მოხსენიებული გვარები (იხ. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 30).

[14] M. Tarchnischvili, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. VI—VII.

[15] М. тер Мовсесян, История перевода Библьи на армянский язык. 1902, с. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავებზე საბას მიერ ჩატარებული მუშაობა, ისევე როგორც „იგავთა“ და „სოლომონის სიბრძნის“ წიგნებზე, ემსახურებოდა წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტების შედგენას და დადგენას, რათა გამართული ტექსტები გადატანილიყო „მცხეთის ბიბლიაში“ მთლიანი ქართული ბიბლიის გამოსაცემად მომზადების მიზნით.

ბიბლიური ტექსტების გამართვისათვის საბა ხელმძღვანელობდა იმ მოთხოვნილებებით, რომლებიც წაყენებული ჰქონდათ ვახტანგის სტამბაში დასაბეჭდად განკუთვნილ წიგნებს (იხ. აქვე, გვ. 99). ეს მოთხოვნილებები (პრინციპები) კი, თუ მთლიანად საბას მიერ არ არის შემუშავებული, მისი აქტიური მონაწილეობა მათ შედგენაში ყველა შემთხვევაში უეჭველია[16], ისევე როგორც უეჭველია მისი მესვეურობა ბიბლიური წიგნების გამოსაცემად მომზადების რთული და დიდი საქმისა.

„პარიზის ლექციონარში“ წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავების ტექსტები საბას დაუყვია თავებად და მუხლებად, ტექსტები უდარებია საკონტროლო ნუსხისათვის და ნაკლულ და საეჭვო ადგილებზე მიუთითებია კიდეზე: „აკლია“ (47v). „ამოწმე“ (55v). ამავე დროს, ცალკეულა ადგილები მისთვის მისაღები მოდელის მიხედვით უსწორებია, ადგილ-ადგილ ტექსტები შეუცვლია და, „სიბრძნისა“ და „იგავთა“ წიგნებისაგან განსხვავებით, წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავებისათვის მიუწერია შესატყვისები ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. ი. „საძიებელი მოწმობანიდან“, რომლისთვისაც მას მზამზარეული ცხრილები ეგულებოდა 1666 წლის ვოსკანის სომხურ ნაბეჭდ ბიბლიაში. ეს ცხრილები, როგორც ცნობილია, მანვე გადმოიღო ქართულად და დაურთო „მცხეთის ბიბლიას“[17]. „საძიებელი მოწმობანის“ შესატყვისები შეტანილია წინასწარმეტყველთა წიგნების ნაბეჭდ ტექსტშიც (1710—11 წლების ნაბეჭდ ბიბლიაში).

ვოსკანის სომხური ბიბლია საბას მარტო „საძიებელი მოწმობანისათვის“ როდი გამოუყენებია. „პარიზის ლექციონარის“ წინასწარმეტყველთა საკითხავების ტექსტების შემოწმება-დადგენისას ის მას მიმართავდა როგორც საკონტროლო ნუსხას. ამაზე მეტყველებს ერთი ფაქტი: ლექციონარის 256rv-ზე მოთავსებულია ორი ერთმანეთის მომდევნო საკითხავი ამოს წინასწარმეტყველთა წიგნიდან. მეორე საკითხავი შეიცავს VII თავის 4—17 მუხლებს. მე-13 მუხლი ამ საკითხავისა თავნაკლულია. იწყება: „რამეთუ სიწმიდ[illegible] არს მეფისაჲ და სახლი სამეუფოჲ არს“. აკლია ამ მუხლს დასაწყისი: „ბეთილს არა მერმე შესძინო წინაწარმეტყუ[illegible]ლებად“. სომხურ ბიბლიასთან ტექსტების შეჯერებისას საბას ეს დანაკლისი შეუმჩნევია და დაკლებული სტრიქონის სომხური შესატყვისი იქვე კიდეზე მიუწერია იმ ვარაუდით, რომ შემდეგ მისი ქართული თარგმანი გადაეტანა „მცხეთის ბიბლიაში“.

საბას რომ „მცხეთის ბიბლიის“ ტექსტზე მუშაობისას უნდა ესარგებლა „ვოსკანის ბიბლიითაც“, ეს ვარაუდი პირველად ილ. აბულაძემ გამოთქვა. იგი

---

16 საფიქრებელია, რომ ეს პრინციპები შემუშავდა საბასა და ნიკოლოზ ორბელიანების აქტიური მონაწილეობით ან სულაც მათ მიერ ვახტანგ ორბელიანის კარზე, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართული ბიბლიის გამოსაცემად მომზადების საქმეს.

17 ილ. აბულაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის სომხური წყაროები: უნ-ტის შრომები, III, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდა: „ვოსკანის ბიბლიის“ „საძიებლების“ გამოყენებასთან ერთად მან (საბამ — ე. მ.) ალბათ სომხური ბიბლია ქართული ბიბლიის რედაქციის დროს სხვა მხრივაც გამოიყენა“[18]. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. საბას დროს არსებულ ბეჭდურ ბიბლიებს შორის „ვოსკანის ბიბლია“ მისთვის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა.

ამრიგად, საბას, ჩანს, თავიდანვე განზრახული ჰქონია „მცხეთის ბიბლიაში“ შესატანი წინასწარმეტყველთა წიგნების „პარიზის ლექციონარის“ საკითხავების მიხედვით მომზადება. საამისოდ მას გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია საკითხავების ტექსტებზე, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიუყვანია და თავისი თავდაპირველი ჩანაფიქრი შეუცვლია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, საბოლოოდ „მცხეთის ბიბლიაში“ მან შეიტანა „გელათის ბიბლიის“ მიხედვით მომზადებული წინასწარმეტყველთა წიგნები, რომლებიც ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა კიდეც 1710 წელს. თუ რატომ შეცვალა საბამ არჩევანი, ამაზე დღეს გარკვეული პასუხის გაცემა ძნელია. საფიქრებელია, იმიტომ, რომ ლექციონარის საკითხავები მას წინასწარმეტყველთა წიგნების გაბმულსა და სრულ ტექსტებს ვერ შეუქმნიდა, ან შეიძლება იმიტომაც, რომ „გელათური ბიბლიის“ ნუსხა მისთვის გვიან გახდა ხელმისაწვდომი.

საინტერესოა, რომ საბას „გელათური ბიბლიის“ წინასწარმეტყველთა კიმენურ ტექსტებზეც ივივე სახის სამუშაო ჩაუტარებია, რაც ლექციონარის საკითხავებზე. ამის შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „ს. ს. ორბელიანს, წინასწარმეტყველთა ტექსტის სასტამბოდ გასამზადებლად აუღია გელათელი ანონიმის ზემოხსენებული ავტოგრაფიული ხელნაწერი, დაუყვია ხელნაწერის ტექსტი თავებად[19] და მუხლებად და შეუტანია ტექსტში ზოგიერთი უმნიშვნელო, არაარსებითი ხასიათის რედაქციული ცვლილებანი (ავტოგრაფიულ ხელნაწერში თავებად და მუხლებად დაყოფა და სარედაქციო შესწორებანი ჩანიშნულია თვით საბას ხელით)“[20]. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ, მსგავსად პარიზის ლექციონარის წინასწარმეტყველთა საკითხავებისა, „გელათური ბიბლიის“ ტექსტებსაც კიდეზე მიწერილი აქვთ შესატყვისები „საძიებელი მოწმობანიდან“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართული სრული ბიბლიის ტექსტის

---

[18] ილ. აბულაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის სომხური წყაროები... გვ. 262.

[19] ეს სამუშაო საბას „გელათური ბიბლიის“ მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებზე აქვს ჩატარებული.

[20] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, 1939, № 4, გვ. 125. პ. ინგოროყვა იმასაც ვარაუდობს, რომ საბას პირდაპირ ხელნაწერი („გელათური ბიბლია“) გადაუტანია სტამბაში და ტექსტი ამ დედნიდან აუწყვიათ. ეს საკითხი თხოულობს დაზუსტებას და შემოწმებას. დღეისათვის „გელათური ბიბლია“ ძალზე დეფექტურია. ბევრი აკლია წინასწარმეტყველთა წიგნებსაც, „მცხეთის ბიბლიაში“ კი წინასწარმეტყველთა წიგნების სრული ტექსტებია წარმოდგენილი. თუ რა მდგომარეობაში იყო „გელათური ბიბლია“ საბას დროს, ძნელი სათქმელია. ხომ არ დასჭირდა საბას „გელათური ბიბლიის“ წინასწარმეტყველთა წიგნების შევსება კიდევ რომელიმე წყაროთი? ეს საკითხი სპეციალურ კვლევას თხოულობს. ერთი რამ კი დღეისათვის აშკარაა, რომ „გელათური ბიბლიის“ წინასწარმეტყველთა წიგნების გამომცემელს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა კარგად გაერკვეს და გაარჩიოს „გელათური ბიბლიის“ გადამწერის (თუ მთარგმნელის, როგორც ამას ვარაუდობს პ. ინგოროყვა) ჩასწორებები, რომლებიც საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ტექსტში, საბას მიერ სულ სხვა პრინციპებითა და სხვა წყაროს მიხედვით შეტანილი შესწორებებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებისათვის საბამ თავდაპირველად „პარიზის ლექციონარს“ მიმართა. მისი არჩევანი გარკვეული თვალსაზრისით უთუოდ სწორი იყო, ვინაიდან X—XI საუკუნეების ეს შესანიშნავი ფოლიანტი ძველი ლექციონარის ყველაზე ვრცელი და სრული ნუსხაა. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, საკითხავების დიდი ნაწილი ოშკური რედაქციისაა და ამდენად — ქართული ბიბლიური წიგნების უძველესი თარგმანების შემცველი.

ყველაზე თანამიმდევრულად საბას დაუმუშავებია ლექციონარში „იგავთა წიგნის“ საკითხავები[21]. მას თავდაპირველად ეს საკითხავები აღურიცხავს იმ თანამიმდევრობით, როგორც ისინი წარმოდგენილნი იყვნენ „პარიზის ლექციონარის“ ხელნაწერში[22]. საკითხავების აღრიცხვა უწარმოებია ხელნაწერის ფურცლის არეზე საკითხავის გასწვრივ მხედრული ანბანით. თვით საკითხავებს (მცირე გამონაკლისით) აქვთ საბასვე ხელით მიწერილი მითითება თავსა და მუხლებზე, რომლისთვისაც საბას უნდა ესარგებლა სხვაენოვანი ნაბეჭდი საკონტროლო ნუსხით. თავები ტექსტში მითითებულია ნუსხურით, მუხლები — არაბული ციფრებით. ლექციონარში „იგავთა წიგნის“ სულ 42 საკითხავია, საბას აღრიცხვით კი — 37. თავიდანვე საბას 5 საკითხავის აღრიცხვა გამორჩენია, მაგრამ შემდეგ, ლექციონარის ხელმეორედ ჩათვალიერებისა და საკითხავთა ტექსტების შემოწმების დროს, მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ისინი და სხვა საკითხავებთან ერთად გამორჩენილი საკითხავებიც „მცხეთის ბიბლიაში“ გადაუტანია. ამ პირველადი სამუშაოს (საკითხავთა აღრიცხვის) ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იყო მთელი მასალის რიგზე დალაგება და იმის გათვალისწინება, თუ „იგავთა წიგნის“ რა მოცულობის მასალას შეიცავდა „პარიზის ლექციონარი“. მაგრამ მასალის აღრიცხვით არ ამოწურულა საბას მუშაობა „პარიზის ლექციონარის“ საკითხავებზე. „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავების ტექსტებში და ტექსტის გასწვრივ არეებზე საბას ხელით გაკეთებული მრავალრიცხოვანი მინაწერები, სწორებანი და შენიშვნები მოწმობენ, რომ საბას ხელნაწერშივე დიდი ფილოლოგიური ხასიათის მუშაობა ჩაუტარებია, სანამ ტექსტებს გამზადებულად ჩათვლიდა „მცხეთის ბიბლიაში“ გადასატანად. ამ სამუშაოსათვის, ისევე როგორც ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფისათვის, საბას მომარჯვებული ჰქონდა ბიბლიის საკონტროლო ნუსხა, რომელიც ამ შემთხვევაშიც ყველა მონაცემით 1666 წლის ვოსკანის ბიბლია უნდა ყოფილიყო.

საკონტროლო ნუსხის მიხედვით საბა „პარიზის ლექციონარის“ ხელნაწერშივე ასწორებს და ავსებს „იგავთა წიგნის“ საკითხავთა ნაკლულ ადგილებს. ქვემოთ ვნახავთ, რომ საბა „იგავთა წიგნის“ შესავსებად, გარდა „პარიზის ლექციონარისა“, საკითხავების შემცველ სხვა ხელნაწერებსაც მიმართავ-

---

[21] „პარიზის ლექციონარი“ ნაკლულია. მას აკლია თავსა და ბოლოში, შიგადაშიგაც. ხელნაწერის ბოლო ფურცლები მოცილებულია და უადგილოდ არის მოთავსებული, ამიტომ ხელნაწერი არასწორად არის პაგინირებული. ტექსტის თანამიმდევრობა უნდა აღდგეს იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია ლექციონარის თარხნიშვილისეულ გამოცემაში.

[22] „იგავთა წიგნის“ ტექსტისათვის ვსარგებლობთ ბ. გიგინეიშვილის მიერ ყველა არსებული ნუსხით მომზადებული ტექსტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მაგრამ ეს ტექსტზე მუშაობის უკვე მეორე ეტაპი იყო. საკუთრივ „პარიზის ლექციონარზე“ მუშაობის პროცესში კი საბა ამ ლექციონარის საკითხავების სწორებისა და შევსებისათვის ბიბლიის საკონტროლო ნუსხას (ვოსკანის ბიბლიას) მიმართავდა. მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს. „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავების უდიდესი უმრავლესობა „ოშკური ბიბლიის“ რედაქციისაა. მათ შორის სხვაობა უმთავრესად ვარიანტულია. ზოგჯერ ლექციონარი უკეთეს და, ჩანს, უძველეს წაკითხვებს გვაწვდის „ოშკურ ბიბლიასთან“ შედარებით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „პარიზის ლექციონარის“ გადამწერს გამოტოვებული აქვს მუხლში რამდენიმე სიტყვა ან მთელი წინადადება. საკონტროლო ნუსხასთან შედარების დროს საბას შეუმჩნეველი არ რჩება დაკლებული ადგილები და იქვე ტექსტში ავსებს მათ სტრიქონს ზემოთ წარწერით. ეს შევსება თუ სწორება ასევე გადადის „მცხეთის ბიბლიაში“[23].

იგავნი XV, 17

| O, 230 v | P, 95v | S, 410 |
|---|---|---|
| ჰსჯობს სტუმრობაჲ მხლითა მიყუარობით და მადლით, ვიდრე ზუარაკთა დაკლულთა ბაგათაგან მტერობით. | შჯობს სტუმრობაჲ მხლითა, [სიყუარულითა და მადლობითა], ვიდრე ზუარაკთა დაკლულთა ბაგათაგან მტერობით. | შჯობს სტუმრობაჲ მხლითა, სიყუარულითა და მადლობითა, ვიდრე ზუარაკთა ბაგათაგან დაკლულთაგან მტერობით. |

„პარიზის ლექციონარში“ გამორჩენილი კავებში ჩასმული სამი სიტყვა საბას ხელითაა სტრიქონს ზემოთ მიწერილი. საბას ამ ადგილის აღდგენისათვის არ გამოუყენებია არც რომელიმე სხვა ლექციონარი და არც „საწელიწდო საწინასწარმეტყველოს“ საკითხავი[24], ვინაიდან ორივე შემთხვევაში საკითხავები ოშკური რედაქციის არიან, აღდგენილი ტექსტი კი არ მისდევს ოშკს და ახალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ ამ აღდგენილი ფრაზის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ნაბეჭდი ბიბლიის უცხოენოვანი საკონტროლო ნუსხა, რომლითაც საბა ლექციონარის ტექსტს მუხლავდა და ამოწმებდა ტექსტის სისწორეს.

საბას მიერ ლექციონარის ტექსტის სწორების კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

იგავნი XIX,9

| O, 235v | P, 115r | S, 411 v |
|---|---|---|
| მოწამემ ცრუჲ არა უტანჯველ იყოს და აღუგზნის ბოროტი ნოქალაქეთა, და რომელმან აღაგზნეს ბოროტი, იგი წარწყმდეს. | მოწამემ ცრუჲ არა უტანჯველ იყოს [და აღუდგინის (!) ბოროტი მოქალაქეთა], რომელმან აღაგზნეს ბოროტი, იგივე წარწყმდეს. | მოწამე ცრუჲ არა უცოდველ იყოს. რომელმან აღაგზნეს ბოროტი, იგივე წარწყმდეს. |

[23] აქაც და შემდგომაც გამოყენებული ხელნაწერებისათვის ვხმარობთ შემდეგ ლიტერებს: პარიზის ლექციონარისათვის — P, ოშკური ბიბლიისათვის — O, მცხეთის ბიბლიისათვის —S, გიორგისეული საწინასწარმეტყველოსათვის —G.

[24] „საწინასწარმეტყველოში“ „იგავთა წიგნის“ ამ მუხლის შემცველი საკითხავი ოშკური რედაქციისაა. საბას „საწინასწარმეტყველოსათვის“ რომ მიემართა, აღდგენდა ოშკურ ტექსტს: „მიყუარებით და მადლითა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პარიზის ლექციონარის ტექსტი ზუსტად მისდევს „ოშკურ ბიბლიას“[25]. კავებში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც დღეს ცუდად იკითხება, საბას გადაუშლია და ზემოდან წაუწერია: „წარწყმდეს მის მიერ“. შემდეგ ეს წარწერაც გადაუშლია, ვინაიდან ეს ფრაზა ისედაც არის ამ მუხლში (მომდევნო ფრაზა). ამ ოპერაციების შემდეგ საბას ლექციონარიდან „მცხეთის ბიბლიაში“ გადაუტანია მუხლის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მას გადაუშლელი დარჩა. ამ სახით ეს მუხლი მისდევს როგორც ვოსკანის ბიბლიას, ასევე სეპტუაგინტას.

მოტანილი მაგალითები არ გვაწვდიან რაიმე მონაცემებს იმის შესახებ, თუ რომელენოვანი ნაბეჭდი ბიბლია იყო საბასათვის საკონტროლო ნუსხა, ვინაიდან ტექსტები ერთნაირად არის წარმოდგენილი ბერძნულ და სომხურ ბიბლიებში.

მომდევნო მაგალითი მეტ შესაძლებლობას იძლევა ამის გარკვევისათვის.

XVIII,10

| O, 234v | P 114r |
|---|---|
| დიდისაგან ძლიერებისა სახელი ღმრთისაჲ. მას მოუკდენ მართალნი და აღმაღლდენ. | დიდისა ზრახვისაგან ძრიელებისა [განცხადებულ არს სახელი ღმრთისა]. მას მოუკდენ მართალნი და აღმაღლდენ. |

ამ მუხლის შემცველი „პარიზის ლექციონარის“ საკითხავი მთლიანად ოშკური რედაქციისაა, ოღონდ ლექციონარის გადამწერს მე-10 მუხლში გამორჩენია სახელი ღმრთისაჲ, რითაც აზრი დარღვეულა. საბას ეს დანაკლისი შეუმჩნეველი არ დარჩენია და აღუდგენია ტექსტი საკონტროლო ნუსხით. კავებში ჩაწერილი სიტყვები საბას ჩაუწერია სტრიქონს ზემოთ. ამ ჩანამატით გადავიდა ეს მუხლი მცხეთურ ბიბლიაში. ოშკის ბიბლიაში წარმოდგენილი ტექსტი მისდევს სეპტუაგინტას: ἐκ μεγαλωσύνης ἰσχύος ὄνομα κυρίου, αὐτῷ δὲ προσδραμόντης δίκαιοι ὑψοῦνται“[26].

საბას სწორება განსხვავდება ოშკური წაკითხვისაგან. მაშასადამე, საბას ეს მუხლი არ ჩაუსწორებია „პარიზის ლექციონარის“ ტიპის სხვა რომელიმე ლექციონარის მიხედვით. არ არის ის ჩასწორებული არც „საწინასწარმეტყველოთი“[27] და არც სეპტუაგინტით. მას საკონტროლოდ სხვა წყარო ჰქონია ხელთ. ეს წყაროა „ვოსკანის სომხური ბიბლია“, სადაც ეს ადგილი სწორედ იმ სახით დასტურდება, როგორც ეს საბას აღდგენილ ნაწილში იკითხება: *յայտնի է անուն տեառն*“.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საბას ჩასწორებებს არც „ვოსკანის ბიბლიაში“ ეძებნება შესატყვისები. ეს შემთხვევებიც ახსნას თხოულობს, მაგრამ ყველა ნიშნებით საბას საკონტროლო წყარო მაინც „ვოსკანის ბიბლია“ უნდა ყოფილიყო. იმისათვის, რომ ეს საკითხი ეჭვს არ იწვევდეს, საჭიროა საბას შეტანილი ყველა (მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო) სწორება შედარდეს სა-

[25] ამ მუხლის შემცველი საკითხავი არ არის „საწელიწდო-საწინასწარმეტყველოში“.

[26] Septuaginta... edidit Alfred Rahlfs, vol. II, Stutgart, p. 214.

[27] ეს მუხლი არ არის „საწინასწარმეტყველოში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას დროინდელ ძირითად ბეჭდურ ბიბლიებს და ამავე დროს საკითხავთა შემცველ სხვა კრებულებსაც, ამ რთულ და შრომატევად სამუშაოს, ალბათ, „იგავთა წიგნის“ მომავალი გამომცემელი აიღებს თავის თავზე.

„პარიზის ლექციონარის“ იგავთა საკითხავების შედარება საკონტროლო ნუსხასთან და მათი შევსება-შესწორება საბას ტექსტზე მუშაობის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. ამით არ ამოწურულა არც ტექსტების ძიება და არც მათი რედაქტირება.

„მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ ტექსტი არ წარმოადგენს სრულსა და გაბმულ ტექსტს. ტექსტს გარეგნულადაც ეტყობა, რომ ის ცალკეული საკითხავებისაგან არის შედგენილი: „იგავთა წიგნის“ დიდი ნაწილი დაწერილია „მცხეთის ბიბლიის“ ერთ-ერთი მთავარი გადამწერის ხელით, მაგრამ გადანაწერ ტექსტში ადგილ-ადგილ დატოვებულია თავისუფალი ადგილები ტექსტის ხარვეზებისათვის. ეს ლაკუნები ერთს ან რამდენიმე დაკლებულ მუხლს მოიცავს, ზოგჯერ დაუწერელია ერთი ან ორი გვერდი, ზოგჯერ კი — მთელი თავი. „მცხეთის ბიბლიაში“ ნაწილი ამ ლაკუნებისა შევსებულია ძირითადი ხელისაგან განსხვავებული ხელით, ნაწილი კი დატოვებულია შეუვსებლად.

ძირითადი ხელით დაწერილი ტექსტის შედარებამ „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავებთან აშკარა გახადა, რომ ამ ძირითად ნაწილში შესულა საბას მიერ ნასწორები „პარიზის ლექციონარის“ ყველა 42 საკითხავი. მაგრამ ეს საკითხავები არ ფარავენ ძირითადი ხელით გადაწერილ მთელ ტექსტს. რჩება კიდევ ერთი ნაწილი ტექსტისა, რომლის წყაროს „პარიზის ლექციონარი“ არ წარმოადგენს. ე. ი. საბას, გარდა „პარიზის ლექციონარისა“, ხელთ ჰქონია კიდევ სხვა ხელნაწერი წყარო, აგრეთვე საკითხავების შემცველი, რომელიც ძველი ტიპის ლექციონარისაგან განსხვავებულ საკითხავებსაც შეიცავდა. ამ საკითხავებით შეავსო საბამ „პარიზის ლექციონარის“ მასალა და ორივე ერთად, რიგზე დალაგებული, „მცხეთის ბიბლიაში“ შესატანად გადასცა „მცხეთის ბიბლიის“ გადამწერს გადასაწერად. ეს მეორე წყარო, როგორც ეს ძიებამ გამოარკვია, „საწელიწდო-საწინასწარმეტყველო“ ყოფილა, რომლის თარგმნა გიორგი მთაწმიდელს მიეწერება. ამრიგად, „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ ის ნაწილი, რომელიც ძირითადი ხელითაა დაწერილი, მოიცავს „პარიზის ლექციონარისა“ და „საწელიწდო-საწინასწარმეტყველოდან“ ამოკრეფილ საკითხავებს[28].

რას წარმოადგენს „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ მეორე წყარო:

„საწელიწდო-საწინასწარმეტყველოს“ ორი ნუსხაა ცნობილი. ერთია XI საუკუნის ხელნაწერი H—1350, ძალზე დეფექტური. მეორე — უფრო სრული, მაგრამ გვიანდელი (XIII—XIV სს.) — A—672.

„საწელიწდო-საწინასწარმეტყველო“ არის ახალი ტიპის ლექციონარი. ეს წიგნი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პირველი ნაწილი მოიცავს საკითხავებს საუფლო დღესასწაულებზე, დაწყებული შობით (25 დეკემბერი) და გათავებული ყოვლად წმიდის მიცვალებით (15 აგვისტო). მეორე ნაწილი მოიცავს დიდმარხვის კვირების საკითხავებს. წიგნი ატარებს „საწელიწდო-

---

[28] როგორც ირკვევა, ამავე წყაროებით სარგებლობდა საბა „სოლომონის სიბრძნის“ ტექსტის აღდგენისათვის, ვინაიდან არც ამ წიგნისათვის ჰქონდა მას სრული ტექსტის შემცველი ხელნაწერები.

საწინასწარმეტყველოს“ სახელწოდებას, მაგრამ სინამდვილეში შეიცავს საკითხავებს როგორც წინასწარმეტყველთა წიგნებიდან, ასევე ძველი და ახალი აღთქმის სხვა წიგნებიდანაც. „იგავთა წიგნიდან“ „საწინასწარმეტყველოში“ შეტანილია 36 საკითხავი. აქედან I ნაწილზე მოდის 7 საკითხავი, ხოლო მეორეზე — დანარჩენი 29. „იგავთა წიგნის“ საკითხავები იკითხება დიდმარხვის კვირათა ორშაბათ-პარასკევ დღეებში. ცისკრად იკითხება საკითხავი „ესაიას წინასწარმეტყველებიდან“, ხოლო მწუხრს — „დაბადებისა“ და „იგავთა წიგნის“ საკითხავები. მე-8 კვირას (ბაიაობას) — სხვა მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხვის კვირებისათვის განკუთვნილი „იგავთა“ საკითხავები „საწინასწარმეტყველოში“ აღმავლობითი რიგითაა წარმოდგენილი: იწყება I თავის 1—21 მუხლებით და თავდება — XXXI თავის 9—29 მუხლებით. შიგადაშიგ აკლია თავები და მუხლები. ამრიგად, „საწელიწდო-საწინასწარმეტყველო“ სტრუქტურულად განსხვავდება ძველი ლექციონარისაგან, თუმცა დანიშნულებით მსგავსია.

„საწინასწარმეტყველო“ უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს (ამას მოწმობს „საწინასწარმეტყველოზე“ დართული ანდერძი). საკითხავთა შესწავლამ გამოარკვია, რომ საკითხავებისათვის გიორგის გამოუყენებია ბიბლიურ წიგნთა ძველი თარგმანები (ოშკური ბიბლია) და ნაწილობრივ ძველი ლექციონარებიც და მხოლოდ ერთი ნაწილი უთარგმნია თავიდან. თავისი დაკვირვებები „საწინასწარმეტყველოს“ ბიბლიურ საკითხავებზე პ. ინგოროყვამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „გიორგი მთაწმიდელი ამ შრომის შესრულების დროს მოქცეულა ისევე, როგორც ის მოიქცა სახარების თარგმანის დროს, ე. ი. ცდილა არ დაშორებოდა ძველს ტრადიციას; გიორგი მთაწმიდელს საფუძვლად აუღია ბიბლიის არქაული ვერსიების ტექსტი, რომელიც „შეუწამებია“ ბერძნულთან და სტილისტურად გადაუმუშავებია ბერძნულთან უფრო ზუსტი შესატყვისობის მისაღწევად“[29].

ჩვენი მხრივ ამას დავუმატებთ: „ლექციონარისა“ და „საწინასწარმეტყველოს“ „იგავთა წიგნის“ საკითხავების შედარებამ „ოშკური ბიბლიის“ ამავე წიგნის ტექსტთან აშკარა გახადა, რომ როგორც „ლექციონარის“, ასევე „საწინასწარმეტყველოს“ საკითხავთა უდიდესი ნაწილი ოშკური რედაქციისა, მაგრამ რიგ შემთხვევაში ვარიანტულ სხვაობებს „ოშკურ ბიბლიასთან“ აჩენს როგორც „ლექციონარი“, ასევე „საწინასწარმეტყველო“. არის შემთხვევები, როდესაც „საწინასწარმეტყველო“ თავისი კითხვასხვაობებით დგება „ლექციონართან“ და განსხვავდება „ოშკისაგან“. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მთაწმიდელს ხელთ ჰქონია „ოშკური ბიბლია“, ის, ჩანს, „ლექციონარშიც“ იხედებოდა და პირველ რიგში „ლექციონარში“.

ამავე დროს „ლექციონარშიც“ და „საწინასწარმეტყველოში“ არის მთელი პასაჟები, რომლებიც სრულიად განსხვავდება ოშკისაგან და ერთმანეთისაგანაც. ესენი დამოუკიდებელ და ახალ თარგმანებს წარმოადგენენ. ეს ზოგადი დაკვირვება, რა თქმა უნდა, ცალკე შესწავლას თხოულობს.

„საწინასწარმეტყველოსა“ და „პარიზის ლექციონარს“ აღმოაჩნდათ როგორც საერთო საკითხავები, ასევე განსხვავებულიც. განსხვავებული საკითხა-

---

[29] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 122— 23.

ვებით შეავსო ს. ს. ორბელიანმა „პარიზის ლექციონარში“ მოპოვებული იგავთა წიგნის საკითხავები.

ამრიგად, „მცხეთური ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ ძირითადი ნაწილი წარმოადგენს „პარიზის ლექციონარისა“ და „საწინასწარმეტყველოს“ საკთხავთა ჯამს. იმისათვის, რომ ნათელი იყოს, თუ რა ტექსტობრივი მიმართებაა „პარიზის ლექციონარისა“ და „საწინასწარმეტყველოს“ „იგავთა წიგნის“ საკითხავებსა და ოშკის და მცხეთის ბიბლიებს შორის, მოგვყავს ნიმუში, სადაც წარმოდგენილია ამ 4 ძეგლის მასალა ერთი საკითხავის ფარგლებში (XI თავის 19—31 მუხლები).

როგორც ზემოთ ითქვა, საბას მუშაობა „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავებზე ლექციონარის ფურცლებზევე აისახა. მან ლექციონარშივე გამართა საკითხავის ტექსტები იმ სახით, როგორც ისინი უნდა გადასულიყვნენ „მცხეთის ბიბლიაში“. მაგრამ „ლექციონარსა“ და „საწინასწარმეტყველოს“ საკითხავთა გაერთიანების პროცესში (მცხეთის ბიბლიაში მათი თანაბრად განლაგების მიზნით), ჩანს, ზოგი რამ საბას „ლექციონარის“ საკითხავებში „საწინასწარმეტყველოს“ გავლენითაც შეუცვლია. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს ქვემოთ მოყვანილი მაგალითი:

XI, 22

| O | P | G | S |
|---|---|---|---|
| ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, ეგრეთვე დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთ. | ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთე. | ვითარცა საყურე-ნი ოქროჲსანი ყელსა ღორისასა, ეგრევე დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთე. | ვითარცა საყური ყელსა ღორისასა, დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთე. |

„პარიზის ლექციონარის“ საკითხავის ტექსტში საბას შესწორებები თავიდანვე არ შეუტანია, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ეს ტექსტი ასევე უცვლელად გადავიდოდა „მცხეთის ბიბლიაში“. სინამდვილეში O-ს ნიკელი „მცხეთის ბიბლიაში“ შეცვლილია ყელით. G-სთან შედარებიდან აშკარაა, რომ „მცხეთის ბიბლიაში“ შეტანილი ამ ცვლილების წყარო „საწინასწარმეტყველოა“ (G). ამდენად, საბა „იგავთა წიგნის“ ლექციონარისეულ ტექსტებზე მუშაობის პროცესში „საწინასწარმეტყველოს“ საკითხავთა მონაცემებსაც ითვალისწინებდა ტექსტის გამართვის მიზნით. მაგრამ ასეთი შემთხვევები ბევრად მცირეა. „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავების სწორება-რედაქტირება საბამ ძირითადად ხელნაწერზე მუშაობის პროცესშივე მოამთავრა.

„პარიზის ლექციონარიდან“ და „საწინასწარმეტყველოდან“ „იგავთა წიგნის“ საკითხავების გამოკრებით, რიგზე გამართვით, რედაქტირებით და „მცხეთის ბიბლიაში“ მათი გადატანით დაამთავრა საბამ წერილობით წყაროებზე (ხელნაწერებზე) მუშაობა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა „იგავთა წიგნის“ ტექსტის აღდგენაზე მუშაობა. საჭირო იყო კიდევ იმ ხარვეზების შევსება, რომ-

| O. 226r | G (73v—74r) | P (80v) | S |
|---|---|---|---|
| 19. შვილი მართალი იშვის ცხორებად, ხოლო დევნულებაჲ უღმრთოთაჲ ვიდრე სიკუდიდმდე. | შვილი მართალი იშვის ცხორებად, ხოლო დევნულებაჲ უღმრთოთაჲ ვიდრე სიკუდილმდე. | შვილი მართალი იშვის ცხორებად, ხოლო დევნულებაჲ უღმრთოთაჲ სიკუდიდ. | შვილი მართალი იშვის ცხორებად, ხოლო დევნულებაჲ უღმრთოთა სიკუდიდ. |
| 20. სძაგელ უფლისა გულარძნილნი გზანი, შეუწყნარებულ მისა არიან ყოველნი უბიწონი. | სძაგელ უფლისაჲ გზანი გულარძნილნი, ხოლო შეუწყნარებულ მისსა ყოველნი უბიწონი გზასა*. | სძაგელ უფლისა გულარძნილნი გზანი. შეუწყნარებულ მისა ყოველნი უბიწონი. | სძაგელ უფლისა გულარძნილნი გზანი. შეუწყნარებულ მისსა ყოველნი უბიწონი. |
| 21. რომელმან ჴელი ჴელსა მისცის სიცრუეთ, არა უტანჯველ იყოს. | რომელმან ჴელი ჴელსა მისცეს სიცრუეთ, არა უტანჯველ იყოს. | რომელმან ჴელი ჴელსა მისცეს სიცრუეთ, არა უტანჯველ იყოს. | რომელმან ჴელი ჴელსა მისცეს სიცრუეთ, არაუტანჯველ იყოს. |
| ხოლო რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მოიღოს სასყიდელი სარწმუნოჲ. | ხოლო რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მოიღოს სასყიდელი სარწმუნოჲ. | ხოლო რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მოიღოს სასყიდელი სარწმუნოჲ. | ხოლო რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მოიღოს სასყიდელი სარწმუნო. |
| 22. ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, ეგრეცა დედაკაცსა სახებროტსა — სიკეთ. | ვითარცა საყურენი ოქროჲსანი ყელსა ღორისასა, ეგრეთცა დედაკაცსა სახებროტსა — სიკეთ. | ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, დედაკაცსა სახებროტსა — სიკეთ. | ვითარცა საყური ყელსა ღორისასა, დედაკაცსა სახებროტსა — სიკეთე. |
| 23. გულის-თქუმაჲ მართალთაჲ ყოველივე კეთილ, ხოლო სასოებაჲ უღმრთოთაჲ წარწყმდეს. | გულის-თქუმაჲ მართალთაჲ ყოველივე კეთილ, ხოლო სოსოებაჲ უღმრთოთაჲ წარწყმდეს. | გულის-თქუმაჲ მართლისაჲ ყოველივე კეთილ, ხოლო სასოებაჲ უღმრთოთაჲ წარწყმდეს. | გულის-თქუმაჲ მართლისაჲ ყოველივე კეთილ, ხოლო სასოებაჲ უღმრთოთა წარწყმყდეს. |
| 24. არიან, რომელნი თჳსსა სთესვენ და უფროჲსი შეიკრიბიან და არიან, რომელნი შეიკრებენ და მოაკლდების. | არიან რომელნი თჳსსა სთესვენ და უმრავლესსა შეიკრებენ სხუათასა და მოაკლდებისვე. | არიან რომელნი თჳსსა სთესვენ და უფროჲსსა შეიკრებენ და არიან, რომელნი შეიკრიბენ [სხუათასა] და მოაკლდების. | არიან რომელნი თესლსა სთესვენ და უფროჲსსა შეიკრებენ და არიან, რომელნი შეიკრებენ სხუათასა და მოაკლდების. |
| 25. სული კურთხეული ყოველივე ვრფელი, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შუენიერ არს. | სული კურთხეული ყოველივე ვრფე, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შუენიერ არს. | სული კურთხეული ყოველივე ვრფელ, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შეუნიერ. | სული კურთხეული ყოველივე ვრფელ, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შეუნიერ. |

* ასეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| O | G | P | S |
|---|---|---|---|
| 26. რომელმან შეიკრძალოს იფქლი, დაუშთის წარმართთა. რომელნი ძნიად ფრდიდენ იფქლსა, ერის წყეულ, ხოლო კურთხევაჲ თავსა ზედა უხუთასა. | რომელმან შეიკრძალოს იფქლი, დაუშთინოს იგი წარმართთა. რომელნი ძნიად ფრდიდენ იფქლსა, ერის წყეულ, ხოლო კურთხევა თავსა ზედა უხუთასა. | რომელმან შეიკრძალოს იფქლი, დაუშთინ იგი წარმართა და რომელი ძნელად ჰყოფდეს იფქლსა, ერის წყეულ იყავნ, ხოლო კურთხევაჲ უფლისაჲ თავსა ზედა უხჳსასა. | რომელმან შეიკრძალოს იფქლი, დაუშთინის იგი წარმართთა. და რომელნი ძნელად ჰყოფდენ იფქლსა, ერის წყეულ იყავნ. ხოლო კურთხევაჲ უფლისაჲ თავსა ზედა უხჳსასა. |
| 27. რომელი იქმოდის კეთილსა, იგი ეძიებს მადლსა კეთილისასა. რომელი გამოეძიებდეს ბოროტსა ეწიოს მასვე. | რომელი იქმოდის კეთილსა, იგი ეძიებს მადლსა კეთილსა, ხოლო რომელი გამოეძიებდეს ბოროტსა, ეწიოს მასვე. | რომელი იქმოდის კეთილსა, ეძიებს მადლსა კეთილსა, ხოლო რომელი გამოეძიებს ბოროტსა, ეწიოს მასვე. | რომელი იქმოდის კეთილსა, ეძიებს მადლსა კეთილსა, ხოლო რომელი გამოეძიებს ბოროტსა, ეწიოს მასვე. |
| 28. რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, იგი დაეცეს, ხოლო რომელნი შეეწეოდიან მართალსა, იგინი გამობრწყინდენ. | რომელი ესვიდეს სიმდიდრესა თჳსსა, დაეცეს იგი, ხოლო რომელი შეეწეოდის მართალსა, იგი განბრწყინდეს. | რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, დაეცეს. ხოლო რომელი ეწეოდის მართალსა, იგი გამობრწყინდეს. | რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, დაეცეს, ხოლო რომელი ეწეოდის მართალსა, იგი განბრწყინდეს. |
| 29. რომელი არა თანა-შეეზავებოდის სახლსა თჳსსა, მან დაიმკჳდრნეს ქარნი და ჰმონებდეს უგუნური ბრძენსა. | რომელი არა თანა შეეზავებოდის თჳსსა სახლსა, მან დაიმკჳდრნეს ქარნი და მონებდეს უგუნური ბრძენსა. | რომელი არა თანა შეეზავებოდის სახლსა თჳსსა, მან დაიმკჳდრნეს ქარნი და ჰმონებდეს უგუნური ბრძენსა. | რომელი არა შეეზავებოდის სახლსა თჳსსა, მან დაიმკჳდრნეს ქარნი და ჰმონებდეს უგუნური ბრძენსა. |
| 30. ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდეს ხჱ ცხოვრებისაჲ, ხოლო მიეხნენ უჟამოდ სულნი უშჯულოთანი. | და ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდეს ხე ცხორებისაჲ. ხოლო მიეხუნენ სულნი უსჯულონი უჟამოდ. | [ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდეს ხე ცხორებისა, მიეხვნეს უჟამოსა სულნი (უსჯულოთანი).* | ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდეს ხე ცხორებისა. მიეხუნენ უჟამოჲსაჲ სულნი უშჯულოთანი. |
| 31. უკუეთუ მართალი იგი ძნიად განერეს, ცოდვილი და უღმრთოჲ სადაღამე იპოოს? | რამეთუ უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, ცოდვილი და უღმრთოჲ სადაღამე იპოოს. | უკეთუ მართალი ძნიად განერეს, უღთო იგი და ცოდვილი სადღა იპოვნეს]**. | უკეთუ მართალი ძნიად განერეს, უღმრთოჲ იგი და ცოდვილი სადაღამე იპოოს. |

* ეს სიტყვა არ იკითხება.

** კვადრატულ კავებში მოთავსებული საბას ხელით ჩაწერილი ეს ორი მუხლი საბას გადმოუღია პარიზის ლექციონარის სხვა საკითხავიდან (იხ. მ. თარხნიშვილის გამოც. № 269) მეთერთმეტე თავის შესავსებად.

ლებიც „ლექციონარისა“ და „საწინასწარმეტყველოს“ საკითხავების გაერთიანების შემდეგ მაინც შეუვსებელი აღმოჩნდა. ასეთი კი ბევრი რჩებოდა. ამ ხარვეზების შესავსებისათვის საბას ქართული წყაროები აღარ ეგულებოდა, ამიტომ ის იძულებული იყო არაქართულ წყაროსათვის მიემართა. ეს არაქართული წყარო, ბუნებრივია, ისევ 1666 წლის სომხური ბიბლია იქნებოდა, რომელსაც საბა საკონტროლო ნუსხად იყენებდა „ლექციონარის“ საკითხავების მართვისა და შევსებისათვის და ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფის მიზნით.

„იგავთა წიგნის“ I—VI თავები „მცხეთის ბიბლიაში“ გაბმული ტექსტის სახითაა წარმოდგენილი და დაწერილია ძირითადი ხელით (ნუსხურით). ლაკუნები იწყება VII თავიდან და გრძელდება ბოლომდე. VII თავიდან XXI თავამდე ლაკუნები შევსებულია საბას ნუსხური და მხედრული ხელით[30]. სულ 10 ლაკუნია სხვადასხვა ზომისა. XXII თავიდან ბოლომდე (XXXI) ლაკუნები შეუვსებლად არის დატოვებული. აქედან XXVI და XXVII თავები სულ დაუწერელია. წარმოდგენილი სურათიდან ამკარაა, რომ საბამ „მცხეთის ბიბლიის“ იგავთა წიგნის ლაკუნების შევსება ახალი თარგმანებით ბოლომდე ვერ მიიყვანა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო 1712 წელს საბას მოულოდნელი გამგზავრება ვახტანგთან ერთად ისპაჰანში[31].

ბუნებრივია, საბას ხელით შევსებული ლაკუნები, რომელიც მის მიერ შესრულებულ ახალ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, რედაქციულად სხვაობს ძირითადი ტექსტისაგან, რომელიც ძველი ლექციონარების საკითხავებს ემყარება. ეს ფაქტი შემჩნეული აქვს ბ. გიგინეიშვილს, ის წერს: „საბას ნუსხა იქ, სადაც ის ოშკური რედაქციის არ არის, გვაძლევს მცირე და მოზრდილ განსხვავებულ ნაკვეთებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბას ნუსხის დამოუკიდებელ რედაქციად გამოვლენა კანონზომიერ კავშირშია ხელთა მონაცვლეობასთან. საბასეული ხელნაწერი ხელის თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი სოლომონის იგავთა წიგნის ყველა ნაწილში. ვლინდება სამგვარი ხელი: ა) ჩვენ მიერ ძირითადად წოდებული (ნუსხური), ბ) ძირითადისაგან განსხვავებული (ნუსხური), გ) მხედრული. ძირითადი ხელნაწერი უმეტეს შემთხვევაში ოშკური რედაქციისაა, დანარჩენი ორი ხელით გადაწერილი ადგილები, ჩვეულებრივ, რედაქციულად დამოუკიდებელნი არიან“[32]. აქ ყველაფერი მართებულადაა თქმული, ოღონდ ბ. გიგინეიშვილს შეუმჩნეველი დარჩენია ის, რომ ძირითადი ხელისაგან განსხვავებული ნუსხური და მხედრული თვით საბას ხელია, რომლითაც მან შეავსო „იგავთა წიგნის“ ლაკუნები. ამავე დროს „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნში“ ხელთა მონაცვლეობა ამ ტექსტზე საბას მუშაობის სხვადასხვა ეტაპს ასახავს.

როგორც ჩანს, ახალი თარგმანის მოშველიება საბას ბიბლიის სხვა წიგნე-

---

[30] ნუსხურით საბას შეუვსია მცირე ზომის ლაკუნები, ხოლო მხედრულით —მოზრდილი ზომისა.

[31] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 176.

[32] ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები, მრავალთავი, II, 1973, გვ. 54.

ბის გამართვა-შევსების დროსაც დასჭირვებია. ნარგიზა გოგუაძის დაკვირვებით „მცხეთის ბიბლიის“ „ნეემიას წიგნის“ ლაკუნებიც შევსებულია საბას დროინდელი ახალი თარგმანებით[34]. მაგრამ მას არ მიაჩნია სომხური ბიბლია ამ თარგმანების ერთადერთ წყაროდ[35].

ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1) ქართული ბიბლიის გამოცემისათვის მომზადება (ბიბლიური წიგნების შეკრება და გადაწერა) დაიწყო XVII საუკუნის 60-იან წლებში ვახტანგ ორბელის ოჯახში. ქართული სრული ბიბლიის შეკრება და ტექსტების გამართვა თავს იდვა სულხან-საბა ორბელიანმა. ბიბლიური ტექსტების გამართვა გულისხმობდა ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფას სხვაენოვანი ნაბეჭდი ბიბლიის მიხედვით, ასევე ნაბეჭდი ბიბლიით — სწორებასა და შევსებას. ეს პრინციპები, საფიქრებელია, ორბელიანთა ოჯახში შემუშავდა, შესაძლოა, ს. ს. ორბელიანის მიერ, რომელსაც ბიბლიური ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფა და ბიბლიური ტექსტების კრიტიკული გამართვა თავის სამეცნიერო მიზნებისათვის — ქართულ ლექსიკონზე მუშაობისთვისაც ესაჭიროებოდა.

2) ამავე პრინციპით ბიბლიური ტექსტების გამართვა მოსკოვში თავს იდვა არჩილმა. ორივეს მიზანი იყო სრული ქართული ბიბლიის დასაბეჭდად მომზადება.

3) მოსკოვისა და თბილისის ქართული სტამბების დაარსების ერთი მთავარი მიზანიც სრული ქართული ბიბლიის გამოცემა იყო. ქართლში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, საბამ ვერ დაასრულა სრული ქართული ბიბლიის „გამართვა“ და დასაბეჭდად მომზადება. ბიბლია ვერ დაიბეჭდა ვერც მოსკოვის სტამბაში არჩილის სიცოცხლეში და ვერც ვახტანგის სტამბაში.

4) იმის გამო, რომ ქართლში ბიბლიის ყველა წიგნის ხელნაწერები ვერ დაიძებნა და რაც დაიძებნა, ისინიც რიგ შემთხვევაში ნაკლული იყო, საბამ თავს იდვა ნაკლული წიგნების აღდგენისა და შესწორებისათვის გზებისა და საშუალებების ძებნა. დიდი სამუშაო ჩაატარა მან „იგავთა წიგნის“ შედგენაზე.

5) საბამ სხვადასხვა წყაროს საშუალებით შეკრა „იგავთა წიგნის“ კომპილაციური ტექსტი, რომელიც 3 პლასტისაგან შედგება: პირველია — „პარიზის ლექციონარის“ „იგავთა წიგნის“ საკითხავები, რომლებიც ძირითადად „ოშკური ბიბლიის“ რედაქციისაა; მეორე — „საწელიწდო-საწინასწარმეტყველოს“ საკითხავები, რომლებიც, აგრეთვე, ძირითადად ოშკს მისდევენ, ამასთანავე გიორგი მთაწმიდელის მიერაა ნასწორები ბერძნული მოდელის მიხედვით, რიგ შემთხვევაში კი გიორგისავე შესრულებული ახალი თარგმანებითაა წარმოდგენილი. მესამე — საბას შესრულებული ახალი თარგმანები, საკონტროლო ნუსხის (სავარაუდოა „ვოსკანის ბიბლიის“) მიხედვით შესრულებული. ლაკუნების ახალი თარგმანებით შევსების საქმე საბამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. „მცხეთის ბიბლიის“ ბოლო ნაწილი მას მოუმზადებელი დარჩა.

6) დიდი სამუშაო ჩაატარა საბამ „პარიზის ლექციონარის“ საკითხავებზე, რომლებიც „მცხეთის ბიბლიის“ კომპილაციური ტექსტის პირველ პლასტს ქმნის. საბამ ეს საკითხავები ხელნაწერშივე დაყო თავებად და მუხლებად,

---

[34] ნ. გოგუაძე, „ნეემიას წიგნის“ ძველი ქართული რედაქციები, მრავალთავი, I, 1971, გვ. 79, 83.

[35] ნ. გოგუაძე, იქვე, გვ. 86—87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტები ადარა საკონტროლო ნაბეჭდ ნუსხას (სომხურ ვოსკანის ბიბლიას) და ასწორა, ადგილ-ადგილ დაკლებული სიტყვები და წინადადებები შეავსო.

7) ამავე რიგის სამუშაო ჩაატარა საბამ „პარიზის ლექციონარის“ „წინასწარმეტყველთა“ წიგნების საკითხავებზე, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად საბას წინასწარმეტყველების წიგნებისთვისაც არ ჰქონია სრული ტექსტები და განუზრახავს, მსგავსად „იგავთა წიგნისა“, „პარიზის ლექციონარის“ საკითხავების მასალით მათი შედგენა. შემდეგ, ჩანს, მას ხელში ჩავარდნია „გელათის ბიბლია“, რომელზედაც საბოლოოდ შეუჩერა თავისი არჩევანი და „წინასწარმეტყველთა წიგნების“ ბეჭდური გამოცემისათვის საფუძვლად აიღო.

8) საბას შედგენილი „მცხეთის ბიბლია“ უნდა შესწავლილ იქნას თითოეული წიგნის ფარგლებში ცალ-ცალკე, მისი წყაროებისა თუ საბას მიერ ტექსტზე ჩატარებული სარედაქციო მუშაობის გათვალისწინებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა „მცხეთის ბიბლიის“ ამა თუ იმ წიგნის რედაქციულ სახეზე.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

## ИСТОЧНИКИ «КНИГИ ПРИТЧ» «МЦХЕТСКОЙ БИБЛИИ»

Резюме

Во второй половине XVII столетия грузинская передовая интеллигенция наметила широкий план развития ряда областей грузинской науки: лексикографии, картографии, права, историографии и др. Наряду с этим шла большая работа по подготовке к изданию грузинской Библии. Возглавлял эту работу С. С. Орбелиани. Вместе с группой книжников С. С. Орбелиани собрал списки отдельных книг грузинской Библии с целью составления полного списка Ветхого и Нового завета. Сличая и изучая различные списки и редакции библейских книг, он их сравнивал с доступными ему печатными Библиями на армянском и латинском языках и по своему усмотрению правил их. Для тех библейских книг, которые он не смог обнаружить в рукописных списках Библии, С. С. Орбелиани использовал древние Лекционарии. Так напр. для составления «Книги Притч» С. С. Орбелиани пользовался т. н. «Парижским Лекционарием», рукописью XI века, на полях которой встречаются многочисленные заметки, приписки, правки текстов, выполненные рукой С. С. Орбелиани. Анализ этого материала дает возможность проследить ту большую филологическую работу, которую проделал С. С. Орбелиани для установления библейских чтений, до того, как их включить в составленную им полную грузинскую Библию (рукопись А-51), предназначенную для издания.

Но чтения из «Парижского лекционария» не составили полного текста «Книги притч». Для пополнения текста С. С. Орбелиани использовал также второй лекционарий нового типа, составленный Георгием Афонским. Чтения этих двух лекционариев составляют основную часть «Книги притч», предназначенной для полной грузинской Библии. Оставшиеся лакуны С. С. Орбелиани взялся пополнить своими новыми переводами, однако довести до конца эту работу ему не удалось.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ კაპთარია

# ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობის“ ტექსტის ერთი ადგილის გასწორებისათვის

1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი მისიონერ რიშარდთან ერთად ევროპის გზას დაადგა. ეს ელჩობა არ იყო ორგანიზებული სპარსელთა ტყვეობიდან მხოლოდ ვახტანგ VI გამოხსნისათვის (თავისთავად, ცხადია, ამ მომენტსაც ეძლეოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა). 1713 წლის ელჩობა ევროპაში იყო მოწინავე ქართველ სახელმწიფო მესვეურთა დიდი სურვილის — ევროპასთან პოლიტიკური, კულტურული და დიპლომატიური კავშირის — აღსრულების განხორციელების კიდევ ერთი ცდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული დიპლომატიის მამოძრავებელი და საგარეო ურთიერთობის განმსაზღვრელი თითქმის ყოველთვის იყო დაწინაურებულ ევროპასთან მჭიდრო კავშირისათვის გზების ძიება[1]. რა თქმა უნდა, ამ სურვილის განხორციელება ყოველთვის ადვილი და შესაძლებელი არ იყო. ბევრჯერ გაცრუებიათ იმედები ქართველ მეფეებს და ბევრჯერ დაბრუნებულან ქართველი დესპანები მხოლოდ ტკბილი სიტყვებით გამოსტუმრებულნი, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.). მაგრამ პატრიოტ მამულიშვილთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა თავდადებული სურვილი ჯიქურ ეწეოდა ამ მიმართულებით ქართულ დიპლომატიას.

გვიანფეოდალურ ეპოქაში, როდესაც თურქეთ-სპარსეთის მარწუხებში მოქცეული ქვეყანა თავის დაღწევის გზას ეძებდა, ქვეყნის ბედზე მოჭირნახულე ადამიანებმა კიდევ ერთხელ მიაპყრეს იმედის თვალი ევროპას. მაგრამ ეს ელჩობაც ტკბილი დაპირებებით დამთავრდა და ნათრევ-ნაგვემი, დასნეულებულ-დამცირებული ქართლის დესპანი დიდი ორბელიანის შთამომავალი სულხანა-საბა, თურქთაგან კიდევ ერთხელ გაძარცული, 1716 წლის ივლისში დაბრუნდა სამშობლოში. ელჩობამ თავისი მისია ვერ შეასრულა, ვერ მოხერხდა დასავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ კი, საფრანგეთ-იტალიასთან საქმიანი კონტაქტების დამყარება და ამით გარკვეული პოლიტიკური შეღავათის მიღება. ქვეყანა კვლავ სპარსეთ-თურქეთის აგრესიის წინაშე მარტოდმარტო დარჩა.

დიდმა მეიგავემ თავისი სამწლიანი მიმოსვლა საფრანგეთის მეფის, რომის პაპისა და მათი კონსულ-კარდინალების სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში

---

[1] შდრ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი: ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959, გვ. 398.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე დაწვრილებით აღწერა წიგნად, რომელსაც სპეციალისტებმა „მოგზაურობა ევროპაში“ უწოდეს.

„მოგზაურობის“ ტექსტი მრავალი ხელნაწერითაა ცნობილი, მაგრამ მათ შორის ავტოგრაფი არც ერთი არაა. უფრო მეტიც, ქრონოლოგიურად არც ერთი არ დგას ავტორის დროსთან ახლოს[2]. ამავე დროს, ტექსტი თავნაკლულია, ევროპისკენ მიმავალი საბას ჩანაწერები თითქმის მთლიანად აკლია. საბას „მოგზაურობის“ უკანასკნელი გამოცემა 6 ხელნაწერს ეყრდნობა.

ამ შენიშვნის მიზანს არ წარმოადგენს „მოგზაურობის“ ტექსტთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარკვევა. თუმცაღა გულდასაწყვეტია, რომ დასახელებული თხზულება მკვლევართა მიერ ბოლომდე შესწავლილი და განხილული არ არის. ბევრი საინტერესო ცნობა და საბასეული დამოკიდებულება XVIII საუკ. დასაწყისის მნიშვნელოვან ფაქტებთან უყურადღებოდაა დატოვებული. მხოლოდ გაკვრით ვიტყვით, რომ „მოგზაურობა“ ერთ-ერთი წყაროა „სიტყვის კონის“ მოგვიანო რედაქციების[3].

მიზანი ერთია — წარმოვადგინოთ ჩვენი ინტერპრეტაცია თხზულების ერთი ადგილისა, რომელიც „მოგზაურობის“ ყველა გამოცემაში უცვლელად არის დაბეჭდილი[4]. არც ერთი ხელნაწერი არ იძლევა ვარიანტს. დასტამბულ ტექსტში ვკითხულობთ: „მ ა შ ი ნ ქ ა რ თ ლ ში მ ე ფ ე დ ი ა ს ე ი ჯ დ ა, ვ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ძ მ ი ს წ უ ლ ი ც ო ლ ა დ შ ე ე რ თ ო. არ ერგებოდა. ნათესაობაც შეშალა. და ვერც ჩემზედ იყო კაის გულითა. მე ვალი მრავალი მემართა ბურსელის ვაჭრებისა... ჩემს ძმასაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაემალათ. მაგრამ ღონე აღარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი მცა, მაგრამ ასრე სრულა გაბშირებულიყო, მრავალი სული ამოუწყვიტა. და თბილისიც აურას და ხიზვნას აპირობდა... იქლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსნი და

---

[2] 6 ძირითადი ხელნაწერი აღწერილია რ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მიერ. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 312—313.

[3] მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს

„მოგზაურობა“ | „ლექსიკონი“

ა) „**ბიჭი** ორი ფეხის გადადგმას ჰქვიან, რომ ხუთი ტერფი გამოვიდეს“ (გვ. 162, 166). | **ბიჯი** მეორისა (ფერვისა მ. ქ.) გარდანაცვლება, რომელი ზომით იქმნების ხუთი ტერფი ZA. BCD-ში ფერჭთ გარდადგმა.

ბ) „**იდად** ვინც არ იცით, ალბანეო, სიცოცხლეს ჰქვიან“. (გვ. 154). | **იდად** (48, 33 იერემია) ესე სიტყვა (+არს Z) სიცოცხლე სიხარულითა ZAB Cq-ში მხოლოდ ციტატია წყაროდან.

გ) „ადგა უფროსი კარდინალი, აქ დაბლა რომ თავს იჭდა, **დეკანოზს** ეძახიან“ (გვ. 171). | **დეკანოზი** ლათინურათ ხუცესთ-უხუცესი ZA. ლათინურად უხუცესი B. CbqDE განუმარტავია.

დ) „**აკატს** იკითხავთ, აინალურის აკატია და სადაც ბერელი იანანი იწოვება, აკატია“ (გვ. 179). | **აკატი**—ესე არს, რომელსა აინალ[ჰ]ურად უგმობენ, რომელსამე სულიმანად, რომელსამე იამანად, სამ-ოთხ გვარია ZAB.

[4] ჟურნ. „ცისკარი“, 1852, № 1—4; ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1940 წ; 1959 წლის საიუბილეო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამომტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომწია...

მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ. ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ. და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმა ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი დაეტუქსა"[5].

ციტირებულ სტრიქონებიდან, ამჯერად საინტერესოა ცნობა იესეს შესახებ. საკითხავია, რამდენად მართალია სულხანი.

იესე მეფის პირადი ცხოვრება იმდენად აწეწილი იყო, რომ სრულებით არ არის მოულოდნელი საბას გულისტკივილი და საყვედური (ალბათ, ამიტომაც მკვლევრებსაც არ მიუქცევიათ საგანგებოდ ყურადღება ამ ფრაზისათვის).

პაპუნა ორბელიანი თავის „შეჭირვებანი ქართლისანში" საგანგებოდ წერს: „ხუთი ძე დარჩა ოთხ ცოლთან, თეთრი გაიყუეს ქესითა"[6]. იესეს ცოლებიდან ორის სახელი ცნობილია, ხოლო ორისა კი — უცნობი. არც ხარჭის სახელებია ცნობილი. ჩვენ საგანგებოდ ვცადეთ იესეს ოჯახური მდგომარეობის შესწავლა[7] და შევეცადეთ საბას ნათქვამის საფუძვლის მოძებნა და ახსნა, მაგრამ მივედით იმ დასკვნამდე, რომ „მოგზაურობის" ტექსტში დაცული ცნობა არ უნდა იყოს მართალი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, სულხან-საბას რამდენადმე გაუმართავად აქვს გადმოცემული იესე მეფის ცოლის თხოვის ფაქტიც და რედაქტორ-გამომცემლებიც ყოველგვარი კომენტარის გარეშე იმეორებენ და ბეჭდავენ მას.

პირველ ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ, როდის დაიწერა „მოგზაურობა"? რადგანაც იგი ძირითადად დღიურებია და მოგზაურობის დროინდელი ჩანაწერებია, საფიქრებელია, რომ იგი 1713—1716 წლებში გაფორმდა. მაგრამ ეს მთლად ასე არ უნდა იყოს: „მოგზაურობის" საბოლოო ტექსტი უნდა გაფორმებულიყო 1718—1719 წლებში და არ არის გამორიცხული, რომ მემუარები საბას გამართლებისათვის დასჭირდა[8]. „მოგზაურობის" მოღწეული ტექსტი რომ 1716 წელს არაა საბოლოოდ დაწერილი, ჩანს შემდეგიდანაც. ტექსტში საბა ლაპარაკობს სამღვდელოთა შფოთზე და იმ კრებაზე, რომელიც ქართულმა ორთოდოქსალურად განწყობილმა სასულიერო წოდებამ მოუწყო საბას. ეს კი 1718—1719 წლებში უნდა მომხდარიყო. ქრისტინე შარაშიძემ სხვა საკითხთან დაკავშირებით საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია ეს ფაქტი და საჭირო დოკუმენტა-

---

[5] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 245. ციტირებისას ვიცავთ დედნის პუნქტუაციას.

[6] პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, შეჭირვებანი ქართლისანი, გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, იხ. მრავალთავი, I, 1971, გ. 236.

[7] მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფოს სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს), მრავალთავი, V, 1975, გვ. 215—225.

[8] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის მოხმობის შემდეგ დაასკვნა: „ამ ამბების ზედმიწევნითი თარიღი ჩვენ ვიცით. მაგრამ გვაქვს ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც 1718 წელს (ბაქარის დროს) „პატრების საყდარი დააქციეს“. ცხადია „კათოლიკე“ საბას დევნასაც უკიდურეს გააფთრებამდე სწორედ ამ წელს უნდა მიეღწია“[10]. მაშასადამე, „სამღვდელოთა შფოთი“ და მისი შედეგიც 1718—1719 წლებში უნდა ვივარაუდოთ და „მოგზაურობის“ ტექსტში საბას ამ ეპიზოდის შეტანაც მხოლოდ ამ დროს შეეძლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, საბამ „მოგზაურობის“ ტექსტის საბოლოო რედაქცია 1718—1719 წლებში გააფორმა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ამ დროსაა დაწერილი და შეტანილი თხზულებაში. და თუ ჩვენი დათარიღება სწორია (ჩვენ ეჭვი არ გვეპარება), მაშინ ადვილდება „მოგზაურობიდან“ მოტანილ ტექსტში დაშვებული უზუსტობის ახსნა.

სხვათა შორის, ამავე კონტექსტში საბას სხვა უზუსტობაც შეინიშნება. იგი წერს, რომ როდესაც ბაქარი გამეფდა, იყო 15 წლის. ნამდვილად კი ბაქარს 17 წლის ასაკში, 1717 წელს, ებოძა მეფობა და იგი შაჰნაოზის სახელით მართავდა ქართლს[11]. ეს ფაქტიც იმის მაუწყებელია, რომ საბამ მოგვიანებით შეიტანა „მოგზაურობის“ ტექსტში რამდენიმე ისტორიული ცნობა და დაუშვა უზუსტობა.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო ადგილს — „მაშინ ქართლში მეფედ იასე იჯდა, გიორგი მეფის ძმისწული ცოლად შეერთო. არ ერგებოდა. ნათესაობაც შეშალა“[12]. მოტანილი ადგილი უნდა იკითხებოდეს ასე: „მ ა შ ი ნ ქ ა რ თ ლ შ ი მ ე ფ ე დ ი ა ს ე ი ჯ დ ა, გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს ძ მ ი ს წ უ ლ ი. ც ო ლ ი (და ა რ ა ც ო ლ ა დ) შ ე ე რ თ ო, ა რ ე რ გ ე ბ ო დ ა...“ ამ შემთხვევაში საბა ნათესაობის აღრევას („არ ერგებოდა“) ხაზს იმიტომ კი არ უსვამს, რომ თითქოს იესემ გიორგის (მეფის) ძმისწული შეირთო ცოლად, არამედ იმიტომ, რომ იესე მეფემ მართლაც დაარღვია ქრისტიანული წესის მიხედვით ნათესაური ურთიერთობა და, როგორც ვახუშტი წერს: „წაგვარა ცოლი დედის (თინათინ ავალიშვილის — მ. ჭ.) ბიძასა თვისსა, ქაიხოსრო ამირეჯიბს, ბებიის (როდამ ყაფლანიშვილის, საბას მამიდის — მ. ჭ.) ძმისწული თვისი, ასული ერასტისა (მარიამ — მ. ჭ.) და შეირთო თვით ცოლად“. ამასვე იმეორებს სეხნია ჩხეიძეც: „შეირთო ასული ყაფლანიშვილისა ერასტისა მარიამ“[13].

სულხან-საბა რომ უშვებს უზუსტობას, ეს სხვა მონაცემებიდანაც ნათელი ხდება. იესე იყო გიორგი მეფის ძმისწული, ლევანის ძე, მაშასადამე, თუ საბას ცნობა მართალი იქნებოდა, მაშინ მას საკუთარი ბიძაშვილი უნდა შეერთო. მაჰმადიანური პოზიციებიდან ასეთი რამის გაკეთება შესაძლებელი იყო. აკი თვით იესემ მაჰმადიანობა მოიმიზეზა, როდესაც ქართველმა სამღვდელოებამ,

---

[10] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 174.

[11] სეხნია ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, გამოცემული ნ. ჩუბინაშვილის მიერ, 1854, გვ. 327.

[12] რუსულად ეს ადგილი არაა სწორად თარგმნილი: «Он оказывается, женился на племяннице царя Георгия. Этого не полагалось ему делать, ибо он нарушил родственные связи». С.-С. Орбелиани, Путешествие в Европу, Тбилиси, 1969, с. 121.

[13] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 121; სეხნია ჩხეიძე, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 327.

ნამეტნავად „კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და უმეტეს იოანე სააკაძემ, გარეჯის ბერთუბნის მამამან“, გაკიცხეს იგი. ვახუშტი პირდაპირ წერს: „არა უსმინა მეტყველმან: ვარ მე მაჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა“[14]. მაგრამ იესეს საკუთარი ბიძაშვილი (მამის მხრიდან) არ უთხოვია ცოლად, ყოველ შემთხვევაში, არც ერთი დოკუმენტი ამას არ ამბობს.

გიორგი მეფეს, მეთერთმეტედ ცნობილს, ჰყავდა შემდეგი ძმები: არჩილი, ალექსანდრე, ლევან, ლუარსაბ, სოლომონ.

ლევანი იესეს მამა იყო და, ცხადია, უკვე გამორიცხულია ამ კომბინაციაში.

არჩილ მეფეს (გიორგის ძმას) ჰყავდა ერთადერთი ასული დარეჯანი, როგორც ცნობილია, იგი ლევან დადიანის ძეზე — მანუჩარზე იყო დაწინდული, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ეს ქორწინება აღარ შედგა და დარეჯანი შემდეგში აღარ გათხოვილა. მაშასადამე, გიორგი მეფის ერთი ძმისშვილი გამოირიცხა.

ალექსანდრე ბატონიშვილის (გიორგი მეფის ძმა) თითქმის მთელი ცხოვრება საქართველოსაგან მოწყვეტით წარიმართა. იგი ბედმა ადრე სპარსეთს გატყორცნა (თავის დასთან ერთად) და იქ გარდაიცვალა 1711 წლის 27 სექტემბერს. მისი ოჯახური ამბების შესახებ ქართულ წყაროებში თითქმის არაფერია ცნობილი. ვახუშტი ერთხელ ახსენებს მას, როგორც ისპაანის ტარუღს[15].

ლუარსაბ ბატონიშვილსაც არ არგუნა ბედმა სამშობლოში ცხოვრება. იგიც ძმას — გიორგი XI-ს გაჰყოლია სპარსეთში, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაცვლილა[16]. ეს უნდა მომხდარიყო 1699—1700 წლებში[17]. ლუარსაბს ჰყავდა ხარჭა, რომლისაგანაც მას ჰყოლია ვაჟი, სახელად ალექსანდრე, და არა ქალი. ლუარსაბის ცოლი იყო მარიამ რევაზ ერისთავის ასული. მათი მემკვიდრეების შესახებ ჩვენს საისტორიო წყაროებში არაფერია ნათქვამი.

სოლომონ ბატონიშვილის შესახებ ნარატიულ წყაროებში ვერაფერს ვპოულობთ. ამ მონაცემებითაც არ მართლდება სულხან-საბას ცნობის ისეთი გაგება, როგორც „მოგზაურობის“ პუბლიკაციებშია წარმოდგენილი.

მაგრამ ერთი საკითხავია: ჩვენი აზრით, იესეს მარიამი უნდა ეთხოვა 1712—1714 წლებში, ე. ი. ამ პერიოდში, როდესაც საბა სამშობლოშია, და რატომ წერს ამას საბა როგორც ახალ ამბავს მოგზაურობიდან მობრუნების შემდეგ? ამ დროს იესეს ხომ ერეკლე პირველის ასული ჰყავდა ცოლად? ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ ასეა შესაძლებელი: 1712 წლის 23 აპრილს საბა ვახტანგთან გაემგზავრა ისპაანს, საიდანაც იმავე წლის 20 დეკემბერს დაბრუნდა და შეუდგა მზადებას ევროპაში გასამგზავრებლად. 1713 წლის 17 აგვისტოს საბამ კურსი ევროპისაკენ აიღო. იესე ქართლში მეფედ 1714 წელს მოვიდა, ე. ი. მაშინ, როდესაც საბა ევროპაში იყო, სავარაუდოა (თუმცაღა ძალიან საეჭვოა) საბას იესეს დაქორწინება თუ ხარჭის მოყვანა საქართველოში არ გაუგია. სხვა მხრივ ძნელია ახსნა, 1718—1719 წლებში დაწერილ ნაწილში ამ

---

[14] ვახუშტი, ზ. ჭიჭინაძის დასახელებული გამოცემა, გვ. 121.

[15] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 85.

[16] სეხნია ჩხეიძე, გვ. 313.

[17] მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფოს სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII—XVIII სს.), მრავალთავი, V, გვ. 224.

ფაქტის შეტანისა, როგორც უნახავი, მაგრამ მომხდარი ამბისა (საბა ხმარობს თურმეობით ფორმას „შეერთო“). ამ ფაქტის მოხსენიება, ალბათ, იმან განაპირობა, რომ ქართული ნარატიული წყაროები (თვით „კალმასობაც“ კი) მარიამს (საბას ახლო ნათესავს) ხარჯად მიიჩნევენ. რაღაცა მომენტით თავისთავად შეურაცხმყოფელი ფაქტისადმი თავისი დამოკიდებულება საბამ შეიტანა „მოგზაურობაში“, თორემ მისი აუცილებლობა არც ერთი თვალსაზრისით არ იყო[18].

არ არის გამორიცხული, რომ „მოგზაურობის“ ტექსტის გადამწერებმა[19]. იცოდნენ რა იესეს მრავალცოლიანობა და აწეწილი პირადი ცხოვრების ამბები, თვით „შეასწორეს“ საბას ტექსტი, რაც შემდეგ გამომცემლებმა სასვენი ნიშნების არა სწორი დასმით გააბუნდოვანეს და ისე გაავრცელეს.

М. Н. КАВТАРИА

## К ЧТЕНИЮ ОДНОГО МЕСТА В ТЕКСТЕ «ПУТЕШЕСТВИЯ» С.-С. ОРБЕЛИАНИ

(Резюме)

В публикациях грузинского текста «Путешествия» читается: «В то время в Картли царем был Иасэ, (который) женился на племяннице царя Георгия. Не полагалось...», что нашло отражение и в тексте русского перевода: «Карталинией правил в то время царь Иасэ. Он, оказывается, женился на племяннице царя Георгия. Этого не полагалось ему делать...».

На основании исторических данных в статье указанное место нами исправляется так: «В то время в Картли царем был Иасэ, племянник царя Георгия. Женился. Не полагалось...».

---

[18] მართალია, პირველად საბა იესეზე ვერ არის გულდანდობით („ჩემს ძმასაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაეშალათ“), მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, იესე კარვად შეხვედრია და არა უვნია მისთვის, („მეფემაც კაი პატივი მცა... მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა...“), პირიქით, იგი დაუცავს აგრესიულად განწყობილი სამღვდელოებისაგან.

[19] „მოგზაურობის“ ავტოგრაფი არ არსებობს, თითქმის ყველა ნუსხა მოგვიანო ხანისაა და საგრძნობლად არის დაშორებული საბას მოღვაწეობის ხანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჭარ გიგინეიშვილი

# „სახისმეტყველის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის

ბასილი კესარიელის თხზულების „მჭეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“-ს ქართული თარგმანი დაცულია რამდენსამე ხელნაწერში, რომელთაგან უძველესია ე. წ. „შატბერდის კრებული“ X საუკუნისა. სწორედ ამ ნუსხას ემყარება ნ. მარის ცნობილი გამოცემა, რომელიც შედის სერიაში «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» და წოდებულია ფ ი ზ ი ო ლ ო გ ა დ. ამ თხზულების ფილოლოგიური და ტექსტუალური ანალიზი სირთულეებთანაა დაკავშირებული, ბევრი ადგილის შინაარსი გაბუნდოვანებულია. ერთ-ერთ ასეთ ადგილზე გვექნება საუბარი წინამდებარე ნარკვევში.

როგორც ცნობილია, „სახისა სიტყუაჲ“ შედგება იგავებისაგან, რომელთა სტრუქტურა ასეთია: ცხოველის (რეალურის ან მითიურის) ზნის მოკლე აღწერა და თარგმანება, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს პარალელს ძველი ან ახალი აღთქმიდან შეგონებითურთ. იგავთა დიდი ნაწილი მთავრდება სტანდარტული გამონათქვამით: „უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან“, რომელსაც მოსდევს, ჩვეულებრივ, ან **-თჳს** თანდებულიანი ფორმა, ან — ნანათესაობითარი სახელობითი, ე. ი. **ბუვისათჳს** ტიპის ფორმა ან **მელისაჲ** ტიპისა. ეს ფორმულა ერთ მესამედზე მეტ ნაწილში არა გვაქვს სრულიად, ერთგან კი განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი: „უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან: მწავ ძამლი მდინარისაჲ არს“ (116v). ეს ფრაზა გამომცემელს გადაუკეთებია საერთო ყალიბის მიხედვით და წარმოუდგენია ასე: „უკუე კეთილად სამე თქუა სახისმეტყუელმან მწავ-ძაღლისა მდინარისაჲ“[1].

გარდა ამ ცვლილებისა, საინტერესოა თვით ცხოველის სახელის ნ. მარისეული ინტერპრეტაცია: **ძამლი**, როგორც უჩვეულო ფორმა, შეცვლილია **ძაღლით** და შეერთებულია **მწავ**-თან, რაც გვაძლევს კომპოზიტს **მწავ-ძაღლს**. როგორც ფრაზის ხელნაწერში დაცული სტრუქტურა, ისე **ძამლი** ნ. მარს აშკარა დამახინჯებად მიაჩნია. **მწავი**-სათვის **ძაღლის** დამატება, ნ. მარის აზრით, გამოწვეულია ქართული ტექსტის სომხურიდან მთარგმნელის მისწრაფებით, ზუსტად გადმოგვცეს სომხური დედნის *շնչրի* „წავი“, რაც სიტყვასიტყვით „წყლის ძაღლს“ აღნიშნავს[2]. „სახისმეტყუელის“ ქართული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობა ნ. მარისათვის საეჭვო არაა.

---

[1] Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты исследовал, издал и перевел Н. Марр, С.-Пб., 1904, с. 36. შემდგომ შემოკლებით — Физиолог.

[2] Физиолог, с. 117.

რა ვითარება გვაქვს ფაქტობრივ და უჭერს თუ არა იგი მხარს გამომცემლის ინტერპრეტაციას?

ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტები:

1. საინტერესოა, რომ ძველ სომხურში **წავი**-სათვის საგანგებო სახელი არ ყოფილა, იგი გადმოიცემოდა აღწერითად (*շնջրի* = **ძაღლი წყლისა**). ანალოგიური მოვლენა ფიქსირებულია ძველ ირლანდიურში: **coin fodorne** „წავები“ (= ძაღლები წყლისა)[3]. ასევე ჭანურში **წვინარის („თახვის“)** აღწერის დროს, ნ. მარის ცნობით, ამბობენ **ლალიშ ჯოღორი**, რაც „წყლის (ღელის) ძაღლს“ ნიშნავს. ეს ფაქტი თავისთავად (**წავისა** და **წყლის ძაღლის** გაიგივება) ზოგად ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს და არა ლოკალურ მოვლენად სომხურ-ქართული ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობისა. მით უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ, მიუხედავად ნ. მარის მითითებისა, ქართულ ტექსტში აღწერითი ფორმა „წყლის ძაღლი“ არ დასტურდება. გვაქვს ერთ-ერთ ხელნაწერში მხოლოდ **მწავ-ძაღლი**, რაც სომხურ *շնջրի*-ს არ გადმოსცემს, რადგან *շնջրի* ან მხოლოდ **წავია**, ან მხოლოდ **წყლის ძაღლი**. **მწავ-ძაღლი** კი სომხურ* *շնջրի-շուն* ფორმით უნდა გვქონოდა.

2. „სახისმეტყუელის“ ქართული ტექსტი დაცულია 5 ქართულ ხელნაწერში: ერთია შატბერდის კრებული, რომელშიაც იკითხება: „**მწავ ძამლი** მდინარისაჲ არს“. ზუსტად ასეთივე იკითხვისი გვაქვს მის ასლში, A—165 ხელნაწერში XVII—XVIII სს-ისა (გვ. 557). XVII—XVIII სს-ის კიდევ ორი ხელნაწერი, რომლებიც შატბერდისეულის ასლებს არ წარმოადგენენ, მცირე ორთოგრაფიული სხვაობით იმეორებენ იკითხვისს: „**მწავ ძამლი** მდინარისა არს“. ესენაა: S—2785 (148r) და Q—41 (131v). **ძაღლი** იკითხება მხოლოდ XIX ს-ის A—6 ხელნაწერში, რომელიც შატბერდის კრებულის ასლიდან ჩანს გადაღებული.

ამრიგად, ხუთიდან ოთხ ხელნაწერში **ძამლი** გვაქვს, ერთში კი, რომელიც ყველაზე გვიანდელია, — **ძაღლი**. ვფიქრობთ, **ძაღლი** გადამწერის მიერ გასწორებული უნდა იყოს, რომლისთვისაც **ძამლი** უკვე გაუგებარი იყო.

ფ რ ა ზ ი ს  ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა  კ ი,  რ ო გ ო რ ც  ვ ხ ე დ ა ვ თ,  ყ ვ ე ლ ა  ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი  ი დ ე ნ ტ უ რ ი ა.

3. ძნელია ვიფიქროთ, რომ **ძამლი** ფორმა მიღებულია გრაფიკული აღრევით **ძაღლი**-საგან (რადგან არც მთავრული **Ⴋ** და **Ⴖ**, არც ნუსხური **ⴋ** და **ⴖ** ერთმანეთს სრულიად არ ჰგვანან). კიდევ უფრო ნაკლებ მოსალოდნელია მექანიკური შეცდომა გვქონდეს 4 ხელნაწერში, რომელთაგან ორი სხვა დედნებისგანაა გადაწერილი.

4. ქართული და სომხური ტექსტები სხვაობას ავლენენ სხვა ადგილებშიაც. მაგალითად, „რომელმან, ვითარცა ჯოჯოხეთმან, მიიტაცა ადამი და მოკლა“ სომხურში ასეა წარმოდგენილი: „*որ զամենեսեան յափշտակեաց ի դժոխ*“ „რომელმან ყოველნივე მიიტაცნა ჯოჯოხეთა“.

განსხვავება არის აგრეთვე იგავის დასაწყისში, სადაც ქართულში წერია: „არს სხუაჲ მჴეცი ნილოს მდინარესა **მწავის მსგავს არს...**“ სომხურში კი იკითხება: „**ძაღლის მსგავს არს**“ (იხ. Физиол., გვ. 36). მაგრამ აქ სწორი უნდა იყოს

[3] J. P o k o r n y. Indogermanisches etymologisches Wörterbuch, I B., Bern und München, 1959, გვ. 79.

ნ. მარი, რომელიც ქართულში სიტყვის დაკლებას ვარაუდობს. იგი კომენტარებში ასე აღადგენს ქართულ ტექსტს: „არს სხუაჲ მჴეცი ნილოს მდინარესა მწავი, [ძაღლი]ს მსგავს არს“ (Физ., გვ. 117). ოღონდ საკითხავია, რაა აღსადგენი: **ძაღლი** თუ **ძამლი?**

5. ბერძნულ ტექსტებში მწავის ადგილას ἐνύδριος („წავი“) ან ὕδροκύων დასტურდება. ნ. მარის ცნობით, II ბერძნულ ტექსტში ამავე რედაქციისა იგავი წავის შესახებ დაკარგულია, მაგრამ ნ. მარი ვარაუდობს, რომ მასში ამ ცხოველის სახელი, ალბათ, ὕδροκύων ფორმით გვქონდა. ეს ვარაუდი არგუმენტირებული არაა.

ქართველურ ენებში **წავი**-ს შესატყვისი არ გვაქვს. მეგრ. **წვინორი** და ჭანური **წვინარი** ქართული **მწავი**-ს შესატყვის ფორმებად ვერ ჩაითვლება, რადგან ფონემური ფარდობა აქ დარღვეულია. სვანურში კი ეს ფუძე არაა. მეგრულ **წვინორს** გრ. ღაფანციანი სომხურში ზღვის ნიმფის აღმნიშვნელ *ծովի սար*-ს უკავშირებს[4].

როგორც ცნობილია, წავი კვერნისებრთა ოჯახს განეკუთვნება. ცნობილია ზღვის წავი (Enhydra lutris) და მდინარის წავი (Lutra lutra). „სახისმეტყველში“ უკანასკნელზეა საუბარი. ცნობილია **მდინარის თახვიც**[5]. საინტერესოა აგრეთვე **წყლის ვირთაგვის** არსებობა (რუს. ენის აკად. ლექსიკონი, დალის განმ. ლექსიკონი). ლათინური **m s** აღნიშნავს როგორც **თაგვს**, ისე **მცირე ზომის რომელსამე ცხოველსაც კვერნისებრთა ოჯახიდან (სიასამურს, კვერნას, ყარყუმს და სხვა)**. აქედან ნათელია, რომ თაგვი კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ხალხის ცნობიერებაში ახლოს იდგა.

ეს ფაქტი შესაძლოა გამოდგეს სიტყვა **ძამლი**-ს მნიშვნელობის დადგენისათვის. **ძამლი** არც ერთ ლექსიკონში ფიქსირებული არაა და არც ჩვენთვის ცნობილ რომელსამე ტექსტში შეგვხვედრია „სახისმეტყველის“ გარდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მისი უგულებელყოფა ნაადრევია. ამის საბუთად მიგვაჩნია ჭანურში „ვირთაგვას“ მნიშვნელობით **ძემური** ფორმის არსებობა, რომელიც ქართული **ძამლი**-ს შესატყვისი უნდა იყოს. ეს სიტყვა ნ. მარის ჭანური ენისადმი მიძღვნილი გამოკვლევის ბოლოს დართულ ლექსიკონშია შეტანილი[6]. მის სინონიმად მიჩნეულია **მა-ნ-წეფური**[7]. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას **წიფური** „წიფელი“ და „მეწიფლია“-ს ნიშნავს. რაც შეეხება **ძემური** ფორმას, მისთვის ამოსავალი ჩანს ქართულ-ზანური ***ძამლი**, რომელსაც ზანურში ჯერ უნდა მოეცა ***ძომრი**, ამ უკანასკნელს კი ძირეული **ო⟶ე** უმლაუტის შედეგად — ***ძემრი**. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის გამოკვლევაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართვ. ენებში“ აღნიშნულია, რომ ზანურში უმლაუტს უნდა დაქვემდებარებოდა არა მარტო პირველადი /*ო/, არამედ ის ზანური ფონემაც, რომელიც საერთოქართველური

---

[4] ვიმოწმებთ ი. ქერქაძის ნაშრომის „ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში“ (თბ., 1974) მიხედვით (გვ. 224).

[5] არჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1952, გვ. 530.

[6] Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб., 1910, с. 217.

[7] იქვე, გვ. 217, 218.

/*ა/ ხმოვნის გაგრძელებას წარმოადგენდა. მაგ., ქ. **ძარღვი**: მ. **ჯერღვი**(←*ჯორ**ღვი**), ქ. **შაშვი**: მ. **ზესქვი**(←*ზოსქვი) და სხვა[8]. ასევე **ძამლი**-ს შესატყვის ზანურ ***ძომრი*** ფორმასაც უნდა მოეცა ***ძემრი***. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა მარცვლოვანი ***რ*** სონანტის ვოკალიზაცია. როგორც ზემოთ დასახელებულ ნაშრომშია აღნიშნული, საერთო ზანური ფონოლოგიური სისტემის ბოლო ეტაპს წარმოადგენს მარცვლოვანი ვარიანტების ვოკალიზაცია...“[9] ამრიგად: ***ძამლი***→ზან. ***ძომრი***→***ძემრი***→***ძემური***[10].

თუ **ძამლისა** და **ძემურის** ამ დაკავშირებას მივიღებთ, **ძამლის** მნიშვნელობა იქნება „დიდი თაგვი“, „ვირთაგვა“. აქედან ამოსვლით „სახისმეტყველის“ განხილული ადგილი ასე წაიკითხება: „მწავ[ი] **ძამლი** მდინარისაჲ არს“, რაც ნიშნავს წავი მდინარის თაგვი, მდინარის ვირთაგვააო (водяная крыса). ვფიქრობთ, ასეთი აღწერა **წავისა** უფრო ბუნებრივია, რადგან ზოოლოგიურად **თაგვი** უფრო ახლოა ძვირფასბეწვიან ცხოველებთან, ვიდრე **ძაღლი**. ამას გარდა, აღარ დაგვჭირდება ხელნაწერებში დაცული ფორმის სწორება.

ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ **მწავ-ძაღლი** ან **მწავ-ძამლი** კი არ უნდა გავაერთიანოთ კომპოზიტად, არამედ **მწავი** ცალკე უნდა გამოიყოს: მწავ[ი] ძამლი მდინარისაჲ არს.

აქ მოწოდებული ეტიმოლოგია **ძამლისა**, ვფიქრობთ, არის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა ამ იკითხვისისა. დამოუკიდებლივ იმისგან, მივიღებთ ამ ეტიმოლოგიას თუ არა, ქართული **მწავ-ძაღლი** ფორმის სომხური ***ջնդրի***-ს კალკად გამოცხადება გამოირიცხება.

Б. К. ГИГИНЕЙШВИЛИ

## К ОСМЫСЛЕНИЮ ОДНОГО МЕСТА В ТЕКСТЕ ГРУЗИНСКОГО ПЕРЕВОДА «ФИЗИОЛОГА»

Резюме

В работе дана попытка обосновать правильность засвидетельствованного в большинстве списков «Физиолога» чтения ʒamli вопреки известному мнению, считавшему указанную форму искажением слова ʒaɣli «собака».

Правомерность ʒamli подтверждается наличием в чанском диалекте лексемы ʒemuri с значением «большая горная мышь», которую можно считать закономерным фонетическим эквивалентом грузинского слова.

Вопрос о калькировании грузинским переводчиком армянского слова šnǯri «выдра» отпадает.

---

[8] იხ. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 167, 338.

[9] იქვე.

[10] ანალოგიური შემთხვევები ზანურში *რ-ს ვოკალიზაციამდე მომხდარი უმლაუტისა სხვაც დასტურდება: ქ. ქრცხემლი — ზ.* ცხამრი→*ცხემრი→ცხემური; ქ. კვერნა (←*კუანრი)— ზ. *კვონრი→* კვენრი→ჭ. კვენორი (მეგრ. კვინორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა მაისურაძე

# ტერმინ „ეზოჲსმოძღუარის“ მნიშვნელობისათვის „წმიდა დროსის წამების“ მიხედვით

ტერმინი „ეზოჲსმოძღუარი“ დადასტურებულია ქრისტიანული ლიტერატურის უძველეს თარგმნილ ძეგლებში:

1) და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა სახლისა უფალმან ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ ს ა თ ჳ ს ს ა (მათე, 20,8).

2) და ბანეა, ძჲ იუდაჲსი, თანამზრახვალ და ოფილტი და ოქერეთი... ძენი დავითისნი ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ იყვნეს მისა (II მეფეთა, 8,18).

3) და მოვიდეს მისა ელიაკიმ, ძჲ ქელიქიასი, ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ ი და სომნა მწიგნობართმოძღუარი (IV მეფეთა, 18,8) და ა. შ.

ზემოთ მოყვანილი ციტატების შედარებამ ახალი და ძველი აღთქმის შესაბამის ბერძნულ ტექსტებთან ცხადყო, რომ ქართული „ეზოჲსმოძღუარით“ გადმოიცემოდა ბერძნული სიტყვები: ἐπίτροπος (მათე, 20, 8)— „მმართველი, განმგებელი, მეურვე“; οἰκόνομος (IV მეფეთა, 18,8)—„მმართველი, განმგებელი“; αὐλάρχης (II მეფეთა, 8,18) — „მეფის კარის, ეზოს განმგებელი“[1].

ა. შანიძის აზრით, „ეზოჲსმოძღუარი“ ეკვივალენტია არამეული სიტყვაიდეოგრამისა rbtrbṣ (rb — უფალი, ბატონი, მოძღუარი; trbṣ — ეზო). ქართულში მას აქვს კომპონენტთა საწინააღმდეგო წყობა და რეალურად შეესატყვისება ბერძნულ ἐπίτροπος (procurator)[2].

აგებულების მხრივ „ეზოჲსმოძღუარი“ ყველაზე ახლოს αὐλάρχης-თან დგას და ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა ქართული ტერმინის ბერძნულიდან წარმომავლობაზე, მაგრამ αὐλάρχης ბერძნულში იშვიათად ხმარებული სიტყვაა. დიდ ბერძნულ ლექსიკონებში იგი ან სულ არ არის, ან მხოლოდ ერთი მაგალითითაა დამოწმებული (II მეფეთა), მეორე მხრივ, რთულ სიტყვებში αρχης (αρχος) ჩვეულებრივ გადმოიცემა როგორც „მთავარი“ და „თავი“ (πατριάρχης — მამამთავარი, χιλίαρχος — ათასისთავი, ἑκατόνταρχος ან ἑκατόνταρχης — ასისთავი). აღნიშნულის გამო ჩვენ უფლება გვაქვს ტერმინი „ეზოჲსმოძღუარი“ უშუალოდ ბერძნულს არ დავუკავშიროთ[3].

ს. ყაუხჩიშვილის აზრითაც, „ეზოჲსმოძღუარი“ ძველს საქართველოში ცო-

---

[1] А. Г. Ш а н и д з е, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина „ეზოჲსმოძღუარი“ «эзоисмодзгуари» в древнегрузинском, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1941, ტ. II, № 2, გვ. 181—182 (დამოწმებულია მაგალითები: ოთხთავი-ჯრუჭის — 936 წ., ოშკ. ბიბლ., 978 წ.).

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხალი სიტყვა იყო (და არა ამა თუ იმ -ცოცხალი ტერმინის გადმოსაცემად შექმნილი მნილი), რომლითაც აღინიშნებოდა მამულის, ქონების და მისთანათა მოვლის თანამდებობის პირი. ძველ ქართულში ამ ტერმინითაა გადმოცემული გარდა „ეპიტროპოსისა“ სხვა ბერძნული მისი მონათესავე ტერმინებიც: οἰκόνομος, αὐλάρχης[4].

სულხან-საბა ორბელიანი „ეზოჲსმოძღუარს“ განმარტავს როგორც „საგანგიოთა განმგებელს“[5].

სიტყვა „ეზოჲსმოძღუარი“ სხვა მნიშვნელობითაც დასტურდება ნათარგმნ ძეგლებში. ესაა „პატარძლის ძმობილი, ხელისმომკიდე, მაჭანკალი“[6].

მიუგო აბიმელექ და ოქოზათ ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ მ ა ნ (დაბ. 21, 22) εἶπον Ἀβιμέλεχ καὶ Ὀχοζαθ ὁ νυμφαγωγός.

როგორც ვხედავთ, ქართულ „ეზოჲსმოძღუარს“ ბერძნულში შეესატყვისება νυμφαγωγός, რაც ნიშნავს „პატარძლის ძმობილს, ხელისმომკიდეს, მაჭანკალს“.

გ. კიკნაძის აზრით, სიტყვა ეზოჲსმოძღუარი“ გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნოსელის „ქებაჲ ქებათაჲს“ განმარტება ანუ თარგმანებაში საქორწინო ცერემონიასთან არის დაკავშირებული[7]. ამ ტექსტში „ეზოჲსმოძღუარი“ სამჯერ დასტურდება:

დიდი მოციქული მოგუათხოვებს ჩუენ ქრისტესა ქალწულად და ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ ექმნების სულსა (A—55; 94ra).

და მერმე „ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ რ ე ბ ად“ იწყებს ჭაბუკისა ესევითარისა მეუღლებისა მიმართ (A—55; 76vb).

ხოლო შემდგომად შუენიერებისა მისისა წამებისა მეგობარნი სიძისანი და ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ ნ ი უბიწოჲსა მის სასძლოსანი და წმიდისა მის სძლისა დამწინდებელნი უჩუენებენ მას სამეუფოჲსა მის ცხედრისა შუენიერებასა (A—55; 110ra).

მისი ბერძნული შესატყვისებია νυμφοστολέω (94 ra, 76vb) და παρασκευαστής (110 ra). νυμφοστολέω უდრის **νυμφαγωγός**-ს. νυμφοστολέω-ს მნიშვნელობებია — მომყავს, ვრთავ პატარძალს. **παρασκευαστής** — მომმზადებელი, მომწყობი. აქ მითითებაა იმისა, რომ „ეზოჲსმოძღუარი“ საქორწინო ოთახსაც რთავდა. ე. ი. „ეზოჲსმოძღუარი“ „თარგმანების“ ქართული ტექსტის მიხედვით აღნიშნავს — პატარძლის, გამცილებელს, ქორწინების მომწყობს, მომრიგებელს[8].

„წმინდა დროსის წამების“ ტექსტში ტერმინი „ეზოჲსმოძღუარი“ ორჯერ დასტურდება:

ხოლო ღამესა ერთსა და-რაჲ-ეძინა ე ზ ო ჲ ს მ ო ძ ღ უ ა რ თ ა მისთა და

---

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 174.

[5] ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1966, გვ. 230.

[6] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრ., 47, 1952, გვ. 70 (მაგალითი — ოშკური ბიბლიიდან).

[7] გ. კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი მთაწმიდლის ერთი თარგმანის კომენი და ლექსიკა: ძველი ქართ. მწერლობის ოთხი ძეგლი, 1965, გვ. 148.

[8] გ. კ ი კ ნ ა ძ ე, იქვე.

მსახურთა, რომელნი იყვნეს მცველად კარსა ზედა მისსა, განეპარა მათ და წარ- ეროვნული ბიბლიოთეკა
ვიდა ადგილსა მას (იერ. 2; 131r).

მაშინ მოუწოდა ტრაიანე ეზოჲსმოძღუართა თჳსთა და ჰკითხა მათ, ვითარმედ: „სადა არს ასული ჩემი დროსი, მაუწყეთ მე სწრაფით“ (იერ. 2; 132v).

სირიულსა და ბერძნულ პარალელურ ტექსტებში კი გვაქვს:

„ω rqt kd ṭby'yn bšnt' qblqryh“. „ωqr' mlk'
lqbωqr' dbrth ω'ylp mnhωn d'yk' 'ytyh
drωsys''. (იხ. Studia Sinaitica № 9, გვ. 96, 94)

προσῆλθε ταῖς γυναιξὶν ἔχουσα μεθ' ἑαυτῆς καὶ ἐσθῆτα πολύτιμον καὶ των κουβικουλαρίων ὕπνῳ βαθεῖ συσχεθέντων[9]. (მეორე ეპიზოდი ბერძნულში არ გვაქვს).

როგორც ვხედავთ, ქართულ „ეზოჲსმოძღუარს“ ბერძნულში შეესატყვისება κουβικουλαρίων, რომელიც ფორმის მიხედვით შესაძლებელია იყოს ნათ. ბრუნვა მრავლობით რიცხვში მდგარი κουβικουλάριος სიტყვისა, რომელიც ნიშნავს „მეფის კარის განმგებელს“. სიტყვა κουβικουχάριος ბერძნულში ლათინურიდან არის შესული (ლათ. cubicularius) და იქ მას აქვს „მსახურის, მესაწოლის (მეფეთ საწოლის წინ მორიგედ მდგომის)“ მნიშვნელობა.

სირიულში, „ეზოჲსმოძღუარის“ შესატყვისია qblqr და qbwqr, რომელიც სხვა არაფერია, თუ არ κουβικουλάριος-ის სირიული ფორმა, რომელსაც ამ ნიადაგზე გარკვეული ცვლილება განუცდია.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა κουβικουλάριος-ის რომელ მნიშვნელობას შეესაბამება „ეზოჲსმოძღუარი“ „წმინდა დროსის წამებაში“. სავსებით ბუნებრივია ტერმინ „ეზოჲსმოძღუარით“ κουβικουλάριος-ის იმ მნიშვნელობის გადმოცემა, რომელიც „მეფის კარის განმგებელს“ აღნიშნავს. „ეზოჲსმოძღუარის“ ასეთი გაგება სავსებით შეესატყვისება მის ძირითად მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ სამეფო კარზე რამდენიმე „ეზოჲსმოძღუარის“, ე. ი. „მეფის კარის განმგებლის“ ყოლა, რადგან, როგორც ზემომოყვანილი ორსავე მაგალითიდან ჩანს, „ეზოჲმოძღუარი“ იქ მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ტერმინი „ეზოჲსმოძღუარი“ „წმინდა დროსის წამების“ ტექსტში შეესატყვისებოდეს „მსახურს, მესაწოლეს“, რაც „ეზოჲსმოძღუარის“ ძირითადი მნიშვნელობის (მეურვე, მზრუნველი, ყურადღების მიმქცევი) თითქმის ყველა მომენტს მოიცავს.

ამგვარად, „ეზოჲსმოძღუარი“, „წმინდა დროსის წამების“ ქართული ტექსტის მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს როგორც „მეფის კარის განმგებელს“, ასევე „მსახურს, მესაწოლეს“.

ბერძნულში ამ ტერმინით გადმოცემულ სიტყვათა რიგს: ἐπίτροπος, οἰκονόμος, αὐλάρκης, νυμφαγωγός, παρασκευαστής მიემატა კიდევ ერთი κουβικουλάριος.

---

[9] Synaxaria Constantinopolitanum, Bruxelles, 1905, გვ. 556.

М. Д. МАЙСУРАДЗЕ

# К ВОПРОСУ О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНА «ЭЗОИСМОДЗГУАРИ» — ПО АГИОГРАФИЧЕСКОМУ ПАМЯТНИКУ «МУЧЕНИЧЕСТВО СВ. ДРОСИ»

Резюме

Термин «эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) засвидетельствован в древнейших памятниках христианской переводной литературы (Новый и Ветхий завет). Сличения древнегрузинских текстов с соответствующими местами греческого текста Нового и Ветхого завета, показало, что грузинский (эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) передает греческие слова: ἐπίτροπος, οἰκόνομος, αὐλάρχης, νυμφαγωγός, παρασκευαστής.

Термин «эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) засвидетельствован также в агиографическом тексте «Мученичество св. Дроси», который дошел до нас в грузинской, греческой и сирийской версиях. В греческой версии этого текста «эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) соответствует κουβικουλάριος (начальник царского двора, слуга, спальник), а в сирийской qblqr и qbωqr, которые являются сирийской формой κουβικουλάριος.

Следовательно, «эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) в грузинском тексте «Мученичества св. Дроси» может означать как «начальника царского двора», так и «слугу, спальника».

Таким образом, к уже известным греческим соответствиям для передачи термина «эзоисмодзгуари» (ezojsmozγuari) следует добавить и κουβικουλάριος.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანა ახობაძე

# სამძალის მნიშვნელობის გაგებისათვის ძველ ქართულში

სიტყვა ძალი ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. იგი აღნიშნავს ძალას, შინაარსს, მნიშვნელობას, აზრს, ჯარს, სიმს[1]. ძალის ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ეხებიან თავიანთ ნაშრომებში ი. ჯავახიშვილი[2], კ. კეკელიძე[3], ი. აბულაძე[4].

ძალებიანი ანუ სიმებიანი საკრავების შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ივანე ჯავახიშვილი. აღნიშნავს, რომ ძალებიან საკრავს ძალთა რაოდენობის მიხედვით ერქვა სახელი. მაგ., არსებობდა ორძალი, სამძალი ოთხძალი, ხუთძალი, ექვსძალი, ათძალი.

ამ სახელებიდან ყველა იშვიათი ხმარებისა ჩანს, გარდა ათძალისა. იშვიათია, კერძოდ, სიტყვა სამძალი საკრავის მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდი მასალა დავამუშავეთ ძველი ქართული ლიტერატურის ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურიდან, სამძალი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ისეთ კონტექსტში, სადაც საკრავს აღნიშნავს: „სამძალითა შემასხმელითა ღმრთისა ებანთა თანა გალობით იტყოდეს სახიობასა ამას ღაღადებით“[5].

სამძალი ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია ასე: „სამსიმიანი საკრავი (?)“. დამოწმებულია ფრაზა ეფრემ ასურის თხზულებიდან „მონაზონთა მიმართ“: „მოვიღოთ სამძალი იგი ძლევისაჲ“.

ამ სიტყვას ი. იმნაიშვილი, რომელსაც გამოცემული აქვს ეფრემ ასურის დასახელებული თხზულება, განმარტავს, როგორც საწინდარს. სამძალის ასეთივე განმარტება აქვს მოცემული ნ. მარს ლექსიკონში, რომელიც ერთვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“[6]. სიტყვა სამძალი „გრიგოლ ხანძთელის

---

[1] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 131—135.

[3] კ. კეკელიძე, Иерусалимский канонарь VII века, Тбилиси, 1912, 341.

[4] ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, იბ.-კავკ. ენათმ., XII, 1960, გვ. 211—220.

[5] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 51.

[6] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, введение, издание, перевод Н. Марра, С.-Петерб., 1911, с. LXIX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში“ ასეთ კონტექსტში გვაქვს: „ხოლო ამის მადლისათჳს ძალ არს შენდა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსებაჲ გაქუს სიწმიდე, რომელ არს სამძალი ძლევისაჲ“[7].

ამ თხზულების ნ. მარისეულ რუსულ თარგმანში ციტირებული ფრაზა ასე იკითხება: «Сила такой твоей благодати есть божья сила, так как у тебя подобие святых ангелов — залог победы — святость»[8].

ნ. მარი შესავალში აღნიშნავს, რომ «По догадке переводится мною самдали в значении залога, однако, связь его с мдзевали «заложник» формально мне представляется неясною»[9].

თუ ამოვალთ მოცემული კონტექსტის შინაარსიდან, საწინდარი შესაფერი ჩანს. თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, ასეთი განმარტება სხვა მაგალითებს ვერ დააკმაყოფილებს.

რომ უფრო ნათელი იყოს სიტყვა სამძალის მნიშვნელობა, მოვიტანთ ვრცელ მონაკვეთს ეფრემ ასურის ზემოთ დასახელებული თხზულებიდან „მონაზონთა მიმართ“: „უკუეთუ მოვიძულნეთ ქუეყანისა საქმენი და შეურაცხვყუნეთ საწუთრონი ესე ჟამნი, საყუარელნო, შემძლებელ ვიყვნეთ, ვითარცა ძლიერნი ბრძოლად და მოვიღოთ სამძალი იგი ძლევისაჲ, რამეთუ საქმენი ქუეყანისანი მიიზიდვენ ქუეყანადვე თავისა თჳსისად“[10].

შესაბამისი ბერძნული ტექსტი ასე იკითხება:

„Ἂν μισήσῃς τὰ γηΐνα καταφρονῶν τῶν προσκάιρων, ἀγαπητὲ, τότε δονήσῃ, ὡς ἄριστος πολεμιστὴς, τὸ βραβεῖον της νίκης λαβεῖν, ἐπειδὴ γαρ τὰ γηΐνα προσέλκουσι πρὸς ἑαυτὰ εἰς τὰ κάτω“[11].

ბერძნულ ტექსტში ქართულ სამძალს შეესატყვისება βραβεῖον, რაც ნიშნავს ჯილდოს. თხზულების რუსული თარგმანის შესაბამისი ადგილიც ამას ადასტურებს: «Если возненавидишь, возлюбленный, земное, пренебрегая временным, то, как доблестный воин, возможешь тогда получить победную награду[12]».

მოტანილ კონტექსტში სამძალი არ ნიშნავს არც საკრავს და არც საწინდარს, ის არის ჯილდო.

ჯილდოს მნიშვნელობითაა ნახმარი სამძალი შემდეგ მაგალითებშიც: „გმადლობ შენ, უფალო, ღმერთო ჩემო, რამეთუ არა განმეშორე ჩემგან ჟამსა კერპთმსახურებისასა და შენითა სახიერებითა ღირს მყავ მე სასუფეველსა შენსა: ვინმე არს მსგავს შენდა ანგელოზთა შორის, უფალო, ანუ ვინ ემსგავსოს საქმეთა შენთა, რამეთუ არაღირსი ესე ღირს მყავ მე ესემლევანსა ამას სამძალსა შენსა“[13].

---

[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 300.

[8] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского; введение, издание, перевод Н. Марра, С.-Петерб., 1911, с. 132.

[9] იქვე, с. LVII.

[10] Sin 97, 81 r-v.

[11] Assemani, Sancti Patris nostri Ephraem Syri opera omnia, G. I, გვ. 296—297.

[12] Творения св. Ефрема Сирина, II, М., 1849, с. 23.

[13] A—95, 820.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუნ კეთილისა ღუაწლისა მომცემელმან ქრისტემან ძლევისა სამძალი ძალი იგი აღუსრულა“[14].

სამძალი ზოგჯერ გვირგვინის მნიშვნელობითაც იხმარება. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ქართულ-ბერძნული ტექსტების ურთიერთმიმართებამ: თუ ერთ შემთხვევაში ბერძნული βραβεῖον ქართულში ნათარგმნია როგორც სამძალი, მეორე შემთხვევაში ეგევე სიტყვა გადმოტანილია გვირგვინად.

„ჯორცითა უჯორცოსა ჰბრძოდე და დააკუეთე იგი ძალითა ქრისტესითა, რომელმანცა მოგცა გჳრგჳნი ძლევისაჲ ჴელითა მაღლითა“[15].

„Σαρκι τῷ ἀσάρκῳ συμπλακεῖς τῇ συμμαχιά κριστοῦ τοῦτον κατέβαλες βραβεῖον ὀδέν σοι ἔνδοξε“[16].

„კრძალულებით ვსდევ გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესოჲს მიერ“[17].

„Κατὰ σκοπὸν διώκω ἐπὶ τὸ βραβεῖον τῆς ἄνω κλήσεως του Θεοῦ ἐν Χριστῷ Ἰησοῦ“.

უსათუოდ გვირგვინის სინონიმია სამძალი ქვემოთ მოტანილ მაგალითში: „დაამტკიცე ღმრთისმეცნიერებაჲ შენი და სამძალი ძლევისაჲ შეიმოსე დღეს ქრისტესთჳს წამებითა...“[18].

ასევე შესაძლებელია სამძალის მიჩნევა გვირგვინის სინონიმად შემდეგ წინადადებაში: „მიიღე გჳრგჳნი და სამძალი მოთმინებისა შენისაჲ“[19].

არ არის გამორიცხული, რომ აქ სამძალს ჯილდოს მნიშვნელობა ჰქონდეს. როდესაც ვამბობთ, რომ სამძალი ნიშნავს ჯილდოს, გვირგვინს, არ იგულისხმება ამ სიტყვის ორი განსხვავებული მნიშვნელობა: ვგულისხმობთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა ჯილდო და გვირგვინი ერთ შინაარსს გადმოსცემენ; კერძოდ, იმ შემთხვევებს, როდესაც გვირგვინი ჯილდოს ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

ბერძნულ βραβεῖον-ს ქართულში ზოგჯერ შეესატყვისება ნიჭი, რომელიც ისევ ჯილდოს მნიშვნელობით არის ნახმარი:

„არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ასპარეზსა მას შინა რბიედ, ყოველნივე რბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი?“[20].

„Οὐκ οἴδατε, ὅτι οἱ ἐν σταδίῳ τρέχοντες, πάντες μὲν τρέχουσιν, εἷς δὲ λαμβάνει τὸ βραβεῖον“.

სამძალის მნიშვნელობის დასაზუსტებლად საინტერესოა ნიმუში, რომელიც გვაქვს სინურ მრავალთავში, კერძოდ, იოანე ოქროპირის თხზულებაში „მარიამისთჳს და მართაჲსთჳს და ელიაჲსთჳს“:

„უშემკულჱს ჴმასა მოვიღებდეთ და აღვიღოთ ძლევისა სამძალი არა ბობღნითა და ჴელთტყუელვითა, არამედ მცენარისაგან, რტოებისაგან ფინიკისა და ღაღატ-ვყოთ მორწმუნეთა ძმათა ჩუენთა თანა“[21].

---

[14] A—95, 941.
[15] Ier. 124, 40r.
[16] Vat. 84.
[17] ფილიპელთა მიმართ, 3, 14.
[18] Ier. 124, 9.
[19] A—95, 24.
[20] კორინთელთა მიმართ, 9, 24.
[21] სინ. მრავალთავი, თბ., 1959, გვ. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Δραστικωτέρας ἐκείνης φωνάς βάλωμεν, ἐπειδὴ καὶ χαλεπώτερος τοῦ φαράω ὁ τῇ λίμνῃ τοῦ ὕδατος καταποντισθεὶς διάβολος. Ἀσπάσωμεν οὖν τὰ τῆς νίκης σύμβολα, οὐ τύμπανα χειροκρατούμενα, ἀλλὰ καὶ βαΐα φοινίκων βλαστήματα“[22].

ქართულ სამძალს ბერძნულში შეესატყვისება სიმბოლო, ნიშანი. ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი სიტყვა სამძალი შემდეგ მაგალითში: „გამოუთქუმელთა კეთილთა აღთქუმკლთაჲ ზეცისა ჩინებისაჲ მიიღეს სამძალი, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მიჰჴდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“[23].

ძველ ქართულ საგალობლებში სიტყვა სამძალი საინტერესო კონტექსტებში გვხვდება:

„აწ გრცხუენოდენ, მოშურნეო მაცთურო, ბნელო ჯოჯოხეთო, დაჰკსნდა სამძალი ცოდვისაჲ, სიკუდილი, განქარდა ფლობაჲ შენი, მძლავრო“[24].

„სადა არს საწერტელი იგი სამძალი ცოდვისაჲ, სიკუდილი“[25].

თუ ზემოთ მოტანილ ყველა მაგალითში გვქონდა ან სამძალი, უფრო ხშირად კი ძლევის სამძალი, ბოლო ორ კონტექსტში გვაქვს ცოდვის სამძალი და თან იქვეა მითითებული, რომ ცოდვის სამძალი, ანუ ცოდვის ჯილდო, საზღაური არის სიკვდილი.

მაშასადამე, სიტყვა სამძალს ძველ ქართულში ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, მნიშვნელობა აქვს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ ორი ომონიმური სიტყვა გვაქვს, რომელთაგან ერთი არის საკრავი, მეორე — ჯილდო, საზღაური.

იმ შემთხვევაში, როცა სამძალი საკრავს ნიშნავს, სიტყვის წარმომავლობა ნათელია: სამძალი არის სამსიმიანი, სამძალიანი საკრავი. მთლად ნათელი არ არის სამძალის ეტიმოლოგია მეორე შემთხვევაში. თუ სამძალს თხზულ სახელად მივიჩნევთ და დავშლით ასე: სამ-ძალი[26], მაშინ დასაზუსტებელი იქნება, რას ნიშნავს ძალი. ვფიქრობთ, რომ ძალს აქ ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ძალის გაგების განსხვავებულ ვარიანტს იძლევა ერთი მაგალითი იოანე პეტრიწის თხზულებიდან: „სიწლოჲ და სიწმიდე დაუმრავალძალდების და პოლიმორფად ასჩნდების“[27].

დამრავალძალება ნიშნავს მრავალფორმად, მრავალსახედ ქცევას. ე. ი ძალი აქ არის ფორმა, სახე. შესაძლებელია ეს მნიშვნელობა ჰქონდეს ძალს სამძალის შედგენილობაში. ე. ი. სამძალი ანუ სამსახე რაღაცის სიმბოლოა, გვირგვინია, ჯილდოა.

სამძალის ერთ-ერთი ბერძნული შესატყვისი βραβεῖον არის ჯილდო, რომელსაც ვიღაც ანიჭებს. ჩვენი მაგალითების უმრავლესობის მიხედვით

---

[22] PG, ტ. 61, 705.

[23] კ. კეკელიძე, კიმენი, II, 114, 10.

[24] S—425, 220 v.

[25] S—425, 228 v.

[26] შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ სამძალი არის ნაწარმოები სახელი. ამ შემთხვევაში გასარკვევი იქნება ამოსავალი ძირი.

[27] A-69, 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვიმსჯელებთ, სამძალი ღმერთის მიერ არის მინიჭებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამძალი გარკვეული თეოლოგიური შინაარსის შემცველი ტერმინია. გვიჭირს თქმა იმისა, თუ კონკრეტულად რა ცნებას გამოხატავს ეს ტერმინი. მაგრამ შესაძლებელია მას გარკვეული კავშირი ჰქონდეს სამსახოვან ღმერთთან. თუ ძალს გავიგებთ როგორც სახეს, ნიშანს, მაშინ შესაძლებელი იქნება, სამძალი გავიგოთ ღმერთის, ან მისი რომელიმე ქმედების გამომხატველ მეტაფორულ სახედ; ამის დასადასტურებლად გამოგვადგება ასეთი მაგალითი ეფრემ ასურის ერთ-ერთი თხზულებიდან: „ნეტარ ხარ, შენ, ადამ, რამეთუ დაცემულ იყავ და არა დაეტევე მდებარჱ, რამეთუ დამბადებელი შენი გესუენა შენ აღმადგინებელად შენდა; შენ დაეცი, ხოლო იგი იღუწიდა შენთჳს; შენ ბრძოლასა შინა მოუძლურდი, ხოლო იგი ეწყო მტერსა მას და სძლო; შენ სამძალი იგი წარსწყმიდე, ხოლო შენთჳს იღუაწა და გვრგვნოსან გჰმნა, ვერ გეძლო და მან ჴელი შეგიპყრა შენ“[28].

ამგვარად, ძველ ქართულში სამძალი საკრავის მნიშვნელობით ძალიან იშვიათად გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში ეს სიტყვა იხმარება ჯილდოს, საზღაურის მნიშვნელობით, რომლის კონკრეტული გამოხატულება ყოველ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული აღმოჩნდეს ან უფრო ზოგადი სახით წარმოგვიდგეს.

Л. Т. АХОБАДЗЕ

## О ЗНАЧЕНИИ СЛОВА სამძალი (САМДЗАЛИ) В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Слово სამძალი в древнегрузинском языке имеет два смысловых значения: 1. Трехструнный музыкальный инструмент. Сфера его употребления в этом значении весьма ограничена. 2. Данное слово чаще встречается в смысле награды, конкретное выражение которого в каждом отдельном случае может оказаться различным.

Когда სამძალი употребляется в первом значении, этимология слова известна: слово სამძალი состоит из двух частей: სამი (три) и ძალი (струна). Что касается этимологии второго значения, то тут не все ясно. Если слово სამძალი разделим, как в первом случае: სამ-ძალი, тогда подлежит объяснению значение второй части — ძალი. Мы предполагаем, что она означает форму. Не исключено также, что слово სამძალი может оказаться производным словом от ძალ-ი (сила).

[28] Sin 97, 164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ხოშტარია (ბროსე)

# „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის

ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე — „ძეგლი ერისთავთა“ დიდი ხანია მკვლევართა შესწავლის საგანს წარმოადგენს. მან ჯერ კიდევ აკადემიკოს მარი ბროსეს ხელში გაიარა, რომელმაც გამოაქვეყნა კიდეც მისი ფრანგული თარგმანი[1]. შემდეგ ეს ძეგლი რამდენიმეჯერ გამოიცა: ქართულად — თ. ჟორდანიას (პირის მიხედვით)[2] და შ. მესხიას (დედანი)[3] მიერ. რუსულად კი თარგმნეს მ. ჯანაშვილმა (თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით)[4] და საურმაგ კაკაბაძემ (დედნის მიხედვით)[5].

დასახელებული პუბლიკაციებიდან უმრავლესობას ახლავს სათანადო გამოკვლევა და კომენტარები. გარდა ამისა, ამ ძეგლზე საგანგებო წყაროთმცოდნეობითი ხასიათის დაკვირვებანი აქვთ ივ. ჯავახიშვილს[6], ს. ჯანაშიას[7], ირ. სურგულაძეს[8], დ. გვრიტიშვილს[9], გ. მელიქიშვილს[10], გ. თოგოშვილს[11], ჯ. გვასალიას[12] და სხვებს.

---

[1] M. Brosset, Additions et éclaircissement à l'histoire de la Géorgie, SPb, 1851, pp. 372—385.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა... II, ტფ., 1847, გვ. 1—19.

[3] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 306—374. იხ. აგრეთვე: ქართული სამართლის ძეგლები, II. ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 102—117.

[4] М. Джанашвили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОМПК, вып. 22, Тиф., 1897; იხ. აგრეთვე «История Осетии в документах и материалах», составили Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, I, Цхинвали, 1962, с. 85—100.

[5] С. С. Какабадзе, Хроника Ксанских эриставов начала XV в., Письменные памятники Востока, Историко-филологические исследования, 1968, М., 1970.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 264—267.

[7] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 163—168.

[8] ირ. სურგულაძე, „ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, 1943.

[9] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

[10] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1954, с. 404—406.

[11] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე), სტალინირი, 1958, გვ. 210—220.

[12] ი. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული მკვლევარნი ძეგლს სხვადასხვა თვალსაზრისით უდგებოდნენ. ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს მისი ზოგადი შეფასება. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „უძველესი ხანის შესახებ მემატიანეს მცირედი ცნობები ჰქონია... რაც უფრო მემატიანე მოთხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც უფრო და უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება. აქ მოთხრობილის სიმართლის დამტკიცებაც სხვადასხვა საბუთებით შეიძლება...“[13].

ს. ჯანაშია ძეგლს იყენებს, როგორც ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის პროცესის წარმოსადგენად უძვირფასეს, „მერმინდელი ანალოგიების“ შემცველ, წყაროს. ეს ანალოგიები, მკვლევრის სიტყვით, „საშუალებას გვაძლევენ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ აღნიშნული პროცესის ზოგიერთი მეტად საყურადღებო მომენტი ცოცხალი ცხოვრების მასალაზე“.

ამავე დროს, მკვლევარი დაასკვნის, რომ ძეგლში წარმოდგენილი „მთელი ეს სურათი საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და პირველ რიგში ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო. მაგრამ მასში, ჯერ ერთი, უეჭველად არის უფრო ძველი ელემენტი და, გარდა ამისა, საანალოგიოდაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს“[14].

ირ. სურგულაძე ძეგლს ეყრდნობა ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის გასაშუქებლად, რისთვისაც, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძეგლის პირველი ნაწილი. „ძეგლის ამ ნაწილში, — წერდა მკვლევარი, — უძველესი ტრადიციის ცალკე ელემენტები არის დაცული, მაგრამ ეს ელემენტები გახვეულია ნარატიულ ფორმაში, რომელიც ძეგლის შედგენის პერიოდისათვის (ე. ი. XIV—XV სს.) დამახასიათებელ იდეებსა და წარმოდგენებში მიმდინარეობს“[15].

ირ. სურგულაძე ცალ-ცალკე განიხილავს, ერთი მხრივ, ცხრაძმისხევში საერისთავო ხელისუფლების წარმოშობას და ამაში პოლიტიკური ფორმის წარმოქმნის პროცესს ხედავს (სახელმწიფო ხელისუფლების არარსებობის პირობებში) და, მეორე მხრივ, როსტომ ქვენიფნეველის გაერისთავებას, როგორც სამეფო ხელისუფლების მიერ სანქციონირებელ აქტს. ამასთან, მკვლევარი საერთოდ ცხრაძმისხევის საზოგადოებას, მიუხედავად მასში დაწყებული კლასობრივი დიფერენციაციის მაჩვენებელი ფაქტებისა („დიდებულთა და აზნაურთა“ მოხსენიება, ციხე-სიმაგრეების არსებობა, ცხრაძმისხევის ციხისთავსა და მის მამულზე მითითება და სხვა), გვაროვნული წყობილების ფარგლებში ათავსებს: „ცხრაძმისხეველთა საზოგადოება ამ პერიოდში მაინც ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების ფარგლებს არ გასცილებია; იგი საკმაოდ მომწიფებულია ახალი საზოგადოებრივი წყობილების მისაღებად, მაგრამ ჯერ კიდევ საგვარეულო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფორმებში მიმდინარეობს მისი არსებობა და საქმიანობა“[16].

დ. გვრიტიშვილი თვლის, რომ, თუმცა ძეგლის ტექსტი ადრეული ხანისათვის (ე. ი. XIII—XIV სს. წინარე პერიოდისათვის) ნაკლებ სანდო და საეჭვო ცნობებს შეიცავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერისთავოს არსებობას

---

[13] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 266.

[14] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 163, 167.

[15] ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 220.

[16] იქვე, გვ. 223.

ქსნის ხეობაში ადრიდანვე გულისხმობს, რომელიც თავიდანვე, ე. ი. საერისთავოს თავოების წარმოქმნის დროიდანვე, შედიოდა ქართლის საერისთავოს თუ საერისთავთ-ერისთავის შემადგენლობაში[17].

შ. მესხიას თვალსაზრისით: „XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბებისა და გაფორმების საუკუნეა“. ამდენად, მკვლევარი ძეგლში, კერძოდ კი მის დასაწყის ნაწილშიც, გადმოცემულ ისტორიულ რეალიებს ამ ეპოქას მიაკუთვნებს[18].

საურმაგ კაკაბაძეს თუმცა მიაჩნია, რომ ძეგლის პირველი ნაწილისადმი ზედმეტი კრიტიკული დამოკიდებულება არ არის გამართლებული, ძეგლის დასაწყისში მოთხრობილ ამბებს თვითონ მიაკუთვნებს არა VI საუკუნეს (ე. ი. იუსტინიანეს ეპოქას), არამედ IX საუკუნეს, ვინაიდან აქ მოხსენიებულ ადარნასეში და დავით ბაგრატიონში რეალურად ხედავს დავით I კურაპალატსა და მის შვილს ადარნასეს[19].

ჯ. გვასალიას ძეგლის პირველ ნაწილში მოთხრობილი მოვლენები მიაჩნია ადრეფეოდალურ ხანაში ცხრაძმისხევის აღზევების ანარეკლად. მისი აზრით, „ქრონიკის ავტორი ზეპირ გადმოცემაში დაცულ ცნობას ცხრაძმის ხელისუფლის (ხევისუფლის? ციხისთავის?) გაძლიერებაში უცხო ძალის მხარდაჭერის შესახებ (ერისთავთა განდიდების მიზნით), გარდაქმნის ცხრაძმის მმართველისათვის ერისთავთ-ერისთავის ტიტულის ბოძებად“[20]. უცხო ძალაში ავტორი ბიზანტია-ირანის აგრესიას გულისხმობს, რომელიც ხელს უწყობდა ერისთავთა გაძლიერებას და მათ მიერ ხელისუფლების სამემკვიდრეოდ დამკვიდრებას, ე. ი. ავტორი ძეგლის ამ ნაწილში ხედავს ადრეფეოდალური ხანის რეალური ვითარების ანარეკლს, თუმცა იმთავითვე აქ ერისთაობის ინსტიტუტის არსებობას არ გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, ძეგლის შესახებ, კერძოდ, მის პირველ ნაწილში ასახული ვითარების დროისა და ფაქტების სანდოობის საკითხებზე, არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი და, მით უმეტეს, არა გვაქვს ძეგლის საფუძვლიანი წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დედნის მიხედვით შ. მესხიას მიერ განხორციელებულ პუბლიკაციისადმი და საურმაგ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანისადმი დართულ ვრცელ არქეოგრაფიულ აღწერილობებს, ძეგლის ავტორისა და დაწერის დროის დადგენით, და ცალკეული ადგილების კომენტარებს.

უნდა ითქვას, რომ ძეგლი საკმაოდ რთული შედგენილობისა და ხასიათისაა და არც ჩვენ გვაქვს პრეტენზია გავარკვიოთ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამჯერად ჩვენს ამოცანას შეადგენს კონკრეტულად განვიხილოთ ძეგლის დასაწყისი ნაწილი, სადაც მოთხრობილია ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრებისა და ერისთავობის მიღების ამბავი, გავარკვიოთ ამ ფაქტების ქრონოლოგია და რეალური პირობები.

„ძეგლი ერისთავთა“ ქსნის ხეობაში, უფრო ზუსტად კი ცხრაძმისხევში, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს საფუძვლის ჩამყრელ — ოსეთიდან გადმო-

---

[17] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57, 68.

[18] შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

[19] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 107—109.

[20] ი. გვასალია, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სამეფო გვარის უმცროსი შტოს წარმომადგენელთა — როსტომ, ბიბილა და წითლოსანის აქ დამკვიდრებას იუსტინიანე კეისრის ეპოქას, ე. ი. VI საუკუნეს განაკუთვნებს და, ამდენად, ქვენიფხეველთა საგვარეულოს დასაწყისს და ერისთავთა ინსტიტუტის შემოღებას ამ მხარეში ამ დროიდან გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ოსური წარმოშობის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა გადმოსვლა და დამკვიდრება ქსნის ხეობის ზემო წელში არ არის საგულვებელი უადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV საუკ. დასაწყისისა[21]. ამაზე ადრე აქ არც ცალკე საერისთავოს და ერისთავთა ინსტიტუტის არსებობა დასტურდება.

ქართულ ნარატიულ ძეგლებში (კერძოდ, ლეონტი მროველთან) დაცული ისტორიული ტრადიციის თანახმად, ქსნის ხეობა და მით უმეტეს მისი ზემო წელი ადრიდანვე არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ საერისთავოს[22]. ცალკე საერისთავოს აქ არ გულისხმობდა არც თამარის ისტორიკოსი[23]. ადრეულ ხანაში საერისთავოს არსებობას ცხრაძმისხევში არ უჭერენ მხარს არც სხვა ნარატიული წყაროები და არც ეპიგრაფიკული ძეგლები. მაგ., „მატიანე ქართლისაჲ“ ამ მხარეში ასახელებს ცალკეულ აზნაურებს. ესენი არიან მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, რომელნიც მიუდგნენ კვირიკეს გიორგი მეფის წინააღმდეგ. გ. ბოჭორიძის მიერ გამოქვეყნებული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან, რომელნიც ამ მხარეს განეკუთვნებიან, ერთი — X საუკუნის ჯელი — მოიხსენიებს „ცხაზმის ჯევის ჯევისუფალს“, ხოლო მეორე წარწერა — XI საუკუნის „დაწერილი“ — ასახელებს ზაზის, თოთს და კოლონკელ ფხენელაისძეს, დაწინაურებულ წოდების წარმომადგენლებს, მაგრამ ერისთავი აქ არსად არ ფიგურირებს[24]. მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს, როცა IX საუკუნის წარწერაში ბიეთიდან ყანჩაელი დიდებული — იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა — თავს ერისთავთერისთავს უწოდებს. მაგრამ ეს პირი ქსნის ხეობის ერისთავთერისთავი, და. მით უმეტეს, ცხრაძმისხევის ერისთავი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ქსნელ ფეოდალთა წარმომადგენელი ქართლის ერისთავთერისთავი[25].

როგორია ამ თვალსაზრისით თვით „ძეგლი ერისთავთაში“ მოცემული სურათი?

ძეგლის თანახმად, გრუელებთან ბრძოლის დროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხრაძმისხეველებს დახმარებას აღმოუჩენს ოსეთიდან გადმოხვეწილი როსტომი ძმებით და თაყისი რაზმით. მადლობის ნიშნად ცხრაძმისხეველებმა თქვეს:

---

[21] გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 171—225.

[22] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955, გვ. 24—25.

[23] იქვე, ტ. II, თბ., 1959, გვ. 33—34.

[24] გ. ბოჭოიძე, ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 96—106. გ. ბოჭოიძის აზრით, „ფიქალწერილში მოხსენიებული პირნი ზაზი და თოთი, რომელნიც აძლევენ სიგელს, უნდა იყვნენ ქსნის ერისთავის გვარის, რადგან მათ მიერ მიცემული მამული კოიტორი მდებარეობს ცხრაზმის შვიდ ხეობათა ფარგლებში, რომლის მფლობელებადაც შემდეგში იყვნენ ქსნის ერისთავები“ (იქვე, გვ. 103). ეს ვარაუდია და თვით საბუთის ტექსტიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს.

[25] Р. Меписашвили, Полупещерный памятник IX вв. сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6, A, თბ., 1963, გვ. 44—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას.

მაშინ ჰრქუა მამასახლისმან ლარგუსისამან, ხუციანდაბისძემან: უკუეთუ გნებავს მკჳდრყოფაჲ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გჳრგჳნოსნისა ისტჳნიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთს უნდეს.

მაშინ ჰრქუა როსტომ: მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან, გარნა შენა შემიქმენ მარჯუენით კერძო საკურთხევლისა ადგილსა უმჯობესსა და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა, რომელ პატივი და ჴელი შენი, რომელი მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუე და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდი მე.

მაშინ ჰრქუა გუგაკ: მე თავი ჩემი დავდვა ერთგულებით მსახურებად შენდა და ღმერთთან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი.

მაშინ ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაჲ გნებავს, რაჲთა ვყოთ შენთჳს? ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგუსს და საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა და **ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული.** და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისჴეველთა შუა ცხრაზმას **ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი,** საფლავი ლარგუსს და საჯდომი ქუენიფნევს და უწოდეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხუაჲ სახელი არა ინებეს“[26].

ამგვარად, ძეგლის თანახმად, ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა საგვარეულოს ღამკვიდრების დროისათვის აქ მოიხსენებიან ადგილობრივი მმართველობის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა „ლარგვისის მამასახლისი“, რომელსაც პატივი და ჴელი მეფისაგან ჰქონდა ბოძებული, „ცხრაზმის ციხისთავი“, რომლის მამული („სოფელნი და ქუეყანანი“) ამ დროისათვის თავისუფალი იყო. აქვე არიან წარმოდგენილნი „აზნაურნი და დიდებულნი“ — ვითარცა „საყდრის შვილნი“, რომელთა საფლავიც მონასტერში იყო და რომელთაც ეკუთვნოდა „ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი“.

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა საზოგადოება, რომელმაც უკვე განვლო სოციალური დიფერენციაციის გარკვეული საფეხური. მასში გამოყოფილია პრივილეგირებული საზოგადოებრივი ფენა და ადმინისტრატიული მმართველობის წარმომადგენლები, რომელთა პრივილეგიები სამეფო ხელისუფლების მიერ არის ბოძებული (თუ დადასტურებული).

ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს სამეფო ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ფეოდალიზებულ სატაძრო (სამონასტრო) თემთან, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ დასახელებულ „საყდრისშვილთ“. ესენი ეწეოდნენ როგორც სატაძრო მამულებზე მსხდომი გლეხების, ასევე, ნაწილობრივ, თავისუფალ მეთემეთა — „ერის“, „ეროვანთა“ ექსპლოატაციას[27].

ამასთან კავშირში ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს ამ საზოგადოებაში თვით „ერს“, ე. ი. ხალხს (იგივე მეთემეებს), რო-

---

[26] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 345.

[27] შეადარე: ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 268—170.

მელიც, ძეგლის თანახმად, ესოდენ აქტიურ როლს თამაშობდა ცხრაძმისხევში როსტომის დამკვიდრების თუ მის შემდგომ აღზევების — გაერისთავების საქმეში („ერის“ შუამდგომლობით და დასტურით იუსტინიანემ მისცა როსტომს „შუდნი ესე ჴევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკუდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა...“[28]). მართლა შეეძლო „ერს“ ასეთი როლი შეესრულებინა ამ დროს, თუ ეს ძეგლის ავტორის გამონაგონია იმ მიზნით, რათა ერისთავთა ხელისუფლება ხალხის მიერ სანქციონირებულ ძალაუფლებად წარმოედგინა?

პასუხს ამ კითხვაზე გვაძლევს მთელი იმ სიტუაციის გათვალისწინება, რომელიც არსებობდა აღნიშნულ მხარეში არა მარტო ძეგლის დაწერის დროისათვის (ე. ი. XV ს. დასაწყისში), არამედ ადრეც.

როგორც ძეგლში მოცემული რეალიების ანალიზი მოწმობს, ის მოვლენები, რომლებზედაც მოგვითხრობს ავტორი ძეგლის დასაწყისშივე, სინამდვილეში განეკუთვნებიან XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV ს. დასაწყისს. ეს ის დროა, როდესაც მონღოლთა ბატონობის პირობებში ქართული სახელმწიფოებრიობა სუსტდება და იწყება ქვეყნის პოლიტიკური დაშლა სამეფო-სამთავროებად.

ბუნებრივია, რომ ამ დროს მნიშვნელოვნად სუსტდება ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ქვეყნის განაპირა მხარეებში და განსაკუთრებით მთიან რაიონებში. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს მხარეები ფაქტიურად თავის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, ის, რომ ლარგვისის მამასახლისი, რომელსაც ჯელი მეფეთაგან ჰქონდა მიცემული, დაუბრკოლებლად უკავშირდება ცხრაძმისხევში გამოჩენილ ახალ ძალას, როსტომისა და მისი რაზმის სახით, სთავაზობს როსტომს თავის სამსახურს, ხოლო მისგან იღებს დაპირებას — მემკვიდრეობით დაუმტკიცოს თავისი პატივი და პრივილეგიები. ამავე დროს თავისუფალი ჩანს ცხრაძმისხევის ციხისთავის, ე. ი. ამ შემთხვევაში უკვე საერო ხელისუფლების წარმომადგენლის ადგილიც — „სახლი“ და „მამული“, რომელთა ხელში ჩაგდებას ცდილობს სწორედ როსტომი. ამ ფონზე ხდება სწორედ „ერის“, ე. ი. ხალხის (თავისუფალ მეთემეთა) გააქტიურებაც, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ყველა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა და ფაქტის გაგება შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ ორ არსებით გარემოებას: 1) საქართველოს ერთიანობის ხანის ძლიერი მონარქიის მოშლის შედეგად, რაც მონღოლთა ბატონობას უკავშირდება, როგორც ბარად, ასევე, განსაკუთრებით, მთაში, ირღვევა საზოგადოებრივ ძალთა ის წონასწორობა, რაც საქართველოს ძლიერების ხანაში იყო აქ შექმნილი. კერძოდ, მთაში იშლება სამეფო ხელისუფლების მოხელეთა ფუნქციები, მხარე მართლაც თავის ანაბარა რჩება. 2) საქმე გვაქვს საქართველოს მთიან ზოლთან, სადაც გვიანობამდე შემორჩა „ერის“ („ჰეროვანთა“) საზოგადოებრივი წრე, ფეოდალურ დიფერენციაციის და ფეოდალურ ურთიერთობის (თავისი იდეოლოგიით — ქრისტიანობით) შეჭრის და ფეხის მოკიდების პირობებში.

ასეთ ვითარებაში ადგილი უნდა ჰქონოდა ორმხრივ ტენდენციას. ერთი

---

[28] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 346.

მხრივ, ეს არის ადრევე დაწინაურებული საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა მისწრაფება თავის პოზიციების განმტკიცებისა და უკონტროლო ბატონობისაკენ, ხოლო მეორეა — „ერის“ ცდა თავიდან მოიშოროს ასეთი ბატონები. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ძეგლის ტექსტის დასაწყისი: „... ხოლო ერისთავობაჲ არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკჳდრეს შუა ქუეყანასა მათსა“[29].

მაგრამ მიუხედავად „ერის“ წინააღმდეგობისა და თვითორგანიზაციისაკენ მისწრაფებისა, რაც ძველი სატაძრო (ამჟამად საეკლესიო) თემის გამოცოცხლებაში გამოიხატა, საზოგადოებრივი განვითარების გეზს, მეტ-ნაკლებად, მაინც გარკვეულ პირთა, თუ გვართა გაბატონებისაკენ მივყევართ, იმის მიხედვით თუ რამდენად არის მომწიფებული საამისო პირობები ამა თუ იმ კუთხეში.

საქმე ის არის, რომ „ერს“ ახალ პირობებში უკვე აღარ ჰქონდა თავდაპირველი ძალა. ეს უკვე იყო არა ძველი თვითმმართველი თემი, არამედ, ძეგლისავე ტერმინი რომ ვიხმაროთ, „წვრილ ერამდე“ დაყვანილი ნახევრადდამოკიდებული ფენა, რომელმაც შეინარჩუნა არსებობა ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს ძლიერების პერიოდში მთის ფეოდალიზებულ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას მოცემულ შემთხვევაში აღარ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და იგი თვითონვე ეძებს მაორგანიზებელ ძალას, რომელსაც ჰპოვებს კიდეც როსტომის და მისი რაზმის სახით. თავის მხრივ, ამაშივე მდგომარეობს სწორედ როსტომის ცხრაძმისხევში გაბატონების საფუძველიც და პირობაც.

ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ცხრაძმისხევის საზოგადოების სხვაობა დვალთა საზოგადოებისაგან, სადაც, ძეგლის თანახმად, თავდაპირველად სცადეს დამკვიდრება როსტომმა და მისმა რაზმმა. მაგრამ, ჩანს, დვალები არ საჭიროებდნენ უცხო ძალის „დახმარებას“, და როგორც კი იგრძნეს მოსულთა მხრივ მათზე გაბატონების საფრთხე, უმალვე გააძევეს ისინი.

არც ცხრაძმისხეველებს აწყობდათ ვინმეს „ერისთავობა“, როგორც ეს ძეგლის დასაწყისიდან ჩანს, მაგრამ ისინი მაინც იძულებულნი შეიქმნენ არამცთუ ნება მიეცათ როსტომისათვის დამკვიდრებულიყო მათ ქვეყანაში, არამედ ხელი შეეწყოთ მისი გვარის შემდგომ განდიდებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ცხრაძმისხეველთა სახით საქმე გვაქვს განვითარების ისეთ საფეხურამდე მიღწეულ საზოგადოებასთან, რომელსაც დამოუკიდებლად აღარ შეეძლო არსებობა და საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობის უზრუნველსაყოფად საჭიროებდა მაორგანიზებელ ძალას.

ამგვარად, „ძეგლი ერისთავთას“ პირველ ნაწილში დაცული რეალიების ანალიზს და მათ შედარებას სხვა წყაროთა მონაცემებთან იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრება ქსნის ხეობაში და მისი შემდგომი განდიდება (გაერისთავება) წარმოადგენდა არა სოციალიური დიფერენციაციის და საგვარეულო არისტოკრატიის წარმოქმნის პირველად პროცესს, არამედ სამხედრო-არისტოკრატული ზედაფენის გაბატონებას ისეთ საზოგადოებაში, რომელმაც ადრე უკვე გაიარა ფეოდალიზაციის გარკვეული საფეხური. როგორც დავინახეთ, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო უადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისისა. ამდენად ქსნის ხეობის, კერ-

[29] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 344.

ძოდ კი მისი ზედაწელის — ცხრაძმისხევის ფეოდალურ ურთიერთობათა წრეში შემოყვანის ხანა ემთხვევა ფეოდალიზმის აღმავლობის და ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების პერიოდს, როდესაც მთის ფეოდალური ათვისების წარმმართველ ძალად უმთავრესად ცენტრალური ხელისუფლება გვევლინება. მაგრამ იმდენად, რამდენადაც მთის ფეოდალიზებულ საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერად იყო შემორჩენილი წინაფეოდალური ხანის ელემენტი, ძირითადად „ერის“ სახით, რომელიც ქართულ ფეოდალურ მონარქიის დასუსტების პირობებში აქტიურდება კიდეც, ახალი ფეოდალური ძალების მიერ ამ საზოგადოებაში გაბატონების სურათი წარმოადგენს ფეოდალური დამოკიდებულების წარმოქმნის ერთგვარ მოდელს, შეიცავს ანალოგიებს ზოგადად ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შესასწავლად.

ქვემოთ შევეხებით საკითხს — კონკრეტულად რა პირობებში და რომელ მეფეთა დროს შეიძლებოდა მომხდარიყო ქვენიფნეველთა ცხრაძმისხევში დამკვიდრება და გაერისთავება. ამ კითხვაზე პასუხს ისევ „ძეგლი ერისთავთაში“ დაცული რეალიები და სხვა წყაროთა მონაცემებთან მათი შედარება გვაძლევს.

როგორც ცნობილია, „ძეგლი ერისთავთა“ ქვენიფნეველთა თავდაპირველ განდიდებას, ანუ ცხრაძმისხევში გაერისთავებას იმპერატორ იუსტინიანეს და მის ეპოქას უკავშირებს, რაც თავისთავად სამართლიან ეჭვს იწვევს მკვლევართა დიდ ნაწილში, მაგრამ ფაქტობრივ ამ გვარის შემდგომი აღზევება ძეგლის მიხედვით უკვე ქართველ მეფეებთან არის დაკავშირებული, დავით ბაგრატიონიდან დაწყებული: „და მოკუდა როსტომ. დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი და შემდგომად ისტუნიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატონიანი; ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელსდვა ერისთავთ-ერისთავად და მისცა მთავრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელნი მკჳდრ არიან შუა არაგუსა და ლიახუსა და ზემოჲთ შარჰასა მინდორისასა“[30].

მოტანილ ამონაწერში იუსტინიანეს შემდეგ უშუალოდ დავით ბაგრატიონზე გადასვლა, რომელშიც კონტექსტის მიხედვით ძალზე ძნელია კონკრეტული პიროვნების შეცნობა, მოწმობს, რომ ავტორი გადმოგვცემს არა რეალურ ისტორიულ ვითარებას, არამედ განყენებულად წარმოგვიდგენს ქვენიფნეველთა თავდაპირველ აღზევება-განდიდების ამბავს. ავტორის ხელთ რაიმე კონკრეტული სანდო მონაცემების არარსებობაზე მეტყველებს ტექსტის გაგრძელებაც: „და მოკუდა ლარგუალი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი და გარდაიცვალნეს მეფენი კ̃ვ-ნი და ერისთავნი კ̃დ-ნი და წელიწადნი არამცირედნი.

მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკუდა ერისთავი ვირშელი“[31].

მოტანილ ამონაწერში, რომელიც ფრიად ბუნდოვანია, ნაკლულ ადგილებთან, ხელოვნურად თუ უწიგნურად გაკეთებულ ჩანართებთან ან გადაადგილებებთან ერთად, შეინიშნება ისტორიულად დადასტურებული ფაქტებიც. ქვემოთ ვეცდებით გავარკვიოთ, რა არის აქ მცდარი და რა იმსახურებს ნდობას.

ზოგიერთი მკვლევარი იუსტინიანეს შემდეგ მოხსენიებულ დავით ბაგრატიონში, რომელმაც, ძეგლის თანახმად, განადიდა ქვენიფნეველი ლარგველი და ერისთავთ-ერისთავობაც უბოძა, გულისხმობს დავით კუროპალატს. ჩვენი აზ-

---

[30] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 346—347.

[31] იქვე, გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით კი აქ დავითის ხსენება, ისევე როგორც უფრო ქვემოთ მეფე ადარნასესი არ უნდა ასახავდეს ისტორიულ სინამდვილეს, არამედ წარმოადგენს ავტორის ცდას თხრობაში შემოიტანოს, მოვლენების დაძველების მიზნით, ტრადიციულად ცნობილი ისტორიული პერსონაჟები, თუმცა ამას იგი აკეთებს საკმაოდ არეულად (თუ კი მართლაც ჩვენ საქმე გვაქვს ძეგლის პირველად ვარიანტთან და არა შემდგომ დამახინჯებასთან).

აღსანიშნავია, რომ სწორედ დავითის და ადარნასეს ხსენებას ვხვდებით „გერგეტის სულთა მატიანის“ მეფეთა მოსახსენებლების ძველ ფენაშიც. აქ უშუალოდ ვახტანგ გორგასალისა და მისი ძის დაჩის შემდეგ, ბავრატთან ერთად, მოიხსენიებიან დავით და ადარნასე. ამას მისდევს დავით აღმაშენებლის ხსენება და ამაზე მეფეთა მოსახსენებლების ძველი ფენა თავდება, ისე რომ არც თამარი და არც სხვა ამ დროის ქართველი მეფეები არ არიან მოხსენებულნი. მოსახსენებლების ახალი ფენა იწყება ბაგრატ V-ით[32].

ჩანს, მთაში (გერგეტის მატიანე ხომ შედგენილია არაგვის ხეობაში, ქსნის ხეობის მეზობლად და მასში თვით ქსნის ერისთავებიც მოიხსენებიან) არსებობდა რაღაც გადმოცემა, თუ წერილობითი ტრადიცია ამ მეფეთა (კერძოდ, დავითის და ადარნასეს) შესახებ, რომლითაც სარგებლობდა ჩვენი მემატიანეც.

რაც შეეხება იმპერატორ იუსტინიანეს შემოტანას თხრობაში და მის სახელთან ქვენიფნეველთა თავდაპირველი დაწინაურების დაკავშირებას, ესეც ერისთავთა გვარში დამკვიდრებულ ტრადიციის გამოხატულებაა, რომელმაც ასახვა პოვა უფრო მოგვიანო ხანის დოკუმენტებშიც. მაგ., შალვა ქვენიფნეველი-ერისთავის მიერ 1470 წ. ლარგვისას მონასტრისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში ვკითხულობთ: „... შევამკე მონასტერი ესე ჩვენი საძუალე და საუკუნო სამკვიდრებელი... პირველთაგან სულკურთხეულისა ისტჳნიანესაგან ბერძენთა მეფისა და თჯთ-მპყრობელისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომავალთა ერისთავთა ნათესავთათჳს საძვალედ ბოძებული და წინაჲს ჩუენსა ყოველთა ჩუენთა ჩამომავალთაგან სურვილით პატივ-ცემული და შემკობილი...“ ქვემოთ კი ნათქვამია: „და ამით ჩემი და ჩემთა გვართა საფლავი, ღმრთივ-გკრგჳნოსნისა ბერძენთა მეფისა ისტჳნიანესაგან საღმრთოჲთა გამოცხადებითა აღშენებული ეკლესიაჲ და ჩვენთა პაპათათჳს საძუალედ ბოძებული, აღმიშენებია, შემიმკვია და გამიდიდებია“[33].

ამრიგად, ლარგვისის ეკლესია ერთგან იუსტინიანეს მიერ აშენებულად არის გამოცხადებული, მეორეგან მისგანვე „საღმთოჲთა გამოცხადებითა“ აღშენებულად და ქვენიფნეველებისათვის საძვალედ ბოძებულად.

„ძეგლი ერისთავთას“ ზემოთ მოტანილ ტექსტში არასწორად აგებულად გვეჩვენება ფრაზა: „და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი...“.

ჯერ ერთი, ქვენიფნეველ-ერისთავთა საგვარეულოსათვის სახელი დიმიტრი დამახასიათებელი არ არის. მეორეც — ნაცვალსახელი „მათი“ აქ აგრეთვე უჩვეულოა. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ლაპარაკია ქვენიფნეველთა ან თუნდაც მეფეთა მემკვიდრეებზე, ძეგლში იხმარება ნაცვალსახელი „მისი“ („და

---

[32] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები, III, გერგეტის სამების მატიანე მოსახსენებელი სულთა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 264.

[33] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 140, 143.

მოკვდა როსტომ, დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი“, „და მოკუდა ერისთავი ვირშელი, დაშთა ძე მისი შალვა...“, „და მოკუდა მეფე, დაშთა ძე მისი ვახტანგ...“). ასე რომ, ტექსტი აქ თავდაპირველად სხვაგვარად უნდა ყოფილიყო ავებული. მაგრამ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს დასახელებული დიმიტრი, თუ კი იგი ქვენიფნეველთა საგვარეულოს არ ეკუთვნის (ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მას ერისთავთა საგვარეულოს მიაკუთვნებენ). გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ მეფე დემეტრე II უნდა იგულისხმებოდეს და, აი, რატომ: ტექსტში ქვემოთ, სრულიად მოულოდნელად, უფრო ზუსტად, უადგილოდ, მეფე ადარნასეზეა ლაპარაკი: „მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკუდა ერისთავი ვირშელი და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისაჲ, და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათა მათთაჲთა, და მოკუდა მეფე, დაშთა ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისაჲ...“[34].

ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ მეფე ადარნასემ აღზარდა ვირშელ ერისთავის მცირეწლოვანი შვილი შალვა, ხოლო, როდესაც მეფე (ე. ი. ადარნასე) მოკვდა, მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი[35].

მთელი ეს კონსტრუქცია სრულიად გაუგებარი და ყალბია და თხრობაში სინათლის შეტანა ხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვრიცხავთ მეფე ადარნასეს და მივუბრუნდებით ადრე დასახელებულ დიმიტრის. იმ შემთხვევაში თუ მასში დემეტრე II-ს ვიგულისხმებთ, ისტორიული სინამდვილის აღდგენაც მოხერხდება. ამისთვის გასათვალისწინებელია მეორე დეტალიც. მას შემდეგ, რაც ლაპარაკია მეფის სიკვდილზე, რომელსაც დარჩა ექვსი წლის შვილი ვახტანგი, ძეგლში ნათქვამია: „მაშინ მამის ძმამან მისმან დავით დაიპყრა მეფობაჲ და არარაჲ მისცა ძმისწულსა თკსსა ვახტანგს.

მაშინ, შალვა, გაზრდილი მამისა მისისაჲ არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას. ხოლო მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი და შეჰვედრა ერთგულთა მონათა და თჳთ წარჰყვა ძესა მას მეფისასა ურდოს“[36].

მოტანილი მონაცემების ჟამთააღმწერლის ცნობებთან მიმართებაში გააზრება გვაძლევს შესაძლებლობას ამ ცნობებში რეალური ისტორიული შინაარსი ჩავდოთ. საქმე ისაა, რომ სწორედ დემეტრე II-ს დარჩა მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი. ამავე დროს, დემეტრე II-ის ურდოში დაღუპვის შემდეგ ტახტი დავით ნარინმა ჩაიგდო ხელში, რომელიც, მართალია დემეტრეს ძმა და ე. ი. ვახტანგის ბიძა არ ყოფილა, მაგრამ მაინც ბიძად ეკუთვნოდა ვახტანგს, ვინაიდან იყო რუსუდანის მემკვიდრე, ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი.

ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დემეტრე II იხმეს ურდოში ხუტლუბუღას რჩევით, ყაენმა დააპატიმრა იგი და მოაკვლევინა, რათა საქართველოს მეფობა მიეცა დავით ნარინისათვის, იმ მიზნით, რათა ყაენს საქართველოს ორივე ნაწილი დამორჩილებოდა.

---

[34] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

[35] ასეა გაგებული ეს ადგილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში. იხ. „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 443.

[36] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტლუბუღამ, მართლაც, გადმოიყვანა დავით ნარინი მისი ძით, რომელსაც ასევე ვახტანგი ერქვა (ვახტანგ II) და ეს უკანასკნელი გაამეფეს კიდეც.

მეტად ნიშანდობლივია ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ როდესაც დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს, ძე მისი „ვახტანგ იყო მთიულეთს“[37]. „ძეგლი ერისთავთას“ თანახმადაც მეფის მცირეწლოვანი ვაჟი ვახტანგი ხომ შალვა ქვენიფნეველთან დარჩა და უკანასკნელი ზრდიდა მას, როდესაც თითქოს ბიძამ წაართვა მეფობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დემეტრეს სიკვდილის შემდეგ, როდესაც მისი უფროსი ვაჟი დავითი ურდოში დარჩა და ტოჩარ ნოინთან იმყოფებოდა, ხოლო უმცროსი ძე გიორგი წაყვანილი ჰყავდა მის პაპას — ბექას[38], საქართველოს ტახტის პრეტენდენტად მართლაც შეიძლებოდა გამოსულიყო ვახტანგი (დემეტრეს ძე). ამდენად „ძეგლი ერისთავთას“ განცხადება, რომ მას წაართვეს ტახტი, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

ამრიგად, თუ შევჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ჟამთააღმწერლის ცნობების მოშველიებით „ძეგლი ერისთავთას“ მოტანილ თხრობაში შემდეგი შინაარსი შეიძლება ჩაიდოს: ტექსტში მეფე დემეტრე II-ზე და მის ძეზე, ვახტანგზეა (შემდეგში ვახტანგ III) ლაპარაკი. ეს უკანასკნელი, ორივე წყაროს თანახმად, დემეტრეს დასჯის დროს მთიულეთში იმყოფებოდა. მეფე დავითი, რომელმაც „ძეგლი ერისთავთას“ თანახმად წაართვა ვახტანგს მეფობა, უნდა იყოს დავით ნარინი (ძეგლის მიხედვით, ვახტანგის ბიძა), რადგან ამ უკანასკნელმა, მონღოლთა პოლიტიკის შესაბამისად და მათი დახმარებით, მართლაც, დასვა მეფედ ქართლში თავისი შვილი ვახტანგი (ვახტანგ II-დ ცნობილი).

„ძეგლი ერისთავთას“ ზემოგანხილული ადგილი, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას ისიც გავარკვიოთ, თუ რეალურად რომელი მეფის დროს მოხდა ქვენიფნეველთა გვარის განდიდება ცხრაძმისხევში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს არ შეიძლება მომხდარიყო XIII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე. ამ საფუძველზე გამოირიცხა კიდეც დავით კურაპალატი ან რომელიმე სხვა დავითი XIII ს-ზე უფრო ადრე დროისა. მართალია, დავით ბაგრატიონში, რომელსაც ძეგლი მიაწერს ქვენიფნეველთა განდიდებას, შესაძლოა დავით VII ულუ გვევარაუდა, მაგრამ საეჭვოდ გვეჩვენება, რომ მის დროს, მონღოლთა შემოტევის პირობებში, სამეფო ხელისუფლებას ჰქონოდა რეალური შესაძლებლობა მთაში თავისი პოზიციები განემტკიცებინა და ქვენიფნეველთათვის მფარველობა გაეწია. ამდენად, დავით ბაგრატიონი, როგორც ადრე უკვე ითქვა, იუსტინიანეს მსგავსად, ძეგლის ავტორის მიერ აბსტრაგირებული პიროვნება უნდა იყოს, რომელიც საერთოდ ქვენიფნეველთა მფარველ სამეფო ხელისუფლებას განასახიერებს. ერთადერთი რაც შეგვეძლო გვევარაუდა არის ის, რომ დავით VII-ს დროს ხდება როსტომის და მისი რაზმის გადმოსვლა და დამკვიდრება ცხრაძმისხევში. ქვენიფნეველთა განდიდების დასაწყისი კი უფრო დემეტრე II-ის დროიდან უნდა ვიგულისხმოთ, რაზედაც გარკვეული მითითება თვით „ძეგლის ერისთავთაშიც“ არის (თუ მივიღებთ ჩვენს ინტერპრეტაციას). ქვენიფნეველი შალვა ხომ იყო გაზრდილი დემეტრე II-ისა „პატივითა მამათა მათთაჲთა“, ხოლო, თავის მხრივ, დემეტრეს მცირეწლოვანი ძე ვახტანგი იზრ-

[37] „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 292—293.

[38] იქვე, გვ. 293—294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა ქვენიფნეველის სახლში. როდესაც დემეტრე მოკლეს ურდოში — „მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისისაჲ, არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას“. ასეთი დამოკიდებულება მეფესა და ქვენიფნეველთა საგვარეულოს შორის უნდა მიუთითებდეს პატრონისა და ქვეშევრდომის იმდენად ახლო ურთიერთობაზე, რაც, ბუნებრივია, სათანადო წყალობაშიც უნდა გამოხატულიყო.

მაგრამ „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით განსაკუთრებული პატივი შალვას, როგორც ზემოთ დავინახეთ, დასდო დავით მეფემ.

უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ ამ დავითში დავით VIII უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ჟამთააღმწერლის ცნობების თანახმად დაჯდა საქართველოს სამეფო ტახტზე მონღოლთა წყალობით, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მეფობა ეპყრა ვახტანგ II-ს (დავით ნარინის ძეს). ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დავით VIII გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთპიროვნული მმართველი.

ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ირკვევა, რომ დავით VIII-ს თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავის ძმასთან ვახტანგთან. იგი მას ჩრდილოეთის ულუსშიც კი აგზავნის ელჩად თოხთა ყაენის გადმოსაყვანად. მაგრამ შემდეგ ეს ურთიერთობა ფუჭდება. ვახტანგი შერისხული ჩანს და პატიმრობაშიც კი იმყოფება[39]. ეტყობა მასში დავითი ხედავდა პოტენციალურ პრეტენდენტს სამეფო ტახტზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ვახტანგის მხარეზე ყოფილიყო მისი აღმზრდელი ქვენიფნეველი შალვა, რომლის გულის მოგებას და, ეტყობა, თავის მხარეზე გადაბირებას ცდილობდა სწორედ დავითი.

საყურადღებოა, რომ ცნობა დავითის მიერ შალვა ქვენიფნეველისათვის წყალობის მინიჭებისა და ამ უკანასკნელის მხრივ დავითისადმი ურჩობის გამოჩენის შესახებ დაცული აქვს ჟამთააღმწერელსაც, რომელიც მოგვითხრობს: „მაშინ ქვენიფნეველი შალვა გამოექცა მეფესა, აღსავსე ნიჭითა მიერ მისითა, რომელნი მას ჟამსა მიენიჭნეს. არა მოიკსენა წყალობა ეგოდენი, და მიუვიდა ხუტლუბუღა ნიონთანა“[40]. ამ უკანასკნელმა დიდად განიხარა და გამოიყენა შალვა ქსნის ხეობაში ლაშქრობისას.

ცნობილია, რომ საბოლოოდ ვახტანგ დიმიტრის ძეც მიუვიდა მონღოლებს და მეფობაც მიიღო მათგან, რადგან დავით VIII (მისი ძმა) ურჩობას უწევდა ყაენს. ამდენად, ამ მხრივაც „ძეგლის ერისთავთას“ და ჟამთააღმწერლის ცნობები ემთხვევა ერთმანეთს. ორივე წყაროს თანახმად ვახტანგი მიდის ურდოში, ხოლო „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, მას ურდოში შალვაც ახლავს, რაც სავსებით შესაძლებლად გვეჩვენება.

„ძეგლი ერისთავთამ“ ასახა დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის მეტოქეობის ამბავიც. ძეგლის თანახმად, დავითი აოხრებს შალვას მამულს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა“[41]. ჩანს, აქ საუბარია ვახტანგის მონღოლთაგან დაბრუნებისა და დავითთან შებრძოლების შესახებ. ძეგლის თანახმად, ვახტანგი გამოიყვანს გუელეთს გამაგრებულ დავითს და უბოძებს ჯავახეთს და ალასტანს, ხოლო შალვა იმორ-

---

[39] „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 302, 307—308.

[40] იქვე, გვ. 305.

[41] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

ჩილებს დავითის მომხრე მთიულებს და აოხრებს დვალეთს. ამას მოყვება ცნობა შალვას შემდგომი განდიდების შესახებ: „მაშინ წარვიდა ყოველნი სპანი სპარსთაჲ. მაშინ მეფემან (ე. ი. ვახტანგ III-მ — ე. ხ.) მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჯუეთი, ჯანდოჲ, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი... აწერისჯევი, ბეჯუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა“[42].

ჟამთააღმწერელთან შალვა ქვენიფნეველის, დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის ურთიერთობის ამბავი დეტალებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი, თუმცა ძირითადი სიუჟეტი (დავითისა და ვახტანგის მეტოქეობა და ამ უკანასკნელის მხარეზე შალვას გადასვლა) აქაც აისახა. აქ ჯერ ქვენიფნეველ შალვას დავითისადმი ორგულობაზე, ხუტლუბუღასთან წასვლაზე და ამ უკანასკნელის ქსნის ხეობაში ლაშქრობაზეა საუბარი, შემდეგ კი — დავითის მხრივ ვახტანგის შევიწროვებასა და ამ უკანასკნელის ურდოში გამგზავრებაზე. ამასთან, ჟამთააღმწერლით გამოდის, რომ ქვენიფნეველი იძულებული შეიქმნა ხლებოდა დავით მეფეს და პატიება ეთხოვა მისთვის, რადგან ამ წყაროს მიხედვით, დავითს ჰქონდა უპირატესობა ქართლში და, კერძოდ, მთიანეთში, ხოლო ვახტანგ III ფაქტიურად ფლობდა თბილისს და ქვემო ქართლს: „და ვითარცა დაამტკიცა მეფობა ვახტანგისი, რამეთუ ყაზანმან ჴელთ-უდვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე, ხოლო არა წინაღუდგებოდა ძმასა თჳსსა დავითს...“ ამავე დროს მთიულეთი და ქართლი დავითის ხელში ჩანს: „ზაფხულს მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“ — გვაცნობებს ჟამთააღმწერელი[43].

როგორ უნდა გავიგოთ „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა მისცა დავითს ალასტანი და ჯავახეთი, ამაზე პასუხის გაცემა ამჟამად ჩვენთვის ძნელია. ნიშანდობლივი კი ის არის, რომ ისევ ჟამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგის და დავითის სიკვდილის შემდეგ პირველი დმანისს იქნა დამარხული, ხოლო დავითი — მცხეთას[44], რაც იმაზე მიუთითებს, რომ შიდა ქართლში უპირატესობა დავითს ჰქონია.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ამჟამად მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორს და ჟამთააღმწერელს ვახტანგის და დავითის ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდი აქვთ წინ წამოწეული. ამ დეტალებში გარკვევა დასახელებულ წყაროთა შემდგომი კრიტიკული კვლევის შედეგად თუ შეიძლება. ამჟამად კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ მთელი მოტანილი მასალა მეტყველებს ქვენიფნეველთა გვარის განდიდებაზე დემეტრე II-ის, დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის დროს, ე. ი. არაუადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისისა.

თუ გავითვალისწინებთ ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა დამკვიდრების ვითარებას, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში მონღოლთა შემოტევის პერიოდში თავდაპირველად ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაკარგა თავისი ძველი პოზიციები მთაში, კერძოდ, ამ შემთხვევაში ქსნის ხეობის ზემო ნაწილში — ცხრაძმისხევში, რითაც ისარგებლეს ახალმა ფეოდალურმა ძალებმა —

---

[42] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., გვ. 348.

[43] „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 310, 316.

[44] იქვე, გვ. 322—323.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომისა და მისი ძმების სახით და მოახერხეს აქ გაბატონება. მაგრამ დრო-თა ვითარებაში სამეფო ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს თავისი გავლენა ამ მხარეში, სადაც ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო მომხდარი. ეს გამოიხატა ძალაუფლების სათავეში ახალი სოციალური ძალების მოქცევაში. სამეფო ხელისუფლებას ისღა დარჩენოდა, რომ ეცნო ეს ძალები და თავის სამსახურში ჩაეყენებინა ისინი.

საკუთრივ „ძეგლი ერისთავთას“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ კი უნდა ითქვას, რომ ტექსტის პირველი ნაწილის კრიტიკული ანალიზი და შედარება სხვა წყაროების მონაცემებთან ადასტურებს იმ მკვლევართა თვალსაზრისის სისწორეს, რომელნიც ძეგლის პირველ ნაწილს მიიჩნევენ ტენდენციურად აგებულ და ისტორიული ფაქტების გადმოცემისას შინაგან ლოგიკურ კავშირს მოკლებულ თხრობად. ამ ნაწილში აირეკლა და გვიან გადამუშავებული სახით წარმოგვიდგა ხალხში დარჩენილი თუ წერილობითი ტრადიციით შემონახული გადმოცემები, რომელნიც ახლად დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოს მიერ იქნენ გამოყენებული (შესაძლოა, გაზვიადებული და ნაწილობრივ შევსებული სახით) გვარის სიძველისა და დიდების დასადასტურებლად. ავტორის მიზანს უთუოდ შეადგენდა დაემტკიცებინა ქსნის ხეობაში, კერძოდ, ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა დამკვიდრების და განდიდების სიძველე. ყოველივე ეს ძეგლის ავტორს არა მარტო გადააქვს იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაში (ე. ი. VI ს.), არამედ მის სახელსაც უკავშირებს გვარის თავდაპირველ დაწინაურებას. მაგრამ ძეგლის ავტორის ისტორიული საბუთიანობა ძალზე ნაკლულია, ხოლო გადმოცემული ფაქტების თანამიმდევრობა არეულია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას, ჯერ ერთი, არ ჰქონია ხელთ უფრო დეტალური და დამაჯერებელი მასალა, ხოლო, მეორეც — კიდეც რომ ჰქონოდა მეტი ცნობები საქართველოს ადრეული ხანის ისტორიულ მოვლენათა შესახებ, მათი ხელოვნური მიყენება ქვენიფნეველთა გვარის წარსულისადმი, მაინც ვერ იქნებოდა ბუნებრივად გამართული და დამაჯერებელი.

იმის გამო, რომ ძეგლი ქვენიფნეველთა განდიდებას საბოლოო ანგარიშში უკავშირებს სამეფო ხელისუფლებას, და არა მარტო იუსტინიანეს, არამედ ბაგრატიონთა გვარის ქართველ მეფეებს, ჩვენ აქ არა გვაქვს საფუძველი დავინახოთ ტენდენცია ერისთავთა მხრივ თავისთავის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებისა, რაც სეპარატიული მიზნებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი. ასეთი ტენდენცია უნდა გაჩენილიყო უფრო გვიან — ქსნის სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ. აქ კი საქმე გვაქვს მხოლოდ ცდასთან — ეჩვენებინათ ქვენიფნეველთა გვარის სიძველე, ამ ფეოდალურ საგვარეულოს ავტორიტეტის გაზრდის მიზნით, რაც, ჯერჯერობით, სხვა ნიშნებთან ერთად, მხოლოდ ამზადებს ნიადაგს სათავადოს ჩამოყალიბებისათვის.

„ძეგლი ერისთავთაში“ ასახული ისტორიული მოვლენები, კერძოდ, ქვენიფნეველთა დამკვიდრება და გაერისთავება უნდა განვიხილოთ, როგორც მთაში ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავების პროცესი, რამაც ბოლოს მიგვიყვანა ჯერ თავისუფალ მეთემეთა — „ერის“ დაყმევებამდე და შემდეგ კი გვიან-ფეოდალურ საქართველოსათვის დამახასიათებელ ერთეულის — სათავადოს შექმნამდე. მაგრამ, ეს როგორც ითქვა, იყო ფეოდალიზაციის არა პირველადი, არამედ უკვე მეორადი პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური პროცესები საქართველოს მთის ნამდვილეში დასტურდება სხვაგანაც, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — სვანეთში, მხოლოდ რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში, რამაც იქ თავისებური შედეგიც გამოიღო. როგორც ცნობილია, ბალსზემო სვანეთში დაახლოებით იგივე დროსა და პირობებში (იგულისხმება ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტება) თემმა შეძლო თვითორგანიზაცია უკვე ფეოდალურ საწყისებზე და თავისუფლების შენარჩუნებაც კი[45]. თუმცა ამას ყველგან არ ჰქონია ადგილი და ეს არც ცხრაძმისხევში მოხერხდა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროცესების შედარება გვაძლევს შესაძლებლობას აქ ბევრი საერთო დავინახოთ და საქართველოს მთის განვითარების ზოგადი სურათიც წარმოვიდგინოთ მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე.

Э. В. ХОШТАРИА (БРОССЕ)

## ИНТЕРПРЕТАЦИЯ НЕКОТОРЫХ РЕАЛИЙ «ПАМЯТНИКА ЭРИСТАВОВ»

Резюме

Критическое изучение и сопоставление «Памятника эриставов» с соответствующими местами «Картлис цховреба», эпиграфическими и другими источниками, свидетельствуют, что первая часть памятника, содержащая рассказ об обосновании и возвышении рода Квенипневелни в Ксанском ущелье, является лишенным логической связи и достоверности в увязке исторических фактов повествованием, ставившим целью устарить историю рода Ксанских эриставов.

Анализ исторических реалий первой части памятника свидетельствует, что обоснование рода Квенипневелни в Ксанском ущелье, а затем установление здесь эриставской власти следует рассматривать не как первичный процесс социальной диференциации общества и выделения родовой знати, а как приход к власти с конца XIII столетия военно-аристократической верхушки в обществе, достигшем ранее (в период становления и могущества грузинского феодального государства) определенной ступени феодализации.

Отмеченный процесс находит объяснение в том, что в условиях монгольского засилья и начала распада грузинского феодального государства, в Ксанском ущелье, как одном из горных регионов страны, со специфической общественной структурой, происходит нарушение установившегося ранее, в период могущества центральной власти (X—XII вв.), равновесия общественных сил, что выразилось в акти-

[45] იხ. ედ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემების შუქზე. კრებული: „სვანეთი, II“, კომპლექსური შესწავლის მასალები, თბ., 1979.

визации и самоорганизации, в некотором смысле, на первых порах «общинных» элементов в лице «эри», а в последствии в «передаче» зависимой ранее от царской власти феодализированной церковной общиной управления аристократическому роду, обладающему благодаря военной силе способностью выполнять организующую функцию и стремившемуся к власти, что послужило основанием для дальнейшего его социального возвышения.

Вторая часть «Памятника эриставов», повествующая о событиях с последней трети XIII в., несмотря на некоторые неувязки фактического характера в начале, в смысле достоверности изложения в целом внушает доверие, находя подтверждение в соответствующих местах «Картлис цховреба» (в частности, в сочинении Жамтаагмцерели). Судя по реалиям этой части памятника, опирающейся, по-видимому, на устные предания и записи хроникального характера, а в заключении содержащей личные наблюдения автора, возвышение рода Квенипневелни в качестве эриставов Ксанского ущелья уже связывается только с царской властью, в период некоторого усиления последней. Община-же в лице «эри», как активная сила, здесь постепенно стушевывается и вовсе исчезает со сцены, что свидетельствует о процессе углубления феодализации и создания условий для образования здесь впоследствии характерной для феодальной Грузии сеньории («сатавадо»).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა აბულაძე

# სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს

სტამბულში, მინისტრთა საბჭოს არქივში (Başbakanlık Arşivi), 527 ნომრით დაცულია მცირე არტაანისა და ყარსის ლივების იჯმალ დავთარი دفتر لواء اردهان قارص ولوﺀ كوچك—შედგენილი ჰიჯრით 981 წელს (1574 წ.). ხელნაწერის 10v—სა და 11 r-ზე დავთრისაგან განსხვავებული ხელით ჩამოწერილია გორის, თბილისის, დმანისისა და ლორეს ციხეების გარშემო მდებარე 106 სოფლის სახელი, შემდეგ კი დაწერილია ქართლის მეფის სიმონ I-ის ხელმოწერით არზა ორი დამოუკიდებელი საბუთის სახით.

სიმონ მეფე, რომელმაც თავისი თავდასხმებით ოსმალები დიდ გასაჭირში ჩააგდო[1] და, როგორც ოსმალური წყაროები წერენ, „დაუნდობელმა, უსაზღვროდ ვერაგმა“[2], „გაიძვერა და წყეულმა»[3] „ისლამის ლაშქარი დიდად შეავიწროვა და რამდენი ათასი ვინმე მისი ხელით მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა“[4] (عسكر اسلامه زياده اهانت ايدوب نچه بيك كمسنه‌لر الندە شهيد اولوب), ახლა სულთნის უავგუსტოეს კარს სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცება. თან ითხოვს, რომ თავად მას და მის აზნაურებს ჩამოთვლილი სოფლებიდან რამდენიმე განუწესონ სარგოდ. ცდილობს ოსმალთა სიფხიზლის შესუსტებას და არწმუნებს მურად III-ს ყური არ დაუგდოს სიმონის მაბეზღარ ბოროტმზრახველთა ავ სიტყვებს.

როგორც შინაარსით, ისე დაწერილობით ეს ორი გვერდი მცირე არტაანისა და ყარსის ლივების დავთრის ორგანული ნაწილი არ არის, მაგრამ არც შემთხვევითაა აქ მოხვედრილი. ცნობილია ისტორიული მიმართება ყარსისა და, მით უფრო, არტაანისა[5] საქართველოსთან. თვით ოსმალურ წყაროებში არტაანის ცი-

---

[1] F. Kırzıoğlu, Osmanlıların Kafkas Ellerini Fetihi (1451—1590), ანკარა, 1976, გვ. 294.

[2] ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, ნაიმას ერთი ცნობის განმარტება: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 55.

[3] გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელანიქი საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, თბ., 1960, გვ. 267.

[4] Atsız, Osman. Tevarih-i Cedid-i Mirat-i Cihan, სტამბული, 1961, გვ. 51.

[5] არტაანის მხარე ოსმალური წყაროების მიხედვით 1551 წელს მიიტაცეს ოსმალებმა, ქართული ქრონიკებით კი — 1553 წელს.

ხე საქართველოს კარებად იხსენიება[6] (اردهان اولان قلعه كرجستان دهان). ძეგლის მეორე გვერდზე დავთარი გურჯისტანის ვილაეთის ლივების იჯმალ დავთრად იწოდება — اين مجمل دفاتر الوية ولاية كرجستان; მეცხრე გვერდზე კი დასახელებულია გურჯისტანის მდივანი (აღმწერი) كرجستان محررى خير الدين دفترلرى ايله در دولته كلوب 'გურჯისტანის მდივანი ხეჱრ-ედ-დინი დავთრებით მოვიდა სულთნის სასახლეში', ბუნებრივია, კანცელარიის მოხელემ სიმონ მეფის არზა საქართველოსთან დაკავშირებულ მასალაში ჩადო.

დოკუმენტს არზას ჩვენ ვუწოდებთ შინაარსის მიხედვით, თორემ დიპლომატიკური თვალსაზრისით საკმაოდ გაუმართავი საბუთია. ჯერ სოფლებია ჩამოთვლილი, მერე კი მცირე პრეამბულის შემდეგ იწყება naratio. ოსმალური არზებისათვის ნიშანდობლივი მას მხოლოდ ესჭატოკოლი აქვს. რაღაც უხერხულობა, ჩანს, დოკუმენტის შემდგენელმა თავად იგრძნო, ამიტომ საქმიანი ტონით დამძიმებულ არზას მეორე აახლა, თუმცა ამ უკანასკნელის დაბეჭდითებით პირველის ვარიანტად მიღება გაჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ხელითაა შესრულებული: სოფლების სია დაწერილია ნასთალკისებური ნასხით, ერთი არზა დივანით, მეორე კი ნასთალკით. იქნებ, ეს არის დოკუმენტის პირი, ან არადა მასალა, რომლის მკაცრი ოსმალური დიპლომატიკური წესებით გამართვა ივარაუდებოდა, ვიდრე ის ადრესატს ჩაბარდებოდა. ერთი ცხადია — იგი შედგენილია ოსმალოს მიერ, მაგრამ საქართველოში, სადაც ოსმალურ სამდივნოს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ძალა და ტრადიცია.

დოკუმენტს თარიღი არ უზის. თურქი ისტორიკოსი Fahretın Kırzıoğlu თავის სადოქტორო ნაშრომში „ოსმალების მიერ კავკასიის ქვეყნების დაპყრობა (1451—1590 წწ.)" ორჯერ უთითებს სიმონ მეფის არზაზე. წიგნის ბოლოს კი საქართველოს ისტორიისათვის ფასეულ სხვა დოკუმენტებთან ერთად აქვეყნებს (ლათინური შრიფტით) აღნიშნულ დოკუმენტს და წერს, რომ ეს არის სიმონ ხანის ბეჭდიანი არზა ჰიჯრით 998 (1589) წლისა (Simon (Mahmud) Hanın mühürlu arzı H. 998 (1589)[7]. შემდეგ აგრძელებს: verso-ზე ორ ადგილას ოვალური ბეჭედია წარწერით „მონა სიმონი" (arkasında iki yerde beyzi biçimindeki mühür yazısı El'Abd Simon)[8].

ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტის მხოლოდ მიკროფირი. აქ გადაღებულ გვერდებზე კი არც ბეჭედია და არც თარიღი, მაგრამ არის სიმონ მეფის ხელმოწერა بنده سيمون სწორედ ოვალური ფორმისა. ასე რომ, დაბეჭდითებით არ ვიცით დოკუმენტს სად უზის თარიღი. მაგრამ ქართული და უცხოური ნარატიული წყაროების, ისტორიული დოკუმენტებისა და ამ ხანის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ჩვენთან გამოქვეყნებული არზა, მართლაც, 1589 წლისა უნდა იყოს.

შაჰ-აბას I-მა ძალის მოკრების მიზნით ტახტზე ასვლისთანავე (1587 წ.)

---

[6] نصرتنامه ، عالى ვენის ბიბლიოთეკის ხელნაწერი, 63r.

[7] F. Kirzıoğlu, გვ. 392.

[8] იქვე, გვ. 447.

მოინდომა ოსმალეთთან დაზავება, 1588 წელს საგანგებოდ ამ მისიით ელჩი გაგზავნა სტამბულში[9].

შექმნილი საშინაო და საგარეო მდგომარეობა — გლეხთა აჯანყება, რუსეთის დაინტერესება ამიერკავკასიით, ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ოსმალეთსაც აიძულებდა დაზავებოდა ირანს. ასეთ ვითარებაში სიმონ მეფემ, რომელმაც თავის დროზე „ქართლს ხმალი შეარტყა“ და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „გაეწირა თავი და ქორფა შვილი, დაეღვარა სისხლი ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე; ვიდრე პირში სული ედგა, ხელი არ აეღო ოსმალების წინააღმდეგ ომზე“[10], ახლა „სწორედ შეაფასა ყიზილბაშთა მდგომარეობა, მათგან დახმარებისა და შეწევნის მიღებაზე გული გაუტყდა, ბედს მიენდო და ხელი აიღო ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე“[11].

1588 წელს, როცა ირანსა და ოსმალეთს შორის წინასწარი შეთანხმება მოხდა, სიმონ მეფე დაეზავა ოსმალებს[12]. ზავის მიხედვით ოსმალეთი ინარჩუნებდა დაპყრობილ ტერიტორიას „ბატონი სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრა ციხეები ურუმთ ეჭირა“[13]. ქართლი ოსმალეთს მოხარკეობის საფუძველზე დაექვემდებარა. მაგრამ სიმონ I ზავის პირობების ზედმიწევნით დაცვას არ აპირებდა. მან ხერხი იხმარა და სულთან მურად III-ს მორჩილად სთხოვა, რომ ოსმალთა გამგებლობაში მყოფი გორის, თბილისის, დმანისისა და ლორეს ციხეთა გარშემო მდებარე სოფლები წყალობის სახით სარგოდ მისცემოდა მასა და მის აზნაურებს. ჩანს, ეს თხოვნა მას თავხედობაში ჩამოართვეს სულთნის კარზე და პასუხად მურად III-მ რჩევა-გაფრთხილების ფირმანი გამოუგზავნა, რომელშიც წერდა: „შენ ხშირად მორჩილებიდან გამოდიხარ, ციხეში მომსვლელებსა და სხვა გამვლელ-გამომვლელებს ავიწროებ, და, გარდა ამისა, აქაო და მე მოხარაჯე ვარო, ციხესთან ახლო მდებარე ნათესებიდან უშურს ითხოვ და ამბობ, რომ ციხეების გარშემო განლაგებული ჩემი სამეფო და უძლიერესი ჯარის მიერ დაპყრობილი სოფლები და ნათესები უწინდელივით ჩემს მფლობელობაში უნდა იყოსო, ჩხუბობ და საქმეში ერევი... ასეთი ვითარების შექმნა ეწინააღმდეგება ჩვენს მიზანდასახულობას“[14]. ეს ფირმანი დათარიღებულია 1589 წლით[15], შესაბამისად სიმონ მეფის არზაც არ შეიძლება 1589 წელზე გვიანდელი იყოს.

ქართლის დაკავების შემდეგ (1578 წლის აგვისტო) ოსმალებმა გორი სანჯაყად აქციეს და თბილისის საბეგლარბეგო დაარსეს. ბეგლარბეგად კასტამუნიის სანჯაყბეგის სოლაკ ფერჰად ფაშას ძე მეჰმედ ფაშა დანიშნეს ათჯერ ასი ათასი ახჩით[16].

---

[9] ი. გიუნაშვილი, მ. სვანიძე, შაჰ-აბასი (ისტორიული დოკუმენტებისა და მიმოწერის კრებული) გამოსცა დოქტორ ჰოსეინ ნავაიმ, ტ. I, II, თეირანი, 1973, 1974, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1776 № 3.

[10] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 77.

[11] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 38—39.

[12] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 139.

[13] ფარსადან გორგიჯანიძე, საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 221.

[14] ს. ჯიქია, მ. სვანიძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1588—90 წწ., „მაცნე“, თბ., 1966, № 6, გვ. 230—234.

[15] იქვე, გვ. 229.

[16] نصرتنامه ، عالی 97г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური სოციალურ-ეკონომიური სისტემის დასამყარებლად, თავიანთი უცვლელი წესის მიხედვით, ოსმალები ქართლის აღწერას შეუდგნენ[17], მაგრამ, გვგონია, რომ მთლიანად ვერ აღწერეს. სიმონ მეფის ორლესული მახვილი ოსმალო მოხელეებს ქართლის სოფლების აღწერის საშუალებას არ მისცემდა. ოსმალები ალყაშემორტყმულ თბილისიდან გამოსვლას ვერ ახერხებდნენ — სიმონ მეფე ხან სად უხვდებოდა მათ და ხან — სად[18]. მეჰმედ ფაშამ მეციხოვნეებს სანოვაგის საშოვნელად გასვლა აუკრძალა ქართველთა შიშით. ჩვენს ვარაუდს სარწმუნოდ ხდის ი. ჰ. უზუნჩარშილის ნაშრომში — Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı, (ანკარა, 1948, გვ. 108) მოტანილი ცნობა: „ახლადდაპყრობილი ქვეყნის აღწერაში ჩაჩარება დაუშვებელია. დაპყრობილების მისანდობად უნდა შორსმჭვრეტელურად იმოქმედო. აი, სარდალმა ფერჰად ფაშამ, როგორც კი დაიპყრო საქართველო და აზერბაიჯანი, მისი აღწერა დააწყებინა, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რის გამო იძულებული გახდნენ თავი დაენებებინათ, ვიდრე ხალხის ნდობა არ მოიპოვეს“ (ისტორიკოსი ემყარება 1588 წლის ამბების შემცველ „მუჰიმე დავთარს“).

ვფიქრობთ, რომ მთელი ქართლის აღწერა ვერც შემდეგ მოახერხეს. არქივებში არ ჩანს მურად III-ის ზეობის დროინდელი თბილისის დავთარი. სტამბულში მინისტრთა საბჭოს არქივში დაცულია მხოლოდ ლორეს დავთარი (№ 769), შედგენილი 1595 წელზე უფრო ადრე[19]. ბულგარეთში, კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკაში დაცულია თავრიზის, თბილისის, განჯის, ერევნის, არტაანის, არტანუჯის, ახალციხის, ოლთისის, ჩილდირის, ნამირვანის, ტრაპიზონის, ბათუმისა და სხვათა თეზქერეების ძალზე დაზიანებული, მაგრამ მოზრდილი კრებული — № 167/13. ამათგან მხოლოდ 6 თეზქერე ეხება თბილისის საბეგლარბეგოს, კერძოდ, დმანისს — დათარიღებულია 1009 წლით (1600—01 წ.).

როგორც ცნობილია, დმანისსა და ლორეში უფრო მკვიდრად ჰქონდათ ოსმალებს ფეხი მოკიდებული, ვიდრე შიდა და ზემო ქართლში. მათ 1584 წელს ძველი ციხეებიც შეაკეთეს და ახალიც ააგეს დმანისში, სადაც 12000-ზე მეტი მეციხოვნე ჩააყენეს[20] და, როგორც ვახუშტი წერს, „მიერით მოოჯრდა“ იგი.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენს სიძველეთსაცავებში ამ ხანის ქართლის შესახებ არა სახის ოსმალური ოფიციალური დოკუმენტი არ იძებნება. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ფისკალური მიზნით ქართლის მთლიანი აღწერა ვერ მოხერხდა, რომ სიმონ მეფის ქვემოთ გამოქვეყნებული არზის შედგენის დროს „სრულად ქართლის“ დავთარი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, არ არსებობდა, და თუ არსებობდა, მას იურიდიული ძალა არ ჰქონდა ქართლის მეფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სულთნის უზენაეს სამეფო კარზე გაგზავნილ წერილში დასახელებული იქნებოდა ოსმალური სამხედრო ადმინისტრაციული ერთეულები: ვილაჯეთი, სანჯაყი, ლივა, ნაჰიჯე და არა ფეოდალური საქართვე-

---

[17] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ., 1971, გვ. 294.

[18] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, ტ. 99, თბ., 1962, გვ. 260—61.

[19] F. K ı r z ı o ğ l u, დასახ. წიგნი, გვ. 392.

[20] B e k i r K ü t ü k o ğ l u, Osmanlı-Iran Siyâsi Münasebetleri, I, 1578—90, სტამბული, 1962, გვ. 137.

ლოსათვის ნიშანდობლივი ციხე და მისი შემოგარენი; თითოეულ სოფელთან მითითებული იქნებოდა შემოსავალი და არ იქნებოდა მხოლოდ საჰელების ჩამოთვლა. აღარას ვამბობთ გამოთქმაზე „ჩემი აზნაურები“, რადგან სოციალური ფენების აღმნიშვნელი ქართული ტერმინები „თავადი“ და „აზნაური“ ბევრჯერ გვხვდება თვით სულთნის მიერ გაცემულ საბუთებში.

ქართველ მეფეთა და დიდებულთაგან გაგზავნილი წერილები ბლომადაა სტამბულისა და ანკარის საცავებში. მათგან ქართლის მეფის სიმონ I-ის არზა ერთი პირველთაგანია, რომელიც ჩვენთან ქვეყნდება. იგი რამდენადმე დააინტერესებს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის შემსწავლელთ. თბილისში ოსმალებმა ბეგლარბეგი დასვეს, მაგრამ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესი ვერ დაამკვიდრეს. სიმონ მეფე სულთანს სარგოდ სთხოვს ციხეების გარშემო განლაგებულ სოფლებს, მაგრამ ეს თხოვნა უფრო დიპლომატიური ნაბიჯი და ტაქტიკური ხერხია, ვიდრე ოსმალური სამხედრო ადმინისტრაციული სისტემის მიღება. ზავის პირობებს მოხერხებულად უგულებელყოფს მეფე და ცდილობს, რომ ქართლის შეუვალი მფლობელი ისევ თვითონ და მისი აზნაურები იყვნენ.

დოკუმენტი შეიცავს მცირე, მაგრამ საინტერესო მასალას როგორც ქართლის ისტორიული გეოგრაფიის, ისე ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შესასწავლად.

ქართული ტოპონიმები ფიქსირებულია თურქული ენის ფონემატური და ფონეტიკური სისტემის კვალობაზე. აქ ქართულ-ოსმალურ ბგერათა ისეთივე შესატყვისობაა, როგორიც გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში[21].

ქართულისათვის დამახასიათებელი მკვეთრები თურქულში გადმოცემულია შესაბამისი მჟღერებით: ტ> د (დ) ტინისხიდი قیت دینس დინისკით, თორტიზა> تورديزا თორდიზა, მუტავისი > مداويس მუდავის. კ> ك გრაკალი > كيراكال გირაგალ, კუმისი > كوميس გუმის, კრწანისი > كورزانيس გურწანის, კარალეთი > كرالیت გარალეთ, წავკისი > زوكيس ზავქისი, კრკოვანი> كيركووان გირგოვან. წ> ز წოდორეთი > زودورت ზოდორეთ, წყნეთი ایزقنت იზკნეთ, კრწანისი> كورزانيس გურზანის, ნაწრეტი > نازيرت ნაზრეთ.

ქართული ხ სპირანტი გადმოცემულია ადექვატურად خ ასოთი: ახალდაბა > اخلطبه, ახალშენი اخالشين, ხიდისთავი خديس‌او, ჯოხისი جوخيس, თხილვანა تخلونا; პარალელურად დასტურდება უკანაენისმიერი ხშული ق-ით გადმოცემის ფაქტიც: ტინისხიდი قیت‌دینس ტინისკით, ხელთუბანი > قيلتوبان კელთუბან, რეხა > ريقا რეკა.

ც და ძ აფრიკატები გადმოცემულია შესაბამისად س და ز ასოებით: კვირაცხოველი كوريسخول გურისხოველ, ვარძაგარა وركزه ვარზაგრა.

---

[21] ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, 1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, თბ., 1958. უფრო ვრცლად იხ. ს. ჯიქიას მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი IV, ქართული საკუთარი სახელების გადმოცემა თურქულ ტრანსკრიფციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარვალთანხმოვნიანი ქართული სახელი გადათურქულებულია ხმოვნის ჩართვით: გრაკალი > كیراكال გირაგალ, წყნეთი > ایزقنت იზკნეთ, კრწანისი > كورزانیس გურზანის, ანგრევანი > انكیروان ანგირევან, დმანისი تومانیس თუმანის, ჩინჩხორი > چنجوخور ჩინჯუხურ, კრკოვანი > كیركووان გირგოვან.

უკანაენისმიერი ღია ო ხმოვანი, როგორც წესი, თურქულ სიტყვაში მხოლოდ პირველ მარცვალშია, ამიტომაც საბურთალო თურქულად سبورتاله ფორმით წერია.

რამდენიმე შემთხვევაა ადგილობრივი გეოგრაფიული სახელის თურქულად კალკირებისა — ოქრომჭედლის სოფელი التونجی كندی, წითელი კლდე قزلقیا, ქვახვრელი دلكلوداش. ტაბახმელა გააზრებულია დაბალმელიქად. თარგმნილია ტოპონიმის ატრიბუტული ნაწილი: ძველი اسكی, დიდი بیوك, ზემო ან ქვემო გადმოცემულია შესაბამისად არაბული سفلا და علیا სიტყვებით. მხოლოდ სოფ. სობისთან არის შენარჩუნებული ქართული „ზემო“ და „ქვემო“ كومسوبیس და زمسوبیس ზემსობის და ქვემსობის[22].

დოკუმენტში, როგორც უკვე ითქვა, ფიქსირებულია გორის, თბილისის, დმანისისა და ლორეს 106 სოფელი. მათგან დმანისის მიდამოებში დასახელებული რამდენიმე და ლორეს ყველა სოფელი ამჟამად სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებშია, ძირითადად სტეფანავანის რაიონში, თითო-ოროლა კი — ალავერდისა და გუგარეთის რაიონებში[23]. თბილისის ციხესთან მიმდებარე სოფლებიდან 4 — საბურთალო, ლურჯი მონასტერი, ვეძისი, დიღმის დიდი ნაწილი — თბილისის ფარგლებშია. გორის ციხესთან ჩამოთვლილი სოფლებიდან, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, 5 — რუისი, ურბნისი, აგარა, სასირეთი და გრაკალი ქარელისა და კასპის რაიონებშია.

<u>اطراف قلعهٔ كوری</u>

قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ
اوربنیس رویس نامدیكر اوزون كوی ساسیریت سكاشیت توله‌توبان واریان

قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ  قریهٔ
اخلطبهٔ علیا اخلطبه سفلا اراشنده اخیلشین دینسقیت جكره‌شین بدابت سولنیت

---

[22] კირზიოღლუს ქართული გეოგრაფიული სახელები ზუსტად არა აქვს გახმოვნებული — ისეთებიც კი, რომლებიც თავის დროზე ოსმალო მოხელემ სწორად ჩაწერა: ასე მაგ. რუისი — Revis, თვალათუბანი Tuvalat-Uban, არაშენდა Araşende, ტინის ხიდი Dinkit, ბადაბეთი Bedayet, სველნეთი Solnet, გარეჯვარი Kerecuvar, შაშვები Saşup, ნაწრეტი Nazaret, ნადარბაზევი Nederbazu, ლურჯი მონასტერი Gürci Monaster, ლისი Lebis, თხილოვნა Tikhluna და ა. შ

[23] შდრ. Армянская ССР, Административно-территориальное деление, Ереван, 1971.

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
دیربوك ریقا کره‌جوار کرالیت توردیزا قیلتوبان زم‌سوبیس کوم‌سوبیس شاشوب

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
باظریت ندربازو اوازان صبادره دلکلوداش زکردا کیراکال کوخریل اکاره خدیس‌تاو

قریهٔ قریهٔ قریهٔ
کوه‌شاو جوخیس کوری‌سا

یکون قرعی عدد ۳۶

## اطراف قلعهٔ تفلیس

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
سبورتاله لورجی مناستر ایزقنت وجیس زوکیس دباغ‌ملیك تلیت علیا تلیت سفلا

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
کومیس خاصهٔ خان کورزانیس شندیس دوغام خاصهٔ خان لیس تخلونا زدورت اوبیت

یکون قرعی عدد ۱۶

## طراف قلعهٔ تومانس

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
قزل‌قیا بو کوریسخول تودیدیان بالیج شاه‌میران اوکن‌کور کیرکووآن

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
میرآبده شوه‌کام وآنه کورینجك ککریان وردیسوبان چنجوخور التونجی کندی

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
بوك تومانس ارمنیس مداویس لکلکه‌شین تاوکوت علیا تاوکوت سفلا ورزه‌کره

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
انکیروآن سماکیره قلم‌شان میجا تکنه اسکی تومانس بسلیت اخیلشین کوبوان

قریهٔ قریهٔ
دله‌ماشین کالدو

یکون قرعی عدد ۳۴

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
لجان درماتوه اکرك اشکوانك یقدانك اوهانیس قوقیس علیا قوقیس سفلا اغاکی

قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ قریهٔ
امیراکوز جکرهشین اکرك یصی کندی وارتهپلور کدات وهاکنی علیا وهاکنی سفلا

قریهٔ قریهٔ قریهٔ
قامیش کود زور کمح کرکر

یکون قرعی عدد
۲۰
جمعًا
۱۰٦

[1] رکاب همایونه خفی بیورلمیه که ذکر اولنان قلعهلرك اطرافنده اولان قریهلر بونلردر که [2] ذکر اولنور غیری یوقدر بو بندهلری اول استانهٔ معدلت پناهك خالص و مخلص [3] قولی اولماغله مفرداتیله دفتر اولنوب پایهٔ سریر اعلایه کوندرلمشدر اولکا دکل [4] جان و باش دخی اغور شهریاریده دریغ اولنماز اما قرآء مزبورهدن [5] بو قوللرینك و آزناورلرم بندهلرینك وجه معاشی ایچون نمقدآری صدقه اولنوب [6] و قلعهلره نه آلیقونلور ایسه رضای شریف پادشاهیه حوآله اولندی باقی فرمان درعدلکدر

بنده
سیمون
م

[1] والله و بالله و تالله و یکسر[?] که جمیع توابعمزیله سعادتلو و مروتلو پادشاه عالمپناه حضرتلرینك جان و دلدن خالص [2] و مخلص و بی ریا قوللری و بندهلری اولمشوزدر اولماکمز وار و اول آستانهٔ سعادت نشاندن دونمکمز یوقدر و هر خدمت که [3] بیورهلر مقدورمز اولنجه حیاتمز اولنجه جان و باشه تقصیر ایتمیوب اداسینه کوشش ایدروز مکر عیاذاً بالله دست ردیله [4] بو بندهلرینی اول درکاه عالمپناهدن دور و محروم بیورهلر امیدمز بودر که رضاء حق ایچون و سعادتلو و عزیز و شریف [5] باشلری ایچون که بو قوللرینی اول آستانهٔ سعادت نشاندن محروم بیورمیوب صاحب غرضلرنك بیهوده اقوالرینه [6] عمل بیورمه سونلر باقی امر و فرمان سعادتلو و مرحمتلو پادشاهمنکدر

بنده
سیمون

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი ურბნისი[1], სოფელი რუისი[2], მეორე სახელი ვრძელი სოფელი, სოფელი სასირეთი[3], სოფელი საქაშეთი[4], სოფელი თვალთუბანი[5], სოფელი ვარიანი[6], სოფელი ზემო ახალდაბა, სოფელი ქვემო ახალდაბა[7], სოფელი არაშენდა[8], სოფელი ახალშენი[9], სოფელი ტინისხიდი[10], სოფელი ჯარიაშენი[11], სოფელი ბადაბეთი[12], სოფელი სველნეთი[13], სოფელი დერბუკი[14], სოფელი რეხა[15], სოფელი გარეჯვარი[16], სოფელი კარალეთი[17], სოფელი თორტიზა[18], სოფელი ხელთუბანი[19], სოფელი ზემო სობისი, სოფელი ქვემო სობისი[20], სოფელი შავშვები[21], სოფელი ნაწრეტი[22], სოფელი ნადარბაზევი[23], სოფელი ავაზანი[24], სოფე-

---

[1] სასოფლო საბჭო ქარელის რაიონში.

[2] სასოფლო საბჭო ქარელის რაიონში.

[3] შედის ქარელის რაიონის ბრეთის სასოფლო საბჭოში.

[4] შედის გორის რაიონის ვარიანის სასოფლო საბჭოში.

[5] მდებარეობს დიდ ლიახვზე. იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 202.

[6] მაჩაბლის მამული იდ. დიდ ლიახვზე, არის ვარიანის სასოფლო საბჭო გორის რაიონში.

[7] ამჟამად გორის რაიონში ერთი ახალდაბაა, შედის ვარიანის სასოფლო საბჭოში.

[8] სოფელი გორის რაიონის ვარიანის სასოფლო საბჭოში.

[9] სოფელი გორის რაიონის ზედულეთის სასოფლო საბჭოში.

[10] ახლანდელი სოფელი ტინისხიდი გორის რაიონში.

[11] ტექსტში جكرەشين-ი წერია, რომლის ჯიგრაშენად წაკითხვა უფრო მართებულია, ვიდრე ჯარიაშენად, მაგრამ ჯიგრაშენი გორის რაიონში ვერ დავადასტურეთ, ამიტომ არჩევანი ჯარიაშენზე შევაჩერეთ, სოფელი გორის რაიონის ახალუბნის სასოფლო საბჭოში.

[12] ბადაბეთი კვერნაკშია „შაჰნავაზმა ფარსადანსა და მის შვილებს ბადაბეთსა და გორში მამულების წყალობა განუახლა“. იხ. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I (X—XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), თბ., 1964, გვ. 35; ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ქართულ-სპარსული საბუთები, თბ., 1955, გვ. 234.

[13] ახლანდელი სვენთი, გორის რ-ნის ბერბუკის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი.

[14] იგივე ბერბუკი: შდრ. Sd 179 და Hd 10203, ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე... გვ. 40, 72.

[15] სოფელი რეხა შედის გორის რაიონის ბერბუკის სასოფლო საბჭოში.

[16] გარეჯვარი ორია — დიდი და პატარა. შედის გორის რაიონის კარალეთის სასოფლო საბჭოში.

[17] სასოფლო საბჭო გორის რაიონში.

[18] თორტიზა, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში თორტეზი || თორტიზი ფორმითაც დასტურდება, შედის ბერბუკის სასოფლო საბჭოში.

[19] ცნობილი სოფელი გორის რაიონის ბერბუკის სასოფლო საბჭოში.

[20] ზემო და ქვემო სობისი შედის გორის რაიონის ზედულეთის სასოფლო საბჭოში. ტექსტში زمسوبيس ზემსობისი წერია. სწორედ ზემსობისი ფორმა დასტურდება ქართულ დოკუმენტებშიც: იხ. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, გვ. 97.

[21] ტექსტშია შაშვები.

[22] სოფელი ნაწრეტი შედის გორის რაიონის შავშვების სასოფლო საბჭოში.

[23] სოფელია შავშვების სასოფლო საბჭოში.

[24] ვახუშტი ასახელებს ზეგარდა, ნაწრეტ, ნადარბაზევ და ა. შ. სოფლებთან ერთად (გვ. 201) 1633 წლის საბუთში ნასახლარად იხსენიება, იხ. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საბერეთი[25], სოფელი ქვახვრელი[26], სოფელი ზეგარდა[27], სოფელი გრაკალი[28], სოფელი ქვაყრილი[29], სოფელი აგარა[30], სოფელი ხადისთავი[31], სოფელი ქვაშავი[32], სოფელი ჯოხისი[33], სოფელი გორისა[34].

სოფლების რაოდენობა 36.

თბილისის ციხის სანახები:

სოფელი საბურთალო[35], სოფელი ლურჯი მონასტერი[36], სოფელი წყნეთი[37], სოფელი ვეძისი[38], სოფელი წავკისი[39], სოფელი ტაბახმელა[40], სოფელი ზემო თელეთი, სოფელი ქვემო თელეთი[41], მეფის სახასო სოფელი კუმისი[42], სოფელი კრწანისი[43], სოფელი შინდისი[44], მეფის სახასო სოფელი დიღომი[45], სოფელი ლისი[46], სოფელი თხილოვანა[47], სოფელი წოდორეთი[48], სოფელი ობეთი[49].

სოფლების რაოდენობა 16.

---

[25] ტექსტშია საბადურე.

[26] ტექსტშია დელუქთამ, სიტყვასიტყვით გახვრეტილი ქვა, რაც სხვას არაფერს უნდა აღნიშნავდეს თუ არა სოფელ ქვახვრელს, ახლა სასოფლო საბჭო გორის რაიონში.

[27] სოფელია გორის რაიონის შავშვების სასოფლო საბჭოში.

[28] სოფ. გრაკალი შედის კასპის რ-ხის დოესის სასოფლო საბჭოში.

[29] ტექსტში كوخرل წერია, რომელიც შეიძლებოდა ქვახვრელად ამოგვეკითხა, მაგრამ ქვახვრელი უკვე დაასახელა დამწერმა, ამიტომ აქ სხვა სახელია მოსალოდნელი. ჩვენ „ქვაყრილი“ ვარჩიეთ. ასეთი სოფელი იხსენიება 1398 წლის საბუთში. იხ. ზ. ალექსიძე, შ. ბურჯანაძე, გვ. 222.

[30] აგარა საქართველოში ბევრია, ეს უნდა იყოს ქარელის რ-ნის აგარა.

[31] ახლა სასოფლო საბჭოა გორის რაიონში.

[32] ასეთ ტოპონიმს მცხოვრებნი ადასტურებენ ქარელის რაიონში.

[33] სოფელია ტანას ხეობაში. იხ. ვახუშტი, გვ. 198; ზ. ალექსიძე, და შ. ბურჯანაძე, გვ. 258.

[34] სოფელია ტანას ხეობაში, ვახუშტი, გვ. 198; იხსენიება როსტომ მეფის მიერ 1633 წელს გაცემულ წყალობის წიგნში. იხ. ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. 94.

[35] თბილისის შედარებით ახალი რაიონი, ქალაქს შეუერთდა 1917 წელს.

[36] ლურჯი მონასტერი მის გარშემო მდებარე მიწებით სოფლადაა ფიქსირებული, ჩანს, ასეც იყო. იგი XVIII ს-ში გაბაშვილების კუთვნილება ყოფილა (ახლა თბილისის ცენტრშია ლ. ქიაჩელის ქუჩის ბოლოს). ვრცლად იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ლურჯი მონასტერი, „ქართული ხელოვნება“, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 2, 1948. გვ. 91—110.

[37] წყნეთის სასოფლო საბჭო შედის გარდაბნის რაიონში.

[38] ახლანდელი კანდელაკის ქუჩა და მისი მიმდებარე ტერიტორია. იხ. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 68—69.

[39] წავკისი თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით გარდაბნის რაიონშია.

[40] შედის გარდაბნის რაიონში.

[41] თელეთი ახლაც ორია — ზემო და ქვემო, ორივე შედის გარდაბნის რაიონში.

[42] კუმისი თელეთის სასოფლო საბჭოს სოფელია გარდაბნის რაიონში.

[43] კრწანისი თბილისის მიდამოებშია, სამხრეთით. ვრცლად იხ. თ. ბერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 98—108.

[44] კოჯრის სასოფლო საბჭოშია გარდაბნის რაიონში.

[45] დიღომი ტექსტში დუღამი ფორმითაა. შდრ. ქართული ისტ. საბუთების დიღუამი || დიღვამი, ზ. ალექსიძე და შ. ბურჯანაძე, გვ. 75; დიღომის დიდი ნაწილი ქ. თბილისის ფარგლებშია. 1966 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დიღმის სასოფლო საბჭო აერთიანებს სოფლებს —თელოვანს, ვაშლაჯვარს, მუხიანს, ძველ ვეძისსა და დიდგორს.

[46] ლისის სასოფლო საბჭო შედის გარდაბნის რაიონში.

[47] ახლანდელი სოფელი თხინვალი ლისის სასოფლო საბჭოში.

[48] შედის გარდაბნის რაიონის ლისის სასოფლო საბჭოში.

[49] შეიძლება იყოს ისტორიული ობის ციხე: „ხოშაგირმის იქით არის ობის ციხე ველსა ზედა და აწ შემუსრილი და ამის ჩრდილოდ კერძ არს ტბა კუმისისა...,“ ვახუშტი, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმანისის ციხის სანახები:

სოფელი წითელი კლდე[50], სოფელი ბუ[ჩუკუნი][51], სოფელი კვირაცხოველი[52], სოფელი თავდიდიანი[53], სოფელი ბალიჭი[54], სოფელი შაჰმირანი[55], სოფელი უკან გორი[56], სოფელი კრკონი[57], სოფელი მარაბდა[58], სოფელი შავგომი[59], სოფელი ვანი[60], სოფელი გორინჯუკი[61], სოფელი ქაგარიანი[62], სოფელი ვარდისუბანი[63], სოფელი ჩინჩხორი[64], სოფელი ალთუნჯი ქენდი[65], სოფელი დიდი

---

50 ისტორიულ დოკუმენტებში დასახელებულია სოფელ ჯიგრაშენთან, იხ. ზ. ალექსიძე, შ. ბურჯანაძე, გვ. 281.

51 უნდა იყოს ბუჩუკუნი, დმანისის ხეობაში შაჰმირანის აღმ-ით, ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, თბ., 1935, გვ. 295.

52 დოკუმენტებშია კურიცხოველი, შდრ. ჩვენი ტექსტის კურისხოველ كوريسخول. ქართული ც აფრიკატის თურქულში س-(ს) ასოთი გადმოცემა სავსებით კანონზომიერია, შდრ. ცხუმი — სუხუმი; ცხროჭა—თ. სიხრუჯ. კვირაცხოველი მდებარეობს დმანისის ხეობაში, იხ. ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, თბ., 1935, გვ. 319.

53 თავდიდიანი მდებარეობს ბალიჭის ხევის მარცხენა მხარეზე, ვახუშტი, გვ. 192; ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 311.

54 შედის ბოლნისის რაიონის სას. საბჭოში, ვრცლად იხ. ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 289.

55 იგივე შამირანი, ბალიჭის ხეობაში, მარჯვენა მხარეზე, ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 364.

56 შედის დიდი დმანისის სას. საბჭოში. ვრცლად იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 8—24.

57 ტექსტშია კირკოვანი, რომელიც დაბეჭითებით მიგვაჩნია კრკონის გადათურქულებულ ფორმად, იგი მდებარეობს კვირაცხოველის დასავლეთით, შავგომის აღმოსავლეთით ბალიჭის მარცხენა მხარეზე, ვახუშტი, გვ. 192; ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 321.

58 ცნობილი სოფელი ალგეთის ხეობაში.

59 დაწერილობაში შავგომს ვკითხულობთ, რისკენაც გვბიძგებს სოფელი შავგომის მდებარეობა ბალიჭის ხეობაში მარცხენა მხარეზე. სოფელი ვანის სამხრეთით, იხ. ვახუშტი, გვ. 192; ი. ლორთქიფანიძე, გვ. 363.

60 ვანი მდებარეობს დმანისის ხეობაში ბალიჭის მარცხენა მხარეზე, ი. ლორთქიფანიძე, გვ. 307.

61 იგივე გორუნჯუკი სოფელი დმანისის აღმოსავლეთით. ვრცლად იხ. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა): შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 329.

62 მდებარეობს დმანისის ხეობაში. სოფელი ვანის დასავლეთით. იხ. ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 354.

63 შედის დმანისის რაიონის დიდი დმანისის სასოფლო საბჭოში. მდებარეობს მდ. მაშავერას მარცხენა მხარეზე, იხ. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 324—25.

64 იგივე ჩინჩახური || ჩინჩხაური || ჩინჩხური სოფელი ფინეზაურის მარჯვენა მხარეზე. ვრცლად იხ. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი... გვ. 323; 1586 წ. სვიმონ I სოფ. ჩინჩხორს სწირავს დმანისის ეკლესიას, იხ. ვლ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 25.

65 ალთუნჯი ქენდი იგივე ოქრომჭედლის სოფელი ტაშირისწყლის მარცხენა მხარეზე. იხ. ი. ლორთქიფანიძე, წიგნი I, II, გვ. 337—338.

დმანისი[66], სოფელი არმანისი[67], სოფელი მუტავისი[68], სოფელი ლაკლაკაშენი[69], სოფელი ზემო თაგუთი[70], სოფელი ვარძაგარა[71], სოფელი ანგრევანი[72], სოფელი სამაგარა[73], ყალამშა[74], სოფელი მიჯა[75], სოფელი თეკენა[76], სოფელი ძველი დმანისი[77], სოფელი ბოსლეთი[78], სოფელი ახალშენი[79], სოფელი ქვაბევანი[80], სოფელი დილმაშენი[81].

სოფლების რაოდენობა 34.

ლორეს ციხის სანახები:

სოფ. ლეჯანი[82], სოფელი დერმათუთ (?), სოფელი აგარაკი[83], სოფელი აშკვანქი[84], სოფელი იაგდანი[85], სოფელი ოჰანესი[86], სოფელი ზემო კუკისი, სოფელი ქვემო კუკისი[87], სოფელი აღაგი[88], სოფელი ამირაგოზი (?), სოფელი ჯიგრა-

---

66 დიდი დმანისის შესახებ ვრცლად იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა.

67 არმანისი || არმანი სოფელია ტაშირში. იხ. ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 274. ახლა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში, სტეფანავანის რაიონშია, იხ. Армянская ССР, Административно-территориальное деление, Ереван, 1964, გვ. 185.

68 იგივე მუტაისი, სოფელია ფინეზაურის მარჯვენა მხარეზე, იხ. ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 332; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 323.

69 მდებარეობს ფინეზაურის ხეობაში. ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 322.

70 იგივე თაგუეთი || თაგოეთი || თავგუთი ფინეზაურის ხეობაშია, ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 193; ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 311.

71 მდებარეობს ფინეზაურის ხეობაში, სოფელი ლაკლაკაშენის დასავლეთით, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 308—09.

72 მდებარეობს დმანისის დასავლეთით, შედის ამამლოს სასოფლო საბჭოში.

73 მდებარეობს მდ. მაშავერას მარცხენა მხარეზე, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 342.

74 ყალამშიანი ფორმით დასტურდება ისტ. დოკუმენტებში. იხ. ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 360; ახლანდელი განთიადი — დუნუსი და ჯავახი სოფლებით დმანისის რაიონში.

75 ახლანდელი სოფელი ჯავახი, შედის განთიადის სასოფლო საბჭოში.

76 იგივე თეკენები, თეკენანი, თეკენამ. ვრცლად იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 35—44.

77 იგივე პატარა დმანისი, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა.

78 მოსალოდნელი იყო ბოსლები, დიდი დმანისის სას. საბჭოში შემავალი სოფელი. მდებარეობს მაშავრის მარცხენა მხარეზე, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 294.

79 ახალშენის სახელით ბევრი სოფელია საქართველოში, მარტო ქვემო ქართლში 5 ახალშენია. აქ ფიქსირებული ახალშენი კი უნდა იყოს მაშავრის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფელი, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 287; ბალიჭის ხეობაში, ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 193.

80 ქობევანი ფორმითაც გვხვდება, იხ. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, და შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, გვ. 221; ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 356.

81 მდებარეობს მაშავრის მარჯვენა მხარეზე, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, წიგნი I, II, გვ. 303.

82 სასოფლო საბჭო სტეფანავანის რაიონში.

83 სასოფლო საბჭო სტეფანავანის რაიონში.

84 აშკვანქი || მშკავანქ სოფელი იჯევანის რაიონში.

85 სასოფლო საბჭო სტეფანავანის რაიონში.

86 ახლანდელი ოვანძორი || ოვანდარა. შედის სტეფანავანის რაიონის იაგდანის სასოფლო საბჭოში.

87 კუკისი || კოკუაშენი სანაინის რაიონშია.

88 ახლანდელი აკორი, სასოფლო საბჭო ალავერდის რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი[89], სოფელი აგარაკი[90], სოფელი ჲასიქენდი, სოფელი ვართაფლური[91], სოფელი გედათი[92], სოფელი ქვემო ვაჰაგნი, სოფელი ზემო ვაჰაგნი[93], სოფელი კამიშკუტი[94], სოფელი ზორგენჯი (?), სოფელი გერგერი[95].

სოფლების რაოდენობა 20, სულ 106.

უავგუსტოესი სასახლისათვის დასამალი არ არის, რომ ხსენებული ციხეების გარშემო მდებარე სოფლები ესენია, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული — სხვა არ არის. რადგანაც ესენი სამართლიანობის თავშესაფრის ზღურბლის ხალასი და გულწრფელი ქვეშევრდომები არიან, ცალცალკე იქნა ჩაწერილი და მაღალ სამეფო ტახტს გაეგზავნა. [თავიანთ] მხარეზე კი არა და, სიცოცხლეზეც უარს იტყვიან უზენაესი ხელმწიფისათვის. თავხედობაა, მაგრამ ყმებსა და თქვენს მონა-მორჩილ ჩემს აზნაურებს ხსენებული სოფლებიდან რამდენს უწყალობებთ სარგოდ და ციხეებისათვის რამდენს გადადებთ, ამის გადაწყვეტა დიდებული ფადიშაჰის ნება-სურვილზეა. რაც შეეხება დანარჩენს — ბრძანება მართლმსაჯულების კარისაა.

[თქვენი] მონა-მორჩილი
სიმონი.
დასრულდა.

ვფიცავ ღმერთს, რომ ყველა ჩვენი ქვეშევრდომებითურთ სულითა და გულით ხალასი, წრფელი და ერთგული მონა-მორჩილი ყმები გავხდით ბედნიერი, დიდებული, ქვეყნისმფარველი მისი უდიდებულესობისა. დავიხოცებით, მაგრამ ბედნიერებითმოსილი ზღურბლის ბრძანებას არ განვუდგებით. ყოველგვარი სამსახურის შესასრულებლად, რაც კი გვებრძანება — თუ ძალა გვექნება და ცოცხლები დავრჩებით — თავს არ დავიზოგავთ, დიდ სიბეჯითეს გამოვიჩენთ.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვენ ჩვენზე უარი თქვათ და ამით თქვენი მონა-მორჩილი მოაკლდეს და მოშორდეს ქვეყნის მფარველის სასახლეს. ჩვენი იმედი ის არის, რომ ღვთის გულისათვის და ბედნიერი, სათნო და პატიოსანი პირებისათვის, თქვენი მონა-მორჩილნი არ მოაკლდებიან ბედნიერებითმოსილი ზღურბლის სიგელს. ბოროტმზრახველთა (ღვარძლიანთა) ფუჭ სიტყვებს ყურს ნუ დაუგდებთ.

რაც შეეხება დანარჩენს, ბრძანება და ფირმანი, ჩემი სვებედნიერი და მოწყალე ფადიშაჰისაა.

[თქვენი] მონა-მორჩილი
სიმონი.

---

89 როსტომ მეფის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში (1635 წ.) ჯიგრაშენი ნასოფლარად იხსენიება — „დურნუკის ბოლოს ნაოხარი ნასოფლარი ჯიგრაშენი“, ვლ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 121.

90 ახლანდელი გიულ აგარაკი სტეფანავანის რაიონში.

91 ახლანდელი ვარდაბლურ.

92 გეტა (?) დმანისის ხეობაში, გეტის ხევის მარჯვენა მხარეს.

93 სასოფლო საბჭო გუგარეთის რაიონში.

94 ახლანდელი ეღეგნუტი || ეხეკნუტი გუგარეთის რაიონში.

95 სასოფლო საბჭო სტეფანავანის რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმონ I-ის არზა სულთან მურად III-ს

Ц. А. АБУЛАДЗЕ

# ПРОШЕНИЕ КАРТЛИЙСКОГО ЦАРЯ СИМОНА I-ГО НА ИМЯ МУРАДА III-ГО

Резюме

В статье публикуется прошение Картлийского царя Симона I-го на имя Султана Мурада III-го. Документ хранится в Стамбуле, в архиве Премьер-министра (Başbakanlık Arşivi) под номером 527, в реестре Малого Ардагана и Карса, составленном в 1574 году. Арзухал, по всей вероятности, 1589-го года.

В 1578 году турки оккупировали Картли, посадили в Тбилиси бегларбега, но не сумели внедрить здесь формы османского землевладения и землепользования. Симон I просит султана в качестве пожалования дать ему и его дворянам 106 деревень, расположенных вблизи крепостей Гори, Тбилиси, Дманиси и Лоре. Просьба эта скорее всего тактический метод, дипломатический шаг, чем признание османской военно-административной системы.

Документ содержит также весьма интересный материал как для исторической географии Картли, так и для изучения грузино-турецких языковых взаимоотношений.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი სილოგავა

# ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში 1977 წელს ჩამოყალიბდა ეპიგრაფიკული ექსპედიცია, რომლის მიზანია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მაქსიმალური სისრულით შეკრება, ცნობილი ძეგლების ხელახლა შესწავლა ერთიანი, წინასწარ შედგენილი წესებით და უცნობი ძველი ქართული წარწერების გამოვლენა და შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. მთელი შეკრებილი მასალა თავმოყრილი იქნება ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ მიზნით ჩამოყალიბებულ ცალკე ფონდში, სადაც მას შეუერთდება ინსტიტუტში უკვე არსებული მდიდარი ფონდი ძველი ქართული წარწერების ფოტოსურათებისა და ფოტონეგატივებისა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალწლიანი გეგმის შესაბამისად, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების (ლაპიდარული წარწერების) შეკრება უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპით, თანამედროვე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ამ პრინციპის ძირითადი მიზანია შედარებით მცირე ტერიტორიულ ერთეულზე, ადმინისტრაციულ რაიონში, მასალა შეიკრიბოს მთლიანი სახით, კომპლექსური წესით — ყოველი ძეგლის ცალ-ცალკე დაწვრილებითი აღწერით, ფოტოგრაფირებით, გრაფიკული მონახაზების დამზადებით. პირველი ასეთი ექსპედიცია მოეწყო ახალქალაქის რაიონში, 1977 წლის 15 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით*.

ექსპედიციის მიერ საველე მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები: აღრიცხულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ჯავახეთის ყველა წარწერა, შედგა თითოეული წარწერის სრული ბიბლიოგრა-

---

* ექსპედიციის შემადგენლობა ასეთი იყო: ვ. სილოგავა — ისტ. მეცნ. კანდიდატი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, თ. ბარამიძე — ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიის გამგე, ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, გ. ოთხმეზური — ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. ლაბორანტი, დ. კლდიაშვილი — ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი, გ. მიქიაშვილი — არქიტექტორი; ამათ გარდა ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მ. ოდიშელი — თბილისის სამხატვრო აკადემიის IV კურსის სტუდენტი და დ. ჭელიძე — ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. ექსპედიციის მძღოლად მოწვეული იყო ნ. ქავთარაძე.

ექსპედიციას ადგილებზე მუშაობის დროს დიდი დახმარება გაუწია ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელობამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის არსენ კარაპეტიანის დახმარება, რომელიც ექსპედიციას მთელი მისი მუშაობის განმავლობაში გამყოლად ახლდა.

ფია, შემუშავდა ექსპედიციის მარშრუტი (შესაძლებლად სრული და დაწვრილებითი) ორი საექსპედიციო სეზონის ანგარიშზე. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციამ ექსპედიციისათვის გამოყო მიკროავტობუსი, შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი წარწერათა ფოტოგადაღებების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის; მოწვეულ იქნა არქიტექტორი წარწერების გრაფიკული მონახაზების ადგილებზე დასამზადებლად.

ექსპედიციამ ერთ სეზონში მთლიანად შეისწავლა ახალქალაქის რაიონის ეპიგრაფიკა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დაგეგმილი იყო ორი წლით. მუშაობის ასე ნაყოფიერად წარმართვა განაპირობა ექსპედიციის კარგმა მატერიალურმა მომზადებამ — მის განკარგულებაში მანქანის არსებობამ და ადგილებზე აღმოჩენილმა დახმარებამ.

ექსპედიციამ შეისწავლა ახალქალაქის რაიონის შემდეგი სოფლების ეკლესიათა წარწერები: **აბული, აზავრეთი, ალასტანი, ბავრა, ბარალეთი, ბურნაშეთი, დადეში, დიდი ხორენია, ვარევანი, იხტილა, კარნეთი, კოჩიო, კოთელია, კუშურდო, კვარშა, მურჯახეთი, სამსარი, სულდა, ქარცები** და **ხორენია** — სულ 20 სოფლისა. ამათ გარდა, თვით **ახალქალაქში**, ავტოსადგურის ტერიტორიის მახლობლად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელდახელოდ აგებულ სამლოცველო ნიშაში, მიკვლეულ იქნა XI ს-ის კიდურწაისრული წარწერის ორი ფრაგმენტი (ისინი შეიძლება ორი დამოუკიდებელი წარწერის ფრაგმენტებსაც წარმოადგენდნენ; იხ. ქვემოთ). სულ ექსპედიციამ ახალქალაქის რაიონში შეისწავლა 62 წარწერა, რომლებიც ქრონოლოგიურად ნაწილდებიან X ს-დან XVII ს-ის ჩათვლით. ყველა შესწავლილი წარწერა ლაპიდარულია, ე. ი. ქვაზეა შესრულებული ამოკვეთით ან გამოქანდაკებით. საღებავით შესრულებული, ე. წ. ფრესკული წარწერები, ახალქალაქის რაიონში ამჟამად არ არსებობს. ლიტერატურიდან ცნობილია 1029 წლის ერთი წარწერა, რომელიც მოთავსებული იყო ხ ო რ ე ნ ი ი ს ერთ-ერთი ეკლესიის სამხრეთი მინაშენის შესასვლელის ტიმპანზე[1]. სამწუხაროდ, ამ ეკლესიის საკოლმეურნეო საწყობად გადაკეთებისას ტიმპანი, ისევე როგორც მთელი ეკლესია შიგნით, კირით შეუთეთრებიათ და წარწერა ამჟამად დაღუპულია. ხორენიის ეკლესიის კირით შეთეთრება, ისევე როგორც საკოლმეურნეო საწყობებად გადაკეთებული სხვა ეკლესიებისა, ახალქალაქის რაიონში ყოველწლიურად მეორდება მოსავლის აღების და შესანახად ჩაბარების დროს, ასე რომ, ტიმპანის რამდენიმეგზის კირის სქელი ფენით შეთეთრებამ ეს ძვირფასი წარწერა საბოლოოდ გაანადგურა.

ახალქალაქის რაიონში ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის შემდეგ ასეთი სურათი გამოიკვეთა — გვაქვს წარწერების სამი ჯგუფი: 1. ადგილებზე დაცული წარწერები, 2. ახალქალაქის, ახალციხის და თბილისის მუზეუმებში გადატანილი წარწერები და 3. წარწერები, რომლებიც ამჟამად არ არსებობენ და რომელთა შესახებ ლიტერატურითაა ცნობილი — ზოგჯერ გამოქვეყნებული ტექსტის, ზოგჯერ მხოლოდ ცნობის სახით.

---

[1] MAK, XII, 1909, გვ. 32, სურ. 16. ექ. თაყაიშვილის ცნობით, ამოკვეთით შესრულებული წარწერის კვეთის ღარები სინგურით იყო ამოწითლებული. წარწერა უკვე მაშინ (1902 წ.) ყოფილა განგებ გადათლილი ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ. ნ. ბერძენიშვილის ცნობით, წარწერა „შესრულებულია წითელი საღებავით და ფრიად დაზიანებულია“ (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, იხ. მ ი ს ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 105—106).

როგორც აღინიშნა, ექსპედიციამ ახალქალაქის რაიონში სულ 62 წარწერა შეისწავლა. მათი უმეტესი ნაწილი ადრეც ცნობილი იყო; მეორე ნაწილს შეადგენენ უცნობი, გამოუქვეყნებელი და პირველად ექსპედიციის მიერ შესწავლილი წარწერები. ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ის წარწერები, რომლებიც ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ მათი ხელახალი შესწავლისას ტექსტები დაზუსტდა, გაიმართა და ზოგჯერ ახლებურად იქნა წაკითხული. დაზუსტდა, აგრეთვე, ზოგიერთი წარწერის ლიტერატურაში მიღებული დათარიღება.

წარწერების ზემოდასახელებული ჯგუფებიდან მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ და უმთავრეს ნიმუშს.

ცნობილია, რომ კ უ მ უ რ დ ო ს ტაძარი ერთ-ერთი უმდიდრესი ხუროთმოძღვრული ძეგლია უმნიშვნელოვანესი ქართული წარწერებით. ამ ტაძრის წარწერების ნაწილი სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ჯერ კიდევ XIX ს-ის შუა ხანებიდან[2]. ექსპედიციამ კუმურდოს ტაძარზე შეისწავლა 21 წარწერა, აქედან 5 — პირველად. ამ ხუთი წარწერიდან 4 ტაძრის აგების თანადროულია და 964 წლით, ან მისი ახლო დროით უნდა დათარიღდეს.

კუმურდოს ტაძრის ეზოში დგას ცნობილი ა რ ე შ ი ს ს ტ ე ლ ა, რომელიც აქ გადმოტანილია მისი შენახვისა და დაცვის მიზნით. სტელის ბაზისის ერთ გვერდზე სამ სტრიქონად ამოკვეთილია წარწერა გურგენ კურაპალატის ძის მიერ კუმურდოს საყდრისათვის „არეშტის“ შეწირვის შესახებ (სურ. 1, 2)[3].



სურ. 1

სტელის ბაზისის ორ სხვა გვერდზე შევისწავლეთ ლიტერატურაში უცნობი 4 მემორიალური წარწერა X—XI საუკუნეებისა და იქვე ამოკვეთილი ჰერალდიკური ნიშნები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კუმურდოს ტაძრის დი-

---

[2] M. B r o s s e t, Rapports sur un voyage archèologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848; livre 2, SPb., 1850, pp. 167—171; И. Р о с т о м о в, Ахалкалакский уъезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. XXV, 1898, с. 84—91. ამ წარწერების ბოლო პუბლიკაცია იხ.: ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 10—25.

[3] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, არეშის სტელა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. V, № 7, 1944, გვ. 747—752, ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი პოპულარობისა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვასთან შედარებით მეტი სისრულით შესწავლისა, ტაძრის ეპიგრაფიკის შესწავლა და წარწერების ასეთი სრული და დაწვრილებითი ფიქსაცია პირველად განხორციელდა. ტაძრის ყოველი წარწერა გადაღებულია ცალ-ცალკე, ხოლო ზოგიერთი მათგანი — საერთო ხედთან ერთად დეტალებით. ფოტოსამუშაოების ნაწილი აქაც, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ძეგლზე, შესრულდა ღამით, რადგან დღისით, მზით განათებული ტაძრის ცალკეული არქიტექტურული დეტალებით წარწერათა ნაწილის ჩრდილში მოქცევის გამო, მაღალხარისხოვანი ფოტოსურათების დამზადების საშუალება არ იყო.

მნიშვნელოვნად შესწორდა კუმურდოს ტაძრის რამდენიმე წარწერის, ბავ-



სურ. 2

რას, იხტილას, ბარალეთის, სამსარის. ალასტანის და სხვ. ეკლესიების წარწერათა გამოცემული ტექსტები.

ცალკე გვინდა გამოვყოთ შესწორებები აბულის და ალასტანის ეკლესიების წარწერათა ტექსტების არსებული პუბლიკაციებისა. გარდა ამისა, ამ წარწერების ლიტერატურაში მიღებული დათარიღებები, როგორც ჩანს, უნდა გადაისინჯოს.

სპეციალურ ლიტერატურაში აბულის წარწერის შემდეგი წაკითხვაა მიღებული: „ჯუარი ქრისტესი. ქრისტე, შეიწყალე გალატოზნი“[4]. სინამდვილეში ეს წარწერა ასე იკითხება (სურ. 3):

**„ჯ(უარ)ი ქ(რისტეს)ი. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(უ)ზ(ა)ნ გ(ალა)ტ(ო)ზ(ი)“.**

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII ს-საა. საკუთარი სახელი „გუზან“ სხვა წყაროებითაც ცნობილია[5].

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ალასტანის ეკლესიის ჯერ კიდევ მ. ბროსეს დროიდან ცნობილი ორი ნუსხური წარწერის ტექსტების დადგენას და დათარიღებას. ლიტერატურაში მიღებულია წარწერის ტექსტის შემდეგი წაკითხვა: „ესე მე დავდე... იასაულის ძემ. ესე მე როშელმა დავდე ქვაჲ“[6]; სინამდვილე-

---

[4] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108, „გალატოზნი“-ს წაკითხვა ნ. ბერძენიშვილს საეჭვოდ მიაჩნდა, ხოლო თარიღის შესახებ აღნიშნავდა, რომ „წარწერა XI—XII საუკუნის შემდეგი ხანისა შეიძლება იყოს მხოლოდ“ (იქვე, გვ. 108).

[5] მაგ., გუზან აბულასანის ძე (ქ-ცა, II, გვ. 38) და გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა (ქ-ცა, II, გვ. 49, 55, 56, 81, 141).

[6] И. Ростомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123 (ი. როსტომაშვილის მიხ.). ნ. ბერძენიშვილს ორივე წარწერა ცალ-ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ალასტანის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულია ორი დამოუკიდებელი წარწერა (სურ. 4,5. კიდევ ორი, როგორც ჩანს, ამათი თანადროული სხვა წარწერის ტექსტები, ამჟამად პირწმინდად გადათლილია):

1. **„ესე მე ნო|შელმან| დავდე| ქვაჲ“** და 2. **„ესე მე დ(ა)ჩ(ი)ჲ დ(ავ)ს(უ)ი საოლისძემ(ა)ნ** (ან: **საულისძემან)“.**

როგორც ვხედავთ, ორივე წარწერა შეეხება ქვის დასმას, რაც სხვა წარწერებითაც ცნობილი ფაქტია ძველი საქართველოსათვის. როგორც ქვის დასმის აღმნიშვნელი, მაშასადამე, ისინი ეკლესიის აგების თანადროული წარწერე-



სურ. 3

ბია. ხოლო ალასტანის ეკლესია, განსაკუთრებით მისი დეკორი, ყველა ხუროთმოძღვრული ნიშნით (ისევე, როგორც აზავრეთის, ბურნაშეთის და სხვ. ეკლესიები) X—XI ს-ის ძეგლია. ამ თარიღს პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება. ამრიგად, ალასტანის წარწერები, ნუსხური დამწერლობით შესრულებული ერთ-ერთ უადრეს წარწერებად და ამ დამწერლობის კარგ ეპიგრაფიკულ ნიმუშებად გვევლინებიან. მრავალ საკითხს შორის, რომლებიც ამ წარწერებთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას, ამჯერად ყურადღება გვინდა მივაქციოთ მხოლოდ ერთს — ნ-არის დაწერილობას. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი დაკავშირებულია პირველ წარწერაში „როშელის“ ან „ნოშელის“ წაკითხვასთან და, მაშასადამე, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობი ტოპონიმის „ნოშა“-ს ან „როშა“-ს დადასტურებასთან.

ნ-არი წარწერაში გადმოცემულია ისეთი მოხაზულობით, რომ იგი ერთი

---

მოჰყავს; პირველ წარწერაში ისიც „როშელმან“-ს კითხულობს და შენიშნავს: „აქ „როშელმან“-ის მაგივრად შეიძლება იკითხებოდეს ოშებმან: შეიძლება რ-აე სულ არ იყოს, არამედ სამკბილიანი ო-ნი“ (იხ. მ ი ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158); ხოლო მეორე წარწერას კითხულობს შემდეგნაირად: „ესე მე დაჩიმ საოლისძემ (?)“. წარწერების თარიღის შესახებ ის აღნიშნავს შემდეგს: „წარწერა დიდ სიძველეს ვერ დაიჩემებს. ის შეიძლება XIII საუკუნის შემდეგ ხანას ეკუთვნოდეს“. სხვა გამოცემებში წარწერა დათარიღებული არ არის.

შეხედვით შეიძლება ნუსხურ რ-აედ იქნეს მიჩნეული (ლ), როგორც ეს მიუთითებია ვია მ. ბროსეს და რომლის მიხედვითაც პირველ წარწერაში მიღებული იყო წაკითხვა „როშელმა“[7]. მაგრამ ასეთი მოხაზულობის ასო გვაქვს მეორე წარწერის ბოლოს, სიტყვაში „საოლისძემან“, სადაც იგი მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის „მან“-ის ბოლო ასოა, რაც ლ ნიშნის რ-აედ წაკითხვის შესაძლებლობას გამორიცხავს. საყურადღებოა ის, რომ ნ-არი ამ სიტყვაში ამოკვეთილია არა



სურ. 4



სურ. 5

სიტყვის ბოლოს, არამედ ე-ნის თავზე, რადგან წარწერის შემსრულებელს მ-ანის შემდეგ ქვაზე ადგილი არ ეყო. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მ-ანი იქნა მიჩნეული ამ სიტყვის ბოლო ასოდ და მ. ბროსემ, ხოლო მის მიხედვით სხვებმა, „საოლისძემან“ წაიკითხეს როგორც „იასაულის ძემ“, ან „საოლისძემ“[8]. მაშასა-

[7] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; ნ. ბერძენიშვილი, როგორც აღინიშნა, კითხულობდა: „როშელმან“.

[8] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე, ზემოაღნიშნული ნიშანი არის ნ-არი და პირველ წარწერაში უნდა წავიკითხოთ არა „როშელმა“, არამედ „ნოშელმან“ და აქედან გამომდინარე, X—XI ს-ისათვის ჯავახეთში დასტურდება კიდევ ერთი ტოპონიმი **ნოშა.** საინტერესოა, რომ ზედა თმოგვის (ასპინძის რ-ნი) ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილ ერთ-ერთ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც XI ს-ით თარიღდება, „ნოშა“ დასტურდება, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი: **„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ნ(ო)შ(აჲ)სჲ, ესე კ(უ)თხი მ(ი)სია“**[9].

ადრეც ცნობილი და ექსპედიციის მიერ ხელახალი შესწავლისას დაზუსტებული წარწერებიდან აღსანიშნავია .სამსარის და ბარალეთის წარწერები. სამსარში აღრიცხული და შესწავლილია 6 ეპიგრაფიკული ძეგლი X—XI ს-სა. მათგან შევჩერდებით ერთზე — წარწერაზე, რომელიც ამოკვეთილია კლდეში გამოკვეთილი ეკლესიის შესასვლელის ზემოთ გადმოშვერილ მოწითალო კლდის ქიმზე. ამ ადგილას კლდის მონგრევის გამო წარწერის ტექსტი ნაკლულია, მაგრამ ის, რაც შემორჩენილია, გარკვევით და მკაფიოდ იკითხება. წარწერა შესრულებულია სწორი ნუსხური დამწერლობით. თაკისებური შესრულებით გამოირჩევა ასოები: **ნ, მ, ო, ც** და **ს.** (სურ. 6).



სურ. 6

[9] გამოც.: 1) M. Brosset, II rapp. გვ. 155; 2) რ. გვერდწითელი, ზედათმოგვის ეკლესიის წარწერები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIV—B, 1947, გვ. 246. მ. ბროსე ამ წარწერებში სახელს კითხულობს ასე: „Néchi (?)“, ხოლო რ. გვერდწითელი — „ნეშისაჲ (ნიშისაჲ)“. რ. გვერდწითელის შენიშვნით, წარწერაში „ნახმარი სიტყვა „კუთხი“ ნიშნავს საკუთხეს ან კუთხის ქვას“ (დამოწმებულია ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი). „კუთხი“ ნიშნავს აგრეთვე „კიდეს“ (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 205). მართლაც, ეს წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის კედლის კიდესთან, რომლის აგების დონატორიც იყო, როგორც ჩანს, ნოშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[...][1]
[...მ]აშინ დ[...][2]
[...]რელ ესე[...]
[...]მან კურ[...][3]
[...]ლმან[4] ესე ვანი[...]
[5] [...]რა მაშინ დიდისა
[...]გან[5] გუ(ი)ჯს(ე)ნ[6] და
[...მო]იკსენენ იგიც[ა...]
[...დღ]ესა მას განკი(თ)ხ(ჯ)სასა[...]
[...]ულა მაშინ დავწერეთ
[10] [...][7] მცხეთისა ეკლ(ე)სიაი და[...][8]
[...ნი]ნოის[9] კელი ტ(ჟუ)ედ წა[რიტანეს?][10]

[1] ძნელია დანამდვილებით ითქვას შემორჩენილი ტექსტის წინ კიდევ იყო წარწერის სტრიქონები თუ არა. [2]„დ[ავწერეთ]“ (?). [3]„კურ[აპალატმან]“ (?), ან „კურ[თხეულმან]“ (?). [4]თუ სხვა სტრიქონებში მარცხენა მხარეს ნაკლული ტექსტის მოცულობას გავითვალისწინებთ, თითქოს მე-3 და მე-4 სტრიქონები უშუალოდ არ უნდა ებმოდეს ერთმანეთს. [5]„[ჭირისა]გან“ (?). [6]ან: „გუ(ი)ჯსნ(ა)“, მაგრამ ქარაგმის ასე გახსნა ნაკლებმოსალოდნელი ჩანს, რადგან შემორჩენილ ტექსტში ბოლოკვეცილობითი დაქარაგმება არ დასტურდება. [7]„[...ოდეს]“ (?). [8]„და[წუეს]“ (?). [9] „[წ(მიდის)ა ნი]ნოის“(?). [10] „წარიღეს“ (?).

წარწერა პირველად გამოსცა ი. როსტომაშვილმა, არაზუსტად და უსრულოდ[10]. წარწერის ბოლო სამი სტრიქონი, მცირეოდენი ორთოგრაფიული განსხვავებებით, გამოცემული აქვს გ. გაფრინდაშვილს[11]. მისივე აზრით, წარწერაში გადმოცემულია იგივე ცნობა, რაც „მატიანე ქართლისაჲ“-ში ფადლა ქორეპისკოპოსის დროს სარკინოზთა შემოსევის შესახებ; თანაც, წარწერის ტექსტის მონაცემები არა თუ ეხმიანება მატიანის ცნობას, არამედ აზუსტებს კიდევაც მას: „მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უჴმობდეს საჯობით, და მოტყუენეს კახეთი, და დაწუეს ჯუარი და მცხეთა, და შეიქცეს; და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედვათ სნება მუცლისა, და გულისხმა ყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნოთ. შეკრიბნეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღმართეს ადგილსავე თვისსა“[12]. ამის მიხედვით, გ. გაფრინდაშვილი წარწერას X ს-ის 20—30 წლებით ათარიღებს[13]. აქ, რამდენადმე ნაძალადევი ჩანს „მატიანე ქართლისაჲსეული“ „ჯუარი პატიოსანი დაჭრილის“ გაიგივება წარწერაში აღნიშნულ „წმიდისა ნინოის

[10] И. Ростомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 98: „აღაშენა... ოდეს... ესე ვანი... მაშინ დიდისაგან გვიხსენ და იხსენი... მაშინ დავწერე მუსხელისა (თუ მხსნელისა?) ეკლესია და ნოის ხელი...“

[11] „...მაშინ დავწერე ოდეს მცხეთისა ეკლესია დაწუეს და წმინდა ნინოის ხელი ტყვედ წარიტანეს“ — გ. გაფრინდაშვილი, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, „ძეგლის მეგობარი“, 3, 1964, გვ. 8.

[12] ქ-ცა, I, გვ. $265_{14-17}$.

[13] გ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9. ადრე სამსარის წარწერებს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი XI ს-ით ათარიღებდა (გ. გაფრინდაშვილი, კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი სოფელ პატარა სამსართან, ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების I სამეცნიერო სესია, 30. VI —2. VII. 1959, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები; თბ., 1959, გვ. 9, პუნქტი 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯელთან“. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ორივე წყაროში დაცული იყოს ჯვრის ტაძრის დაწვის და აოხრების სხვადასხვა ფაქტი. აქედან გამომდინარე, წარწერის წარმოდგენილი კონკრეტული თარიღი მთლად დამაჯერებელი არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ეს ნუსხური წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით მეტად არქაულია და იგი შეიძლება X ს-ით დათარიღდეს. აქვე ვათავსებთ სამსარის ადრეც ცნობილი და გამოცემული მეორე წარწერის ფოტოს (სურ. 7).

ბ ა რ ა ლ ე თ ი ს ეკლესიის ასომთავრული წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ დიდად საყურადღებო ეპიგრაფიკული ძეგლია, მთლიანად და ფოტოს



სურ. 7

თანხლებით აქამდე არ გამოცემულა. მართალია, ჩვენი შესწავლის შემდეგ წარწერის ცნობილ ტექსტს მხოლოდ ერთი სიტყვა დაემატა ბოლოში, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ სიტყვის ამოკითხვით გამოირიცხა ვარაუდი, რომ აქ შემორჩენილ ასოებში შესაძლებელია თარიღი ყოფილიყო მითითებული, თუმცა ლაშას მეფედ დაჯდომის აღნიშვნა უკვე ნიშნავდა თარიღის მითითებას. წარწერის ტექსტი მთლიანი სახით ასე იკითხება (სურ. 8):

**„აეშენა ეკლ|ესია ესე მა|თ ჟამთ(ა) შინა,|ოდეს ლაშა მ|ეფედ დაჯ|და; ადიდ(ე)ნ| ღ(მერ)თ(მა)ნ ორთ|ავე ც]|ხორე[ბ](ა)თა შ(ი)ნ[ა].|ს(ა)ყდრ(ი)სა[...]“**[14].

აქვე მოვიყვანთ ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ შ ი მიკვლეული და ზემოდასახელებული ფრაგმენტული წარწერების ტექსტებს და მათ სავარაუდო აღდგენებს:

I ფრაგმენტი (სურ. 9)

[...]
[...[ **შშ** [...]
[...] **შჩᲫᲬ** [—] [...]
[...] **ᲧᲜᲨ**

ე. ი.: [...] | [...ქ(რონი)კ(ო)ნსა ს]ბდ(?)*
[დავ]დ(ე)ვ ბ(ა)ლ[(ა)ჰვ(ა)რი]
ესე

* ანუ: 1064 წ.

[14] შეიძლება წარწერის ტექსტი შემდეგ ასე გრძელდებოდა: „**ამის აღმშენებელსა** [...] **შეუნდოს ღმერთმან**“.

II ფრაგმენტი (სურ. 10)

[...] ე. ი.: [...] | [...] გ [...] | [...] ფედ
[...] [–] Ⴂ [–[ [...] [...] | ა(მე ნ.
[...] ႴႢႣ
[...] ႠႬ

ექსპედიციის ერთ-ერთი საყურადღებო მონაპოვარია კათალიკოს იოვანე-ოქროპირის წარწერა, რომელიც ამოკვეთილი იყო კ ა რ ნ ე თ ი ს ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე. ტიმპანი დაფარული იყო ამ ეკლესიისათვის სამხრეთიდან მიშენებული, უშუალოდ მიბჯენილი მეორე ნაგებობის (როგორც ჩანს, ეკვდერის) ჩრდილოეთი კედლით. წარწერის ბოლო სტრიქონის ფრაგ-



სურ. 8



სურ. 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტები შეუმჩნევია ნ. ბერძენიშვილს 1933 წელს ჯავახეთში მოგზაურობის დროს[15]. ამჟამად, ეკლესიის კედლის ჩაქცევის გამო, ტიმპანის ფილა ამოპირქვავებულია და მასზე გარკვევით იკითხება შემდეგი წარწერა (სურ. 11, 12):

**„ქ(რისტ)ე, ადიდე ჲო(ვა)ნე-ოქრ(ო)პ(ირ)ი, ქ(ართლისა) კ(ათა)ლ(იკო)ზი, ორთავე, შ(ი)ნ(ა) ცხ(ო)რებათა, ჲყ(ავ)ნ ა(მე)ნ“.**

წარწერაში დასახელებული ქართლის კათალიკოსი იოვანე-ოქროპირი სხვა წყაროებით, და მათ შორის ჯავახეთის წარწერებითაც, ცნობილი მოღვაწეა[16].



სურ. 10

მისი კათალიკოსობის წლებს ნ. ბერძენიშვილი 1033—1048 წწ. განსაზღვრავს[17]. კარნეთის ეკლესიის აქ მოყვანილი წარწერაც ამ დროით უნდა დათარიღდეს; ამ თარიღს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები სავსებით ეთანხმება. წარწერა სხვა საინტერესო მონაცემებითაც იქცევს ყურადღებას, კერძოდ, „ქართლისა კათალიკოზის“ დაჭარაგმება „ქ~კლზი“ ფორმით. ამ სიტყვებს სხვა წერილობით წყაროებში (საბუთები...) ზოგიერთი მკვლევარი „ქათალიკოზი“-ს ფორმით ხსნის, რაც სწორი არ არის; ასევე საყურადღებოა ფორმულა „ჲყავნ ამენ“ და წარწერის ზოგიერთი პალეოგრაფიული თავისებურება, მაგრამ ყველა მათგანის შესახებ აქ ვერ აღვნიშნავთ.

ბოლოს შევჩერდებით ი ხ ტ ი ლ ა ს (ძვ. ღ რ ტ ი ლ ა ს) ტაძრის წარწერებზე. ამჟამად ტაძარზე მოთავსებულია სხვადასხვა დროის ხუთი ლაპიდარული წარწერა კედლების, როგორც გარეთა, ისე შიდა მხარეს. მეექვსეა საფლავის ქვის ასომთავრული წარწერა XIV—XV სს-სა, რომელიც ამოკვეთილია ტაძ-

---

[15] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111: „დიდის წვალებით დუღაბის მცირე ნატეხი გამოვაგდე, ბალავერის ნაწილი თვალმისაწვდომი გახდა და ერთი ასომთავრული „ა“-ნიც შევნიშნე. მოჩანს ჯვარის ძირიც. ბალავერი ჯვრით ყოფილა შემკული, შემდგომმა წვალებამ კიდევ რაღაც ასო დამანახვა (ვერ გავარჩიე)“.

[16] იხ. მაგალითად, ყაურმის და ფოკას წარწერები: ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, 95.

[17] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

რის აღმოსავლეთ კედელთან ეზოში დაგებულ ქვის ფილაზე: „†ბაღათ(უ)რს და|მისსა შვ(ი)ლ|სა გიორგის| შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“[18].

იხტილას ტაძრის წარწერებიდან მკვლევართა ყურადღებას იქცევდა და რამდენჯერმე გამოცემულიცაა მხოლოდ ერთი წარწერა 1308 წლისა, ამოკვეთილი ტაძრის სამხრეთ კედლის კარნიზის დასავლეთ მონაკვეთზე. წარწერა,



სურ. 11



სურ. 12

18 წარწერის ტექსტი უმნიშვნელო განსხვავებებით გამოცემული აქვთ მ. ბროსეს და ვ. ცისკარიშვილს (იხ. ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც აღნიშნულია ლიპარიტ ქვეშელის ცოლისა და თმოგველთა ქალის რუსუდანის მიერ ეკლესიის აგების 1308 წელს „გასრულების“ შესახებ, სხვადასხვა დროს გამოცემული აქვთ მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას (ორჯერ), ვ. ცისკარიშვილს და ნ. ბერძენიშვილს[19].

იხტილას ტაძრის შიდა კედელზე, ჩრდილოეთ მხარეს, ჩასმულია ფილები შემდეგი წარწერებით: 1. „†ჰურვა(ა)ნთ| რუს(უ)დანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ“ (სურ. 13) და 2. „†ნ(ი)კ(ოლო)ზ“. ეს წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით



სურ. 13

XIII—XIV სს. მიჯნით თარიღდებიან და შეიძლება 1308 წლის ზემოდასახელებული წარწერის თანადროულებადაც მივიჩნიოთ. ამას შეიძლება ისიც ადასტურებდეს, რომ 1308 წლის წარწერაში დასახელებულია, აგრეთვე, იოვანე ჰურვანის ძე, რომელთანაც, უდავოდ, დაკავშირებულია ტაძრის ჩრდილოეთი კედლის პირველი წარწერის ჰურვაანთ რუსუდანი.

იხტილას ტაძრის კედლებზე, გარდა დასახელებული წარწერებისა, ჩასმულია ფილები უფრო ადრინდელი წარწერებით. ერთი მათგანია ასომთავრული, რელიეფური წარწერა, შესრულებული ერთ სტრიქონად და მოთავსებული სვეტის თუ ჯვრის ბაზისის წინა პირზე. ბაზისი ჩასმულია ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში, ქვემოდან ქვების მე-5 წყობაში და წარმოადგენს 41×49×31 სმ. ზომის კუთხის ქვას[20]. მის ერთ, ამჟამად სამხრეთით

---

[19] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; იხ., აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[20] უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის ან სვეტის ბაზისები ბოლნური ჯვრების გამოსახულებით ჩაშენებულია ჯავახეთის თითქმის ყველა ძველი ეკლესიის კედლებში. ეს ბაზისები, თითქმის ყველა' ადრეფეოდალური ხანისაა და ჩვეულებრივ V—VIIსს. თარიღდებიან; ხოლო ეკლესიები, რომელთა კედლებშიც ისინია ჩაშენებული X—XI სს-საა; ე. ი. ეკლესიათა კედლებში მათი ჩაშენების დროს ეს ბაზისები ხელმეორედ გამოიყენეს, ამჯერად საშენ მასალად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეკლესიების ერთი ნაწილი მაინც აშენდა სწორედ იმ ადგილებში, სადაც ეს ქვა-ჯვრები, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცეულ პირზე წარმოდგენილია ბოლნური ჯვრის (ზომა: 29×20 სმ.) რელიეფური გამოსახულება, რომელიც ჩასმულია ლილვებით შედგენილ კვადრატულ (40×40 სმ.) ჩარჩოში. წარწერა მოთავსებულია ჯვრის ქვემოთ, ჩარჩოს გარეთ. ბაზისი ადრეფეოდალური ხანის საკულტო-მემორიალურ ძეგლებს განეკუთვნება და მასზე მოთავსებული წარწერა, რომელიც არქაული პალეოგრაფიული ნიშნებით ხასიათდება, როგორც ჩანს, შესაძლებელია X ს-ით დათარიღდეს. წარწერის ტექსტი შედგება ერთი სიტყვისაგან და იგი წარმოადგენს საკუთარ სახელს (სურ. 14): „პეტრე". როგორც ჩანს, სვეტი, თავისი



სურ. 14

ბაზისით, რომელზედაც ეს წარწერაა მოთავსებული, აღმართული იყო ვინმე პეტრეს სახელზე, როგორც ეს არაერთხელ გვხვდება სხვა პირების მიმართ სხვა შემთხვევებშიც და უხვად დასტურდება ადრეფეოდალური ხანის საკულტო-მემორიალური ძეგლებით[21].

---

სვეტები იყო აღმართული თავიანთი ბაზისებით და მშენებლობის დროს ეს ბაზისები ჩააშენეს მათ კედლებში. ბაზისები ბოლნური ჯვრის გამოსახულებით ჩაშენებულია კ უ მ უ რ დ ო ს (ორი ბაზისი— ერთი მათგანი ცალკე დგას თავისი სვეტით და მესამეა ა რ ე შ ი ს სტელა, გადმოტანილი ბოლო დროს), ი ხ ტ ი ლ ა ს, მ უ რ ჯ ა ხ ე თ ი ს (ორი ბაზისი), ჩ ა მ დ უ რ ა ს და სხვა ეკლესიებში. ერთი ასეთი ბაზისი დგას, აგრეთვე, ს. ხ უ ლ გ უ მ ო ს სასაფლაოზე; ხოლო ბაზისები სვეტებით ამჟამადაც დგანან გ ი ო რ გ ი წ მ ი ნ დ ი ს (ზედა თმოგვიდან თმოგვისაკენ მომავალ გზაზე), ა გ ა რ ი ს ეკლესიებთან და ზედა თმოგვის მიდამოებში. ეს უკანასკნელი ძეგლები გამოცემულია ნ. ჩუბინაშვილის მიერ და ისინი VI—VII ს-ის I ნახ. -თაა დათარიღებული (Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, с. 108—113, таб. 79—84).

[21] საკუთარი სახელი „პეტრე" ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სინამდვილეში სხვაგანაც გვხვდება. იხ. უ კ ა ნ გ ო რ ი ს ბაზისის წარწერა V—VI ს-სა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯვარი აღმართა ვინმე თათვარაზის მიერ „პეტრეს ხუცსობასა" (ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე", ისტორიის... სერია, № 4, 1972, გვ. 146, შენ. 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხტილას ტაძრის მეორე წარწერა, რომელიც ტაძრის აგებაზე ადრინდელია და მის კედელში აღმოჩნდა წარწერიანი ფილის მეორედ გამოყენების დროს, მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთი მკლავის სარკმლის ზედაზე. ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია წვრილი, კიდურწერტილოვანი და ღრმად ჩაჭრილი ასოებით, რომლებიც ადგილ-ადგილ ორხაზოვანი ბადიდან „გადმოდიან“ და ნუსხურის შთაბეჭდილებას ტოვებენ. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI—XII სს-საა; მისი ტექსტი ასეთია (სურ. 15):

**„ჭ(რისტე), შ(ეიწყალ)ე გოგაი და| ჩქარაი[22] და მ|ოწყალე ექნ|ენ(!) და ადღე|გრძელე“.**

წარწერაში წერია „ადღეჰრძელე“, ე. ი. გ-ანის ნაცვლად ამოკვეთილია ჰ-აე. როგორც ჩანს, აქ წარწერის შემსრულებელმა მექანიკური შეცდომა და-



სურ. 15

უშვა: დაბალი ტანის გ-ანის ქუსლი, ნაცვლად ძირს დაშვებისა, მაღლა ამართა და გ-ანის ნაცვლად გამოვიდა ჰ-აეს მოხაზულობის ასო; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჰ-აე აქ მეტად გამოკვეთილად და თვალსაჩინოდაა გამოყვანილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰ-აე გ-ანის ნაცვლად სხვაგანაც დასტურდება XI ს-ის წერილობით ძეგლში; ესაა ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ნოველისიმოსის (ე. ი. ბაგრატ IV-ის) და სოფრონ ქველის ძე ერუშნელის ჭედური წარწერა საწინამძღვრე ჯვარზე მოწამეთას ეკლესიიდან. ჯვარი ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. მისი წარწერის დასკვნითი წინადადება ასეთია: **„ჭ(რისტ)ე, ჰა(ნ)უს(უ)ენე სულსა მჯ(ე)ის(ს)ა“**[23]. ორივე

---

[22] საკუთარი სახელი „ჩქარი“ ძველ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს; ერთერთი უადრესი წერილობითი ძეგლი, რომელშიც იგი დასტურდება, 995 წლის წარწერაა ფ ი ი ს ეკლესიის საკურთხეველზე (გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, 995 წ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ნასოფლარ ფიაში, **სმამ**, XVII: 8, 1956, გვ. 763; ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26).

[23] M. B r o s s e t, XI rapp., გვ. 46 — მ. ბროსე კითხულობს **ᲥᲠᲘᲡᲢᲔ** ე. ი. შეცდომის გასწორებით, თუმცა არ აღნიშნავს შეცდომის შესახებ; Н. К о н д а к о в, Д. Б а к р а д з е, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში — იხტილას ტაძრისა და მოწამეთის ჯვრის წარწერებში, სადაც გ-ანის ნაცვლად ჰ-აე წერია, როგორც ჩანს, შემსრულებლის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა რომელიმე გრამატიკულ კატეგორიასთან.

ექსპედიციის მუშაობის დროს შეიკრიბა მრავალი სხვა საინტერესო და საყურადღებო წარწერა, მაგრამ ყველა მათგანის შესახებ აქ ვერ აღვნიშნავთ.

ახალქალაქის რაიონში შეკრებილი მასალა (წარწერათა ფოტოსურათები და ფოტონეგატივები, გრაფიკული ნონახაზები, აღწერილობები...) დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. განზრახულია ეს მუშაობა მომავალშიც გაგრძელდეს და მასალის ველზე შეკრების პარალელურად მუშაობა წარიმართოს მისი დამუშავების, პუბლიკაციისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით. მომავალში გათვალისწინებულია ექსპედიციის მოწყობა ერთდროულად არა ერთ, არამედ რამდენიმე (ორ-სამ) რაიონში; აგრეთვე, წლის განმავლობაში არა ერთი, არამედ შესაძლებელია ორი და სამი მოკლევადიანი (2—3 კვირით) ეპიგრაფიკული ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ამრიგად შეიკრიბება ძველი ქართული წერილობითი ძეგლების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები — ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა ფოტოპირები თავს მოიყრიან ხელნაწერთა ინსტიტუტის სპეციალურ ფონდში.

В. И. СИЛОГАВА

## ОТЧЕТ О РАБОТЕ ЭПИГРАФИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ ИНСТИТУТА РУКОПИСЕЙ АН ГССР ЗА 1977 ГОД

Резюме

В 1977 году в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе АН ГССР была организована эпиграфическая экспедиция с целью собирания древнегрузинских надписей с максимальной полнотой.

Первая экспедиция состоялась в Ахалкалакском районе с 15 сентября по 2 октября 1977 года. За это время были изучены 62 надписи, имеющиеся на памятниках материальной культуры в следующих селениях: Абули, Азаврети, Аластани, Бавра, Баралети, Большая Хорения, Бурнашети, Варевани, Дадеши, Ихтила, Кочио, Карнети, Котелиа, Кумурдо, Кварша, Мурджахети, Самсари, Сульда, Карцеби и Хорения — всего в 20 селениях. Кроме того, в самом Ахалкалаки, на территории автовокзала, были найдены два фрагмента неизвестной большой надписи XI века. Собранный материал хронологически располагается с X по XVII вв. Часть этих надписей в специальной литературе была известна и раньше, а часть — изучена впервые.

В настоящем кратком отчете представлена публикация некоторых ранее неизвестных надписей этого района и рассматриваются связанные с ними историко-хронологические и текстологические вопросы.

---

СПб., 1890, с. 56; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, фото 399; მ. ნიკოლეიშვილი, ისტორიული მასალები, „მასალები“, III, თბ., 1978, გვ. 76. წარწერის ტექსტის გამოცემებში ნაცვლად „მჭეცისსა“, წაიკითხულია „მჭეციძესა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა ჯაჯანია

# ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული ახალი მასალა

1974—1977 წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს შეემატა ახალი ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები, პირადი არქივები და საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერების ფოტო და მიკრო მასალა:

1. ახალციხური ქრონიკა, XVIII ს., შედგება 374 ფურცლისაგან (Q—1459),

2. სამთვარიო, გადაწერილი XIX საუკუნეში, შეიცავს 22 ფურცელს (Q—1460),

3. ოთხთავი, XI ს., ეტრატი, 1 ფ. (Fr—221),

4. 64 ისტორიული დოკუმენტი XVIII—XX სს. დათარიღებული (Qd—10658—10721).

აღნიშნული მასალა დაცული იყო აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივში, რომელიც ქ-ნმა ნინო ბერძენიშვილმა გადმოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტს.

5. ინსტიტუტისათვის საინტერესო შენაძენია ზ. ფალიაშვილის ოპერების, „დაისისა“ და „ლატავრას“ ავტოგრაფული კლავირები და მცირე ზომის ნაწარმოებების კრებული (Q—1469, 1470, 1471). ხელნაწერები ინსტიტუტს შემოსწირა პროფ. ნადეჟდა აბაშიძე-ბუზოღლიმ.

6. ინსტიტუტს გადმოეცა ექსპედიციის დროს მოპოვებული ეტრატზე ნაწერი XII—XIII საუკუნეებით დათარიღებული კურთხევანის ხელნაწერი (Q—1461).

7. დამსახურებულმა პედაგოგმა კ. გაჩეჩილაძემ ინსტიტუტს გადმოსცა XVIII საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი კრებული, რომელიც შეიცავს „ჟამნს“ და „საგალობლებს“ (Q—1463) და ერთი ისტორიული დოკუმენტი — „აზატობის წიგნი“, გაცემული 1712 წელს ისპაჰანში (Qd—10743).

8. მოქ. ნ. ბახტაძისაგან ინსტიტუტმა შეიძინა არაბული გრამატიკული ტრაქტატი, XVIII ს. (ArL—672).

9. ინსტიტუტმა მოქ. დ. ჯაფარიძისაგან შეიძინა XV—XVI სს. დათარიღებული სომხური ხელნაწერი — „ავგაროზი“ (Arm—305).

10. მოქ. ზურაბ ჩარექიანისაგან ინსტიტუტმა შეიძინა ოთხი ქართული ისტორიული დოკუმენტი:

ა) ალის მამასახლისობისა და ყმა მამულის წყალობის წიგნი, გაცემული რუსუდან დედოფლის, ვახტანგ VI მეუღლის მიერ 1736 წ. (Qd—10654);

ბ) მიწის წყალობის წიგნი, გაცემული ბაქარ ბატონიშვილის მიერ 1725 წ. (Qd—10655);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სადუქნეს ნასყიდობის წიგნი, 1802 წ. (Qd—10656);

დ) ყმა-მამულის წიგნი, ბაქარ მეფის მიერ გაცემული, 1734 წ. (Qd—10657);

11. ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახ. მუზეუმის დირექტორმა ი. ბეროშვილმა ხელნაწერთა ინსტიტუტს შემოსწირა ერეკლე II-ის მიერ გაცემული „აზატობის წყალობის წიგნი", 1780 წ. (Qd—10722).

12. ი. მარის მეუღლემ, სოფიო მარმა ინსტიტუტს გადმოსცა სპარსული მოხატული ფირმანი, შაჰ ჰუსეინის მიერ გაცემული 1114 წ. ჰიჯრით. ფირმანი ადრე КИАИ საზოგადოებას ეკუთვნოდა (Pd—511).

13. ხელნაწერთა ინსტიტუტმა ს. მარისაგან შეიძინა ნ. და ი. მარების მეტად საინტერესო მიმოწერა, რომელიც ძირითადად მათ მეცნიერულ საქმიანობას ეხება.

14. პედაგოგ ვასილ ფერაძისაგან ინსტიტუტმა შეიძინა პროფ. გრ. ფერაძის 1913—1921 წლების საარქივო მასალა. არქივში წარმოდგენილია წიგნები (სასულიერო ხასიათისა რუსულ და ქართულ ენებზე), დღიურები, სამუშაო რვეულები და სხვა. აქვეა დაცული სხვადასხვა პირთა (კალე სალიას, ანდრია გუგუშვილის, ნიკო მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის) წერილები გრ. ფერაძის ძმის — ვასილ ფერაძისადმი. მასალა ეხება გრ. ფერაძის ბიბლიოთეკის მოძიებას.

15. კ. კეკელიძის არქივისათვის აკად. ალ. ბარამიძემ ინსტიტუტს გადმოსცა კ. კეკელიძის ბიოგრაფიის ამსახველი მასალა.

16. მოქ. ლ. მარკოვისაგან ინსტიტუტმა შეიძინა მარკოვების საოჯახო არქივი, რომელშიც შედის თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის ლ. ლ. მარკოვის, მისი ძმის — ე. ლ. მარკოვისა და თბილისის ზოოპარკის ერთ-ერთი დამაარსებლის, ლ. ლ. მარკოვის ვაჟიშვილის, ე. ლ. მარკოვის მასალა. არქივში წარმოდგენილია საინტერესო ცნობები პედაგოგიკის ისტორიისათვის, ლ. ლ. მარკოვისა და ლ. ნ. ტოლსტოის მეგობრული ურთიერთობის ამსახველი მასალა, ე. ლ. მარკოვის ისტორიული ხასიათის შრომები და მხატვარ ო. შმერლინგის გრაფიკული ჩანახატები.

17. მოქ. დ. გვარამაძისაგან ინსტიტუტმა შეიძინა ანასტასია ორბელიან-ჯავახიშვილის არქივი, რომელიც მოიცავს ივ. ჯავახიშვილის, კ. აბაშიძისა და ვ. და ა. ორბელიანების საინტერესო მიმოწერას.

18. კ. ცინცაძის არქივისათვის ინსტიტუტმა მოქ. მ. მენთეშაშვილისაგან შეიძინა ქაშვეთის ეკლესიის ფოტოალბომი, რომელშიც თავმოყრილია სურათები ძველი და განახლებული ქაშვეთის ეკლესიისა, შედგენილი კ. ცინცაძის მიერ (კ. ცინცაძის არქივი № 263).

19. ამ ბოლო დროს ინსტიტუტმა დაიწყო XIX ს. ქართველ მოღვაწეთა ფოტოსურათების შეძენა:

ცნობილი კოლექციონერის — პავლე (პაპუნა) წერეთლისაგან ინსტიტუტმა შეიძინა მეტად საინტერესო სურათების კოლექცია 1300 ერთეული, ხოლო მოქ. ვ. ვარდოსანიძისაგან — 50 ერთეული.

20. აკად. ა. შანიძემ ინსტიტუტს გადმოსცა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკაში დაცული არაბული ხელნაწერის (E—7) მიკრო და ფოტოპირები. მასალა შეიცავს ზაქარია ყაზვინელის თხზულებას — ‹ჯაჳ იბ ალ მახლუკათ-ს („ქმნილებათა საკვირველებანი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ილია II-მ ინსტიტუტს შემოსწირა:

ა) კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძისა და სხვათა წერილები ტარასი არქიმანდრიტთან (კ. საძაგლიშვილის არქივი № 1610);

ბ) ჰარვარდის უნივერსიტეტში (აშშ) დაცული X საუკუნის ქართული ხელნაწერის — ბერთის ოთხთავის მიკროფირი (Micr. 14, № 2);

გ) პრინსტონის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან ალექსანდრე კვიპრელ მონაზვნის ჯვრის საკითხავის მიკროფირი (Garrett, № 24).

აღნიშნული ხელნაწერი თარიღდება X საუკუნით. იგი XIX ს. ბოლო წლებამდე დაცული იყო სინას მთაზე № 93 ნომრით. შემდგომ ხელნაწერი სინას მთიდან გაუტანიათ და გაუყიდიათ. უკანასკნელად იგი შეიძინა ამერიკელმა ბიბლიოფილმა რობერტ გარეტმა, რომელმაც 1942 წ. სხვა ხელნაწერებთან ერთად ის გადასცა პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას (იხ. თ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, 1978, გვ. 6).

22. პროფ. ილ. ტაბაღუამ ინსტიტუტს გადმოსცა საფრანგეთის, ავსტრიისა და იტალიის არქივებში საქართველოს შესახებ მოპოვებული საარქივო მასალების ფოტოები.

23. დღითი დღე იზრდება ჩვენი ფონდები უცხოეთის წიგნთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების მიკრო თუ ფოტოპირებით. საფრანგეთიდან, ბერნარ უტიესაგან მიღებულია:

ა) პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ორი ქართული ხელნაწერი-ფრაგმენტის ფოტოპირი და ერთი მიკროფირი:

ლექციონარი, X ს. ეტრატი, 2 ფოტო (Georg. 31);

ლექციონარი, X ს. ეტრატი, 3 ფოტო (Ar. 53);

ეს უკანასკნელი ჩაკრულია არაბული ხელნაწერის თავსა და ბოლოში. (იხ. B. O u t t i e r, Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, Bedi Kartlisa, t 34, 1976, p. 97—101).

ოთხთავი, XII ს. (Georg. 28);

ბ) სტრასბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის მიკროფირი, „ლოცვანი“, XVIII საუკუნისა.

24. ოქსფორდიდან, მ. და ო. უორდროპების ფონდის მცველის — დ. ბარეტისაგან, ინსტიტუტმა მიიღო:

ა) ვეფხისტყაოსნის (XVII ს.) მინიატურების ფერადი მიკროფირი (Wardrop. d. 27);

ბ) პალიმფსესტის, იერემია წინასწარმეტყველების ხანმეტი ტექსტის, 1 ფურცლის ფოტოპირი (Wardrop. C. 1);

გ) ილ. ჭავჭავაძის მიერ მ. უორდროპთან გაგზავნილი 4 წერილის ფოტო (Wardrop. d. 20);

დ) 1911 წ. 14 იანვარს ქ. თბილისში მ. უორდროპისადმი მიძღვნილ საღამოზე მონაწილეთა ფოტოსურათი ფაქსიმილიებითურთ;

ე) თვენი, XI ს., ამ უკანასკნელს ახლავს წერილი გრ. ფერაძისა მ. უორდროპთან (Wardrop, C. 18);

3) ოთხი ისტორიული დოკუმენტის ფოტოპირი:

ა) ვენახის გაცვლის წიგნი, მიცემული ასუაშვილების მიერ დოლმაზაშვილებისათვის 1699 (Wardrop. C. 14).

ბ) მიწის წყალობის წიგნი, გაცემული როსტომ მეფის მიერ მექვაბიშვილებისათვის 1653 წ. (Wardrop. C. 14);

გ) მიწის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მირზაშვილების მიერ დოლმაზაშვილებისათვის, 1700 წ. (Wardrop. C. 14);

დ) მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ნინოწმიდელ მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის მიერ გიორგი ინაშვილისა და მისი შვილებისათვის, 1795 წ., (Wardrop. C. 14);

ზ) ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერის ფრაგმენტის მიკროფირი, XIII—XIV ს.ს. (Wardrop. d. 1);

თ) ჯვრის მონასტრის ტიპიკონის მიკროფირი, XIV ს. (Wardrop, d. 2).

25. პროფ. ვ. ჯობაძისაგან (აშშ) ინსტიტუტმა მიიღო ათონის ქართველთა მონასტრის ორი ხელნაწერის მიკროფირი:

ა) კრებული 1030 წლისა, რომელშიც შედის მაკარი მეგვიპტელის ეპისტოლენი და ევაგრი ეპისკოპოსის ცხოვრება ბაგრატ მღვდელთმოძღვრისა (Iviron 21);

ბ) აგიოგრაფიული კრებული, X ს. (Iviron 17).

26. პროფ. ს. ხუციშვილმა ინსტიტუტს შემოსწირა ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ფოტომასალა. დედანი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივში.

27. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფ. ნ. ვეილმა ინსტიტუტს გამოუგზავნა ახლადმიკვლეული ხელნაწერი — პალიმფსესტის (XI ს.) ფოტოპირი, რომელიც დაცულია ათონის ქართველთა მონასტერში (Rt. XI, № 14).

28. ელ. მეტრეველმა ინსტიტუტს გადმოსცა 1532 წ. გაცემული „ნავ-ყვარყვარეს შეწირულობის წიგნის“ ფოტო, რომელიც გაცემულია ათონის ივერთა მონასტრის კრებულის სახელზე. იგი ინახება ქართველთა მონასტრის ბერძნულ ფონდში (Iviron IV, 115).

დოკუმენტი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. ის გვაწვდის ახალ ცნობებს სამხრეთ საქართველოს შიდაფეოდალური ბრძოლებისა და წინააღმდეგობების შესახებ XVI ს. 30 წლებში (იხ. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IV, 1975, გვ. 192—205).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ჟურციკიძე

# „მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა)“[1]

(რეცენზია)

უნიკალური ხელნაწერების სათითაოდ შესწავლასა და გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენის ისტორიის თვალსაზრისით. ასეთი ძეგლები მეტად საიმედო და საჭირო საყრდენს წარმოადგენენ გარკვეულ ისტორიულ ასპექტში ორთოგრაფიის, ენის (ლექსიკა-გრამატიკისა) და პალეოგრაფიის საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

ჩვენს სინამდვილეში ქართული უნიკალური ხელნაწერების ცალ-ცალკე გამოცემას წმინდა საენათმეცნიერო მიზნებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ა. შანიძე. მან თვითონ გამოსცა ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორიცაა 978 წლის ოშკის ბიბლია (სამწუხაროდ, ეს გამოცემა ბოლომდე მიყვანილი არ არის) და სინური მრავალთავი 864 წლისა. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა X საუკუნის ცნობილი ძეგლი შატბერდის კრებული.

ბრიტანეთის მუზეუმის Add.—11281 ხელნაწერიც, რომლის გამოცემა ვ. იმნაიშვილს ეკუთვნის, ერთ-ერთი უნიკალური ხელნაწერთაგანია. იგი XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, შეიცავს 14 თხზულებას, რომლებიც III—VIII სს-ში ეგვიპტე-პალესტინის უდაბნოებში მოღვაწე წმიდა მამების „ცხორებებს“ წარმოადგენენ.

Add.—11281 ხელნაწერი ქართული ქრისტიანული მწერლობის ისტორიისათვის იმ მხრივაცაა საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ზოგიერთი თხზულება მხოლოდ ამ ხელნაწერშია დაცული და სხვაგან არ გვხვდება (ასეთებია ხარიტონის, იოანე ურჰაელის, კვრიაკოზის, პავლე ეპისკოპოსისა და იოვანე ხუცის და იოვანე შეყენებულის „ცხორებანი“), ამავე დროს ანტონი დიდისა და თევდოსი დიდის „ცხორებათა“ სრული ტექსტებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელნაწერს შემოუნახავს. თუ ამას იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ ბრიტანულ ხელნაწერში დაცული სამი თხზულება (სტეფანესა და ნიკონის, იოანე ურჰაელის და ბარლაამის „ცხორებანი“) ქართულის გარდა ჯერჯერობით ქრისტიანული მწერლობის მქონე არც ერთ ენაზე არ არის ცნობილი, ნათელი გახდება ამ ხელნაწერის დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართული, არამედ ქრისტიანული მწერლობით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისათვის საერთოდ.

---

[1] ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა თბ., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Add.—11281 ხელნაწერის გამოცემას ვ. იმნაიშვილმაც წმინდა ენათმეცნიერული მიზნები დაუსახა. მოკლედ წარმოადგინა რა ზოგადი ცნობები ამ ხელნაწერისა და მასში შემავალი ძეგლების შესახებ, გამოკვლევა ძირითადად ხელნაწერის ენობრივ ანალიზს მიუძღვნა.

ვ. იმნაიშვილის მონოგრაფია, რომელიც 550-მდე ნაბეჭდ გვერდს შეიცავს, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ტექსტისათვის (გვ. 3—8), ტექსტი (გვ. 9—316), გამოკვლევა (გვ. 317—459), ლექსიკონი (გვ. 463—523) და საძიებლები (გვ. 524—540).

ბრიტანული ხელნაწერის მთლიანობაში შესწავლამ გამოავლინა და გაასწორა ის შეცდომა, რაც ამ ხელნაწერის შედგენილობასთან დაკავშირებით ადრინდელ აღმწერლებს ჰქონდათ, სახელდობრ, ალ. ხახანაშვილის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი 11 თხზულებას შეიცავდა, ო. უორდროპის აღწერილობით — 12-ს. 12 „ცხორებას“ ითვლიდა აღნიშნულ ხელნაწერში კ. კეკელიძეც. სინამდვილეში კი ბრიტანული ხელნაწერი 14 თხზულებისაგან შედგება.

ამ გამოცემაში შვიდი თხზულება პირველად იბეჭდება. ესენია: ხარიტონის, ევთვიმის, თევდოსის, პავლე ეპისკოპოსისა და იოვანე ხუცის, სვიმეონ სალოსის, ჯერასიმესა და ბარლაამის „ცხორებანი“ (აღსანიშნავია, რომ ბარლაამის ცხორება, ნ. მარს აქვს გამოქვეყნებული, ოღონდ Ath.—55 ხელნაწერის მიხედვით).

ვ. იმნაიშვილმა მიზანშეწონილად ჩათვალა უკვე გამოქვეყნებული დანარჩენი 7 თხზულების ხელმეორედ გამოცემა, რადგან:

„1. ზოგი მათგანი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და სპეციალისტთა ფართო წრეს მასზე ხელი არ მიუწვდება. 2. მათში ბევრია შეცდომა. 3. ბრიტანული ხელნაწერი ენობრივად მეტად მნიშვნელოვანია და მისი მთლიანად გამოქვეყნებით საერთო შთაბეჭდილების შექმნა და შეფასება უფრო ადვილია. 4. მხოლოდ ცალკეულ თხზულებათა გამოქვეყნება ბრიტანული ხელნაწერის მთლიანობას დაარღვევდა“ (სარეც. ნაშრომი, გვ. 332).

სავსებით მართებული დასაბუთებაა. მათ გამოცემაზე ხელის აღება არავითარ შემთხვევაში არ ეგებოდა.

ერთი ხელნაწერით ტექსტის გამოცემისას ყოველთვის მეტი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ ვამოცემაში გაიპაროს როგორც ორთოგრაფიულ-ენობრივი, ისე აზრობრივი შეცდომები. ჩვენს შემთხვევაში ამგვარი შეცდომებისათვის განსაკუთრებული პირობებიც არსებობდა. ჯერ ერთი, ბრიტანული ხელნაწერი გამომცემელს ხელთ არ ჰქონდა (ეს ხელნაწერი, როგორც ვიცით, ინგლისშია დაცული) და სარგებლობდა ფოტოპირით, ამავე დროს ბრიტანული ხელნაწერი დაზიანებულიც ყოფილა, ფოტოპირის მიხედვით ჩანს, რომ აქ მთელი რიგი ადგილები გაფერმკრთალებული და გადალეულია. ასეთი ადგილების კითხვა ძალზე ძნელია ხელნაწერში, მით უფრო რთულია ფოტოპირით სარგებლობა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ შეცდომას, რომლებიც გამომცემელს დაუშვია ხელნაწერის ამოკითხვაში (როგორიცაა: „შეტევეს“ (127,25) ნაცვლად ფორმისა „შეცკვეს“, „იონდ“ (127,28) ნაცვლად „უნდოდა“, „შეურგულებულთა“ (13,8) — „შეურგულებელთა“-სი და სხვ.), უნდა მივიჩნიოთ, რომ მას ძირითადად კარგად გაურთმევია თავი ამ სიძნელისათვის.

როგორია ვ. იმნაიშვილის მეთოდი ტექსტის გამოცემისა?

მართალია, ვ. იმნაიშვილი მხოლოდ ერთ — ბრიტანულ ხელნაწერს სცემს და, როგორც თვითონ ამბობს, განუხრელად მიჰყვება მას, მაგრამ რაკი რამდენიმე ტექსტს სხვა ხელნაწერებშიც დაეძებნა პარალელები (ეს ხელნაწერებია: A—1109, A—19, A—249, A—188, Ath.—55, Sin.—43, Ier.—17), ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ბრიტანული ხელნაწერის მცდარ წაკითხვებს ამ ხელნაწერების სწორი წაკითხვებით ცვლის, სქოლიოში კი უთითებს იმ ნუსხებს, რომელთაც მოცემულ შემთხვევაში ეყრდნობა.

ამგვარადაა გასწორებული გამოცემაში შემდეგი ადგილები:

| ბრიტანულ ხელნაწერშია: | შესადარებელი ხელნაწერებით სწორდება: |
|---|---|
| სრული | სურვილი (14,11) |
| მოუჯდეს | მიუჯდეთ (15,8) |
| ევნებოდა | ენება და (17,28) |
| მკეცებითა და | მკედრებითა (29,14) |
| ირეფანელთა | ზეფანელთა (151,20) |
| ჰხედავთაა | ჰხედავთა (159,12) |
| განადიდნა | განდიდნა (229,17) და სხვ. |

ეს მეთოდი იმისათვის, რომ ხელნაწერში გაპარული შეცდომები გასწორდეს და გამოცემა გაიმართოს, სავსებით მიზანშეწონილია.

პარალელური ტექსტების წაკითხვებს გამომცემელი სხვა დროსაც მიმართავს: ხელნაწერის დასაწყისში, იმ ადგილას, სადაც „ანტონის ცხოვრებაა“ მოთავსებული, პირველი 7 ფურცლის ზემოთა ნაწილი დაზიანებულია და არ იკითხება. ვ. იმნაიშვილი ტექსტს აღადგენს A—1109 და A—19 ხელნაწერების მიხედვით, აღდგენილ ნაწილს კვადრატულ ფრჩხილებში სვამს. აგრეთვე, ხელნაწერის 228-ე ფურცელს ჩამოჭრილი ჰქონია დაახლოებით $^5/_6$ ნაწილი, რის გამოც ნაკლულია „თევდოსის ცხოვრების“ დასასრული და „ბარლაამის ცხოვრების“ დასაწყისი. ვ. იმნაიშვილს პირველი შეუვსია A—188 ხელნაწერის მიხედვით, მეორე კი — Ath.—55 ხელნაწერის საფუძველზე (მეორე შემთხვევაში გამოუყენებია Ath.—55 ხელნაწერის ტექსტის ნ. მარისეული გამოცემა).

ტექსტის ამგვარი გამართვა ჩვენთვისაც სავსებით მისაღებია, მაგრამ, როდესაც ძეგლს ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ვუდგებით, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ტექსტის ნაკლული ადგილების ჩვენეული თარგმანით შევსება. მხედველობაში გვაქვს „საბა პალესტინელის ცხოვრება“, რომლის ტექსტიც ვ. იმნაიშვილს ბერძნულ-ლათინური ვერსიებიდან შესრულებული საკუთარი თარგმანით შეუვსია (გვ. 123—124).

ვ. იმნაიშვილმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ტექსტისადმი ლიტერატურის ისტორიკოსებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტთა ინტერესები. მათთვის კი ნაწარმოების მთლიანი შინაარსის ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აქ უკვე სხვა რამ გვინდა ვუსაყვედუროთ ავტორს, სახელდობრ „საბა პალესტინელის ცხოვრების“ ტექსტის ამ მონაკვეთის კ. კეკელიძისეული თარგმანის დაწუნება და მისი ხელახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ვ. იმნაიშვილი წერს: „აქ წარმოდგენილ ტექსტს აკლია ერთი ფურცელი, კერძოდ 143-ე... როგორც ჩანს, 143-ე ფურცელი წიგნიდან ამოუხევიათ და შემდგომში დაკარგულა. კ. კეკელიძემ დაკარგული ნაწილი შეავსო საკუთარი თარგმანით, რომელიც, თავის მხრივ, ჩანს, Христианское чтение-ში დაბეჭდილი რუსული თარგმანის მიხედვით უნდა იყოს შესრულებული. ეს თარგმანი კი მთლად სრული არაა. მასში ზოგიერთი წინადადება გამოტოვებულია. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, წარმოგვედგინა ახალი თარგმანი, რომელიც ბერძნულ-ლათინური ვერსიების გათვალისწინებით არის შესრულებული თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის თანამშრომელთა დახმარებით“ (გვ. 340).

საქმე ისაა, რომ ამ ორ თარგმანს შორის (იგულისხმება კ. კეკელიძისა და ვ. იმნაიშვილისეული) განსხვავება ძირითადად სტილისტური ხასიათისაა. მხოლოდ ერთგან კ. კეკელიძის თარგმანში გვაქვს „კილიკიელი“, ვ. იმნაიშვილისაში — „ლუკიელი“ და ერთი წინადადება „თითოეულმა მხარემ სახელწოდება თავიანთი უკეთური დოგმატების ხასიათის მიხედვით მიიღო“, აკლია კ. კეკელიძის თარგმანს, სხვა მხრივ, შინაარსი ერთნაირია. ამ განსხვავებულ ნაწილშიც ვ. იმნაიშვილის თარგმანი უფრო ზუსტად ასახავს თუ არა წყაროს, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ კ. კეკელიძემ „საბა პალესტინელის ცხოვრება“ შეუდარა ბერძნულს და მისი ამ წყაროდან მომდინარეობაც დაამტკიცა, ვ. იმნაიშვილს კი ნაწარმოები ამ თვალსაზრისით არ შეუსწავლია.

საერთოდ ვ. იმნაიშვილს გამოცემაში გასწორებული აქვს როგორც ორთოგრაფიულ-გრამატიკული, ისე აზრობრივი ლაფსუსები. ნაშრომში გვხვდება არაერთი მახვილგონივრული გასწორება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტექსტის სწორების თვალსაზრისით გამომცემელი ყოველთვის თანმიმდევრული არ არის: ზოგიერთ შემთხვევაში იგი ტექსტს სალიტერატურო ნორმების მიხედვით ასწორებს, ზოგჯერ კი საგანგებოდ იცავს დიალექტურ ფორმებს.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი, რომლის მრავლობითობაც **-ნ/ენ** სუფიქსითაა გამოხატული (პირდაპ. ობიექტი ან სუბიექტი), ზმნასაც მრავლობითში ითანხმებს. ძველი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს შეთანხმება რიცხვში დარღვეულია. „ამ შემთხვევაში — წერს ზ. სარჯველაძე — სალიტერატურო ენის ნორმა განსხვავდება ენის ნორმისაგან... იმ დიალექტებში, რომელთაც ასახვა პოვეს IX—XI საუკუნეთა სალიტერატურო ენაში, პირდაპირი ობიექტის (გარკვეულ შემთხვევაში აგრეთვე სუბიექტის) მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აისახებოდა“ (ზ. სარჯველაძე, ქართ. სალიტ. ენის ისტორიის საკითხები, გვ. 240).

ამ ნორმის დარღვევის შემთხვევები ბრიტანულ ხელნაწერშიცაა:

„მათ... შეიწუნარიან სიტყუანი იგი ბერისანი“ (37,5).

„ეშმაკნი განიდევნეს“ (71,30).

„წარავლინა მისა დიოსკოროს მწვალებელმან ორნი კაცნი“ (151,37).

„შეწირა ღმრთისა... ჯორცნი თჳსნი“ (195,35) და სხვ.

გამომცემელს, რატომღაც, საჭიროდ მიუჩნევია მათი გასწორება ძველი ქართული სალიტერატურო ნორმების მიხედვით. გამოცემაში შესაბამისად გვაქვს: შეიწუნარნიან, განიდევნნეს, წარავლინნა, შეწირნა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, ამგვარი გასწორება სალიტერატურო ნორმების მიხედვით საჭირო არ არის, მით უმეტეს, როდესაც ტექსტს ვცემთ, როგორც ენობრივ ძეგლს. ხოლო თუ გამომცემელი ამგვარი სწორების მომხრეა, მაშინ რატომ არ ასწორებს იგი ხმოვანთა დისიმილაციის ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა მაგ. ოა⟶უა მონაცვლეობა შემდეგ მაგალითებში:

მუართუეს (←მოართუეს), მუაქამდე (←მოაქამდე), მუაკლდა (←მოაკლდა), მუაკუდინის (←მოაკუდინის), გამუაძეს (←გამოაძეს) და მისთ.

მიზანშეწონილად არ გვეჩვენება აგრეთვე ვ. იმნაიშვილის სხვა გასწორებაც:

წინადადებაში „ამას ჰ ხ უ ე დ ა ქსენადოქობაჲ“ (84,5), ვ. იმნაიშვილი „ჰ ხ უ ე დ ა ს“ — „ჰ ხ უ დ ა დ“ ასწორებს. აღსანიშნავია, რომ ეს ფუძე უკუმშველად ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც გვხვდება: „წ ი ლ მ ხ უ ე დ ა მე რჩეულთა თანა“ — ფს. 15,6, „სული მ ხ უ ე დ ა კეთილი“ — სიბრძნ. სოლ. 8,19 (შდრ. აგრეთვე: „ნაწილად ცოდვილისა ჰ ხ უ ე დ ი ნ“ — ზირ. 25,26).

ხელნაწერში „ბორცკ“-ს ნაცვლად გვხვდება „ბურცკ“: „აღმოსავალით მისა არს მცირე ბურცკ“ — 172,31; „მოვიდა იგი უმაღლესსა მას ბ უ რ ც უ ს ა“ (63,36). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიტყვის ზმნური ფორმა უ-ხმოვნიანია (შდრ. ამობურცვა, გამობურცვა), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „ბურცკ“-ს სახით ენობრივად საინტერესო ფორმასთან გვქონია საქმე და მისი გასწორება არ ეგებოდა (შდრ. აგრეთვე დღევანდელი „ბოლქვი“ და ძვ. ქართული „ბულქკ“).

მეორე მხრივ, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ ასწორებს წიგნის ავტორი ხელნაწერის შემდეგ წაკითხვებს: შეიმთხჳნეს (109,3), მიიწინეს (69,26), იჴუმინნა (70,13), აქ ხომ აშკარად მცდარ ფორმებთან გვაქვს საქმე? მოსალოდნელი იყო: შეიმთხჳნეს, მიიწინეს, იჴუმინა.

ნაშრომში ტექსტს მოსდევს თავი „ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი“ (გვ. 317—374), რომელიც ოთხი ქვეთავისაგან შედგება:

A. Add.—11281 ხელნაწერის მოკლე აღწერილობა.

B. მინაწერები.

C. ადრინდელი ცნობები Add.—11281 ხელნაწერის შესახებ.

D. Add.—11281 ხელნაწერში შემავალი ძეგლები.

ამ თავში მოცემულია Add.—11281 ხელნაწერის აღწერილობა, წარმოდგენილია თითქმის ყველა მინაწერი, რაც ხელნაწერში გაჩენილა დღიდან მისი გადაწერისა. ავტორი ვრცლად ეხება იმ დამსახურებას, რომელიც მიუძღვით ო. უორდროპს, ალ. ხახანაშვილს და კ. კეკელიძეს ამ ხელნაწერის შესწავლასთან დაკავშირებით, ლაპარაკობს იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზეც, რაც ამ მკვლევარებს ბრიტანული ხელნაწერის კვლევისას ჰქონდათ.

ამავე თავში ვ. იმნაიშვილი ცალ-ცალკე მიმოიხილავს Add.—11281 ხელნაწერის თითოეულ ძეგლს (გვ. 330—374) და ამ ძეგლების, მათი ავტორებისა და ძეგლებში მოხსენიებული პირების შესახებ გვაწვდის გარკვეულ ცნობებს. იგი ამ ცნობების მშრალი მოწოდებით არ კმაყოფილდება, მსჯელობს სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულ მთელ რიგ საკითხებზე, ქართულ ტექსტებში ეძებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ცალკე მოსაზრებათა გამამავ-

რებელ ან საწინააღმდეგო ფაქტებს და ჯეროვნადაც იშველიებს მათ (იხ. ხილვა კჳრიაკოზის ცხოვრებისა, იოვანე შეყენებულის ცხოვრებისა და სხვ.).

როგორც უკვე ითქვა, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრება“ ქართულის გარდა ჯერჯერობით არც ერთ ენაზე მიკვლეული არ არის. ქართული თარგმანის ბოლოს გვხვდება ცნობა, რომ ეს ძეგლი ათანასი ალექსანდრიელს ეკუთვნის. ვ. იმნაიშვილი ტექსტის მონაცემების მიხედვით ეჭვის ქვეშ აყენებს ათანასი ალექსანდრიელის ავტორობის საკითხს: ეჭვს იწვევს ის, რომ თხზულება დაწერილია მესამე პირში და თვითონ ათანასი ალექსანდრიელთან დაკავშირებული ამბები მოთხრობილია ძალზე ზედაპირულად. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ათანასი ალექსანდრიელის თხზულებებში ეს ნაწარმოები მოხსენიებული არ არის. საყურადღებო ჩანს ავტორის მსჯელობა იმის შესახებაც, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ თხზულების ავტორი, ანდა როგორ უნდა გაჩენილიყო აქ ათანასი ალექსანდრიელის სახელი. მისი ვარაუდით: „შესაძლოა, აღნიშნული ნაწარმოების შემთხზველად ათანასის მხლებელი რომელიმე ეპისკოპოსი ახ ბერი ვიგულვოთ... მას რომ უფრო მეტი დამაჯერებლობა და სოლიდური სახე მიეცა თავისი თხზულებისათვის, ავტორად ათანასი დაასახელა, რომლის სახელიც იმ დროს ქუხდა... ხოლო დროთა განმავლობაში მისმა სახელმა დაჩრდილა ნამდვილი ავტორი „ცხოვრებისა“, ჯერ მეორე პლანზე გადაწია, შემდეგ კი სრულიადაც ჩამოიცილა“ (გვ. 358). ეს ვარაუდი კიდეც რომ არ გამართლდეს, ლოგიკური ჩანს, რადგან მსგავს შემთხვევებს ძველ მწერლობაში სხვა დროსაც ჰქონია ადგილი.

ნაშრომის ამ თავთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნები:

1. პირველი ქვეთავის სათაური „Add.—11281 ხელნაწერის მოკლე აღწერილობა“ ზუსტი არ არის, რადგან ვრცელი და სრული აღწერილობა ხელნაწერისა სხვაგან სად უნდა იყოს, თუ არა ნაშრომში, რომელიც ამ ხელნაწერის მთლიან პუბლიკაციას წარმოადგენს? „მოკლე აღწერილობის“ ხმარება აქ მით უფრო გაუმართლებელია, რომ რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ფოტოპირი, ხელნაწერი საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი.

2. როგორც აღვნიშნეთ, ამ თავში „მინაწერებს“ ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი. მინაწერები აქ წარმოდგენილია ხელნაწერისეული თანმიმდევრობით. მხოლოდ დაჯგუფებულია ამგვარად: ნუსხურით შესრულებული მინაწერები და მხედრულით, მათი ანალიზი კი, ორიოდე შემთხვევის გარდა, ნაშრომში მოცემული არ არის. არა და ეს მინაწერები მრავალმხრივაა საინტერესო: გვაქვს გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერები, ბევრია მოგვიანებით, სხვა ხელით დართული მინაწერები, მათგან ნაწილი ხელნაწერის გადამწერსა და დამკვეთს ასახელებს, ერთში მთარგმნელიცაა დასახელებული, სხვაში კიდევ გარკვეული ისტორიული პირები ჩანან და სხვ.

3. „ევთვიმის ცხოვრებას“ ბოლოს გადამწერის ანდერძი ერთვის, რომელიც არც ხელნაწერშია გამოყოფილი და, სამწუხაროდ, არც გამომცემელს გამოუყვია: „და მე, გლახაკი და უღირსი აღმწერელი ამისი ქართველთა ენითა, ვევედრები უფალსა ლოცვითა ამათ წმიდათაჲსა, რაჲთა დამაწოს ნაწუეთი ერთი მადლისა მისისაჲ გულსა ჩემსა სადიდებელად სახელისა მისისა“ (გვ. 183).

საჭირო იყო, რომ გამომცემელს გადამწერისეული ეს აბზაცი ტექსტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეყო, მით უფრო, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, Sin.—43 ხელნაწერში დაცულ „ევთვიმის ცხოვრების“ ტექსტს იგი არ ერთვის.

4. ცალკეული მინაწერების ამოკითხვაში შეცდომებია დაშვებული.

| ხელნაწერშია: | გამოცემაშია: |
|---|---|
| შემინდევით (54v) | შემინდვეთ |
| მამინაი (54v) | მამინიაჲ |
| ზიარებად (54v) | ზიარებაჲ |
| ჯერ არს (54v) | ღირს არს |
| მამაჲ გ͠ი (144v) | გ͠ი |
| მარხვათა (210v) | მარხვითა |
| ნიკოლას (214v) | ნიკალას |
| მოწყალებათა შენთა (369r) | მოწყალებითა შენითა |
| კრ͠თხლ არს (369v) | კრთ͠ხლი არს |

ეს შეცდომები მით უფრო თვალში საცემია, რომ მინაწერთა ვ. იმნაიშვილისეულ პუბლიკაციას მოსდევს ბრიტანული ხელნაწერის ადრინდელ აღმწერელთა მიერ დაშვებულ უზუსტობათა კრიტიკა.

5. მხედრული მინაწერების შესახებ ავტორი შენიშნავს: „ასოების მოხაზულობა ისეთია, რომ ზოგან ჭირს ამა თუ იმ ასოს ამოცნობა“ (გვ. 325), ამიტომაც მას მხედრული მინაწერების წარმოდგენისას მიზანშეწონილად მიუჩნევია ალ. ხახანაშვილისა და ო. უორდროპის წაკითხვებს დაყრდნობოდა. კარგი იყო, ვ. იმნაიშვილს შეემოწმებინა ხახანაშვილისა და უორდროპის წაკითხვები და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილიყო მათ გასწორებას. ნაშრომში ხელნაწერის 234r გვერდიდან უორდროპის წაკითხვით დამოწმებულია მინაწერი: „ღმერთო, უშუელე ცოლ-შვილსა ოქროპირისა“, სინამდვილეში კი საკმაოდ გარკვევით წერია: „ღმერთო, მიშუელე ცოდვილსა ოქროპირასა“.

6. ვ. იმნაიშვილი Add.—11281 ხელნაწერის მხედრული მინაწერების პალეოგრაფიულ მნიშვნელობას რატომღაც უგულებელყოფს, რაც ძველი ქართული ხელნაწერების შემსწავლელისა და გამომცემლისათვის მიუტევებელია. ნაშრომის 319-ე გვერდზე იგი წერს: „ხელნაწერის ზოგიერთი გვერდის არშიები სურათებითაა მოხატული, ზოგზე კი, ჩანს, მხედრული ასოების წერაში უვარჯიშიათ. მაგალითად, 119v — გვერდზე ბატიფეხური მხედრულით ანბანის რიგზე ასოებია ჩამოწერილი, ისე, რომ დამწერს კალამი ფურცლისაგან არ მოუწყვეტია. ყველა ასო ერთმანეთზეა გადაბმული. მხედრული ასოებია ჩამოწერილი 233v გვერდზეც (ეს წარწერები, ეტყობა, გვიანდელია, რადგან დიდად არ განსხვავდება დღევანდელი ასოების მოხაზულობისაგან). სხვათა შორის, ჩანს, 233v—234r გვერდებზე გადაშლილი წიგნი უკუღმა სჭერიათ: 234r გვერდზე რაღაც უცხო ასოების მოხაზულობაში უვარჯიშიათ და ერთ-ერთი მხედრული წარწერაც (იხ. გვ. 325) არაბუნებრივი მხრიდანაა შესრულებული“ (გვ. 319).

ბრიტანული ხელნაწერის 119v, 233v და 234r გვერდებზე არსებული მინაწერების შესახებ იმის თქმა, რომ ისინი „გვიანდელია, რადგან დიდად არ

განსხვავდება დღევანდელი ასოების მოხაზულობისაგან“, ანდა, რომ აქ „ბატი-ფეხური“ მხედრულითაა ანბანი ჩამოწერილი, ზერელე განცხადებად ჩანს.

234r გვერდზე მინაწერი, რომელიც ჩვენ მიერ ასე გასწორდა: „ღმერთო, მიშუელე ცოდვილსა ოქროპირასა“, ასოთა მოხაზულობით, XIV—XV საუკუნეებზე გვიანდელი არაა. რაც შეეხება შენიშვნას, აქ რაღაც უცხო ასოების მოხაზულობაში უვარჯიშიათო, აქ რაღაც უცხო ასოები კი არა, იმავე ხელით შესრულებული და, მაშასადამე, იმავე XIV—XV საუკუნეების **ვინი, ზენი** და **პარია** ჩამოწერილი. ეს უკანასკნელი იმ დროს, მის დღევანდელ დაწერილობას თუ წაღმად მივიჩნევთ, უკუღმა იწერებოდა.

რაც შეეხება 119v და 233v გვერდებზე მხედრულით სამგზის ჩამოწერილ ქართულ ანბანს (ერთხელ 119v გვერდზე, ორჯერ კი 233v-ზე), ჩვენი აზრით, სამივე ამ ანბანისა და 234r გვერდებზე მინაწერების ავტორი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. მაშასადამე, ეს ანბანიც 234r გვერდის მინაწერებთან ერთად არავითარ შემთხვევაში XV საუკუნეს არ გადმოსცილდება[2] (თუ რა დროისაა ზუსტად, კიდევ სჭირდება საგანგებო დაკვირვება და შესწავლა). სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ანბანს ქართული პალეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში აღმოჩნდა მხედრული მოხაზულობის ასონიშნები ჵ, ჲ და ჶ-სი. ჵ, ჲ, ჶ ნიშნების შემუშავებას მხედრულისათვის XVII საუკუნეში ვარაუდობდნენ, რაკი უფრო ადრინდელ ხელნაწერებში მათი არსებობა აქამდე დადასტურებული არ იყო. ამ ნიმუშებიდან კი ჩანს, რომ მხედრულ ანბანში ეს სამი ასო გაცილებით ადრე გაჩენილა.

7. ვ. იმნაიშვილს მის მიერ გამოცემული ტექსტების უცხოენოვან წყაროებთან შეჯერება, მათი მომდინარეობის დადგენის თვალსაზრისით, მიზნად არ დაუსახავს. ბრიტანულ ხელნაწერში დაცული ქართული თარგმანების ამგვარი შესწავლა კიდევ ერთი დიდი მონოგრაფიის თემაა, მაგრამ ამგვარი სამუშაოს ჩატარების საჭიროებას იგი გრძნობს და ერთგან კიდეც ეხება ქართულ-ბერძნული ტექსტების მიმართების საკითხს. პავლე ეპისკოპოსისა და იოანე ხუცის ცხოვრებას რომ მიმოიხილავს ვ. იმნაიშვილი წერს: „ბერძნული და ქართული ვერსიების ზერელე შეჯერებაც კი აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართული ტექსტი უშუალოდ ამ დედნიდან არაა ნათარგმნი. ბერძნულ ორიგინალში გვხვდება ადგილები, რომლებიც ქართულში არაა და, პირიქით, ბერძნულს აკლია წინადადებები, რომლებიც ქართულ ტექსტში მოიპოვება. აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ სიტყვებზე, განსაკუთრებით საკუთარ სახელებზე, რომლებიც ერთმანეთის შესატყვისად ყოველთვის არაა ორივე ტექსტში წარმოდგენილი. შესაძლებელია, ქართველი მთარგმნელი სხვა ბერძნული რედაქციით ხელმძღვანელობდა, არც ისაა გამორიცხული, რომ მას ხელთ სხვა რომელიმე ენაზე არსებული დედანი ჰქონოდა“ (გვ. 359—360).

ჯერ ერთი, მეცნიერულ კვლევას დებულებათა დამასაბუთებელი ფაქტების დასახელება უყვარს, უამისოდ მოწოდებული დასკვნები დამაჯერებელი ვერ იქნება. მეორეც, ყოვლად შეუძლებელია ტექსტების ურთიერთმიმართების დადგენა მათი „ზერელე შეჯერებით“. როდესაც რომელიმე ოხზულების

---

[2] შდრ. ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები; პალეოგრაფიული ალბომი, 1973; ელ. მაჭავარიანი, ქართული ანბანი, განათლება, 1977.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ ვერსიას სხვადასხვა ენაზე ერთმანეთს ვუდარებთ, მათი დამოკიდებულების გასარკვევად ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა მხოლოდ ტექსტების ყოველმხრივი, გამოწვლილვითი შეჯერებაა.

თარგმანისა და წყაროს შედარების მეთოდს თუ მოვიხმარდით, მაშინ ზემოდასახელებული ძეგლის ქართული და ბერძნული ვერსიები ტექსტობრივად კიდეც რომ არ დამთხვეოდა ერთმანეთს, ის მაინც უთუოდ გაირკვეოდა, მომდინარეობს თუ არა ეს თარგმანი საერთოდ ბერძნულიდან და მაშინ დასკვნაც უფრო კონკრეტული იქნებოდა და არა ასეთი, „შესაძლებელია, ქართველი მთარგმნელი სხვა ბერძნული რედაქციით ხელმძღვანელობდა, არც ისაა გამორიცხული, რომ მას ხელთ სხვა რომელიმე ენაზე არსებული დედანი ჰქონოდაო“.

ასევე ლიტონ განცხადებად მოჩანს ავტორის დასკვნა „ჯერასიმეს ცხოვრების“ ქართულ-ბერძნული ტექსტების დამოკიდებულების თაობაზე: „ქართული ტექსტი ზუსტად არც ერთ ბერძნულ რედაქციას არ მიჰყვება, მაგრამ სოფრონიუსისეულ ვერსიასთან უფრო ახლოს დგას“ (გვ. 374).

8. ცალკეული ძეგლების მიმოხილვისას ვ. იმნაიშვილი, რატომღაც, იფარგლება იმის აღნიშვნით, არსებობს ან გამოცემულია თუ არა ეს ძეგლი ბერძნულ და რუსულ ენებზე. ეს აღნიშვნა ეგების საკმარისი ყოფილიყო, ავტორი რომ ქართულ ტექსტებს ამ ვერსიებთან (ბერძნულსა და რუსულთან) ადარებდეს, ან რაიმე თვალსაზრისით განსაკუთრებით აინტერესებდეს ისინი, სამწუხაროდ, მათ დასახელებას მხოლოდ ბიბლიოგრაფიული დანიშნულება აქვს. ხოლო თუ ტექსტებს ბიბლიოგრაფიას ვუდგენთ, საჭიროა, რომ იგი შეძლებისდაგვარად სრული იყოს. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ მოიძია მან ეს ტექსტები ბერძნულსა და რუსულს გარდა ქრისტიანული მწერლობის მქონე სხვა ენებზე. ხოლო თუ მოიძია (ამის შესაძლებლობა კი მას ჰქონდა) და არ აღმოჩნდა, ესეც უნდა აღენიშნა.

ძეგლის ენობრივი ანალიზი ნაშრომში მოცემულია 375—459 გვერდებზე. ბრიტანული ხელნაწერი ენობრივად საინტერესო ფაქტებითა და მოვლენებით განსაკუთრებით მდიდარია და წიგნის ავტორსაც ბევრი რამ საყურადღებო აქვს შენიშნული და გამოვლენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია **ცჷ**-ს **ჰ**-სთან დაკავშირების ცდები: **ცჷ**-ს **ჰ**-ს ფუნქციით გამოყენებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისათვის. მოსალოდნელი **ჰ**-ს ნაცვლად **ცჷ**-ს ხმარების ძალზე იშვიათ შემთხვევებს ბრიტანული ხელნაწერიდან დაემატა კიდევ სამი მაგალითი: შე**ცჷ**რთნა, შე**ცჷ**ვედრნა, შე**ცჷ**კრებნ (გვ. 379).

**ი**-ს შეკუმშვის ამსახველი მაგალითები ძველ ქართულში თითზე ჩამოსათვლელია. ვ. იმნაიშვილი აქაც უმატებს რამდენიმე ნიმუშს: სიფცხლისა, სიფცხლითა, საჰყრობლით (გვ. 401).

ისეთი იშვიათი ფორმებიც, როგორიცაა **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები საკ. სახელები (ე. წ. კოლექტიური მრავლობითი), ბრიტანულ ხელნაწერში რამდენჯერმე გვხვდება. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ფორმას აქ **-ნ** სუფიქსიც ერთვის: კონონეთნი, ბურდისანეთნი, არიოზეთნი (გვ. 404).

მესამე სუბ. პირის ნიშნად მხ. რიცხვში ძველ ქართულში ძალზე იშვიათად გვხვდება **-დ** სუფიქსი, ბრიტანულ ხელნაწერში ავტორს ამ მხრივაც საინტერე-

სო მასალა აქვს გამოვლენილი (უცნობიედ სარგებელი, ჰმოსიედ მოძღურებაჲ და სხვ. გვ. 416).

**-დო**ნიანი ზმნების უწყვეტლის მწკრივის მხოლობითი რიცხვის I და II პირის ფორმები ამ ძეგლში ძირითადად მარტოოდენ **-დ** სავრცობით, თანხმოვანთგასაყარი **ი**-ს გარეშე, გვხვდება: აღვსწერდ, განვაგებდ, ითხოვდ და სხვა. ვ. იმნაიშვილის მართებული დასკვნით, „აქედანაც ჩანს, რომ ბრიტანულ ხელნაწერში დაცული ძეგლები ძალზე ადრეა თარგმნილი: მათში შემონახულია ზმნათა უძველესი ფორმები“ (გვ. 418).

ძველ ძეგლებში იშვიათია აგრეთვე მაგალითები შერეული კავშირებითის ფორმებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით ამ მწკრივის გამოყენების მხოლოდ 47 შემთხვევაა დადასტურებული. როგორც ავტორი წერს, ყოველი ახლად გამოვლენილი ნიმუში ხელს შეუწყობს აღნიშნული მწკრივის ისტორიის უკეთ გარკვევას. ბრიტანული ხელნაწერი შერეული კავშირებითის 14 მაგალითს გვძენს (ყოდიან, აღასრულოდიან, მომიწეროდი და სხვ.) გვ. 420—422).

ძველ ქართულში პრეფიქსიან ვნებითებს II სერიის მწკრივების მრავლობითში შესაბამისი მოქმ. გვარის ზმნებიდან **-ენ** სუფიქსი გადმოჰყვება: გამონაკლისია ორი ზმნა: **დაირღუეს, მიიქცეს,** მათ ეს სუფიქსი არ გააჩნიათ. ბრიტანულ ხელნაწერში კი **მიიქცეს, მოიქცეს** ზმნები, როგორც წესი, მრავლობითში **-ნ/-ენ** სუფიქსით იხმარება: მიიქცნეს, გარე-მიიქცნენ, მოიქცნენ და სხვ. (გვ. 423—424).

კაუზატივის გადმოსაცემად ორგანულ წარმოებასთან ერთად აღწერითიც გამოიყენებოდა. ეს ფაქტი თავდაპირველად შეუნიშნავს ნ. მარს „ქებაჲ ქებათაჲს“ თარგმანებაში. ამ მოვლენისათვის ადრევე მიუქცევია ყურადღება ვ. იმნაიშვილსაც. რაკი ზმნის ეს კატეგორია სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი, იგი შედარებით ვრცლად მიმოიხილავს მას (გვ. 429—432).

ავტორს საკვლევ ძეგლში საყურადღებო ფაქტები აქვს გამოვლენილი სინტაქსის სფეროდანაც. ნაშრომში სათანადო მაგალითების მოხმობით ნაჩვენებია ძველ ქართულ ენაში **წინაშე, თანა** და **ზედა** თანდებულების ხმარების არსებული წესის, აგრეთვე **ნა**რიანი მრავლობითის სინტაქსური ძალის თანდათანობითი მოშლის პროცესი. ჩამოთვლილია მთელი რიგი სინტაქსური თავისებურებანი ძეგლისა, როგორიცაა ზოგიერთი კანონზომიერება **და** კავშირის ხმარებაში, „ჩუენ უდებთათჳს“ ტიპის გამოთქმები (ითხოვ ჩემ გლახაკისაგან ლოცვასა), განკერძოებული სიტყვების საინტერესო სახეობა (ადგილი ჩუენ დავიპყართ, ნეა-ლავრაჲ...), ასაკის ჩვენების თავისებური წესი (ორმეოცდამერვესა წელსა მამისა ჩუენისა საბაჲსსა ჰასაკისა ჟამთა) და სხვ.

ნაშრომში ცალკეა განხილული რამდენიმე ლექსიკური ერთეული: **სატუხე, ჰინდოეთი|ჰინდოჲ, ვეფხი, უძლები** და სხვ. საგანგებოდ ვრცლად და დაწვრილებით მიმოიხილავს ავტორი **რაჲ** ნაცვალსახელის ახალი ფუნქციით, კერძოდ, განსაზღვრებითი ნაცვალსახელის (თითოეული, ყველა, ყოველი) ფუნქციით ხმარების შემთხვევებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ, თარგმნილი ძეგლის სინტაქსსა და ლექსიკაში დაჩნდება იმ ენის თავისებურებანი, რომლიდანაც თარგმანი მომდინარეობს. სარეცენზიო ნაშრომში (განსაკუთრებით ამ საკითხების მიმოხილვისას)

იგრძნობა ხარვეზი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ქართული თარგმანი წყაროსთან არ არის შეჯერებული. ასე მაგ., განკერძოებული სიტყვების ის საინტერესო სახეობა, რომელიც შენიშნული აქვს ვ. იმნაიშვილს საკვლევ ძეგლში, ძალიან ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც, განსაკუთრებით იადგარის ქართულ თარგმანში და არის ბერძნული მოვლენა.

აქ გვაქვს ორიოდე კერძო ხასიათის შენიშვნაც:

1. ვ. იმნაიშვილი სახელში „ქრისტიანე“ ქართულ სუფიქსს **-იან** (←ეან)-ს გამოყოფს: „წარმომავლობის, ჩამომავლობის ან რაიმე მოძღვრების მიმდევართა მაჩვენებელი სახელები სხვადასხვა სუფიქსებითაა ნაწარმოები. ესენია: ქართული -ელ, -ეან (←იან), უცხოური -ოს||ოზ, ტ...“ — წერს იგი და **-ეან||-იან**-ით ნაწარმოები სახელებიდან ჩამოთვლის: მარკიანნი, მამჭუესტეანი, მარუნიანი, ნესტორეანნი||ნესტორიანთაჲ, ქრისტეანე||ქრისტიანე, ქრისტიანენი (გვ. 408). ავტორის აზრით, „ყველაზე ხშირად ეს სუფიქსი ქრისტიანე სიტყვაში გამოიყენება“ (იქვე, გვ. 385). აღსანიშნავია, რომ ვ. იმნაიშვილი პირველი არ არის, ვინც „ქრისტიანეს“ ქართული სუფიქსით — **-ეან||იან**-ით ნაწარმოებ სიტყვად მიიჩნევს.

**-ეან||-იან** სუფიქსი თანხმოვანზე ბოლოვდება და მისგან ნაწარმოები სახელებიც, ცხადია, თანხმოვანფუძიანი იქნება. თანხმოვანფუძიანია ყველა აქ ჩამოთვლილი სახელი „ქრისტიანეს“ გარდა. „ქრისტიანე“ **-ე** ხმოვანზე ბოლოვდება და ძველი ქართული ენის ძეგლებში სხვაგვარად არც გვხვდება; საიდან გაჩნდა ამ სახელში ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნად **-ე** ხმოვანი, ვ. იმნაიშვილი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

ჩვენი აზრით, ქართული ქრისტიანე ბერძნული Χριστιανός-ის გადმოცემა უნდა იყოს. იგი იმ ბერძნული სახელების რიგში დგება, რომლებიც ძველ ქართულში ბერძნულიდან ვოკატივის ფორმით შემოვიდა: Παυλος — პავლე, Πετρος—პეტრე, Αδριανος — ადრიანე და სხვა[3].

ბერძნული Χριστιανός სხვა ენებშიცაა გადასული (შდრ. სომხ. *քրիստիանի*, რუს. христианин და სხვა).

რაც შეეხება ამ სახელში **-ეან**-ისა და **-იან**-ის მონაცვლეობას, ვ. იმნაიშვილი ძვ. ქართ. ენის ძეგლებში საინტერესო კანონზომიერებას ადასტურებს, რომელიც თავდაპირველად ი. იმნაიშვილს შეუნიშნავს: „როცა ეს სიტყვა უქარაგმოდაა დაწერილი, ყოველთვის ქრისტიანეს სახითაა, ხოლო როცა დაქარაგმებულია, მაშინ **ე** იხმარება: ქე˜ანე“... (გვ. 385). ეს კანონზომიერება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ქარაგმიანი ფორმა ქე˜ანე ქარაგმის გახსნისას ისევე უნდა ვარაუდობდეს **-ი**ნიან ფორმას — ქრისტიანეს, როგორც **ჱ**-ით დაქარაგმებული „იერუსალემი“ და „ისრაელი“ (ი˜ჱმ, ი˜ჱლ) ვარაუდობენ ამ სიტყვათა სრულ ფუძეში **ე**-ს[4]. ხოლო თუ დავიჩემებთ, რომ დაქარაგმებული ფუძე უთუოდ „ქრისტეანეს“ გულისხმობს და არა მის **ი**ნიან ვარიანტს „ქრისტიანეს“, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ადგილი ჰქონია ანალოგიას **-ეან||-იან** სუფიქსიან სახელებთან.

---

[3] შდრ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 151—153.

[4] შდრ. ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, „იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერილობისათვის. მრავალთავი, III, გვ. 45—51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ნაშრომის 411—412 გვერდებზე მოცემულია მსჯელობა მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსის ა-ს შესახებ, რომელიც ძველი ქართული ენის ძეგლებში გარკვეული პერიოდიდან ჩნდება. ვ. იმნაიშვილი სვამს საკითხს, ხომ არ შეიძლება „სკმეონ სალოსის ცხოვრებაში „ორჯერ დადასტურებულ ფორმაში „ურვილაკა“ (რომელიც კონტექსტის მიხედვით ქალს მიემართება) ბოლოს დართული -ა მდედრობითი სქესის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. ავტორი საბოლოო დასკვნისაგან მაინც თავს იკავებს და სავსებით მართებულადაც: იმ პერიოდის ძეგლებში, როდესაც „სკმეონ სალოსის ცხოვრებაა“ თარგმნილი, ჯერ არსად გამოჩენილა მდედრ. სქესის სუფიქსის ხმარების არც ერთი შემთხვევა და, ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ არც ეს ძეგლია გამონაკლისი. ასე რომ აქ სადავო არაფერია: ჩვენი შენიშვნა ეხება მხოლოდ ერთ ფაქტობრივ უზუსტობას. როდესაც ვ. იმნაიშვილი ეხება საკითხს, თუ როგორია სურათი -ა სუფიქსის ხმარების თვალსაზრისით ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში, იგი წერს: „ა სუფიქსიანი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ფორმები შედარებით მრავლადაა ბაქარისეულ ბიბლიაში. აღსანიშნავია, რომ ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიათათვის ასეთი ფორმები უცხოა, გელათისა და მცხეთის ბიბლიებში კი თითო-ოროლა მაგალითია დადასტურებული“ (გვ. 411).

ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიაში ასეთი მაგალითები რომ უცხოა, ამაში წიგნის ავტორი სავსებით მართალია, მაგრამ გელათისა და მცხეთის ბიბლიებში რომ თითო-ოროლა მაგალითი იყოს დადასტურებული, ეს უკვე სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმე ისაა, რომ ბაქარის ბიბლიაში ა სუფიქსიანი მდედრ. სქესის სახელების ხმარების შემთხვევები მხოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებში დასტურდება. სხვაგან მათ ვერ შეხვდებით (ესაიასა და იერემიას წიგნებიდან აქვს დამოწმებული მაგალითები თვითონ ავტორსაც — გვ. 412). წინასწარმეტყველთა წიგნების წყარო კი როგორც მცხეთის, ისე ბაქარის ბიბლიისათვის გელათის ბიბლიაა (პირველისათვის უშუალოდ, ხოლო მეორისათვის ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ტექსტის მეშვეობით)[5]. ასე, რომ ა-სუფიქსიანი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ფორმები თუ მრავლადაა ბაქარისეულ ბიბლიაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავლად ყოფილა ისინი მის წყაროში — მცხეთის ბიბლიაში და ორივეს საერთო წყაროში — გელათის ბიბლიაში.

წიგნს ერთვის საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი (მოცულობით ოთხ ფორმაზე მეტი), რომელშიც ძველი ქართული ენის ლექსიკით დაინტერესებული მკვლევარი დიდძალ ახალ და საყურადღებო მასალას იპოვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოცემული ტექსტების მეტად მდიდარ და მრავალფეროვან ლექსიკას ეს ვრცელი ლექსიკონი მთელი სისრულით ვერ ასახავს, რადგან მასში არაა შეტანილი ზოგი ისეთი სიტყვა და ტერმინი, რომელთა გამოტოვება გაუმართლებელია და გაოცებას იწვევს. დავასახელებთ ნაწილს:

ტანჯვული (76,38)
სავედრებელი, წიგნი სავედრებელი (100,26; 109,43)
შთასარღუნელი (101,24)
შოვა სიტყუაჲ წარმოიღეს (103,27)

---

[5] იხ. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 166—177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეპისკოპოსო (103,26)
თჳთჴელმწიფე (105,27)
გარდაუქცეველად (111,27)
სამ ჟამი (112,25)
გარე-დგინება (113,38)
თანა-მზრახველი (113,26)
ახლად-კუეცილი (114,20)
აღკუეცა (114,20)
წარწერა, ჴელის წარწერა (120,29; 120,39)
წყლით-მაკე (120,31)
მავალი; წვალებისა მავალი (124,35). თვითონ „წვალება" განმარტებულია
მცენარე (126,7)
დღმა (127,27)
ზრდა (133,7; 148,29)
განსაგებელი (133,6)
კანონი (159,6; 176,27)
ნია (165,10)
ჯუარის მცველი (166,13; 168,7)
ცხენის ფაფარი (168,32)
ღონე (179,30; 250,27)
განსავსე (181,20)
ნეალავრა (182,24)
პალავრა (247,12)
ჰეშუმი (ჰეშუმისთავანი) (240,18)
შედგინება (121,20; 245,38)
ზოგადცხორებული
დარი (247,13)
მარილმხალი (252,17)
სამოძღურო (390,35)
საგზებელი (308,12)
ტაბლით მღერა (309,12)

ასეთი სიტყვები კიდევაა. მეტად გულსატკენია, რომ საინტერესო მნიშვნელობის მქონე ბევრი სიტყვა დარჩა ლექსიკონს გარეთ. ყველას განმარტება თუ ვერ მოხერხდებოდა, ლექსიკონში მაინც უთუოდ უნდა ასახულიყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნული შენიშვნებისა, ვ. იმნაიშვილის მონოგრაფია კარგი შენაძენია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. გამოცემულია ძველი ქართული მწერლობის 14 ძეგლი XI საუკუნის პირველი ნახევრის ერთერთი უნიკალური ხელნაწერის მიხედვით. შესწავლილია მათი ენა და გარკვეულია ამ ძეგლების ადგილი ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჰანს ფოგტი 75 წლისაა

გამოჩენილ ნორვეგიელ ქართველოლოგს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, პროფესორ ჰანს ფოგტს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღისათვის იგი ქართველი ხალხის წინაშე წარდგა როგორც ჩვენი ენისა და კულტურის დიდი მოჭირნახულე, რომელმაც არაერთი შესანიშნავი გამოკვლევით გაამდიდრა ქართული ენათმეცნიერება და ფილოლოგია.

პროფ. ჰ. ფოგტის სახელი ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას მჭიდროდ დაუკავშირდა ჯერ კიდევ მის ახალგაზრდობაში. 1928—31 წლებში პარიზში მყოფი — ოსლოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომანული ფილოლოგიის სპეციალისტი ჰ. ფოგტი სწავლობს ძველ და ახალ სომხურს (ლუი მარიესთან და ფრედერიკ მაკლერთან). სწორედ ამ პერიოდში უჩნდება მას ინტერესი ქართული ენისადმი და პარიზშივე იწყებს მის შესწავლას ადგილობრივ ქართველებთან. 1932 წლის ოქტომბრიდან ჰ. ფოგტი ცივილიზაციის შედარებითი კვლევის ოსლოს ინსტიტუტის დახმარებით მოემგზავრება თბილისში, სადაც იგი რჩება 1934 წლის ბოლომდე. ამ ხნის მანძილზე იგი სწავლობს ქართველურ ენებს ცნობილ ქართველოლოგებთან: ა. შანიძესთან (ძველ ქართულს), ილ. აბულაძესთან (თანამედროვე ქართულს), მ. ხუბუასთან (მეგრულს) და ვ. თოფურიასთან (სვანურს). სვანური ენის შესწავლას იგი განაგრძობს 1935 წელს პარიზში.

საქართველოში ყოფნის მანძილზე გაწეულ შრომასა და აღიარებულ ქართველ მეცნიერებთან კონტაქტს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. იგი დაგვირგვინდა ჰ. ფოგტის შესანიშნავი მონოგრაფიით „თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი“, რომელიც გამოქვეყნდა ოსლოში (1936 წელს). ამ ნაშრომისათვის მას მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰ. ფოგტი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ წყვეტს კავშირს ქართველ მეცნიერებთან, აქვს მიმოწერა ა. შანიძესთან, ილ. აბულაძესთან და სხვებთან, უგზავნის მათ თავის მეცნიერულ პროდუქციას. ჰ. ფოგტი განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას ქართველურ ენებში, უპირატესად — საკუთრივ ქართულში.

ქართული ენის შესწავლის ისტორიაში ჰ. ფოგტს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ნაშრომები ამ სფეროში ფუძემდებელ გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ (ოსლო, 1971 წ.), რომელიც ქართველოლოგიის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს. ქართული ენის ფონოლოგიისა და გრამატიკის კარდინალურ საკითხებს ჰ. ფოგტმა უძღვნა რიგი გამოკვლევა, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნდა ე. წ. „ნორვეგიულ ენათმეცნიერულ ჟურნალში“ (Norsk Tidskrift vor Sprogvidenskap). მათგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: „ხმოვანთა მონაცვლეობანი თანამედროვე ქართულში“ (1939 წ.), რომელშიაც მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაამახვილა ყურადღება ხმოვანთა მონაცვლეობის აბლაუტურ ხასიათზე ქართულში, „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“ (1947 წ., თარგმნილია ქართულად 1968 წ.) „ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში“ (1947 წ., თარგმნილია ქართულად 1968 წ.), „ზმნის აქტიურობა-პასიურობის პრობლემის სახე“ (1950 წ.), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (1958 წელი, თარგმნილია ქართულად 1961 წ.), „შენიშვნები უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელის შესახებ ძველ ქართულში“ (1972 წ.), „ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართულში“ (1974 წ.), „ქვეწყობილი წინადადების ერთი სახე თანამედროვე ქართულში“ (1975 წ.).

ჰ. ფოგტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ქართული ენის ისტორიული კონტაქტების საკითხი მის მეზობელ ენებთან. ჰ. ფოგტის რეცენზია გ. დეეტერსის ნაშრომზე „სომხური და სამხრულკავკასიური“ გამოქვეყნდა ნორვეგიულ ენათმეცნიერულ ჟურნალში 1938 წელს. ამ რეცენზიას დამოუკიდებელი გამოკვლევის ღირებულება აქვს. აქ აღძრულია ქართველურ ტომთა უძველეს საცხოვრისთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქართველური ტომებისა და სომეხთა ადრინდელი კონტაქტების პრობლემა და სხვ.

ჰ. ფოგტის ფართო მეცნიერული ინტერესების სფეროში ადგილი პოვა ჩრდილოკავკასიურმა ენებმაც. 1958—61 წლებში ჰ. ფოგტმა იმოგზაურა თურქეთში აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ერთ-ერთი, გადაშენების გზაზე მდგომი ენის — უბიხურის შესასწავლად.

ჰ. ფოგტი ოსლოს უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს კითხულობს კურსებს რომანულ ფილოლოგიაში (1946—59 წწ.), ზოგად ენათმეცნიერებაში (1960—73 წწ.), ასწავლის ფრანგულ, ქართულ, სომხურ, უბიხურ ენებს. 1964—69 წლებში ჰ. ფოგტი ოსლოს უნივერსიტეტის რექტორია. მისი რექტორობის პერიოდში, 1966 წელს, იგი კვლავ ჩამოდის საქართველოში, როგორც შ. რუსთაველის 800 წლისთავის ზეიმზე მოწვეული საპატიო სტუმარი. მრავალი ქვეყნის ლინგვისტურ საზოგადოებათა და მეცნიერებათა აკადემიის წევრს ჰ. ფოგტს 1966 წელს ახალი პატივი ხვდა წილად: ქართული მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის მას ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ისიც, რომ 1960 წლიდან ჰ. ფოგტი ჟურნალ „ბედი ქართ... სას“ რედკოლეგიის წევრია.

ჰ. ფოგტს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან, რასაც საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა, აწ განსვენებულმა ილია აბულაძემ. პროფ. ილ. აბულაძის ხსოვნას მიუძღვნა ჰ. ფოგტმა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“. ეს მეგობრული და მეცნიერული ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები გულმხურვალედ ულოცავენ პროფესორ ჰანს ფოგტს მისი დაბადებიდან 75 წლისთავს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

**ბაქარ გიგინეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მიხეილ თარხნიშვილი

### (გარდაცვალების 20 წლისთავის გამო)

20 წელი შესრულდა სახელოვანი მეცნიერის, ძველი ქართული მწერლობის მკვლევრის პროფ. მიხეილ თარხნიშვილის გარდაცვალებიდან. 1958 წლის 15 ოქტომბერს, სამშობლოსთან დიდიხნის განშორების შემდეგ, მძიმე სენით შეპყრობილმა, თითქმის მიუსაფარმა, ორიოდე მეგობრის ხელში დალია სული და რომის ერთ-ერთ სასაფლაოზე პოვა სამუდამო განსასვენებელი.

მ. თარხნიშვილი დაიბადა 1897 წლის 12 იანვარს ახალციხეში. ბავშვობა მან ახალციხის მახლობლად, სოფ. ხიზაბავრაში გაატარა. 1911 წელს თარხნიშვილების ოჯახი სოფ. სკრაში გადასახლდა, სადაც მიხეილის მამას მამული ჰქონდა. აქ სამი წლის განმავლობაში მ. თარხნიშვილი სახალხო სკოლაში სწავლობდა.

1913 წელს მ. თარხნიშვილი რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. კონსტანტინოპოლიდან საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული ქართველი კათოლიკე ბერები ქართული მონასტრისათვის სემინარიაში სწავლის მსურველებს არჩევდნენ და სხვებს შორის არჩევანი მიხეილზეც შეჩერდა. ამ შემთხვევამ არსებითად განსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება და სამეცნიერო-სოზოგადოებრივი მოღვაწეობა. კონსტანტინოპოლში მ. თარხნიშვილი 4 წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ სამონასტრო სკოლაში. მონასტრის მესვეურთა ხელშეწყობით იგი რამდენიმე სხვა ქართველ

---

[1] მ. თარხნიშვილის ბიოგრაფიისათვის ვისარგებლეთ პროფ. ი. ასფალგის წერილით: P. M Tarchnischvili 12. 1. 1897 — 15. 10. 1958.

ახალგაზრდასთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ბენედიქტელთა სააბატოში ქ. ეტალში, სადაც 1919 წლამდე დაჰყო. ამავე წელს მას სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა, საიდანაც იგი რამდენიმე თვეში კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. ეს იყო მისი უკანასკნელი ჩამოსვლა საქართველოში.

1920—1933 წლებში მ. თარხნიშვილი ინტენსიურად განაგრძობს სწავლას და თავისი ცოდნის სრულყოფას სხვადასხვა სფეროში, ეუფლება კლასიკურ და ევროპულ ენებს: 1923 წლამდე იგი კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ კოლეჯშია, რომელსაც კაპუცინები ხელმძღვანელობენ. 1924 წელს თავის მეგობარ შიო ბათმანაშვილთან ერთად მიემგზავრება ავსტრიაში, მედლინგში ფილოსოფიური და თეოლოგიური ცოდნის გასაღრმავებლად. იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლში ჩასვლის უფლება ვეღარ მიიღო, მ. თარხნიშვილი რომში გაგზავნეს, სადაც მას თავდაპირველად ბერძნული კოლეჯის თავისუფალ მსმენელად ვხედავთ, ხოლო 1930—1933 წლებში იგი სწავლობს რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომით ამთავრებს.

1931 წელს მ. თარხნიშვილი მღვდლად ეკურთხა და 1935—1943 წლებში პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა შორის. თავისუფალ დროს იგი აღმოსავლური ენების, კერძოდ, სომხურისა და სირიულის შესწავლას ახმარდა.

1943 წელს „S. Congregatione Orientale»-ს ნებართვითა და ხელშეწყობით მ. თარხნიშვილი რომში დაბრუნდა, რაც მისი დიდიხნის ოცნება იყო. ამ დროიდან იგი რომში დამკვიდრდა და იმავე კონგრეგაციის დავალებით ხელი მიჰყო ქართული ლიტურგიკული ძეგლების კვლევასა და გამოცემას. თუმცა მ. თარხნიშვილი უკვე 1923 წლიდან აქვეყნებდა სტატიებს სხვადასხვა გამოცემებში ძველი ქართული ლიტერატურისა და ქართული ეკლესიის საკითხებზე, ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას იგი რომში ჩასვლის შემდეგ იწყებს. ეს მოღვაწეობა სულ თხუთმეტიოდე წელს გაგრძელდა, მაგრამ რამდენი რამის გაკეთება შეძლო მან ამ მოკლე დროის განმავლობაში! ფართო და ღრმა ცოდნით აღჭურვილი, მშობლიური ერისა და ქვეყნის წინაშე უდიდესი სიყვარულითა და მოვალეობით აღსავსე შეუდგა იგი უცხოეთში არსებული ქართული ხელნაწერი მასალების შესწავლასა და პუბლიკაციას, ქართველოლოგიური პრობლემების კვლევასა და ორიენტალისტთა შორის ამ პრობლემებისადმი ინტერესის გაცხოველებას. მ. თარხნიშვილი დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა დასავლეთში ქართველოლოგიის საკითხებში. ქართველოლოგიით დაინტერესებული მეცნიერები მას მიმართავდნენ რჩევისა თუ დახმარებისათვის. პროფ. ი. ასფალგი აღნიშნავს, რომ ვისაც კი ბედნიერება ჰქონდა პირადად შეხვედროდა მას, ეთანამშრომლა მასთან, სამუდამოდ მადლიერი რჩებოდა მისი.

მ. თარხნიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი სტატიები იბეჭდებოდა ორიენტალისტიკის დარგში ისეთ მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემებში როგორიცაა «Byzantinische Zeitschrift», «Le Musèon», «Oriens Christianus», «Archiv für Liturgiewissenschaft» და სხვა, ხოლო მისი ძირითადი პუბლიკაციები ლუვენის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკის ცნობილ სერიებში დაიბეჭდა (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Studi e Testi). ეს ქართული მასალისა და მისი მკვლევრის უდავო აღიარებას ნიშნავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მ. თარხნიშვილის თანამშრომლობა პარიზის ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“, რომლის სამეცნიერო პროფილის გამოკვეთას მან დიდად შეუწყო ხელი. ასევე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მ. თარხნიშვილი ამზადებდა ქართულ მასალებს სხვადასხვა ევროპული ენციკლოპედიებისათვის (Enciclopedia Cattolica, Der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart).

მ. თარხნიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა ვრცელ და საფუძვლიან განხილვას იმსახურებს. ამჯერად ჩვენი მიზანია ზოგიერთი რამ შევახსენოთ მკითხველს მისი მოღვაწეობიდან.

როცა მ. თარხნიშვილის ღვაწლზე ვლაპარაკობთ ქართველოლოგიის წინაშე, მხედველობაში გვაქვს რამდენიმე პირველხარისხოვანი ქართული ძეგლის პუბლიკაცია. 1950 წელს მ. თარხნიშვილმა გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოაქვეყნა „ჟამისწირვათა“ ძველი ქართული რედაქციები ლათინური თარგმანითურთ. ამ ძეგლებს სამეცნიერო საზოგადოება იცნობდა კ. კეკელიძის პუბლიკაციებით. მ. თარხნიშვილმა ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტები შემოიყვანა სამეცნიერო ბრუნვაში. 1954 წელს სოფიის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით მან გამოსცა გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონის ტექსტი, რომელსაც ასევე ერთვის ლათინური თარგმანი.

ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციათა შორის „იერუსალიმური ლექციონარის“ მ. თარხნიშვილისეული გამოცემაა. მ. თარხნიშვილმა განსაკუთრებული ამაგი დასდო ლექციონარის შესწავლას, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა პროფ. ჟ. გარიტის ზრუნვითა და მეთვალყურეობით. „იერუსალიმური ლექციონარის“ ქართული თარგმანი უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლად არის აღიარებული. მას პირველად კ. კეკელიძემ მიაკვლია და 1912 წელს გამოსცა სვანეთში დაცული ორი ძლიერ დაზიანებული ხელნაწერის მიხედვით. ამ გამოცემას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა თავის დროზე. მ. თარხნიშვილმა ხელი მოჰკიდა ლექციონარის ახალი გამოცემის მომზადებას. ამ გამოცემაში, გარდა ზემოხსენებული ხელნაწერებისა, მ. თარხნიშვილმა გამოიყენა კიდევ ორი ნუსხა (პარიზული და სინური), რომლებიც კ. კეკელიძისათვის უცნობი ან ხელმიუწვდომი იყო, აგრეთვე ლექციონარის ახლადმიკვლეული ხანმეტი და ჰაემეტი ფრაგმენტები. ახალმა მასალამ შესაძლებელი გახადა ძეგლის თითქმის სრული სახით აღდგენა. მ. თარხნიშვილმა გამოცემას ლათინური თარგმანი დაურთო, რითაც ქართული ძეგლი ხელმისაწვდომი გახადა მეცნიერთა ფართო წრეებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღრებიზანტიური ლიტურგიკის სფეროში მომუშავე ვერცერთი მეცნიერი დღეს გვერდს ვერ უვლის ქართულ ლექციონარს.

ლექციონარის პრობლემით მ. თარხნიშვილი ადრევე დაინტერესდა. ჯერ კიდევ 1942—43 წლებში მან გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომი ლექციონარის ხანმეტი და ჰაემეტი ფრაგმენტების შესახებ, რომელთა შესწავლას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექციონარის ქართულად თარგმნისა და მისი რედაქციული განვითარების საკითხების გადასაწყვეტად. მ. თარხნიშვილი მართებულად ამტკიცებს, რომ უძველესი თარგმანი V საუკუნეშია შესრულებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. ვრცელ რედაქციას იგი განიხილავს როგორც V—VIII საუკუნეთა განვითარების პროდუქტს.

მ. თარხნიშვილმა თავისი წვლილი ქართულ ხელნაწერთა აღწერის საქმეშიც შეიტანა. მან გამოაქვეყნა რომის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების აღწერილობა.

მ. თარხნიშვილმა უდიდესი ამაგი დასდო ქართულ მეცნიერებას იმით, რომ პროფ. ი. ასფალგის თანამონაწილეობით გერმანულ ენაზე თარგმნა, გადაამუშავა და გამოსცა კ. კეკელიძის აღიარებული ნაშრომი „ძველი ქართული მწერლობის ისტორია". ამ წიგნში მ. თარხნიშვილმა შეიტანა თავისი დაკვირვებები და მოსაზრებებიც. აღნიშნული გამოცემა დიდ სამსახურს უწევს ქართული პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდებათ ქართულის ცოდნაზე.

მ. თარხნიშვილი დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართული სიძველეებისადმი, რომლებიც არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად დროდადრო ჩნდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე). ამ აღმოჩენებს მან სპეციალური სტატიები მიუძღვნა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მ. თარხნიშვილის მონაწილეობა პალესტინის უდაბნოში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ გათხრილი ქართული მონასტრის შესწავლის საქმეში. გათხრების დროს მიკვლეულ უძველეს ქართულ წარწერას მიუძღვნა მან სპეციალური სტატია, რომელიც ვ. კორბოს შრომის ნაწილს წარმოადგენს.

მ. თარხნიშვილს ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. უკანასკნელ წლებში იგი დაინტერესდა ბალავარიანის პრობლემით. პროფ. ი. ასფალგი წერს, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს მ. თარხნიშვილმა დაწერა ქართული ეკლესიის ისტორია (VIII საუკუნემდე), რომლის გადამუშავებას და გერმანულ ენაზე გამოცემას აპირებდა.

ასეთია მოკლედ მ. თარხნიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა. 20 წლის წინათ მ. თარხნიშვილის კოლეგები, მეგობრები და მოწაფეები სინანულით წერდნენ, თუ რა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა მისი გარდაცვალებით ქართულმა მეცნიერებამ დასავლეთში. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავმა მეცნიერმა და მამულიშვილმა კეთილისმყოფელი კვალი დასტოვა და მრავალი მეგობარი და დამფასებელი შესძინა ქართულ მწერლობასა და კულტურას.

**ლილი ხევსურიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ი. მოლითორი

1978 წ. 24 ივლისს გარდაიცვალა გერმანელი ორიენტალისტი და ქართველოლოგი იოსებ მოლითორი (Joseph Molitor), რომელმაც თავისი მოღვაწეობით საგრძნობი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობისა და ენის შესწავლაში. იგი დაიბადა 1903 წ. 11.XII ქალაქ კელნში, გერმანიაში, სწავლობდა ბონის უნივერსიტეტში, სადაც 1936 წელს სამეცნიერო ხარისხიც მიიღო. მის შემდგომ მეცნიერულ შრომას ხელი შეუშალა უთანხმოებამ ნაციონალ-სოციალისტებთან, რასაც მოჰყვა ჯერ დაპატიმრება, შემდეგ კი გაძევება. მხოლოდ 1952 წ. შეძლო მან დაბრუნება ბონის უნივერსიტეტში, სადაც მას დოცენტის თანამდებობა ეჭირა; აქ იგი ლექციებს კითხულობდა და ქრისტიანული აღმოსავლეთის წერილობით კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობდა. 1958 წლიდან იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ბამბერგში (დასავლეთ გერმანიაში); 1970 წ. შემდეგ კი პედაგოგიურ მოღვაწეობას თავი დაანება და განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. ი. მოლითორი გარდაიცვალა მოულოდნელად, ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად. დაკრძალულია ქალაქ ზიგბურგში, ბონის მახლობლად.

ი. მოლითორის მეცნიერული მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში დაკავშირებული იყო ცნობილ სამეცნიერო ჟურნალთან Oriens Christianus-თან, სადაც ის თითქმის ოცდაათი წელი თანამშრომლობდა. მისი ნაშრომების მეტი წილი სწორედ აქ არის დაბეჭდილი. 1956 წლიდან იგი იყო ამ ჟურნალის თანარედაქტორი, ხოლო 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე — მისი რედაქტორი. 1960 წლიდან იგი შედიოდა ცნობილი ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისას“ რედკოლეგიაში, 1959 წლიდან კი იყო ლუვენის უნივერსიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლური ქრისტიანული მწერლობის სერიის (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium) ქართული სექციის ხელმძღვანელი.

ი. მოლითორი მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ ენას ფლობდა, მაგრამ მისი მეცნიერული კვლევა-ძიება უმთავრესად ძველი ქართული მწერლობის სფეროში მიმდინარეობდა და მისი უმთავრესი ნაშრომებიც სწორედ ამ დარგს შეეხება.

განსაკუთრებით აინტერესებდა მას ქართული ახალი აღთქმის ისტორია. ამ საკითხს უძღვნა მან როგორც მრავალი ზოგადი ხასიათის მიმოხილვა, ისე სპეციალური ნაშრომებიც, ასეთებია: „ქართული ბიბლიის თარგმანი, მისი წარმოშობა-ცვლილება და მისი მნიშვნელობა დღევანდელი თვალსაზრისით". ეს ნაშრომი მან 1953 წელს გამოაქვეყნა (Or. Chr. № 37); „კათოლიკე ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია" (Or. Chr. №№ 49 (1955), 50 (1965).

თავის შრომებში იგი არაერთგზის აღნიშნავდა ქართული ტექსტის სიძველეს და მის მნიშვნელობას ახალი აღთქმის პირვანდელი ორიგინალური ტექსტის რეკონსტრუქციისათვის. ეს საკითხები განხილულია მის შრომებში: „ახალი აღთქმის ქართული თარგმანი, როგორც სირიული ტრადიციის დამცველი" („ბედი ქართლისა", №№ 23—24 (1967), 25 (1968), 26 (1969); „ახალი აღთქმის ქართული ვერსიის მნიშვნელობა ახალი აღთქმის ბერძნული გამოცემისათვის, იაკობის ეპისტოლის ტექსტის მიხედვით" („ბედი ქართლისა", № 28, 1971); „ახალი აღთქმა ქართულ ენაზე. მისი შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მნიშვნელობა ბერძნული პირვანდელი ტექსტის აღსადგენად" (წიგნში „ძველი აღთქმის ძველი თარგმანები, ეკლესიის მამათა ციტატები და ლექციონარები", ბერლინი, ნიუ-იორკი 1972).

ი. მოლითორი საგანგებო ყურადღებას აქცევდა დამოკიდებულებას სირიულ და ქართულ ტექსტებს შორის. ამ საკითხს იგი საგანგებოდ ეხებოდა თითქმის ყველა გამოკვლევაში. გარდა ზემოთ დასახელებულისა, შეიძლება კიდევ მივუთითოთ შემდეგი: „ძველი სირიული თარგმანის კვალი იერემიას ხანმეტ პალიმფსესტში" („ბედი ქართლისა", № 43—44, 1963 წ.); „სირიულის მიმდგომი იკითხვისები ძველ ქართულ ოთხთავში" („ბედი ქართლისა", № 19—20, 1965). „საკუთარი სახელები ოთხთავისა და მოციქულთა საქმის ძველ ქართულ თარგმანში და მათი მნიშვნელობა ტექსტის კრიტიკისათვის" (1962).

ი. მოლითორმა შეასრულა ქართული ახალი აღთქმის ცალკეული ნაწილების ლათინური თარგმანები, რაც საშუალებას აძლევს ევროპელ სპეციალისტებს გამოიყენონ ისინი კვლევისათვის. მან თარგმნა ადიშის ოთხთავის ტექსტი, ამასთან მიუთითა სხვა ძველ ნუსხათა ვარიანტები (ოპიზისა, ტბეთისა და ხანმეტ და ჰაემეტ ფრაგმენტთა მიხედვით). ეს ნაშრომი ცალ-ცალკე მონაკვეთების სახით იბეჭდებოდა Oriens Christianus-ში 1953—1963 წლებში.

ი. მოლითორმა აგრეთვე გამოაქვეყნა იოანეს გამოცხადების (Oriens Christianus, №№ 50—52, 1966—1968) და პავლეს ეპისტოლეთა ლათინური თარგმანი (Or. Chr. № 58 (1974), № 59 (1975), № 60( 1976), № 61 (1977)

ი. მოლითორმა აგრეთვე შეკრიბა (ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების მიხედვით) ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები და გამოაქვეყნა ლათინური თარგმანითურთ (CSCO, ტ. 156) 1956 წ. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ეს გამოცემა ერთად-ერთია, სადაც სრულად არის თავმოყრილი იმ დროისათვის ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტი (წარწერები, ბიბლიური ფრაგმენტები და ბიზანტიელ ავტორთა თხზულებების ნაწილები). ამ გამოცემას ახლავს დაწვრილებითი საძიებლები, რომლებშიც მოცემულია ქართულ სიტყვათა ლათინური და ბერძნული შესატყვისები.

არაქართველ მკითხველს დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს ახალი აღთქმის სხვადასხვა ნაწილების ლექსიკონები, რომლებიც ი. მოლითორმა დაბეჭდა. პირველ ცდას ამ დარგში წარმოადგენდა ჯერ 1952 წ. გამოსული „შერჩეული ბიბლიური ტექსტების ძველი ქართული ლექსიკონი" (რომი, 1952). მას მოჰყვა ოთხთავისა და მოციქულთა საქმის ტექსტების მიხედვით შედგენილი ლექსიკონი, რომელიც ორ მონაკვეთად გამოვიდა 1962 წელს (CSCO, ტტ. 228 და 237).

ლექსიკონის თარგმნითი ნაწილი ლათინურია, დამოწმებული ადგილებისათვის ბერძნული შესატყვისებიც არის მოტანილი.

ამავე ლექსიკონს ი. მოლითორმა დაურთო ბერძნულ-ქართული ინდექსი (CSCO, ტ. 243, 1964), ხოლო 1965 წ. გამოაქვეყნა ამ ლექსიკონის დანართი კათოლიკე ეპისტოლეთა და იოანეს გამოცხადების ტექსტთა მიხედვით (CSCO, ტ. 265).

1967 წელს გამოცემულ ლათინურ-ქართულ ლექსიკონში გათვალისწინებული იყო ახალი აღთქმის თითქმის მთელი მასალა (პავლეს ეპისტოლეთა გამოკლებით). ბერძნული შესატყვისები აქაც ნაჩვენებია; დაბოლოს, 1976 წელს (CSCO,ტ. 373), ი. მოლითორმა გამოაქვეყნა პავლეს ეპისტოლეთა ლექსიკონიც.

მარტო ზემოდასახელებული სათაურების დასახელებაც საკმარისია იმ შრომის საჩვენებლად, რომელიც გასწია განსვენებულმა მეცნიერმა. მისმა ნაშრომებმა მას სამართლიანად მოუპოვა დამსახურებული სახელი და აღიარება. სინანულით არის მოსავონებელი მეცნიერი, რომელიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავს მხნედ გრძნობდა და რომელსაც ძველი ქართული ფილოლოგიის დარგში კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო.

**მზექალა შანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკად. კ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია

წელს შესრულდა 100 წელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პატრიარქის აკად. კ. კეკელიძის დაბადებიდან. ქართველი საზოგადოებრიობა სიამაყითა და მოწიწებით აღნიშნავს ბრწყინვალე მეცნიერისა და სასიქადულო მამულიშვილის საიუბილეო თარიღს. ფასდაუდებელია მნიშვნელობა იმ ტიტანური შრომისა, რომელიც კ. კეკელიძემ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების წინსვლის საქმეს შეალია. ამიტომაც განუზომელია მადლიერების ის გრძნობა, რითაც დღეს ვიგონებთ მის ნათელ საქმესა და სახელს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი მუშაობს ყველა იმ მეცნიერულ პრობლემატიკაზე, რაც კ. კეკელიძის მეცნიერული საქმიანობის ობიექტს წარმოადგენდა. ამის ნათელი დადასტურება იყო ამა წლის 16—17 მაისს ხელნაწერთა ინსტიტუტში გამართული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კ. კეკელიძის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღისადმი.

სესია კონკრეტულ მიზანს ისახავდა: ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში კ. კეკელიძის მიერ დასმული პრობლემების შემდგომი შესწავლის შედეგების წარმოჩენას.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელენე მეტრეველმა. მომხსენებელმა აღნიშნა კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის როლი და აქტუალობა. კ. კეკელიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროში თავს იყრიდა ყველაფერი, რაც კი ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიასთან იყო დაკავშირებული. მომხსენებელი შემოიფარგლა ერთი საკითხით, რომელსაც კ. კეკელიძის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი ეკავა: ძველი ქართული თარგმნითი (სასულიერო) ლიტერატურა. „თარგმნითი ლიტერატურა“ — აღნიშნა მან, — პირობითი ტერმინია, ვინაიდან იგი ქართული მწერლობის ორგანული ნაწილი იყო ყოველთვის და ქვეყნის ეროვნული ინტერესებით, მწერლობისა და კულტურის განვითარებით იყო გაპირობებული. სათარგმნი ძეგლებისათვის წაყენებული მოთხოვნილებები დროისა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საერთო კი ყველა დროისათვის ერთი იყო — თარგმნილი ძეგლი ქვეყნის სულიერი ცხოვრების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. თარგმნილ ძეგლთა ღრმა ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული შესწავლის შედეგად შეიძლება დავინახოთ ის ერთიანი გეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებისა, რომლითაც მიმდინარეობდა მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში და რომელმაც, ორიგინალურ სასულიერო მწერლობასთან ერთად, შექმნა ცოდნის ის დონე, რომელზეც აღმოცენდა ქართული კლასიკური ხანის კულტურა, მეცნიერება, მწერლობა.

კ. კეკელიძემ გაიტანა ქართული თარგმნითი ლიტერატურის შესწავლის ყამირი და მას ახალი ჰორიზონტები დაუსახა. მან პირველმა აჩვენა ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, მისი სურვილი ყველაფერი მოწინავე და ახალი ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშემეცნების განვითარებისათვის დაექვემდებარებინა. გამოსავლენი და შესასწავლი აუარებელი იყო.

ლიტურგიკულ ძეგლთა დარგობრივი აღწერილობა, გელათის ხელნაწერთა აღწერილობა, კატალოგი „უცხო ავტორები ქართულ მწერლობაში“, პირველი კაპიტალური შრომა ქართულ სასულიერო მწერლობაზე, საეტაპო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ ძეგლთა შესწავლა და გამოცემა (იერუსალიმური კანონარი, კიმენური და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ძეგლები) — ყველაფერი ეს წვეთია იმ ზღვა მასალაში, რომელშიც კ. კეკელიძეს მოუხდა გზის გაკაფვა.

მომხსენებელი საგანგებოდ შეეხო კ. კეკელიძის მეცნიერული საქმიანობის ცხოველმყოფელ გავლენას შემდეგი დროის კვლევა-ძიებაზე, კერძოდ კი, ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარე მეცნიერულ საქმიანობას, რომელიც სწორედ ამ თემატიკით ასე გამორჩეული და ახლობელი იყო კ. კეკელიძისათვის.

გადაჭრა რა ქართული მწერლობის განვითარების ძირეული პრობლემები, და ამასთანავე დასახა რა ამ დარგის მწერლობის შემდგომი შესწავლის გზები, კ. კეკელიძის შრომები, — დაასკვნა ელ. მეტრეველმა, — მისი მოწაფეებისათვის არის და ალბათ კიდევ ძალიან დიდხანს იქნება გეზის მიმცემი და წარმმართველი.

პრობლემატიკის მრავალფეროვნებამ, რაც დაკავშირებულია ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგის შესწავლასთან, განაპირობა სესიის მუშაობის ხასიათიც. პირველ დღეს, 16 მაისს, მოსმენილ იქნა 10 ინფორმაცია, რომლებშიც რეზიუმირებული იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარე კვლევა-ძიების შედეგები. რამდენიმე ინფორმაცია კონკრეტული ხასიათისა იყო. ისინი მიეძღვნა ცალკეული ძეგლის ან ცალკეული მწერლის შესწავლის საკითხებს. ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, ლიტურგიკა, ეგზეტიკა, კანონიკა, — აი, ის დარგები, რომლებსაც მოიცავდა ინფორმაცია-მოხსენებათა თემატიკა.

ჰომილეტიკური ლიტერატურის შესწავლას მიუძღვნა თავისი ინფორმაცია „მაკარი მეგვიპტელის ჰომილიები“ უფრ. მეცნ. თან. გ. ნინუამ. მან ყურადღება გაამახვილა IV ს. მოღვაწის მაკარი მეგვიპტელის ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის თხზულებათა ავტორის, ქართველი მთარგმნელისა და ქრონოლოგიის საკითხებზე. ფსევდო-მაკარის ლიტერატურული მემკვიდრეობის არქეტიპის ავტორია მესალიანელთა ლიდერი სვიმეონ მესოპოტამიელი, რომელიც მაკარის სახელს ამოეფარა. მაკარის ზოგი თხზულება ცნობილია გრიგოლ ნოსელის, ეფრემ ასურისა და მარკოზ განშორებულის სახელით. ავტორის მიერ მიღებული დასკვნები საყურადღებოა ქართული ჰომილეტიკის ისტორიისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცრ. მეცნ. თანამშრომლის ლ. ახობაძის „ეფრემ ასურის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“ ასევე ჰომილეტიკას ეხებოდა. მომხსენებელმა დაახასიათა სამი ჯგუფი ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანებისა. პირველი ორი შესრულებულია X ს-მდე, ხოლო მესამე ჯგუფი ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანებია. გამოვლენილია უძველესი ფენა, რომელიც ქართული მრავალთავის არქეტიპის კუთვნილებას შეადგენდა. ძალზე საყურადღებო სურათი ვლინდება თარგმანების ურთიერთშეპირისპირებით. ძველი თარგმანები გამოირჩევიან დიდი მხატვრულ-გამომსახველობითი ეფექტით, მაღალი პოეტურობით, რაც შემდეგდროინდელ თარგმანებში უკვე აღარ შეიმჩნევა.

ვრცლად იყო წარმოდგენილი ქართული ლიტურგიკა: ლიტურგიკული ძეგლების როგორც თეორიულ-მსოფლმხედველობრივი, ისე რიტუალური თვალსაზრისით შესწავლას კ. კეკელიძე დიდ როლს ანიჭებდა. მის ტრადიციას აგრძელებს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი.

ინტერესით იქნა მოსმენილი გ. კიკნაძის ინფორმაცია „ნევმირებული ძლისპირნი“. სულ მოკლე ხანში გამოქვეყნდება მის მიერ მომზადებული ძლისპირთა ფოტოტიპიური გამოცემა. ხელნაწერი ფრიად საყურადღებოა იმით, რომ მას ახლავს ნევმები — სანოტო ნიშნები. ძეგლი საინტერესოა ძლისპირთა ქართული კრებულების შედგენილობის, რაობისა და წარმომავლობის თვალსაზრისით. ამასთანავე ეს გამოცემა გარკვეულ პერსპექტივებს გადაშლის მუსიკათმცოდნეთა წინაშე. საგულისხმოა, რომ კრებულში შეტანილია რამდენიმე ორიგინალური ძლისპირი.

მნიშვნელოვან ლიტურგიკულ ძეგლს წარმოადგენს გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარი“. კ. კეკელიძეს შესწავლილი აქვს ამ ძეგლის შედგენილობა და რაობა. მასზე კვლევა-ძიებას აგრძელებს ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი მ. დოლაქიძე. მის ინფორმაციაში შეჯამებული იყო „დიდი სვინაქსრის“ შედგენილობაზე მიღებული დასკვნები. „დიდი სვინაქსარი“, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება (სათვეო, ტრიოდული, დისციპლინარული), გაწყობილია კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის, სტუდიელთა მონასტრისა და ათონური ტიპიკონების მიხედვით. ქართული ეკლესიის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი მზადდება გამოსაცემად.

კ. კეკელიძის მიერ დაწყებული კვლევა-ძიება კიდევ ერთი ლიტურგიკული ძეგლისა, კერძოდ. გიორგი მთაწმიდელის „თუენისა“, გახდა მყარი მეცნიერული საფუძველი იმისათვის, რომ შესწავლილიყო „თუენი“, როგორც ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლი. უფრ. მეცნ. თანამშრომლის ლ. ჯღამაიას ინფორმაციაში „გიორგი ათონელის „თუენი“ განზოგადებული იყო ამ ძეგლის შესწავლის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნები.

ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარეობს ძველი ქართული ფილოსოფიური ძეგლების შესწავლა. უფროსი მეცნ. თანამშრომლის მ. რაფავას ინფორმაცია „კ. კეკელიძე ამონიას ერმიასის თხზულებათა შესახებ“ ეხებოდა ერთ, XII ს-ში ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლს. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა V—VI სს. ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის ამონიას ერმიასის თხზულებათა ქართული თარგმანების მნიშვნელობაზე ქართული ფილოსოფიური აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის განვითარებისათვის. ეს თარგმანები იოანე პეტრიწის „განმარტებებსა“ და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ არეოპაგიტიკულ შრომებს შეიძლება შედარდეს. გამოვლენილ იქნა სხვა ფილოსოფოსის, პორფირის (III ს.) შრომის ქართულად XII ს-ში თარგმანის აქამდე უცნობი ფაქტი.

კ. კეკელიძის როლი ძვ. მწერლობის ამა თუ იმ დარგის შესწავლის საქმეში — ასეთი განზოგადებული სახე ჰქონდა უფრ. მეცნ. თანამშრომლების: ე. გაბიძაშვილის, უ. ცინდელიანის და უმცრ. მეცნ. თანამშრომლის მ. მაჩხანელის ინფორმაციებს.

„კ. კეკელიძე ქართული ბიბლიის მკვლევარი“ — ამ ინფორმაციაში ქართულ ბიბლიასთან დაკავშირებულ საკითხთაგან უ. ცინდელიანის მიერ წინა პლანზე წამოწეულ იქნა უმთავრესი: ქართული ბიბლიური თარგმანების წარმომავლობის, მათი რედაქციული აღნაგობისა და სხვადასხვა ტრადიციის წყაროებთან დამოკიდებულების საკითხები. ბიბლიის ტექსტზე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა დიდი მეცნიერის მიერ გამოთქმული დებულებები.

ქართული კანონიკა, საეკლესიო სამართლის შესწავლის ისტორია დიდად არის დავალებული აკად. კ. კეკელიძისაგან — აღნიშნა ე. გაბიძაშვილმა თავის ინფორმაციაში „კ. კეკელიძე და ქართული სამართლის საკითხები“. კ. კეკელიძემ შეაჯამა ამ დარგში ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიერ მიღწეული შედეგები, კრიტიკულად შეაფასა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ღვაწლი და მთელ რიგ საკითხებზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი აგრძელებს დიდი მეცნიერის მიერ დასახულ კვლევა-ძიებას. ამის დასტურია უკანასკნელ წლებში გამოცემული მონოგრაფიები: „მცირე სჯულის კანონი“, „დიდი სჯულის კანონი“, „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა“, „ვახტანგ VI-ის სამართლის კრებული (სამართალი ბერძნული, სამართალი ქართული)“.

სესიაზე ფილოლოგიურ დისციპლინებთან ერთად წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის მასალაც. ქართული ისტორიოგრაფიისათვის საყურადღებო ფაქტი იქნა გამოვლენილი უმცრ. მეცნ. თანამშრომლის თ. მგალობლიშვილის ინფორმაციაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წყაროს საკითხისათვის“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთ წყაროდ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კოსტანტი იმპერატორისადმი და მისივე სახელით ცნობილი ლეგენდა წმ. ჯვრის გამოჩინებისა. უძველესი ქართული კრებულების, „მრავალთავების“ (IX—XI სს.) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წყაროა VI ს. ავტორის ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა.

კ. კეკელიძის სახელს უკავშირდება ქართ. ლიტ-ის ისტორიაში ათონის სკოლის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის დადგენა, ათონელ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობასთან დაკავშირებულ უცნობ თხზულებათა გამოვლენა და შესწავლა. მ. მაჩხანელმა ინფორმაციაში „კ. კეკელიძე და ათონის ლიტერატურული სკოლა“ ყურადღება გაამახვილა ერთ-ერთ ასეთ თხზულებაზე. ასეთია ათონელთა ბერძნული „ცხოვრება“. მომხსენებლის მიერ დადგენილია, რომ XVIII ს. I ნახევარში ათონის ქართველთა მონასტერში შექმნილი ეს ნაწარმოები ორიგინალური ბერძნული თხზულებაა. ავტორი უცნობია. იგი რამდენი-

მე საინტერესო ცნობით ავსებს ათონის მონასტრის პირველი წინამძღვრების ბიოგრაფიებს.

სესიის მუშაობის მეორე დღეს, 17 მაისს, წარმოდგენილი იყო ხუთი მოხსენება, რომლებიც ასევე თემატიკის მრავალფეროვნებით ხასიათდებოდნენ.

ქართული მწერლობის უძველეს ძეგლს, პალიმფსესტებში დაცულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს „ქრისტინას წამებას“ მიეძღვნა უფრ. მეცნ. თანამშრომლის ლ. ქაჯაიას მოხსენება. მან გამოამზეურა საყურადღებო ფაქტი, რომ ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერში დაცული „ქრისტინას წამება“ ნაწილია ხელნაწერთა ინსტიტუტის A—737 პალიმფსესტური ტექსტისა. ისინი გადაწერილია ერთი და იმავე პირის მიერ და ნაწილია იმ „მოწამეთა წიგნისა“, რომელიც ქართულად შეიქმნა დაახლოებით V—VI სს-ში. ეს ახლად გამოვლენილი მასალა ნათელი დადასტურებაა კ. კეკელიძის ვარაუდისა, რომ ქართველებს, თუ უფრო ადრე არა, V ს-ში უკვე უნდა ჰქონოდათ ქართულად თარგმნილი მსოფლიო ეკლესიის მოწამეთა წიგნები.

ქართული მეტაფრასტიკა კ. კეკელიძის სავანგებო შესწავლის ობიექტი იყო. უფრ. მეცნ. თანამშრომლის ნ. გოგუაძის მოხსენება „მეტაფრასული კრებულების შედგენილობისათვის“ ეხებოდა სვიმეონ მეტაფრასტისა და იოანე ქსიფილინოსის მიერ დამუშავებულ მეტაფრასულ საკითხავებს. თუმცა დიდი ნაწილი მეტაფრასებისა ჩვენამდე მოღწეულია XVI ს-ში გადაწერილ კრებულებში, ისინი სანდოდ იცავენ ადრინდელი ნუსხების (XI—XII სს.) ჩვენებებს (რაც ზოგი ტექსტის შედარებით ირკვევა). საინტერესო პრობლემად დგება მეტაფრასულ კრებულებში წარმოდგენილი ბიბლიური ტექსტების კრებულში შეტანის დროისა და რედაქციის საკითხი. გამოვლინდა, რომ სვიმეონ მეტაფრასტის კრებულებში მოთავსებული მცირე წინასწარმეტყველების ტექსტი გვიან არის შეტანილი ქართულ ღვთისმსახურებაში მიღებული რედაქციით (ათონურით), ხოლო იოანე ქსიფილინოსისეულ კრებულში წარმოდგენილი საკითხავები მცირე წინასწარმეტყველებისა ეგზეგეტიკური ხასიათისაა და მათი არსებობა ბერძნულ დედანში ივარაუდება თავიდანვე.

ქართული მწერლობის პალესტინისა და სინას ცენტრების ისტორიისათვის გარკვეული ინტერესი აქვს ქართველთა და არაბულენოვან ქრისტიანთა ურთიერთობის კვლევას. უფრ. მეცნ. თანამშრომელმა რ. გვარამიამ ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერებზე, ასევე სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა არაბულ მინაწერებზე დაყრდნობით, გამოავლინა ამ ურთიერთობის ხასიათი: თავდაპირველი ლიტერატურული კონტაქტები, ხოლო უფრო გვიან, სინაზე ქართველთა გავლენის დაცემის პერიოდში სავარაუდო ხდება მათ შორის ინტერესთა დაპირისპირება და არაბთა მხრივ ქართველთა მიმართ ექსცესები. რ. გვარამიას მოხსენება ახალი მასალით ავსებს საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ისტორიას.

ქართული ვერსიფიკაციისათვის საყურადღებო მასალა გააცნო მსმენელებს ასპირანტმა ა. ღამბაშიძემ. მოხსენებაში „რამდენიმე პოეტური სტროფი გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან“ განხილული იყო „ცხოვრებაში“ ჩართული სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც გარკვეულ პოეტურ ნიმუშს წარმოადგენს. თავისი მხატვრულობით ისინი სცილდებიან პროზის ფარგლებს. განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით აღსანიშნავია ერთი ექვსსტრიქონიანი, არათანაბარმარცვლიანი, რითმიანი ლექსი.

ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლის ლ. ხევსურიანის მოხსენება მიეძღვნა საკითხს, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი ექვთიმე ათონელს ჰიმნოგრაფიული კრებულის „მარხვანის“ შედგენაში. ამ საკითხს პირველად ყურადღება აკად. კ. კეკელიძემ მიაქცია. მანვე აღნიშნა ამ დარგში ექვთიმეს მოღვაწეობის მიმანიშნებელი ლიტერატურული ცნობები და ზოგიერთი ფაქტი ხელნაწერებიდან. ამ ფაქტებს ლ. ხევსურიანის გამოწვლილვითი კვლევა-ძიების შედეგად მიემატა აქამდე უცნობი ცნობა სინური კოლექციის № 5 ხელნაწერიდან. შედარებითი მასალის ანალიზის საფუძველზე მომხსენებელმა დაასაბუთა სინური ხელნაწერის ცნობის სისწორე. მანვე გამოთქვა ვარაუდი ექვთიმე ათონელის თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ. მოხსენებამ კიდევ ერთი სიახლით გაამდიდრა ჩვენი დიდი წინაპრის — ექვთიმე ათონელის ისედაც განუზომლად მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

სესიაზე წაკითხული და მოსმენილი — ეს იყო მხოლოდ ერთი ფურცელი ძველი ქართული მწერლობის უსასრულო წიგნისა, რომლის ზიარებას თანამედროვეობასთან მთელი სიცოცხლე შეალია კ. კეკელიძემ.

ე. რაფავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა რ ჩ ე ვ ი

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე (1879—1962) . . . . . 5
B. Outtier, La plus ancienne traduction géorgienne des apophtegmes: son étendue et son origine . . . . . 7
ბერნარ უტიე, აპოფთეგმების უძველესი ქართული თარგმანები, მათი შედგენილობა და წარმომავლობა
Michel van Esbroeck, Un Mravaltavi dans le palimpseste A—737 . . . . . 18
მ. ვან ესბროკი, მრავალთავის ფრაგმენტები A—737 პალიმფსესტურ ხელნაწერში
ვახტანგ ჯობაძე, სეფისკვერის ქართული ტვიფარი ანტიოქიიდან . . . . . 22
ნატალია ორლოვსკაია, XVII საუკუნის იტალიური ჟურნალი მაჯოს გრამატიკის შესახებ . . . . . 29
რუსუდან გვარამია, „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები . . . . . 36
ლილი ხევსურიანი, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ . . . . . 50
მაია რაფავა, ერთი ბერძნული პოლემიკური ძეგლის (ფსევდო-ისააკის ტრაქტატების) გამოძახილი ქართულ მწერლობაში . . . . . 64
უჩა ციწდელიანი, III—IV მეფეთა წიგნების შედგენილობა. II. ჩანართების საკითხი 77
ელენე მეტრეველი, „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის . . . . . 98
მიხეილ ქავთარია, ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობის“ ტექსტის ერთი ადგილის გასწორებისათვის . . . . . 117
ბაქარ გიგინეიშვილი, „სახისმეტყველის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის . . . . . 123
მანანა მაისურაძე, ტერმინ „ეზოჲს-მოძღუარის“ მნიშვნელობისათვის „წმინდა დროსის წამების“ მიხედვით . . . . . 127
ლიანა ახობაძე, „სამძალის“ მნიშვნელობის გაგებისათვის ძველ ქართულში . . . 131
ედიშერ ხოშტარია (ბროსე), „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის . . . . . 136
ცისანა აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს . . . . . 152
ვალერი სილოგავა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში . . . . . 167
ლამარა ქაჯაია, ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული ახალი მასალა . . . . . 183
ციალა ქურციკიძე, „მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა)“ (რეცენზია) . . . . . 187
ჰანს ფოგტი 75 წლისაა (ბაქარ გიგინეიშვილი) . . . . . 200
მიხეილ თარხნიშვილი (გარდაცვალების 20 წლისთავის გამო) (ლილი ხევსურიანი) . . . 203
ი. მოლითორი (მზექალა შანიძე) . . . . . 207
აკად. კ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია (მ. რაფავა) 210

## СОДЕРЖАНИЕ

Академик Корнелий Самсонович Кекелидзе (1879—1962) . . . . . 5
B. Outtier, La plus ancienne traduction géorgienne des apophtegmes: son étendue et son origine . . . . . 7
Б. Утье, Древнейшие переводы грузинских патериков, их состав и происхождение
Michel van Esbroeck, Un Mravaltavi dans le palimpseste A—737 . . . . . 18
М. Ван Эсброк, Фрагменты «Многоглава» из палимпсестной рукописи А—737
В. Н. Джобадзе, Грузинское теснение печатки просвиры из Антиохии . . . . 22
Н. К. Орловская, Итальянский журнал XVII века о грамматике Маждо . . . 29
Р. В. Гварамия, Грузинские версии «Мученичества Пантелеймона» и их источники . . . . . 49
Л. М. Хевсуриани, Об одной рукописи Иоанна-Зосимэ . . . . . 50
М. А. Рапава, Грузинские переводы одного греческого полемического памятника (трактаты Псевдо-Исака) . . . . . 64
У. Ф. Цинделиани, Состав III—IV книг Царств. II. Проблема вставок . . . 77
Е. П. Метревели, Источники «Книги притч» Мцхетской библии . . . . . 98
М. Н. Кавтария, К чтению одного места в тексте «Путешествия» С.-С. Орбелиани . . . . . 117
Б. К. Гигинейшвили, К осмыслению одного места в тексте грузинского перевода «Физиолога» . . . . . 123
М. Д. Майсурадзе, К вопросу о значении термина «Эзоисмодзгуари» „ეზოსმოძღუარი“ по агиографическому памятнику «Мученичество св. Дроси» . . 127
Л. Т. Ахобадзе, О значении слова „სამძალი“ («Самдзали») в древнегрузинском языке . . . . . 131
Э. В. Хоштария (Броссе), К интерпретации некоторых реалий «Дзегли Эриставта» 136
Ц. А. Абуладзе, Прошение Картлийского царя Симона 1-го на имя Мурада III-го . . . . . 152
В. И. Силогава, Отчет о работе эпиграфической экспедиции Института рукописей АН ГССР за 1977 год . . . . . 167
Л. Р. Каджаия, О новых поступлениях Института рукописей . . . . . 183
Ц. И. Курцикидзе, «Жития отцов (Грузинская рукопись XI века Британского музея)» (рецензия) . . . . . 187
Гансу Фогту 75 лет (Б. Гигинейшвили) . . . . . 200
Михаил Тархнишвили (Л. Хевсуриани) . . . . . 203
И. Молитор (М. Шанидзе) . . . . . 270
Юбилейная сессия посвященная 100-летию со дня рождения акад. К. С. Кекелидзе (М. Рапава) . . . . . 210

МРАВАЛТАВИ, VII

(на грузинском языке)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

Иб 1019

*

რედაქტორი ე. მეტრეველი
გამომცემლობის რედაქტორები ც. ჯიმშელეიშვილი,
ა. ნათიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ი. გიგინეიშვილი

გადაეცა წარმოებას 10.5.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.1.1980;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 19.3;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.7;
უე 01007; ტირაჟი 900; შეკვეთა 1739;
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს ხანში გამოსცემს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგ წიგნებს.

1. მრავალთავი, VIII
2. უძველესი იადგარი